

ԵՐԵՎԱՆ

10

644  
1963/5.

128

128



Մ Յ Օ Մ Յ Յ Յ Ն 1963



რუსთავის ბრძმეღეზი

ფოტო თარზან არჯვადისა

გარეჯანის პირველ გვერდზე — ცვლად ღამთაგვრად.

რკინა-ბეტონის კონსტრუქციების თბილისის პირველი ქარხნის მოწინავე ახალგაზრდა მუშები.



# სილსაქი

## შინაარსი

9457.

კომპაზიური ორმოცდახუთი წლისაბ	3
ბაბუ მებურთვილი — ლენინურ კომ- კავშირს. ლექსი	8
შოთა ნიშინანიძე — ლექსები	10
ზურაბ ლორთქიფანიძე — ლექსები	17
ხუტა ბაბუა — მამა. ლექსი	19
ირაკლი არაბული — ხევსური ჯურბა. ლექსი	21
თამაზ შილაძე — ქოლგა. მოთხრობა	23
ორდე დგებუაძე — ჩაძირული „თო- ლია“. სათავედასავლო რომანი. გაგრ- ძელება	34
გიორგი ქავთარაძე — ჯარიხკაცის ჩა- ნაწერები. გაგრძელება	64
შილიამ შამსპირი — ჰამლეტი. პირვე- ლი აქტი. ინგლისურიდან თარგმნა კონს- ტანტინე გამსახურდიამ	75
ლონვა — დაფნისი და ქლოე. ფრანგუ- ლიდან თარგმნა იროლიონ ქავთარაძემ	90

# 10

### ოქტომბერი


## 1963

#### გამომცემლობა

„ლიტერატურა და ხელოვნება“

ლიტერატურულ-მხატვრული და  
საზოგადოებრივ-პოლიტიკური  
შურობა

საქართველოს ალკ. ც. კ-სა და  
მშხრალთა კავშირის ორგანო





საყურადღებო

### ● კრიტიკა და პუბლიცისტიკა

გიორგი შაჟულაშვილი — საიათნოვა	111
ოტიბ პაპორინი — ვთქვათ გულანდი- ლად	114
ნუგზარ წერიბელი — საუბარი ახალ- გაზრდულ გადაცემებზე	121
ლინა ხიხაძე — სასაცილოა თუ სატი- რალი	129
შალვა გოგალიშვილი — ხალხთა თა- ვისუფლების მგზნებარე მომღე- რალი	137
ვლადიმერ ზამბახიძე — „ახალი ესთე- ტიკის“ ფალაფანი	140

### ● სპოვები

როინ მეტრეველი — სიჭაბუკის, სი- ლამაზისა და ძალის ზეიმი	149
--	-----

### ● წიგნების მიმოხილვა

ფაშა ციციშვილი — მურმან ლებანი- ძის ახალი ლექსები	155
ვაჟა მისხი — ზღაპრებში გადმოცემუ- ლი სინამდვილე	157
ემზარ კვიციანი — „უხომალდოდ ოკეანეში“	158

რედაქტორი კონსტანტინე ლორთქიფანიძე

სარედაქციო კოლეგია:

გურამ გვერდუთელი, კარლო კალაძე, როინ მეტრეველი, გურამ ფანჯი-  
კიძე (პ/მე მდივანი), გიორგი ციციშვილი, ვლადიმერ ჭავჭავაძე, ვახტანგ ჭელი-  
ძე, სერგი ჭილაია, თამაზ ჭილაძე, ლაშა ჯანაშია.

ქურნალი გააფორმა მხატვარმა ზურაბ გოგოლაძემ

საქართველოს  
წიგნების გამომცემი

## კომკავშირი ორმოცდახუთი წლისაა

მიმდინარე წელს ჩვენს ქვეყანაში ფართოდ აღინაშნება ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ორმოცდახუთი წლისთავი. კომკავშირმა მთელი თავისი არსებობის მანძილზე ბევრი გმირული ფურცელი ჩასწერა ისტორიაში და დღემდე წმინდად ატარებს ვლადიმერ ილიას ძე ლენინის ძვირფას სანელებს.

ორმოცდახუთი წლის წინათ—1918 წლის 29 ოქტომბერს — ქალაქ მოსკოვში, პარტიის ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით, მოწვეულ იქნა რუსეთის მუშა და გლეხი ახალგაზრდობის კავშირების პირველი ყრილობა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა პროლეტარული ახალგაზრდობის მოწინავე რაზმს — კომკავშირს. ჩვენმა პარტიამ, რომელიც განუხრელად იდგა ახალგაზრდობის კომუნისტური მოძრაობის სათავეებთან, ჯეროვნად შეაფასა ახალგაზრდობის თვისებები: გამბედაობა, სწრაფვა გამარჯვებისაკენ. ვლადიმერ ილიას ძე ლენინი მთელი ხმით, იმედინად აცხადებდა: „ჩვენი შვილები უკეთ იბრძოლებენ და გაიმარჯვებენ“. მოწინავე, კომუნისტურად მოაზროვნე ახალგაზრდებმა, ვიდრე გაერთიანდებოდნენ, განვლეს შრომისა და ბრძოლის დიდი გზა.

ცხოვრების აუტანელი პირობები და უუფლებობა უბიძგებდა ახალგაზრდობას ექსპლოატატორთა წინააღმდეგ საბრძოლველად. მშრომელი ხალხის ძლიერი შტრის დასამარცხებლად გაერთიანება იყო საჭირო. მოახლოებულ რევოლუციურ მოძრაობაში ახალგაზრდობასაც უნდა ეთქვა თავისი სიტყვა. ამიტომ იყო, რომ პარტია და მისი ბელადი ვ. ი. ლენინი უდიდეს ყურადღებას აქცევდა ოქტომბრის რევოლუციაში ახალგაზრდობის მონაწილეობის საკითხს. სწორედ ამიტომ ისახებოდა ახალგაზრდობის დამოუკიდებელი, ნამდვილად, სისხლბორცველად კომუნისტური ორგანიზაციების შექმნის აუცილებლობა.

ვ. ი. ლენინმა 1905 წლის რევოლუციის წინ ერთხელ კიდევ გაუსვა ხაზი იმას, რომ საჭირო იყო ახალგაზრდობის ფართო მოზიდვა: „საჭიროა ახალგაზრდა ძალები... საჭიროა მხოლოდ უფრო ფართოდ და გაბედულად... მოვიზიდოთ ახალგაზრდობა, არ შეგვეშინდეს მისი. ომიანობის დროა. ახალგაზრდობა ვადაწვევტს მთელი ბრძოლის ბედს“ (ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 3, გვ. 159 — 160).

ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში იწყებენ ახალგაზრდები მუშათა არალეგალურ წრეებში მონაწილეობას. მუშათა მოძრაობის აღმავლობის შესაბამისად ახალგაზრდობის ფართო მასების მოძრაობაც ძლიერდება განსაკუთრებით აქტიურობს გლეხი ახალგაზრდობა, მოსწავლეები და სტუდენტები. 1904—1906 წლებში რუსეთის მთელ რიგ მუხრებში ადგილი ჰქონდა ახალგაზრდობის შეიარაღებულ გამოსვლებს.

რევოლუციურ მოვლენათა მსვლელობაში პროლეტარულ ახალგაზრდობას შორის მწიფდება გავრთიანების საკითხი. ბოლშევიკური პარტია, იწონებდა რა ახალგაზრდობის ამ მისწრაფებას, ყოველმხრივ დახმარებას უწყევდა მას ორგანიზაციებად, კავშირებად ჩამოყალიბებაში. ახალგაზრდობის პოლიტიკური აღზრდის საკითხებს დიდ ადგილს უთმობდა გაზეთი „პრავედა“.

თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ფართო გზა მიეცა ახალგაზრდობის რევოლუციურ მოძრაობას, რასაც მოჰყვა ახალგაზრდობის პირველი სოციალისტური კავშირების ჩამოყალიბება. ორგანიზაციები იქმნება პეტროგრადში, მოსკოვში, კიევში, ოდესაში, ხარკოვში, ტულაში, სარატოვსა და სხვა ქალაქებში.

ახალგაზრდობის კომუნისტური მოძრაობის ისტორიაში უდიდესი როლი ეკუთვნის რსდმპ(ბ) მეექვსე ყრილობას, რომელზედაც სპეციალურად იქნა განხილული ახალგაზრდობის კავშირების საკითხი და მიღებულ იქნა რეზოლუცია ახალგაზრდობის სოციალისტური დამოუკიდებელი მასობრივი კავშირების შექმნის შესახებ. ყრილობის შემდეგ ახალგაზრდობის მოძრაობა ახალი ძალით გაიშალა. ახალგაზრდობის კავშირები მტკიცდებოდნენ და ამრავლებდნენ თავიანთ რიგებს.

რევოლუციური კომუნისტური ახალგაზრდობა, გრძნობდა რა რევოლუციური ქარიშხლის მოახლოებას, მტკიცედ ირახმებოდა რსდმპ(ბ) გარშემო. მართლაც, ოქტომბრის რევოლუციის მძიმე დღეებში ახალგაზრდობმა არ დაიშურეს ძალა და ენერჯია და თავიანთ მამებთან, დედებთან, ღებთან და ძმებთან ერთად იარაღით ხელში იბრძოდნენ ცარიზმის დასამხობად.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველივე დღეებში ახალგაზრდობამ მიიღო პოლიტიკური და სოციალური უფლებები, საშუალება მიეცა ესწავლა და ემუშავა. ახალგაზრდობამ შეიცნო საკუთარი ძალა, ამიერიდან იგი იყო ქვეყნის ბატონ-პატრონი.

ჩვენს ქვეყანაში მშრომელი მასების წარმატებებით აღშფოთებულმა მტერმა მოგვიმზადა ბარბაროსული თავდასხმა, რომელიც დიდი დაბრკოლება იყო ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყნისათვის. კომკავშირი თავისი არსებობის (იგი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1918 წლის 29 ოქტომბერს შეიქმნა) სულ რაღაც ორიოდე დღეს ითვლიდა, როცა მშრომელი ხალხის მონაპოვარის დასაცავად აღსდგა. ამ მძიმე დღეებში კომკავშირმა დაამტკიცა თავისი ძლიერება და ერთგულება კომუნისტური პარტიის იდეებისადმი. სამოქალაქო ომის დღეებში ნათელი გახდა, რომ მოდიოდა დიდი სულიერი მისწრაფებების, ახალი მორალის, უდიდესი ენერჯიის მქონე ახალგაზრდობა.

რუსეთის ახალგაზრდა პროლეტარებს თანაგრძნობას უცხადებდა საქართველოს მოწინავე ახალგაზრდობა. საერთოდ ამიერ-კავკასიასა და კერძოდ საქართველოში ყალიბდებოდა და იწრთობოდა ახალგაზრდობის რევოლუციური ორგანიზაციები, რომლებიც მიზნად ისახავდნენ ახალგაზრდობის პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით აღზრდას. 1917 წლის აგვისტოში პარტიის თბილისის კომიტეტის უშუალო მითითებითა და ხელმძღვანელობით შეიქმნა ე. წ. — „საინიციატივო ჯგუფი“, რომელსაც დაევალა თბილისის რევოლუციურად განწყობილი ახალგაზრდობის საერთო კრების მოწვევა და ორგანიზაციად გაფორმება.

კრებამ, რომელიც ჩატარდა 1917 წლის 3 სექტემბერს, დაარსებულად გამოაცხადა საქართველოს „ახალგაზრდა სოციალისტ-ინტერნაციონალისტთა ორგანიზაცია „სპარტაკი“. ეს იყო საქართველოში კომკავშირის პირველი ორგანიზაცია.



პარტიული კომიტეტების დახმარებით ახალგაზრდობის მძლავრი რევოლუციური ორგანიზაციები შეიქმნა ქუთაისში, აბაშაში, ხონში, ოზურგეთში, ლეჩხუმსა და სხვა მხარეებში.

ახალგაზრდულ მოძრაობაში უდიდესი მოვლენა იყო 1919 წლის 31 მარტს ქალაქ თბილისში ჩატარებული „სპარტაკის“ ორგანიზაციის კონფერენცია, რომელმაც გააერთიანა მანამდე დაქსაქსული ორგანიზაციები და უწოდა მას „ახალგაზრდა კომუნისტების“ ორგანიზაცია „სპარტაკი“.

საქართველოს კომკავშირი უკვე პარტიის ძლიერ რაზმს წარმოადგენდა. საქართველოს კომკავშირის საბოლოო გაფორმების თარიღად სწორედ 1919 წლის აპრილი ითვლება. ამ დროისათვის, როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში ორგანიზაციულად გაფორმებული იყო საქართველოს ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი.

საქართველოს კომკავშირის დაარსება ჩვენი პარტიის დახმარების შედეგი იყო. ახალგაზრდობას მხარში ედგნენ და ეხმარებოდნენ ჩვენი პარტიის გამოჩენილი მოღვაწეები: სერგო ორჯონიკიძე, სერგეი კიროვი, მიხა ცხაკაია, ანასტას მიქოიანი და სხვები.

ჩვენი ახალგაზრდობა არასოდეს არ დაივიწყებს იმ ადამიანთა სახელებს, რომლებმაც მთელი თავიანთი ძალა და ენერჯია მოახმარეს კომკავშირის შექმნის დიდ საქმეს და დაამტკიცეს მუშათა კლასის საქმის, ლენინიზმის იდეების უსაზღვრო ერთგულება. ბორის ძნელაძე — ახალგაზრდობის ხელმძღვანელი, შესანიშნავი ბოლშევიკი, კომკავშირის დამაარსებელი; მისი საქმე ყოველთვის იქნება საქართველოს ახალგაზრდობის აღმაფრთოვანებული მაგალითი კომუნისტების მშენებლობისათვის ბრძოლაში. გაიოზ დევდარიანი, დავით კაჭარავა, იაშა ოჭოვეი, ამასი ამირბეგოვი — აი ადამიანები, რომლებმაც თავიანთი უდიდესი წვლილი შეიტანეს საქართველოში კომკავშირის შექმნის საქმეში.

კომკავშირის ისტორიაში ოქროს ასოებით არის ჩაწერილი მისი შესამე ყრილობა. ეს სამოქალაქო ომის ქარცეცხლამოვლილი კომკავშირელების პირველი შეხვედრა იყო. და მერე როგორი შეხვედრა! აქ ახალგაზრდებმა თავიანთ წინაშე იხილეს რევოლუციის დიდი ბელადი ვლადიმერ ილიას ძე ლენინი. სწორედ აქ მოისმინეს ახალგაზრდებმა დიდი ბელადის ისტორიული გამოსვლა. ვ. ი. ლენინმა უდიდესი ამოცანები დააყენა ახალგაზრდების წინაშე. ეს იყო კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის, ცოდნის შეძენის, მეცნიერების საფუძვლების დაუფლების ამოცანები. „კომუნისტი მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს, როცა შენს მენსიერებას გაამდიდრებ ყველა იმ სიმდიდრის ცოდნით, რაც კაცობრიობას შეუმაშავებია“, — აი დიდი მითითება ბელადისა, მითითება, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის საქმეში.

სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ გაპარტახებულ ქვეყანასა და დაზარეულ სახალხო მეურნეობას აღდგენა ესაჭიროებოდა. კომკავშირი იმთავითვე შეუდგა აღდგენითი სამუშაოების წარმოებას. ახალგაზრდობა თავდადებით იბრძოდა ჩვენს ქვეყანაში კულტურული რევოლუციის ლენინური გეგმის განხორციელებისათვის. ის ადამიანები, ვინც გუშინ უუფლებონი და დამცირებულნი იყვნენ, დღეს უკვე საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში ეუფლებოდნენ ცოდნას.

ახალგაზრდობამაც, ისევე, როგორც მთელმა საბჭოთა ხალხმა, მძიმედ განიცადა ვლადიმერ ილიას ძე ლენინის გარდაცვალება. კომკავშირის VI ყრილობამ

მიიღო გადაწყვეტილება პარტიის ერთგული რეზერვისათვის, ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირისათვის ვ. ი. ლენინის სახელის მინიჭების შესახებ. ამის შემდეგ კომკავშირმა მრავალგზის დაამტკიცა თავისი ერთგულება ლენინის პარტიისადმი და დღემდე შეუბღალავად ატარებს ვ. ი. ლენინის უცვლად სახელს.

კომკავშირი უდიდეს მონაწილეობას იღებდა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საქმეში, ათასობით ახალგაზრდამ მიაშურა ინდუსტრიალიზაციის კერებს. ოთხას ათასამდე ჰაბუკი და ქალიშვილი იღებდა მონაწილეობას ფაბრიკების, ქარხნების, შახტების მშენებლობაში. ქვეყნის ეკონომიურმა წინსვლამ დღის წესრიგში დააყენა კადრების აღზრდის ამოცანა. ამ საქმესაც ახალგაზრდობა უღვა სათავეში. კომკავშირის VIII ყრილობის შემდეგ დაიწყო მასობრივი ლაშქრობა წერეთლის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის.

აღსანიშნავია 1929 წელს კომკავშირის მიერ ჩატარებული „ლაშქრობა მონაწილისა და კოლექტივიზაციისათვის“. ამ პერიოდში სწორედ ახალგაზრდობის უშუალო მონაწილეობით შეიქმნა 5000 ახალი კოლმეურნეობა. კოლექტივში გაერთიანდა სოფლის კომკავშირელთა უმრავლესობა.

კომკავშირი ჩვენი პარტიის მიერ გატარებული ყველა ღონისძიების სული და გული იყო. იგი იზრდებოდა, გამოცდილებას იძენდა, ვაჟკაცდებოდა. კომკავშირმა, მთელმა საბჭოთა ახალგაზრდობამ გმირობისა და სამშობლოს ერთგულების უბადლო მაგალითი უჩვენა დიდი სამამულო ომის მძიმე, ქარცეცხლიან დღეებში. გასტეგო და გამცემლიძე, მატროსოვი და ინაური, კოსმოდემიანსკაია და რუხაძე — მარტო ამ სახელების ჩამოთვლა რად ღირს, რომ თვალწინ წარმოგვიდგეს მტრის წინააღმდეგ შეუპოვარი ბრძოლის მძიმე ეპიზოდები, სამშობლოსათვის თავგანწირვა. მათ მომავლის ბედნიერებას საკუთარი თავი ამსხვერპლეს.

ახალგაზრდობა ომისაგან მიყენებული მატერიალური ზარალის აღდგენისათვის ბრძოლაშიც პირველი იყო. ახალგაზრდობამ, ლენინურმა კომკავშირმა მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ხუთიოდე წლის განმავლობაში შესძლეს არა მარტო აღდგენა ომით დანგრეული რაიონებისა, არამედ მომავალში მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების მძლავრი საწყისიც შექმნეს.

ამ უკანასკნელ წლებში პარტიისა და მთავრობის მოწოდების პასუხად საბჭოთა ახალგაზრდობა უდიდესი ენთუზიაზმით გაემართა ყამირი და ნასვენი მიწების ასათვისებლად, გაუვალ ადგილებზე ახალი, კომუნისტური სიცოცხლის დასამკვიდრებლად. ჩვენმა ახალგაზრდებმა ბრწყინვალედ შეასრულეს პარტიის ეს დავალება. ათეულობით მილიონი ჰექტარი გატეხილი ყამირი თავისთავად მეტყველებს ახალგაზრდობის შრომითს გმირობაზე.

ამჯერად ორმოცდახუთი წლის კომკავშირი ხუთგზის ორდენოსანია. ახალგაზრდების ვაჟკაცობამ და გმირობამ კომკავშირის მკერდი სამი ლენინის ორდენით, წითელი დროშის ორდენით და შრომის წითელი დროშის ორდენით მოქარა.

საბჭოთა ახალგაზრდობა მზად არის ყოველ წუთში დაამტკიცოს თავისი ერთგულება ხალხის, ქვეყნისა და პარტიისადმი. ახალგაზრდობის წრიდან გამოვიდნენ ჩვენი დროის გმირები. მთელი მსოფლიოს ხალხთა სიამაყეს წარმოადგენენ კოსმოსის გზის გამკვლევეები, მფრინავი-კოსმონავტები, კომკავშირის აღზრდილები იური გაგარინი, გერმანე ტიტოვი, ანდრიაზე ნიკოლაევი, პავლუ პოპოვიჩი, ვალერი ბიკოვსკი და მსოფლიოში პირველი კოსმონავტი ქალი — ვალენტინა ტერეშკოვა.

კარგი შრომითი მაჩვენებლებით ბევრი სასახელო ფურცელი ჩაწერეს კომკავშირის ისტორიაში ქართველმა ახალგაზრდებმა. მათ სასახელოდ უნდა ით-



ქვან, რომ თავდადებული შრომითა და შესანიშნავი წარმატებებით ქართველმა ახალგაზრდებმა არაერთგზის დაადასტურეს სოციალისტური სამშობლოს ერთგულება. სრული უფლება გვაქვს ვიამაყოთ ახალგაზრდა ქართველი მეჩაიეებით, რომლებმაც მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 110 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი, მევენახეებით, რომელთაც გადაჭარბებით შეასრულეს ყურძნის აღების გეგმები და ვალდებულებები.

სიხარულით აღვნიშნავთ ჩვენი რესპუბლიკის მუშა-ახალგაზრდების წარმატებებს, რომლებმაც სამშობლოს ზეგვეგმით მისცეს 3 ათასი ტონა თუჯი, 9 ათასი ტონა ფოლადი, ათასობით ტონა მარგანეცი.

ახალგაზრდობის წინ უდიდესი პერსპექტივებია გადაშლილი — ახალგაზრდობა უნდა იდგეს ჩვენი ქვეყნის მშრომელთა პირველ რიგებში, თავისი შრომითა და სწავლით უნდა იყოს სამაგალითო. ახალგაზრდობამ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ საქმით უპასუხოს პარტიისა და მთავრობის ზრუნვას.



## ვაკუ მუპაჩიშვილი

### ლენინურ კომპაზშირს

იმ დიდი  
ომის დამთავრება ჩვენ გვახსოვს ასე:  
იყო ზეიმი  
და ჭიდილი მოწოლილ ცრემლთან.  
და ჩვენ ვატანდით  
სიმღერებს და სამხედრო მარშებს  
ჩვენი უბნების  
მყუდროებას, მოწყენას, სევდას.

თვალეში აღარ  
გვანათებდა ათასი შიში,  
თანდათანობით  
გამოხუნდა თალხი და ძაძა...  
და როგორც იმედს,  
შევეყურებდით სამკერდე ნიშნებს,  
გვახალისებდა  
ჯარისკაცის ფარაჯის ჩაცმა.

ვთესავდით, ვმკიდით  
და ჭალაში ვკონავდით ჩალას,  
ვმწყემსავდით ნახირს,  
ვანტებოდით თხრილებს და ხრამებს;  
ჩვენ ვიზრდებოდით,  
ტანს ვიყრიდით, ვიკრებდით ძალას  
და უხაროდათ  
ცალხელა და  
ცალფეხა მამებს.

ამოვეყარეთ  
მძლავრ რტობად  
ნამეხარ მუხებს  
და ერთიორად  
ავამალღეთ ცხოვრების ჭერი,

მიყვებით დიდ გზას  
და ამ გზიდან არასდროს ვუხვევთ.  
აშენებს ჰესებს,  
სახლებს,  
ხიდებს  
ხელები ჩვენი.

ღიად მიზანთან  
გვაახლოებს ყოველი წამი.  
ჩვენი სურვილი,  
ოცნება და  
თამამი ფიქრი  
თვალმიუწვდენელ  
გალაქტიკებს გაშორდეს ლამის.

გვჯერა, კოსმოსის  
ყველა საზღვარს და მიჯნას წავშლით,  
კვლავ ჩვენგან ელის  
გაოცებას სამყარო მთელი.  
ჩვენი სამშობლოს ბრწყინვალება  
ავტყორცნეთ ცაში  
კოსმონავტების  
ვარსკვლავიან  
ძლიერი ფრთებით.

★  
ლენინური კომპაგზირის  
★  
ტაბუ მემპრიზილი



## შოთა ნიჟნიანიძე

### წართხის გადაჭრენა

ყელწაგდებულნი, კისერგაწვდილნი  
მიჰქრიან შიშით და დაფეთებით.  
გასავლელი აქვთ შორი მანძილი,  
შორი ქედები და განედები.

რისხვით მიჰქრიან და გაავებით,  
მიჰქრიან მოთქმით და გაოგნებით!  
ძალა არ შესწევთ თავშეკავების,  
ძალა მოთმენის და დაოკების!

მიდგაფუნებენ თავგამეტებით  
და გაჰყვიან ყელამართულნი  
და მკერდს უკაწრავთ ძირს დალანდული:  
ყველა კენწერო, ყველა მავთული.

ეს სიმღერაა თუ ტირილია,  
თუ წინათგრძნობით გულისტკივილი?  
თუ შემოდგომის ყრუ იდილიას  
გამოთხოვების აკრთობს ყივილი?

ეს წყურვილია ძალთა მოკრების,  
ეს წყურვილია ახლის დანახვის.  
წყურვილი რისკის, საშიშროების,  
მათი ძიების და გადალახვის.

და ამ ფრენაში გაერთიანდა,  
დღემდე სიზმრებად რაც რომ ებადათ:  
უსაზღვროების ლტოლვა დიადი  
და სინანული განშორებათა;

სასოწარკვეთა,  
განწირულება  
და იმედები გზათა დალოცვის,  
შეუპოვრობა, გაბედულება,  
დიდი წყურვილი თავის გამოცდის.

და შერევა ამ ველურ ყიყინს  
მაცდური ბრწყინვა შორი ტატნობის.  
ჯერ შეუცნობის ელდა და შიში  
და მწუხარება ძველის დათმობის;

შიში ხიფათის და განსაცდელის,  
მოსურვილება უცხო მიწების!  
ფრთაში და ყელში თრთის საწადელი  
მიზნის მიღწევის!  
მხოლოდ მიღწევის!..

და გაჰყივიან გაგუდულები  
და მიფრინავენ დაწალიკებით.  
ეს ყივილია განწირულების,  
ბედისწერასთან არშერიგების.

ხვალ ფოთლებდაყრილ ტყეებს შეფიფქავს  
და შეენთება ცას გაცისკრებით  
მიტოვებული ბუდეებიდან  
ამოწეწილი მათი სიზმრები...

არ დაიქსაქსოთ, ჩემო კარგებო,  
ბოლომდე შეგრჩეთ სული უტეხი;  
გზებზე ცალცალკე არ დაიკარგოთ,  
ერთმანეთს მხარში ამოუდექით!

ეჰ, მოლოდინის დარდი მომიცავს  
მე თქვენზე მლოცველს, თქვენზე მოფიცარს.

კვლავ დაგვიბრუნდით მშვიდობიანად,  
— გზა მშვიდობისა!  
— გზა მშვიდობისა!



სიზმრადა მაქვს ნახული  
განძი საქართველოსი.  
ღვთისმშობელი ხახულის,  
ყინწვისის ანგელოსი.

ვიცი, — სიზმრად მინახავს, —  
ბედისწერა მიტანს —  
ღიმილს ჩემთვის ინახავს  
მცხეთის სერაფიტა...

☆  
სიზმრად  
☆  
სიზმრად

ჩუქურთმაში ვაზი  
ტირის ქარაგმულად.  
სიმღერები ლაზის  
საით დაკარგულა?

შე ლაზურო აფრავ —  
ჩემო საპერანგე,  
ლეგენდად თუ ზღაპრად  
საით დამეკარგე?

სიზმარო თუ ზღაპარო,  
გიცნობ ლაზისტანად,  
მაგრამ ვილამ ახაროს  
ე მაგ ვაზისთანა?  
ანდა ვილამ გათალოს  
ე მაგ ანძისთანა?

ჰოი, რა მაცდურია,  
ზღვაო, შენი სახე,  
ჩემი დიოსკურია  
კარგად შემინახე.

მაგრამ განა გავთავდით,  
განა წახდა ყისმთი.  
საქართველო სადამდის?  
— მარად,  
უკუნისამდის!

მეც მწევს ძველი კრილობა,  
ძველისძველი გზები...  
მაგრამ, დედაშვილობას,  
ნულა მესიზმრებით...

☆—————



მე ვარ სკის ქალაქი,  
მე ვარ სათაფლია,  
დრო და მზის მარაგი  
ჩემი ალაფია.

ნაპრალეები ქუფრი  
დევთა ნახმლევია  
და ფუტკრების ღრუბლად  
ქამი დამხვევია.

ველურ ყაყაჩოთა  
მწვადენ კოცონები  
და მზე მდარაჯობდა  
თავის მოწონებით:

მზისკენ ადის ზღაპრად  
წარმართული კვამლი  
და სიზმრებში მხაფრავს  
დინოზავრთა კვალი.

მზით რომ ილანქრება  
მხარე საფიცარი —  
ფერად სვირინგებად  
ტანზე ავიცარი.

მე მაქვს მღვიმეები  
თაფლით დარკინული —  
მე ვარ სიმღერების  
ცხრა ბჭე.

ცხრაკლიტული.

ამდენ საუნჯეთა  
შიში მამუნჯებდა  
და ჰა,

სიხარულის  
ტალღად ახმოვანდა —  
ექო გრიგალური  
ქვაბთა თაღოვანთა.

სიტყბო,  
გამძლეობა  
ჩემი ალაფია.  
მე ვარ მათრობელა  
სიტყვის სათაფლია...


☆—————



ჯერ მერქანს ხლეჩენ ნედლი კვირტები.  
მერე იშლება ყლორტი ლაღობით,  
ჩვენ კი ერთხელაც არ ვუფიქრდებით,  
რა ტკივილებით იშვა ნაყოფი.  
რამ გამოფინა ეს განძი მზეზე  
მითხარი, ხავსო,  
მითხარი, მუმლო.

★  
სიმღერები  
★  
მედიანა  
★  
სიმღერები

ეს საიდუმლო სცოდნიათ ფესვებს  
და მიწა ფარავს ამ საიდუმლოს.




დილა

ატმებში შეყუყულა  
ხოხბის ლაპივით.

ცრის თეთრი წვიმა  
ცის წყალობად გამოგზავნილი.  
თოხისპირებზე გამოუკრავს მზე  
საგზალივით


და მინდორ-მინდორ  
სათოხარში  
მიდის აპრილი.



ქართული მთები  
ნისლებსა და ზღაპრებში ყვინთავს,  
გადადის ჟამი

ზღაპრებისგან გაუყოფელი,  
აისი

წითელქუდასავით  
გამოდის ტყიდან  
და მარწყვით სავსე კალათივით  
მოაქვს სოფელი.



### ვეფხვი

ნუთუ არ გქონდა სურვილი შეყრის,  
საით გაგირბის მზერა ელამად,  
შენ ხომ არა ხარ ნეტა ის ვეფხვი,  
მოყმემ რომ დასცა პირტიტველამა.





სდუმხარ და თითქოს მაინც ღრიალებ,  
 დგახარ და მაინც აკეთებ ნახტომს.  
 გაოგნებული და ნადვლიანი,  
 ალბათ, შამბნარში ხეტიალს ნატრობ.

აღტაცება და შიში ამიტანს  
 სტრიქონებივით მიჯრილ ზოლების  
 და მოთახთახე შენი ტანიდან  
 დგება აზიის სიციხე ზმორებით.

ეს დრის ძალის და სილამაზის  
 და სიმამაცის მთელი პოემა,  
 დასაბამიდან მთელ ქვეყანაზე  
 სხვა ამნაირი არ იპოება!

მზის ბიბინია ბეწვი მდიდრული,  
 თუ ტრამალების ფერიცვალება  
 და ინარჩუნებს შენი ფიტულიც  
 შიშს, აღტაცებას და მოკრძალებას.

არვინ გამცირებს და რად გრცხვენია,  
 შენს სიბეჩავეს რად აზვიადებ,  
 შენ სიკვდილშიაც შემოგრჩენია  
 ეგ მზვაობრობა და სიღიადე.

ვეფხვის ტყავზე წვეს ჩვენი მთაბარი,  
 ჩვენს ლექსსაც ვეფხვის ტყავი აცვია.  
 ჩვენი წარსული და წინაპარი  
 მხოლოდღა ვეფხვის სიმამაცეა!

ჩემი ბწკარების ლერწმოვანებში  
 ვეფხვივით ჩუმად დადის წარსული,  
 და ციხეების ტვერი ნალესი  
 აქვს ბწკალებივით ტორზე ასხმული.


სივრცე კი არა, ჟამი მაშორებს  
 ჩემს დიდ ჭრილობებს განუკურნებელს  
 და მის ბღღვინვაზე ცივად აჟრჟოლებს  
 სიზმრად გადასულ საუკუნეებს.

თუ არა ჟამი, — რა დამაშორებს  
 ის, რაც ჩემია და ლამაზია.

★  
 ლექსები  
 ★  
 შოთა ნიჟარაძის  
 ნაშრომები

ეს მის ბღღვინვაზე ტანში აჭრყოლებს  
სიზმრად გადასულ წინა აზიას;

ხოლო წარსული თუ შემეძია,  
მის ჩრდილებს მაინც არ ვეხიზნები,  
ოთახში ვეფხვის ტყავად მიგია  
და ღამე მძინავს ვეფხვის სიზმრებით...



## ზუკაბ ღოთთქიფანიძე

### შადრევნებად ვრცელ სივრცეებს

მშობლიურ ემხით გრივალშიც გასძლებ,  
მიხმობს ნისლებში შეხვეული ცა.  
ბავშვივით გასულს გავყურებ გზაზე  
ჩემს ხმას ამოზრდილს ჩემს სხეულიდან.

სივრცეებს ჩქერად ჰანგი გადმოსდის,  
სივრცეებს შორის მორცხვად შეთენდა.  
სცემს შადრევენებად ხმები სხვა დროის,  
მეთორმეტედან...

მეცხრაშეტედან...

სიცხის საზომით ქუჩა ბუბუნებს,  
ვერ ვიმალება ჭადრების ძირშიც.  
ქალი მოდის და სულს მოვიბრუნებ  
იმის პატარა საყურის ჩრდილში.

მზე ცხრება,

თერგზე იწვის ტრფიალი  
კავკასზე ბინდის გადმოზმანებით.  
ნინოს შორდება ორბელიანი,  
გმინავს: — საღამო გამოსალმების.

შემომეხვევა ფიქრები მჭრელი,  
და დრო მზრუნავი ჯანლით დამნისლავს;  
მაგრამ გაჩნდება სიტყვა მაშველი,  
— სულს ნუ ამომხდი, მაცალე  
დახამხამება წამისა.

შებინდებისას თვალებს გადუწვდენ  
მულაზანზარზე გადაჭრილ მხედარს.  
და დაქანებულ ვეფხვების ზურგზე  
«ვეფხისტყაოსნის» ვაწყდები დედანს.

სივრცეებს ელვის ჰანგები არწევს.  
მოსჩანს ჰანგებში შეხვეული ცა.  
თრთოლვით გავყურებ მშობლიურ გზაზე  
ჩემს ხმას ამოზრდილს ჩემს სხეულიდან.

☆ —————

9451.



## მშობლის პორტრეტი

მწუხრის ზარებმა მთლად დაკაჟქმეს...  
 ეკლესიიდან რეკდა გრიგალი...  
 დაკარგე ძუძუმწოვარა ქალი,  
 ვაჟი ცხრა წლის და ვაჟკაცი უკვე.  
 ამ ბალახების წინაპარ ბალახს  
 ახსოვს აქ მისი ფეხთა სრიალი.  
 და მგონი ცისკარს შემორჩენია  
 მისი ღიმილი ალერსიანი.  
 მათ მერე არვის ენახებოდი,  
 იფარგლებოდი ბინდის არეთი.  
 პატარა ბორცვებს თავს ევლებოდი,  
 საღამოობით

ჩოხის კალთას წააფარებდი.  
 არვის ანდობდი, არ უმხედლი  
 რაინდულ დუღილს,  
 იყავი მარტო შეღამების ფარული  
 მგზავრი.  
 საკუთარ ხელით გაგეთალა სასახლე  
 მუხის,

მუხა ეზოში შეგერჩია ყველაზე მძლავრი.  
 მათ მერე არვის ენახებოდი,  
 იკედლებოდი ღამის არეთი.  
 პატარა ბორცვებს თავს ევლებოდი.  
 — არ შეცივდეთო —

ჩოხის კალთას წააფარებდი...  
 აციებულა ერთ ღამეს უცებ,  
 ბუხარს უძრავი კორძიან კუნძებს.  
 შემოგვიკეცე საბანი ცოცხლებს,  
 მერე ღამეში ელვად გაფარდი.  
 გარიყრაჟისას ენახათ: ბორცვებს  
 ეფარე შენ და შავი ნაბადი.

თვალწინ გედექ და გული გწყდებოდა,  
 ვიგვიანებდი ენის ამოდგმას.  
 ეს დარდი რალად გემატებოდა,  
 მალულად სწუხბდი შერჩენილ მოდგმას.  
 შეიღების შუა დაიდგი ბინა,  
 ჩვენ ჩაგვაბარე მომავლის რიყრაყს...  
 ცაცხვების ჩრდილმა გადაგვირბინა,  
 ცაცხვების ჩრდილში სხივები ჟინკელღავს.  
 შეღამებულში დაგსურებ ბინდად  
 ამ სანაივო მდღემარე კორდთან.  
 ძუძუმწოვარა აღბათ ატირდა  
 და ბნელში ძუძუს ფათურით გთხოვდა.

## ხუზა ბაბუა

### მ ა მ ა

იენისი! თითქმის მთელი სოფელი  
 იცლება, მწარე ფიქრში წასული,  
 როგორც საყდარი უარყოფილი,  
 გაუქმებული და გაძარცული.

იენისი! ყოფნა-არყოფნის ჟამი  
 წერს თავბრუდამხვევ ომის განაჩენს  
 და ხელში ძალით აჩეჩებს მამას  
 ჯერ შაშხანას და მერე ყავარჯენს.

ორმოცდასამი, ორმოცდასამი  
 (იმ დილით ტყდება ოჯახში სურა).  
 რა დამაფიწყებს დაჭრილი მამის  
 შინ დაბრუნების შემზარავ სურათს:

მამა ეზოში შემოდის თრთოლვით  
 და აკვირდება ხეებს შეფოთლილს,  
 და მიჩვენება: შემოდის ომი,  
 ეზოში ცალი ფეხით შემოდის.

ძირს უფარდება ჩანთა საველე.  
 ჩერდება. თვალში მიყურებს — მიცან?!  
 დგას ცალფეხზე და ორი მტკაველით  
 მეორე ფეხი ვერ წვდება მიწას.

რა გქნა, რა ვუთხრა მამას ხეიბარს?  
 და ვტირი, ვტირი დაუფარავად —  
 მე ჯერ ბავშვი ვარ...

და ვგრძნობ, დღეიდან,  
 მორჩა, გათავდა! — ბავშვი არა ვარ.

სანამ სუნთქავენ და უდგათ სული,  
 კაცნი რჩებიან ჯარისკაცებად!  
 და დიდი ტვირთი ცხოვრების, ზრუნვის  
 მთელი სიმძიმით ცალ ფეხს აწეება.

...მამავ! ამაგი რით დაგიფასეთ, —  
ცხოვრება იყო რთული და ძნელი.  
მაგრამ არც ერთი სიტყვა იმაზე,  
როგორ გამოვლევ ეს ოცი წელი!

კმარა! შენ ისევ აბიჯებ მყარად  
და ჭერეტ მომავალს მთელი სიცხადით;  
იცავ და ვიცი, დაიცავ მარად,  
ცხრაასჩვიდმეტში რასაც იცავდი.



...მამავ! ამაგი რით დაგიფასეთ, —  
ცხოვრება იყო რთული და ძნელი.  
მაგრამ არც ერთი სიტყვა იმაზე,  
როგორ გამოვლეთ ეს ოცი წელი!

კმარა! შენ ისევ აბიჯებ მყარად  
და ჭვრეტ მომავალს მთელი სიცხადით;  
იცავ და ვიცი, დაიცავ მარად,  
ცხრაასწეიდმეტში რასაც იცავდი.



## ირაკლი არაბული

### ხმისური ჯურხა

ჯერ აიშლება ფარა ნისლევის,  
ვით აფრენილი გუნდი სავათთა,  
და ჭაუხები — დარბაისლები —  
მხედებიან ვიწრო გადასავალთან.

დამილოცავენ გზას საარხვატოს  
და ციხე-კოშკთა ვნახავ სამეფოს.  
მსურს ვიგალობო და ვილაღო —  
აქ სხვა სიმღერის ეშხი მბრძანებლობს;

აქ ენა ისმის მარტო ბუნების,  
თითქოს არც არის სხვა სულიერი,  
გვიმზერს ციხეთა სათოფურები  
იმ გარდასულთა დღეთა იერით.

მთად ღამე წვება, როგორც კამეჩი,  
და მდინარეთა ისმის ზღავილი.  
მე შემოვიხვევ ნისლებს ღამეში  
არხვატელ ჯურხას ჯიხვის ტყავივით.

მთებმა ყვავილთა ალში გამხვიონ,  
გადამაფარონ კალთა ამაღამ;  
დავემსგავსები ხევსურს ამლიონს  
და შევააიჯებ მთებში ამაყად.







ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ ԳՐԱԴԱՐԱՆ

Հ. ԵՐԵՎԱՆԻ



სადგურის ბაქანი ცარიელი იყო. ნაცრისფერი, მძიმე ღრუბელი თითქოს ზედ სადგურის წითელ სახურავზე იწვა. მწვანედ შეღებულ მესერთან პურის ფარდული იდგა. ფარდულთან მაღალი კაცი გაჩერებულიყო. ხელში ქოლგა ეჭირა. ეტყობა, ქოლგა სრულიად ცარიელი იყო. ფარდულთან მაღალი კაცი გაჩერებულიყო. ხელში ქოლგა ეჭირა. ეტყობა, ქოლგა სრულიად ცარიელი იყო. ფარდულთან მაღალი კაცი გაჩერებულიყო. ხელში ქოლგა ეჭირა. ეტყობა, ქოლგა სრულიად ცარიელი იყო.

წვიმიანი დღე ძლივსძლივობით თენდებოდა. სადგურის ქვედა სართულის ფანჯრებში შუქი ჯერ კიდევ არ ჩაეჭროთ. წუხანდელი ბინდი ზედა სართულის ფანჯრებსღა შერჩენოდა და ახლა იქიდან ჩალამებული თვალებით იცქირებოდა. წვიმას თავისი საკუთარი ბინდი ჰქონდა, ფერმკრთალი და მოწყენილი. ფარდულთან თავზე პალტოწამოხურული ქალი მოვიდა, შიშველი ფეხები კაცის ვეება კალოშებში წაეყო. ცხელი პური უბეში ჩაიკრა, ზედ პალტოს კალთა წააფარა. ქოლგიანი კაცისთვის არც კი შეუხედავს, გატრიალდა და წაფრატუნდა.

სადგურის შენობის უკან ალვის ხეები იდგნენ. ალვის ხეებში ძველი ეკლესიის კრამიტიანი გუმბათი მოჩანდა. გრძელი მატარებელი ჩუმად იდგა. ფანჯრებშიც არავინ იხედებოდა. ცარი-

ელსა ჰგავდა, სათადარიგო ხაზზე მიყუჩებულს.

სადგურის მძიმე, საღებავგადაცლილი კარი ჭრილობით გაიღო და ბაქანზე წითელქუდიანი მორიგე გამოვიდა. მორიგემ მატარებელს შეხედა, ცოტა ხანს უყურა, მერე დაამთქნარა და შებრუნება დააბირა, მაგრამ უცებ ქოლგიან კაცს მოჰკრა თვალი.

— გამარჯობა, მამია, — დაუძახა შორიდან.

მამია არც კი მოტრიალებულა, მატარებლისთვის თვალი არც კი მოუცილებია, ისე უპასუხა:

— გაგიმარჯოს, ვანო...

— რას უყურებ, კაცო?

მამიამ ხმა არ გასცა.

— რას უყურებ-მეთქი? — გაუმეორა ვანომ.

— მატარებელს...

ბაქანი გაწუწულმა ძაღლმა გადაიბინა, ფარდულთან მივიდა და კედელთან გაწვა. იქ წვიმა არ ჩამოდიოდა და თანაც ახალგაზომცხვარი პურის ცხელი, მძაფრი სუნის იდგა. მორიგემ ისევ მატარებელს შეხედა. მთელი სიცოცხლე მატარებლებს უყურებდა და რატომღაც ახლა მიაქცია ყურადღება, რომ მატარებელი ძალიან ჩუმად იდგა. რკინიგზის დარაჯად რომ მუშაობდა, მატარებელმა ძროხა მოუკლა. ისე ჩუმად წამოეპარა, ვერც კი გაიგო. ძროხას ვინ ჩივის, თვითონაც ძლივს გადაასწრო ხაზიდან. იფიქრა, ამ ამბავს მამიას მოვუყუებო, მაგრამ წვიმდა და იქ მისვლა დაეზარა.



— მატარებელს უყურებ ხომ?  
ეს ისე თქვა, რამე ხომ უნდა ეთქვა.  
მერე ცას ახედა და შეუყურთხა:

— ჩამოინგერი ბარემ...

ღელესთან სიმიინდის პატარა ყანა  
ჰქონდა. სულ ჩააღობდა ეს ოხერი  
წვიმა. ასეთი გადაუღებელი რა იყო მა-  
ინც? მერე შენობაში შევიდა. ცოტა  
ხნის მერე აჩქარებული გამოვიდა და  
ზარს შემოჰკრა.

— წავიდა შენი მატარებელი, —  
დაუძახა მამიას.

მატარებელი ისე ჩუმად დაიძრა, თით-  
ქოს ვიღაცას გაეპარა. ხე-ტყის საწყობს  
რომ მიუახლოვდა, უცებ დაიკვილა,  
თითქოს რაღაცამ შეაკრთოო. მერე ბო-  
ლო ვაგონის წითელმა ნათურამ გაიელ-  
ვა წვიმაში და მატარებელი გაქრა.

მორიგე შენობაში შევიდა. მალე ფან-  
ჯრებში შუქიც ჩაქრა. თითქოს დილას  
მატარებლის ეხათრებოდა, ახლა უცებ  
ინათა. რკინიგზის გადაღმა სიმიინდის ყა-  
ნა წვიმის ნაცრისფერ ბაღში ირხეოდა.  
ყანის იქით კრამიტისანი სახურავი მო-  
ჩანდა. კრამიტს ქუქუყიანი, მომწვანო  
ფერი დასდებოდა. სახურავის ზევით  
კვამლის რუხი, დაწყვეტილი ბოლქვები  
მიტურავდნენ.

მამიამ ვერაფრით ვერ გაიხსენა, იმ  
სახლში ვინ ცხოვრობდა. სწორედ ამ  
დროს სახელოზე ვიღაცამ ხელი მოჰკი-  
და. მამია ფიქრისგან გამოერყვა, მის  
წინ ჰორფლიანი ბიჭი იდგა. ბიჭს ძვე-  
ლი, მოკლე პალტო ეცვა. ხელს მალდა  
რომ სწევდა, შიშველი იდაყვი მოუ-  
ჩანდა.

— მამია ბიძია, ა, პური.

ბავშვი პურის ნაჭერს უწვდიდა,  
პურს ორთქლი ასდიოდა. მამიამ ბიჭი  
ფარდულის კედელთან მიიყვანა:

— გადი, ძაღლო, იქით...

ძაღლი წკმუტუნით გაიქცა.

— ვისი ხარ, ბიძიკო, შენი?

მამიამ ბავშვს ნიკაპი თითით აუწია.

ბავშვმა დიდი, ცისფერი თვალებით  
ამოხედა და მკვირცხლად უბასუხა:

— არავისი...

თითქოს უხაროდა, არავისი რომ არ  
იყო.

პური ისევ გაუწოდა:

— მიირთვი...

პური დასველებულიყო. მამიამ ერთი  
ციცქნა მოიტეხა, პირში ჩაიდო, მაგრამ  
ვერ დაღეჭა, ყბა უცახცახებდა. თავს  
ძალა დაატანა და ლუქმა დაუღეჭავად  
გადაყლაპა.

— მადლობთ, ბიძია, მეტი არ მინდა...

— დაკეცე ქოლგა, — გაუცინა ბიჭ-  
მა: — აქ არ წვიმს...

მამიას რატომღაც შერცხვა, მაგრამ  
არ შეიმჩნია. ქოლგა დაკეცა, დაბერტყა  
და თქვა:

— რა არის მაინც, რით ვერ გადა-  
იღო...

წინათ არც თვითონ უყვარდა ქოლგა.  
ქოლგიან კაცს რომ დაინახავდა, გაელი-  
მებოდა ხოლმე. ახლა ამ წვიმებმა ისე  
შეაჩვიეს ქოლგას, მითომ არაფერი. ამ  
დაბაში ქოლგა თითქმის ყველას ექირა.  
ინტელიგენცია ხომ სულ ქოლგებით  
სეირნობდა. ქუჩაში ერთმანეთს ქოლ-  
გებით სცნობდნენ, ექიმს დიდი,  
ძველებური ქოლგა ექირა, სპილოს  
ძვლის ტარიანი. ქოლგას ის არც კარგ  
ამინდში იშორებდა. დაკეცავდა და  
მკლავზე ჩამოკიდებულს ატარებდა.  
ფოსტის გამგის ქოლგა პლიაჟის  
საჩრდილობელს ჰგავდა. ისე მოუხერხე-  
ბლად მოჰქონდა, იფიქრებდით, ამ წუ-  
თას სხვისგან ითხოვო. აფთიაქის გამ-  
გის ქოლგას ერთ კუთხეში წითელი ძა-  
ფით პატრონის ინიციალები ჰქონდა  
ამოჭარგული.

ბიჭმა ისევ მიაწოდა პური.

— არ მინდა, — მამიას გაელიმა—რა-  
ტომ მაძალებ, ბიძიკო?

— იმიტომ, რომ ვალიყო ბიძიამ მი-  
თხრა, პური არავის არ აჭამოო...

— რატომო?

— წელზე ფეხს ვიდგამ და ისე ვშო-  
ულობო. ადრე კი...

ბავშვი გაჩუმდა.

— რა ადრე, — ჩაეკითხა მამია.

— ადრე კი მასწავლეს, რომ პური  
ყველას გაუყავიო...

— სად გასწავლეს?  
 — ინტერნატში...  
 მამიას თითქოს რაღაც გაახსენდა,  
 შუბლზე ხელი შემოირტყა:  
 — ზურგიო ხარ შენი?  
 ბავშვს სახე მოეღრუბლა და არაფერი  
 უპასუხა.  
 — ზურგიო არ ხარ?  
 ბიჭმა უარის ნიშნად თავი გააქნია.  
 — აბა რა გქვია?  
 — გაგა...  
 — გაგა?  
 — ჰო, გაგა მქვია...  
 — შინ რომ ზურგიოს გეძახიან?  
 — ზურგიო ელენე დეიდამ დამარქვა,  
 ნამდვილად კი გაგა მქვია...  
 მამიას ახლა ყველაფერი გაახსენდა...  
 ბიჭი ნაშვილები იყო. რკინეულობის  
 მალაჩიის ნოქარს ამ ორი წლის წინ ის  
 მეზობელი ქალაქის უბატრონო ბავშვთა  
 სახლიდან გამოეყვანა. ბავშვი მაშინ  
 ოთხი წლისა იყო და უკვე ბევრ რამეს  
 ხვდებოდა. ვალიკო და ელენე შეძლე-  
 ბულად ცხოვრობდნენ. ბავშვი რომ თა-  
 ვისად დაიგულეს, ზედ გადაეფოფრნენ  
 და მთლიანად დასაკუთრება მოინდო-  
 მეს. ჯერ სახელი ბატონო...“ ზურგიო დაარქვეს.  
 მერე ნელ-ნელა შეაბარეს:  
 — ზურგიო, შე ვინა ვარ შენი?  
 — ვალიკო ბიძია...  
 — არა, მე მამიკო ვარ, ეს კი დედი-  
 კოა...  
 — ეგ დეიდა ელენეა...  
 — არა, დედაშენია... აბა თქვი დედა...  
 ბავშვი ჯიუტობდა, არც ვალიკოს  
 ეძახდა მამას და არც ელენეს — დედას.  
 არაფერი არ სჭრიდა, არც სათამაშო,  
 არც ტანსაცმელი, არც კამფეტები.  
 ცოლქმარი არავის არ მეზობლობ-  
 დნენ. ქალაქშიც იშვიათად გამოდიო-  
 დნენ. ვალიკო სამსახურიდან რომ დაბ-  
 რუნდებოდა, მერე ქუჩაში გამოსულს  
 ვერ ნახავდით. აგურის ერთსართულია-  
 ნი სახლი ედგათ, თითქოს სხვა მეზო-  
 ბლების ჯიბრით, თუნუქით გადახურუ-  
 ლი. ეზოსთვის აგურის ღობე შემოე-  
 ლოთ, ღობეს რკინის ცისფრად შეღები-  
 ლი კიშკარი ჰქონდა დატანებული. კიშ-

კარზე მავთული იყო ჩამოკიდებული.  
 ეზოში შესვლა თუ გინდოდა, მავთული  
 უნდა ჩამოგეკრა, ზარი დარეკავდა და  
 პატრონი გამოგხედავდა. სახლ-კარი  
 კარგად გამაგრებულ პატარა ცინეს ჰგავ-  
 და. ღობის თავზე მოსხმულ ცემენტში  
 ბოთლის ნამტვრევები ჩაეტანებინათ.  
 ეზოში ბალიც იდგა, ჭერამიც და თუ-  
 თაც, მაგრამ შიშით რომელი ბავშვი გა-  
 დავიღოდა! უბნის ბიჭებს ამ ეზოზე  
 ხელი ჰქონდათ ჩაქნეული. გაგას ველო-  
 სიბედი რომ უყიდეს, მაშინვე ქუჩაში  
 გაიტანა. ყორზე ჩამომჯდარი ბიჭები  
 შორიდან უყურებდნენ. გაგა მათთან  
 მივიდა და გაჩერდა, რადგან ბიჭებთან  
 თამაში ათას ველოსიპედს ერჩია. ბიჭებ-  
 მა ხმა არ გასცეს. გაგა იდგა, არ იცო-  
 და რა ექნა. მერე ბიჭებს სულმა წას-  
 ძლიათ და ველოსიპედი გამოართვეს,  
 გაგას გაუხარდა. ბიჭები ველოსიპედს  
 დააქროლებდნენ და გაგაც ყიყინით  
 დასდევდა. უცებ დეიდა ელენე გამო-  
 ვარდა და ბავშვებს ქორივით დაეცა.  
 ბიჭებმა ველოსიპედი გაგას მიუდგეს და  
 გაიქცნენ. დეიდა ელენემ ატირებული  
 ბიჭი ეზოში ძლივს შეიყვანა.  
 საღამოობით ლოტოს თამაშობდნენ.  
 კამფეტების თუნუქის ყუთის სახურავში  
 სამკაპიკიანებს ჩაჰყრიდნენ, დიდის ამ-  
 ბით დაარიგებდნენ ქალალდსა და ლო-  
 ბიოს მარცვლებს. ბავშვს შუაში ჩაის-  
 ვამდნენ, თუმცა რიცხვებს ჯერ კიდევ  
 ვერ სცნობდა, მაინც ათამაშებდნენ,  
 უჯრებზე თითონ უწყობდნენ ლოტოს  
 კოჭებს. რიცხვებს ყოველთვის ბიძია  
 ვალიკო კითხულობდა:  
 — ცამეტი...  
 — ოცდაჩვიდმეტი...  
 — ცხრამეტი...  
 — გაგავსე, ბატონო,— ისმოდა დეიდა  
 ელენეს გახარებული ხმა. დეიდა ელენე  
 ყოველთვის იგებდა. ბავშვს ეძინებოდა,  
 სანამ ნიკაჰს მაგიდის კიდეზე არ ჩამოჰ-  
 კრავდა, არ ეშვებოდნენ. კვირაობით  
 ბიძია ვალიკო პიყამოს იცვამდა. პიყამო  
 მისი სადღესასწაულო ტანსაცმელი იყო.

თამაშ კილაძე  
 ქოლგა

პიემოს შიგნით თეთრი პერანგი და ლურჯწინწკლებიანი ყელსახვევი მოუჩანდა. თუ წვიმდა, გაუთოვებულ და გატყინებულ პიემოზე პალტოს შემოიკვამლა, ხელში ქოლგას დაიჭერდა და მზად იყო. ჯერ სადგურში გადავიდოდა, პურსა და გაზეთს იყიდდა, მერე ბაზარში ჩაუხვევდა, დახლებს ჩაუვლიდა, თვალს წყალს დააღვინებდა. ერთი ამოჩემებული გასართობი ჰქონდა: სახლის უკან, მოტიტვლებულ ადგილზე პატარ-პატარა, თითქმის ერთი ზომის ქვები ჰქონდა დაგროვებული. კედელთან ბოთლს მიაყუდებდა, თხუთმეტ ნაბიჯს გადათვლიდა, დადგებოდა და იმ ბოთლს ქვებს ესროდა. ამ დროს ფიქრიანი და დაძაბული სახე ჰქონდა. ხანდახან გასაც დაუძახებდა:

— მოდი, ბიჭო, მიზანში სროლა გასწავლო...

გაგაც დაიწყებდა ქვის სროლას, მაგრამ მალე მობეზრდებოდა. ისე გაეპარებოდა, ვალიკო ვერც კი გაიგებდა.

— ამოდი, ვალიკო, სადილი გაცივდა, — ეძახდა დეიდა ელენე.

ვალიკო თავისთვის რაღაცას ჩაიბურტყუნებდა, ერთ-ორ ქვას კიდევ გაისროდა და სახლისკენ წავიდოდა.

ბავშვმა პური გაათავა და ხელები ჯიბეში ჩაიწყო.

— გცივა? — ჰკითხა მამიამ.

ბიჭმა თავი დაუქნია.

მამიამ ქოლგა კედელზე მიაყუდა, ჩაცუტქდა და ბიჭს უთხრა:

— ხელები მოშვიცი...

ბიჭმა ხელები გაუწოდა.

ისეთი სუსტი და თეთრი ხელები ჰქონდა, მამიას კინალამ გული ამოუჯდა.

ბავშვის ხელები ხელებს შორის მოიქცია და შეუორთქლა, მაგრამ მოუჭირა და ბიჭს გაუღიმა:

— კი მაგრამ, მე საიდან მიცნობ?

— თქვენ მასწავლებელი არ ბრძანდებით?

— კი...

— ხო და გიცნობთ... გაისად მეც სკოლაში წავალ...

— კიდევ გცივა? — ჰკითხა მამიამ.

— მცივა...

— წამო, შენობაში შევიდეთ...

მამია წამოდგა, ქოლგა აიღო, გაშალა და ბიჭს უთხრა:

— დაიჭირე...

ბიჭმა გაიცინა:

— არ მინდა, თქვენ გეჭიროთ...

— აბა, მოდი აქ...

მამიამ ბავშვს ხელი მოხვია, ტანზე მიიჭრა და ასე წაიყვანა სადგურისკენ. მოსაცდელ დარბაზში ოთხი გრძელი სკამი იდგა. დარბაზში ნახევრად ბნელოდა. ფანჯარასთან მიდგმულ სკამზე ვიღაცას ეძინა. ორივე ხელი ლოყის ქვეშ ამოედო და ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს კი არ ეძინა, არამედ ხელისგულებს შორის დაჭერილ ბუზს უსმენდა.

რამდენი ხანია არ უნახავს ეს პატარა, ცისფერთვალემა ბიჭი? პირველად ქუჩაში დაინახა. მამიას ოთახის ფანჯრებიდან პირდაპირ ვალიკოს ჭიშკარი მოჩანდა. ბიჭი ჭიშკართან იდგა და გზაზე მიმავალ, არახრახებულ ფორანს უყურობდა. ფორანში ორი, სქელფეხებიანი, დაქანცული ცხენი ება. ცხენებს ტანზე ორთქლი ასდიოდათ. ფორანზე ბოშები ისხდნენ. აღვირი თმაგაჩეჩილ, ჭადარაკაცს ეჭირა. წელში მოხრილს თავი ჩაეჭინდრა, თითქოს ეძინა. ფორანში ჩალა ჩაეფინათ. ჩალაში ორი ახალგაზრდა ქალი მოკეცილიყო. უკან, ფორანის ბოლოზე ასე ათი-თორმეტი წლის ბიჭი იჯდა. შიშველი ფეხები დაბლა ჩამოეყარა და მკერდში დათვის ბელი ჩაესუტებინა. ჭიშკართან მდგარი ბავშვი ნელ-ნელა ფორანს აედევნა.

— კარო, — დაუძახა ბოშა ბიჭმა ჭადარას. — გააჩერე...

კაროს თავი არ აუწევია, ისე მოსწია აღვირი. ფორანი გაჩერდა. ბიჭი ჩამოხტა და პატარას ჰკითხა:

— აქა ცხოვრობ?

ბიჭმა თავი დაუქნია.

— წყალს ვერ დამალევენებ?

ბიჭმა ისევ დაუქნია თავი.

— რა თავს მიქნევ, წადი, გამოიტანე...

ბიჭი გაიქცა. ცოტა ხნის მერე წყალი ღოჭით მოარბენინა.

ბოშა ბიჭმა დოქი ქალებს მიაწოდა. მერე ქამარზე გამობმული დათვის ბელი აუშვა და ბიჭს მიუგდო. ბიჭი ჯერ შეკრთა, მაგრამ ბელი რომ მიეძალა, თითონაც უკან არ დაიხია, ხელი მოჰკიდა და ორივე იქვე მტვრიან შარაზე გაგორდნენ. ქალებმა წყალი დალიეს, მერე ქალარა კაცმა მოიყუდა დოქი. ბიჭმა ჩამოართვა და თითონაც დალია. მერე დოქი მიწაზე დადგა, დათვის ბელს ტყავის საყელურზე თოკი გამოაბა და ბიჭს მოაშორა:

— დოქი აიღე...

ბიჭი წამოდგა.

ფორანი ნელა დაიძრა.

ბიჭმა დოქი აიღო, ცოტა ხანს უძრავად იდგა, მერე ისევ იმ ფორანს აედევნა, სწორედ ამ დროს ქალის ხმა გაისმა:

— ზურციკო! ზურციკო!

მამიამ ბიჭს კიდევ რამდენჯერმე მოჰკრა ქუჩაში თვალი. მერე სკოლის ეზოშიაც დაინახა. ბიჭი ღობესთან იდგა და უყურებდა, როგორ თამაშობდნენ ბავშვები. მამიას რატომღაც ბიჭის სევდიანი მზერა გაახსენდა. მგონი მივიდა კიდევ ბიჭთან და თმაზე ხელი გადაუსვა. სწორედ ამ დროს ზარიც დაირეკა. ბავშვები სკოლაში შეცვივდნენ, მამიაც ბავშვებს შეჰყვია. კლასში ფანჯარას რომ ხურავდა, კიდევ ერთხელ დაინახა ღობესთან გაჩერებული პატარა ბიჭი. მერე?.. მერე გაქრა... რატომღაც აღარ შეხვედრია.

— კი მაგრამ ამ უთენია სადგურზე რას აკეთებ?

ბიჭი სკამზე მორთხმული იჯდა, პალტოს კალთები მუხლებზე გადაეფარებინა.

ყველაფერი კარგად რომ წასულიყო, მამიას ახლა ამოდენა შვილი უნდა ყოლოდა.

— აქ რას აკეთებ-მეთქი? — გაუმეორა.

ბიჭმა თავი ჩალუნა.

— არ გესმის? — აუწია მამიამ ხმას.

ბიჭმა თავი ასწია:

— წასვლა მინდა...

და ისევ ჩალუნა თავი.

— რა? — ჩაეკითხა მამია.

— მინდა წავიდე, — თქვა ჩუმად ბიჭმა.

— სად უნდა წახვიდე?

ბიჭი დუმდა. ახლა მთლად მობუხულიყო, კიდევ უფრო დაპატარავებულიყო.

— თქვი მაინც, სად მიდიხარ?

— არ ვიცი, — თქვა ბიჭმა.

— არ იცი და მიდიხარ?

— წასვლა მინდა, — გაიმეორა ბიჭმა.

საკვირველი იყო, ბიჭი თითქოს მამიას სათქმელ სიტყვებს ლაპარაკობდა. მამიასთვისაც ახლა ვინმეს რომ ეკითხა, აქ რას აკეთებდა, ან სად მიდიოდა, ალბათ ასე დაბნეულად უპასუხებდა. თვითონაც ხომ იმიტომ გამოვიდა სადგურში, რომ სადღაც უნდა წასულიყო. არ იცოდა, სად მიდიოდა, მაგრამ ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა. წასვლა უნდოდა, უსათუოდ უნდოდა წასვლა.

მამიამ თვალეზზე ხელი მოისვა, ხელი არ ჩამოუღია, ისე ჰკითხა:

— იქ მიდიხარ?

ბიჭი მაშინვე მიუხვდა და გახარებულმა უპასუხა:

— ხო, იქ მივდივარ, ინტერნატში...

ცოტა ხანს ასე ჩუმად ისხდნენ. მამიას ილაცებები მუხლებზე დაეყრდნო და სახე ხელეზში ჩაემალა:

— რატომ? — ჰკითხა ბიჭს.

სიტყვამ ყელი ამოწვა, თითქოს ცრემლის მღელღარე წვეთი იყო.

— კი მაგრამ შენ რატომ მიდიხარ? — მოესმა მამიას.

მამიამ თავი ასწია. ბიჭი ჩუმად იჯდა, მას არ უყურებდა.

მამია მიხვდა, რომ წუხანდელს მერე მხოლოდ ახლა გამოფხიზლდა. აქამდე თითქოს სიზმარში იყო. მთვარეულივით დადიოდა, რას ლაპარაკობდა — თვითონაც კარგად არ ესმოდა.

— მე მითხარი რამე? — ჰკითხა ბიჭს.

ბიჭმა მხრები აიჩეჩა, თავი გააქნია, არაო.

— რატომ მიდიხარ-მეთქი? — გაუმეორა ვიღაცამ.

თამაზ ჭილაძე  
ქოლგა

საკვირველი იყო, თავისთავს ელაპარაკებოდა, მაგრამ ხმა მკაფიოდ ესმოდა.

— ექვსი წელი, ექვსი წელი ველოდე...

— ვის? — ჰკითხა ბიჭმა.

— შენთვის არ მითქვამს.

გული დაწყდა, რომ ბიჭი ასე პატარა იყო და ვერაფერს გაუგებდა. ძალიან უნდოდა ვინმესთვის ეამბნა ყველაფერი.

„ყველაფერი?“

ყველაფერი არა, ყველაფერს ვერ მოუყვებოდა...

დილით თვალს რომ გაახელდა, თინაზე ფიქრს დაიწყებდა. ექვსი წელი მართო თინაზე ფიქრობდა. თუმცა არა, თინაზე ფიქრს ათასი სხვა ფიქრი გამოეხმებოდა ხოლმე. სიჭაბუკეში ელექტროსადგურში მუშაობაზე ოცნებობდა. ეს არც ისე აუხდენელი ოცნება იყო, მაგრამ დედის ავადმყოფობამ სოფელში ჩამოიყვანა და მასწავლებლობა დაიწყო. ბევრ რამეს ფიქრობდა, ბევრი რამის გაკეთება უნდოდა. ხანდახან ეპვი შეეპარებოდა, შეეძლო კი? წამოდგებოდა და გარეთ გაიხედავდა. წვიმდა... ან იმას როგორ მოყვებოდა, ღამეებს თეთრად რომ ათენებდა. ან იმას ვის გაუხმებდა, ოცნებაში წარმოდგენილ თავის თავს როგორ ელაპარაკებოდა:

— სად იყავი?

— ელსადგურს ვაშენებდი...

— კიდე?

— უნივერსიტეტში ლექციებს ვკითხულობდი...

— კიდე?

— ვფრინავდი...

— ფრინავდი?

თითქოს უკვირდა, მაგრამ უხაროდა და თავისივე ოცნებას უღიშოდა.

აგერ ორმოცი წლის ხდებოდა და ასეთ ფიქრებს თავი ვერ დაანება.

— რამდენი წლის ხარ? — ჰკითხა ბიჭს.

— შეიღის გავხდები, — უბასუხა ბიჭმა მაშინვე, მერე დაუმატა: — გაზაფხულზე..

გაკვეთილზე რატომღაც უსათუოდ არქიმედის ამბავს მოუყვებოდა ხოლმე მოწაფეებს. თუ როგორ მოკლა ვიღაც ბარბაროსმა მუშაობით გართული არქიმედი. ეს ამბავი იმდენჯერ ჰქონდა მოყოლილი, რომ მოწაფეებმა ჩუმად არქიმედის შეარქვეს. რომ გაიგო, გული დაწყდა. მაინც ვერ მოიშალა. მოწაფეების რცხვენოდა, მაგრამ მისდაუნებურად ჰყვებოდა. ამას საკუთარი სისუსტით ხსნიდა.

— „აბა, მე რის გამკეთებელი ვარ...“

არქიმედის გულისთვის ექიმზეც გაბრაზდა წუხელ. როცა არქიმედის ამბავს გატაცებით ყვებოდა და შეზარხოშებული თანამესუფრეები მოთმინებითა და ზრდილობიანად უსმენდნენ, ექიმმა უცებ სიტყვა გააწყვეტინა და უთხრა:

— შენ გიშველა ღმერთმა...

მამიამ გაკვირვებით შეხედა.

— ერთი კვირაა, თავს ვიმტვრევ, — გააგრძელა ექიმმა. — კროსვორდის ეგ უჯრები ვერაფრით შევავსე... შენ გიშველა ღმერთმა...

თუმცა ექიმი გულწრფელად ლაპარაკობდა, მაინც ეწყინა, გაბრაზდა. მერე ხელი ჩაიქნია: „რა უნდა ველაპარაკო... ობივატელია...“ ექიმის ძვირფასი, ბევრგამოკრული დრაპის პალტო, ქოლვა, ოქროს ჩარჩოიანი სათვალე რატომღაც ყოველთვის აღიზიანებდა. წვეულება რომ გათავდა და წამოვიდნენ, მამიას საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ანდრო დემეზავრა. ანდრო მალალი, ტანწერილი კაცი იყო, გიშერივით შავი თმა ჰქონდა, რომელსაც თვითონ ჯაგარს ეძახდა. ხმამალალი, როხროხა სიცილი იცოდა და დაბაში ერთ-ერთ კარგ მომღერლად ითვლებოდა.

— რა კაცია ეს ექიმი, — დაიწყო მამიამ...

— რა კაცია?

— რა ვიცი, რაღაცნაირად...

— ძალიანაც კარგი კაცია, — გააწყვეტინა ანდრომ: — რა სუფრა ჰქონდა, ბიჭო?

— მეც მაგას ვამბობ, სუფრა, კარგი სახლი, სიმყუდროვე...

— მერე რა?

— რა ვიცი, ასე მგონია, ნიჟარაში ცხოვრობს...

— ნიჟარაში? — ანდრომ გულიანად გაიცინა: — ნიჟარაში?

— მგონი, არაფერი არ აინტერესებს...

ანდრო გაჩერდა, მამიას შეხედა, ცოტა ხანს ასე ჩუმად უთუბდა, მერე უთხრა:

— აბა, ერთ ამბავს მოგიყვები, ყური დამიგდე. შარშან მეზობელ სოფელში ბავშვი გახდა ავად. სასწრაფოდ ექიმს გამოუძახეს. ექიმი წავიდა. ბავშვი რომ გასინჯა, ნახა, რომ ოპერაციის გაკეთება იყო საჭირო, ბავშვი მანქანაში ჩასვეს და წამოიყვანეს. გზაზე მანქანა გაფუჭდა. არა და ყოველი წუთი ძვირფასი იყო. ექიმმა მანქანასთან შოფერი დატოვა, თითონ პალტო გაიხადა, შიგ ბავშვი შეახვია, ხელში აიყვანა და წამოვიდა. ზამთარი იყო, ქარბუქი. რატომღაც არც ერთმა მანქანამ არ გამოიარა. ყინულზე ფეხი დაუცდა და მუხლი გაიტეხა. მაინც არ გაჩერებულა. საავადმყოფოში რომ მივიდა, მთლად გათოშილი იყო. მუხლიც საშინლად ტკიოდა. ოპერაცია მაინც გააკეთა. მერე შინ წავიდა და ჩაწვა. ორი თვე იწვა, ძლივს გადაარჩინეს. რა არის ეს, ნიჟარა? არც ნიჟარა და არც ის არის გაზეთებში რომ წერენ ხოლმე, თუ როგორ დაუბრუნა ავტობუსში დარჩენილი ფული შოფერმა პატრონს... ამ ამბავს იმიტომ გიყვები, რომ გიცნობ რაცა ხარ. თუ კაცი ჩვეულებრივად ცხოვრობს, გგონია, რომ არაფერს აკეთებს.

— ჩვენმა ექიმმა? — დაიბნა მამია.

— ჰო, ჩვენმა ექიმმა... ერთ რამეს გეტყვი, მამია, არასოდეს კაცზე გარეგნობით არ იმსჯელო... აბა, მე შემომხედე და თქვი, რანაირი კაცი ვარ...

— შენ?

— მე თვითონ ვიპასუხებ: კარგი სუფრა მიყვარს, კარგი სიმღერა, ღვინოს მაგრად ვსვამ, ქალებსაც მოგწონვარ... გათავდა?

— არა, შენ...

— მე შრომის გმირი ვარ და ოქროს ვარსკვლავი მაქვს, არა? ჩემს მეურნეობაში ყველანი ჩემნაირები არიან რომ იცოდნენ. არ გეწყინოს თუ გეტყვი, რომ შენ ცოტა სხვანაირი წარმოდგენა გაქვს ცხოვრებაზე...

ანდრო გაჩუმდა. მერე ჩუმად დაუმატა:

— გამოფხიზლდი, ომში ნამყოფი ბიჭი ხარ, ორდენი გაქვს მიღებული, რა გაშტერებული დადიხარ...

მერე ორივე ხელი მოხვია და უთხრა:

— აბა, დამეჭიდე...  
ანდრო ძარღვიანი და მოქნილი იყო, არც მამია იყო დავრდომილი. პატარა ბიჭებზე თუ ღლაბუცობდნენ და იცინოდნენ.

ამდენ ხანს თურმე მარტო თინას გულსთვის ცხოვრობდა და ესეც წუხელ გათავდა. ვინმეს როგორ გაუშვლდა, რომ გათხოვილი ქალი უყვარდა. ისინი თითქმის ყოველდღე ხედებოდნენ ერთმანეთს. თინა გეოგრაფიის მასწავლებელი იყო. მამიას ყოველთვის უხაროდა მისი დანახვა. კვირა დღეს, როცა თინა სკოლაში არ იყო, მამია მისი სახლისკენ ჩავლიდა ხოლმე. ფარდაჩამოფარებულ ფანჯრებს უყურებდა და სწყინდა, თინა რომ არასოდეს ფანჯარაში არ იხედებოდა. გულდაწყვეტილი შინ ბრუნდებოდა, ფიქრს დაიწყებდა: „რა იქნებოდა, ცოტა ადრე რომ გამეცნო თინა. როგორი უიღბლო ვარ“... გრძნობდა, რომ თინა ამქვეყნიურ მიწაზე წილი სიყვარული იყო, რომელთანაც ასე საბედისწეროდ დაავიანა.

მაგრამ ვინა მისი ბრალი იყო? ომი რომ არ ყოფილიყო...

— გამიშვი, — თქვა ანდრომ: — ნუ დამახრჩვე...

ანდრო წამოდგა, ტანსაცმელი ჩამოიბერტყა და თქვა:

— რა დავთვერი, ბიჭო?

მერე მამიას შეხედა, ცოტა ხანს ღილით უყურა და უთხრა:

თამაზ ჭილაძე  
ქოლგა



— შენ ალბათ გგონია, რომ ყანაში გულზე ვარსკვლავდებნეული დავღივარ... ანდა მანქანაში ვდგავარ და ხელვაშეერილი მივუძღვები კოლმეურნეებს პინდორში... ცხრაპირი საქალამენ ტყავი მძვრება, ტყავი, გვისმის?

მერე ანდრო გამოეთხოვა და წავიდა. ისეთი სიმარტოვე იგრძნო, თითქოს ქალაქში მარტოდ დარჩენილიყოს. მოედანზე გავიდა და ლენინის ძეგლის საფეხურზე ჩამოჯდა. სახეზე ხელი ჩამოისვა, ცოტა ხანს თავჩაღუნული იჯდა, მერე ცას ახედა და გაიფიქრა: „გაწვიმდებოდეს მაინც...“ წვიმით თავმოებურებულს ახლა წვიმა მოენატრა. თითქოს წვიმა რომ მოვიდოდა, ისე მარტო აღარ იქნებოდა.

ამის გაფიქრება და წვიმის დაწყება ერთი იყო. წვიმა ნელ-ნელა კი არ გაძლიერდა, თავიდანვე კოკისპირულად წამოვიდა. ისე გაუხარდა, არც კი წამომდგარა. იჯდა და წვიმაში სველდებოდა.

უცებ წამოდგა და წავიდა. მოედანზე უკვე გუბები დამდგარიყო. გუბებში ნათურის შუქი ტივტივებდა და ძალიან ლამაზი იყო.

— მთელი დღე იწვიმებს, — თქვა ბიკმა: — გუშინაც ასე წვიმდა...

მამიამ ბავშვს შეხედა, იგი ფანჯარაში იხედებოდა.

— მატარებელი ჩამოდგა, — თქვა ბიკმა.

მამია წამოდგა და ფანჯარაში გაიხედა.

— ჰო, ჩამომდგარა...

— სატვირთოა, — უთხრა ბიკმა.

— ჰო, სატვირთოა...

ვანო ვაგონებთან მისულიყო და გამყოლ ქალს ელაპარაკებოდა. ქალი ხელებს შლიდა და იცინოდა. ვანომ თავისი წითელი ქუდი მოიხადა და ქალს დაახურა. ქალმა კიდევ უფრო მაგრად გაიცინა.

სკამზე ჩაძინებულ კაცს გაედვიძა, წამოჯდა, ფეხები ისე მოაფათურა, თითქოს ფეხსაცმელს ეძებდა, ფეხსაცმელი კი ზედ ეცვა. მერე თვალები მოიფშენიჭა, დაამთქნარა, მამიას და ბიკს რომ შეხედა, პირზე ხელი აიფარა და გაუღიმა:

— მეძინა...

მამია სკამზე ჩამოჯდა:

— გამარჯობა.

— გაგიმარჯოს, — უპასუხა კაცმა: — თუთუნი ხომ არა გაქვს?

მამიამ სიგარეტების კოლოფი გაუწოდა, კაცმა ორი ცალი ამოიღო, ერთი ყურში გაირჭო, მეორე კი კარგად მოსრისა და პირში ჩაიღო:

— მადლობთ.

მერე ასანთი ამოიღო და სიგარეტს მოუქიდა.

— კარგად გეძინა, — უთხრა მამიამ.

— არა უშავს, — უპასუხა კაცმა: — ცოტა ტანში მტეხს, შევცივდა.

— მატარებელს უცდი?

კაცს გაედღიმა:

— არა.

მამიას აღარაფერი უციოხავს, რა ჩემი საქმეაო, იფიქრა.

— ახლა წავალ, ბაზარში ჩავივლი, — თქვა კაცმა: — დღეს ხომ კვირაა?

— კი, კვირაა.

— ჰოდა წავალ, ამ ჩემოდანს რა ვუყო?

კაცს პატარა, გადატყავებული ჩემოდანი ჰქონდა.

— თქვენ აქ იქნებით? — ჰკითხა მამიას.

— ალბათ არა, — უპასუხა მამიამ.

— ანდა იყოს, — კაცმა ხელი ჩაიჭინა: — ვინ წაიღებს.

კაცი წავიდა. ბიკი მამიას უყურებდა, ეტყობოდა, სიცილს იკავებდა.

— ვინ იყო? — ჰკითხა ბიკმა.

მამიამ მხრები აიჩჩია:

— რა ვიცი.

— ჩემოდანი დატოვა, — თქვა ბიკმა.

— იცის ალბათ თავისი საქმე.

მერე ბიკს ჰკითხა:

— კიდევ წვიმს?

თუმცა წვიმის ხმა თვითონაც კარგად ესმოდა.

— ჰო, — თქვა ბიკმა. — კიდევ წვიმს.

მოედანი გადაჭრა და კინოთეატრის წინ გაჩერდა. შუშაში ჩასმული აფიშა განათებული დარჩენოდათ. აფიშაზე

შუბლშეხვეული კაცი ეხატა. კაცს სახე დაღმაჰოდა და ხელუქმბარას ისროდა. „ოთხი წელი... ოთხი წელი ვიომე და პატარაზეც კი არ გავკაწრულვარ. ოთხი წელი სულ წინა ხაზზე ვიყავი და გადავჩინო... გადავჩინო? ნუთუ ომი იმიტომ იყო, რომ მე თინა დამეკარგა?..“

აფიშაზე დახატულ კაცს გაშტერებულნი შესცქეროდა, თითქოს ვიღაცას ამსგავსებდა.

ომმა თუმცა ხელი არ დააკარა, სამაგიეროდ ყველაზე ძვირფასი რამ წაართვა.

თანაც ასეთი გაუბედავი დატოვა. თანაც ასეთი მარტოხელა...

საკვირველია, არც ისეთი მთვრალი იყო, რომ ასე ეფიქრა.

იქ ეგონა, რომ დაბრუნდებოდა, ყველაფერს გააკეთებდა. ჩამოვიდა და ვერაფერი ვერ გააკეთა. ეგონა, რომ დაბრუნდებოდა, პირველად უსათუოდ შუშებჩატანებულ კედლებს დაანგრევდა... ვერ კი დაანგრია. რატომ?

იმიტომ რომ არაფრის გაკეთების შნო არ ჰქონია.

კვირაში ოთხ გაკვეთილს გადასცემს და გათავდა. მერე წიგნებს კითხულობს, მერე თინაზე ფიქრობს. მერე? მერე? მერე სვამს. ჰო, კიდევ წვიმას უყურებს გაშტერებულნი...

— გაგა, იცი მე ტრაქტორისტიცა ვარ...

— რა? — გაგამ გაკვირვებით შეხედა.

— მე ტრაქტორის წაყვანა შემოდლია.

ეს აზრი ტვინში უცებ კვირტივით გასკდა. ამდენ ხანს იგი ჩუმად იყო, იზრდებოდა.

— მე ხომ ომში ტანკი დამყავდა...

— მერე? — ბიჭი აშკარად დაბნეული იყო.

— მერე ის, რომ მე მარტო მასწავლებელი არა ვარ... თონხნაც შემოდლია, ბარვაც, ხენაც...

ბიჭი თვალეში შესცქეროდა.

— ნუ გეშინია, გაგა, ნუ გეშინია. დედას ვუტირებ!

წამოდგა, დარბაზში გაიარ-გამოიარა, თან ხელებს იფშენებდა და ამბობდა:

— ნუ გეშინია, გაგა, ნუ გეშინია...

მერე თითქოს დამშვიდდა, ისევ სკამზე ჩამოჯდა და სიგარეტი გააბოლა.

ნეტავ წუხელ სცოდნოდა ეს, თინას ეტყოდა.

მერე ბნელ ქუჩას ჩაუყვია. თუმცა თავის თავს არ უშეხელდა, იცოდა, რომ თინას სახლისკენ მიდიოდა. ბუმბულივით მჩატე, დაუოკებელ ძალას აეტაცუნა და მიაფრენდა.

თინა უსათუოდ უნდა ენახა. რატომ? რა შეეძლო ეთქვა თინასთვის? რა უფლება ჰქონდა? არავითარი უფლება არ ჰქონდა, არაფერი არ შეეძლო ეთქვა. არც ის იცოდა, რისთვის მიდიოდა. ოღონდ უსათუოდ უნდა ენახა თინა. ერთხელ შეეხედა მხოლოდ, მისი ხმა გაეგონა, მეტი არაფერი... არა, მეტი არაფერი არ უნდოდა. მეტის უფლება არც ჰქონდა. რაც მთავარია, არც იმედი ჰქონდა მეტის. იმედი, ღმერთო ჩემო, იმედი მაინც ჰქონოდა... რა იყო უფლება იმედთან შედარებით. უფლება კედელი იყო, იმედი კი რკინის ლომი, რომელითაც ამ კედელს ჩამოანგრევდა. მიდიოდა და ახლა უკვე გრძნობდა წვიმას. თითქოს მაყვლის ბარდში მიდიოდა, ეჩქარებოდა და წვიმა არ უშვებდა. არც იმას ფიქრობდა, რომ შეიძლებოდა თინას ქმარი შინ დახვედროდა. არ ფიქრობდა. მერე რა, დახვედროდა. იმასაც გაეგო, მერე რა? მერე რა? მერე რა? თითქოს გულის ცემას ითვლიდა. არა, უფრო მეტს, უფრო მნიშვნელოვანს, თავის წლებს ითვლიდა, თავის მარტოდ გატარებულ წლებს:

მერე რა?

მერე რა?

მერე რა?

„მაცალე, ხომ ხედავ, ვმუშაობ“, — თქვა არქიმედმა...

იგრძნო, რომ მიზნოდა. ასე სირბილით აიბრინა კიბე და კარი შეაღო. პირველად ეგონა, ვერაფერს დაინახავდა, თვალი დაუბნელდებოდა, მაგრამ ყველაფერი გასაოცარი სიტყვადით დაინახა:

თამაზ ჭილაძე  
ქოლგა

ქალი სარეცხს რეცხდა. ტაშტზე დახრილიყო და თმა ჩამოშლიდა. სახელოები მხრებამდე აეკაბიწებინა და ხელები აქაფებულ საპონში ჩაემალა. იქვე, ოთახის კუთხეში, ნაფთქურაზე ვეება ქვაბი იდგა, ქვაბშიც გამოსახარში სარეცხი ეყარა. ოთახს ერთი ფანჯარა ჰქონდა. ფანჯრის რაფაზე თიხის ქოთნებში ჩარგული, დამქანარი ყვავილები მოჩანდა. ფანჯარაზე ხელით ნაქარგი ტილოს ფარდა იყო ჩამოფარებული. კუთხეში მაგიდა იდგა, მაგიდაზე გაკრიალებული ჯამ-ჭურჭელი ელაგა. კედელზე კალენდარი იყო გაკრული. ოთახში ცხელოდა. თუმცა ფანჯარა გამოღებული იყო, სპანისა და ნახარში სარეცხის სუნნი მინც იდგა.

ქალმა თავი ასწია და შეხედა. ჯერ ვერ იცნო. ვერ იცნო, თუ ვერ დაინახა. მერე ქალს სახე შეეცვალა, ტაშტიდან ხელები ამოიღო და წინსაფარზე გაიწმინდა. ხელისხურგით შუბლზე ჩამოშლილი თმა გაისწორა და მერე საკინძეზე შესწინილი ღილი აუჩქარებლად შეიკრა.

— უკაცრავად, — თქვა მამიამ. სკამი ახლოს მოიჩოჩა და იქვე კართან დაჯდა. ქალს თითქოს არაფერი უკვირდა. ეს კი იყო, ადგილიდან ვერ იძროდა.

მამიას თავი ჩაელუნა. რაღაცას ელოდა, თვითონ არ იცოდა რას.

— ასე გვიან რამ მოგიყვანა? — მოესმა ქალის ხმა.

მამიას თავი არ აუწევია, ისე უბასუხა:

— უკაცრავად...

— ირბინე? — ჰკითხა ქალმა: — რატომ ირბინე?

— არა, არ მირბენია...

— აბა? შეგეშინდა?

— ჰო, — თქვა მამიამ.

— ვისი შეგეშინდა?

— არავისი...

— მთვრალი ხარ, მამია?

ქალის ხმას სითბო გაერია.

— ჰო, — თქვა მამიამ, მაგრამ მან შენვე დაუმატა: — არა...

— კი, მთვრალი ხარ.

მამიამ იგრძნო, ქალმა როგორ გაიღი-

მა, თავი ასწია და შეხედა, ქალი იღიმებოდა.

— თინა, — მამიას ხმა აუკანკალდა: — თინა...

— მოიცა, წყალს დაგაღვინებ.

ქალი მშვიდად იყო, თითქოს ყოველდღე ასე ელაპარაკებოდა.

საიდან იცოდა თინამ, მამიას წყალი რომ წყურბოდა, პირი გამშრალი რომ ჰქონდა?

ქალმა ტოლიდან ჰიქაში წყალი დაასხა და მამიას მიუტანა:

— აბა, დალიე.

მამიამ ქალს შეხედა, რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ პირი ისე ჰქონდა გამშრალი, ხმა ვერ ამოიღო. ჰიქა სულის ერთი მოთქმით გამოცალა: — კიდევ დამისხი...

ქალმა ისევ გაუესო ჰიქა. მამიას წყალი აღარ დაუღვია, წამოდგა, ჰიქა მაგიდაზე დადგა და ფანჯარასთან მივიდა. ნეტავ თინამ არ უთხრას, პატრეს გცემო, მეგობრებად დავრჩეთო, შენ შენი გზა გაქვს, მე უკვე ორი შვილის დედა ვარო... ოღონდ ეს არ უთხრას, მეგობრებად დავრჩეთო... ეს იქნება ყველაზე საშინელი რამ...

მერე კალენდარს შეხედა:

— ეს ფურცელი უკვე შეიძლება მოვხიო...

— ჰო მოხე, შეიძლება.

მამია მოტრიალდა:

— თინა...

თინა ახლოს მივიდა:

— ვიცი, მამია...

ხმის ამოღება აღარ დააცალა, მივიდა, მხარზე ხელი დაადო:

— მთლად სველი ხარ. წადი შინ, მამია.

ეს ისე იყო ნათქვამი, რომ მამია მთლად მოეშვა, ამ ხმას დაჰყვა, დაემორჩილა. თინამ ყველაფერი უთხრა, მეტი რა უნდა ეთქვა?

მამია კარისკენ წავიდა:

— ნახვამდის, თინა!

კარი გამოაღო და მოტრიალდა:

— ნახვამდის...

თინამ გაუღიმა.

— წვიმს, — თქვა მამიამ.

— წვიმს, სულ ასე არ წვიმს?

თინას ეს სიტყვები უკვე ქუჩაში მოგმა. იქნებ თინას არაფერი არ უთქვამს და მოეჩვენა...

— წამო, გაგა, წავიდეთ, ეს წვიმა არ გადაიღებს, — უთხრა მამიამ ბიქს.

ბიქმა ამოხედა:

— სად წავიდეთ?

— შინ. წამო დეიდა ელენესთან წავიყვან. დამიჯერე. არ გინდა დამიჯერო?

ბიქმა არ უბასუხა, წამოდგა, პალტოს ჯიბეებში ხელები ჩაიწყო და წავიდა. არა, ბიქის ასე წაყვანა არ შეიძლებოდა, კიდევ რაღაცა უხდა ეოქვა.

— მოიცა, — დაუძახა მამიამ.

ბიქი გაჩერდა.

— აბა, იმ ფანჯარასთან მიდი...

კედელში სალაროს ფანჯარა იყო გამოჭრილი.

ბიქი ადგილიდან არ იძროდა.

— მიდი-მეთქი...

ბიქი სალაროსთან მივიდა.

— აბა, დარაბაზე დააკაქუნე.

ბიქი თითის წვერებზე აიწია, მაინც ვერ მიწვდა დარაბას.

მამიამ გაიცინა:

— პატარა ხარ, გაგა.

ბიქი ცოტა ხანს წვალობდა, მერე თავი დაანება, მოტრიალდა და მამიას ღიმილით შეხედა:

— პატარა ვარ.

— ნუ გეშინია, მალე გაიზრდები.

ბიქი იღიმებოდა:

— ჰო, მალე გავიზრდები...

ქუჩაში რომ გამოვიდნენ, მამიამ ბიქს ქოლგა გაუწოდა:

— დაიჭირე, დასველდები.

ბიქმა იუარა:

— არ მინდა, ისე წავალ.

— დაიჭირე, გთხოვ, — უთხრა მამიამ.

მამიამ ქოლგა გაშალა და ბიქს მიაწოდა:

— გთხოვ...

ბიქმა ქოლგა გამოართვა და წინ წავიდა. თვითონ არც კი ჩანდა, ვეება ქოლგას დაეფარა.

მამია უკან მიჰყვებოდა. მიდიოდა და უხაროდა. რა უხაროდა, არ იცოდა, მაგრამ ნამდვილად კი უხაროდა რაღაც.

---

თამაზ ჭილაძე

ქოლგა



# ჩაბინა და "ორი ღებუბაძე"



სათავადასავლო რომანი

მეორე სვლა ურცხვება, მისი საზარც იმ არის

ბიძამისის სახლში დიდხანს არ დარჩენილა ღუდა. რაღაც ათი თუ თხუთმეტი წუთი ემუსაიფა გიორგი თორიას. მთელი ეს ხანი შუბლი არ გაუხსნია, ისე პასუხობდა სადაზვერგო სამსახურის კაპიტანს.

გამოცდილმა ოფიცერმა იცოდა, რომ ამ გულადსა და უბოდიშო ჭაბუკს ყოველ წუთს შეეძლო ეგრძნო. რაც ჩაიდინა, და ისეთი რამ მოემოქმედებინა, რაც თორიას იმედს გაუქარწყლებდა. ამიტომაც ჩქარობდა გიორგი. ჩქარობდა და როგორც კი გაიგო, რადროსა და რომელი გზით მიდიოდნენ მიმისიდან მარია საბურა და მისი მხლებლები, მოუსვენრობა ვერ დაფარა.

ღუდამ მიხას ამზავი ჰკითხა, ჩემი ძმის გაათავისუფლებას როდის უნდა დაადგეს საშეღიო. მალე, სულ მალეო, უპასუხა თორიამ, წამოდგა და ისეთი სახე მიიღო, თითქოს მიხაზე საუბარს უნდა გაექცესო. დერეფანში გავიდნენ. გიორგი ქუდს წაეტანა. მასპინძელიც გაჰყვა სტუმარს.

რატომღაც უგუნებოდ იყო ღუდას ბიძა. შუბლშეკრულმა ცოლის დისშვილს უკმაყოფილოდ გადახედა და ბეჭები შეციებულღვით შეათამაშა.

ღუდა აიღეწა. სულს ძლივს ითქვამდა:

— თუ ხვალ ან ზეგ ჩემი ძმა შინ არ დაბრუნდა, არ ვიცი, ღმერთმანი. მერე ბუკია მონაგონი იქნება ჩემთან. არც თავი მინდა ცოცხალი, მაგრამ...

— ჰო, კარგი, ნუ შემუქრები, სიტყვა სიტყვაა, — მიუგდო გიორგიმ, მოწყალებით გაუღიმა, მერე აივანზე გავიდა, შეჩერდა და მასპინძელს დაელოდა.

ღუდა რატომღაც ფიქრობდა, რომ ყველაფერი ეს კეთილად არ დამთავრდებოდა. იცოდა, რომ ეს კაცი, როგორც ყოველთვის, ახლაც ტყუოდა. იცოდა, რომ მიხა მას არც კი ახსოვდა, მაგრამ: ვაითუ მე ვცდებოდე და რომ აეჩქარდე, იქნებ მიხას საქმე გავუფუჭოო, ეუბნებოდა გული ხანდახან.

მასპინძელმა აივანზე გასვლა დააკვირნა, გასასვლელ კარში განხერილ ღუდას მიადგა. აივანზე გასვლას არ ჩქარობდა ჩიჩუა. თუ ასეთი საქმე იკისრე, მე რად არ შემეკითხოო, წასჩურჩულა და მერე:

გაგრძელება. იხ. „ცისკარი“, № 6, 7, 8.

მომიკადე, მალე დაებრუნდებიო, დას-  
ძინა.

სტუმარი და მასპინძელი ეტლმა გაი-  
ტაცა.

ერთ ხანს არ განძრეულა ლუდა. მერე  
წელმოწვეტილი შებრუნდა და მძიმე  
ნაბიჯით დარბაზში შევიდა, შუაგულში  
გაჩერდა და იქაურობას ისე დაუწყყო  
თვლიერება, თითქოს პირველად ენახა  
ხალიჩებით მორთული კედლები და ია-  
ტაკი, ძვირფასი ავეჯი, ფარდაგებზე თო-  
ფები, ხმლები, ხანჯლები, ჯიხვისა და  
ირმის თავები.

„თუ ასეთი საქმე იკისრე...“ — ჩაეს-  
მა ლუდას ბიძის ხმა და გაატრიალა,  
მერე იმ სკამს დაასო თვალი, რომელზე-  
დაც გიორგი იჯდა და ტურზე მწარედ  
იკბინა. ეს რა ჩავიდინეო, ჩაილაპარაკა  
და ტახტს მიაშურა, ღონემიხდილი ჩა-  
მოჯდა, თვლები დახუჭა.

მალე დეიღამ შემოაღო კარი. სანდო-  
მიანი სახის მანდილოსანმა დისშვილს  
შეხედა. არ ესიამოვნა ფერდაკარგული  
ჭაბუკის ნახვა. რა იყო, ცუდად ხომ არა  
ხარო, ჰკითხა და შუბლზე ხელი დაადო,  
მაჯას წაეტანა. მწარედ გაიღიმა ლუდამ,  
არა, ისე, დაღლილმა მუხლი მოვასგე-  
ნეო, და წამოდგა. წამოწეკი, დაისვენეო,  
მიულერისა ჭაბუკს დეიღამ, ტახტზე  
ხაერადის ყურთბალიშეში დაუწყეო. ლუ-  
დამ ბალიშებზე თავი მიდო. ბიძაშენი  
ახლავე დაბრუნდება და ერთად ისაუბ-  
რეთო, სიყვარულით უთხრა დეიღამ და  
დარბაზიდან გავიდა.

ქალის გასვლა და ჭაბუკის წამოდ-  
გომა ერთი იყო. მოუსვენრად დაუწყეო  
კედელს თვლიერება. ბოლოს სპილოს  
ძვლით მოქარგულ რუსულ კარაბინს  
დაადგა თვალი. დიდხანს არ უფიქრია,  
ტახტზე შეხტა, კედლიდან თოფი ჩამო-  
იღო და ჩქარი ნაბიჯით გასულმა აივან-  
ზე ნაბაღს წაავლო ხელი.

ლუდა ისე ჩქარობდა ქალაქიდან გას-  
ვლას, ისე აჩქარებდა ბედაურს, თითქოს  
ვიწრო ტურზეში სული ეხუთებო.

ქალაქს გასცდა, აღმართი ჭენებით  
აიარა, მერე ძირს დაეშვა. ზღვაც მიე-  
ფარა თვალს, მაგრამ ლუდა ისევ მიაგელ-  
ვებდა ცხენს. მერე, როცა ბარდნარიდან  
ხოსობი წამოუფრინდა, სადავე მოზიდა,  
სახეზე გაოცება აღებეჭადა, აქ რა მინ-  
დოდა, ამ გზას რად დაეადექეო, იფიქრა  
და მიიხედ-მოიხედა. ეს გზა ხომ ნაცნო-  
ბი იყო, ამ გზით მოვიდა ის დღეს სა-  
მუხაოდან! ამ გზას ის ბუკიას რაზმისკენ  
მიჰყავდა. დიახ, ეს გზა მიიყვანდა მას  
დათასთან. მიიყვანდა, მაგრამ შეუძლია  
იმ კაცთან მისვლა? შეუძლია, ის ხომ  
თამამად ჩასტყეოდა თვალეში გუშინ  
დათას, პატიოსანი კაცივით ელაპარაკე-  
ბოდა. ღმერთო ჩემო! რა უტიფარი, რა  
უნამუსოდ მოიქცა ლუდა გუშინ! გუშინ...  
ჰმ, რატომ გუშინ და დღეს არა?! დღეს  
ხომ საბოლოოდ აიკრა ლუდამ შუბლზე  
კამჩის ტყავი? დღეს ხომ სული ეშმაკს  
მიჰყიდა.

აკი ვაჟკაცობაზე დებდა თავს. მთელი  
სოფელი ამზობდა: ლუდა გამბედავია,  
უშიშარი, კეთილი, მართალი და პირში  
მთქმელიო. საიდან დაჰყვა ასეთი სივა-  
კაცე, ასეთი შეუბოვრობაო, უკვირდათ  
მეზობლებს. მაგრამ... სად ვაჟკაცობა და  
სად ლალატი!

ლუდამ ერთი ცაცხვის ქვეშ შეაყენა  
ცხენი, ჩამოქვეითდა, ქულა მოიხადა და  
იქვე დააგდო. ერთ ხანს გაუნძრეულად  
იღვა, მერე ისე შებრუნდა, თითქოს ვი-  
ლაცამ შეუძახაო და როცა ვერც ახლო-  
მახლო, ვერც შორს, თემშარაზე, თვალი  
ვერავის მოჰკრა, ნაბაღი ბადესავით ის-  
როლა და ზედ მოწყვეტილ დეგრად,  
პირქვე დაემხო.

დათა, კოსტა, სესრყვა, ვაჰანი, ჯო-  
კია... ეჰ, ვინ მოთვლის, რამდენი ვაჟკა-  
ცის სიკვდილი, რამდენი ოჯახის ცრემ-  
ლი უნდა აიკიდოს ლუდამ.

მისა, მისი ნასწავლი, კკუთი საგსე  
ძმა იტყოდა ხოლმე — ვაჟკაცი სადაც  
შერცხვება, მისი სამარე იქ არისო. სად  
არის ნეტავ მისი გაზრდილი ძმის სამა-

ორღე დგებუაძე  
ჩაძირული „თოლია“

რეცე?! „ჩემი სიცოცხლე რა არის, ოღონდ ხალხს ეშველოს, გლესს ზიწა ჰქონდეს, მუშას — ქარხანა, ხალხს — ძალაუფლება“ — აი, ვინ არის მიხა!

გთქვით გიორგიმ მიხა გაათავისუფლა ახლა, როცა ურჩი ბალებიცი კი ცინეში მიჰყავთ, ახლა, როცა უმოწყალოდ ხვრეტენ მათ, ვინც ოდესღაც ბოლშევიკობაში შემჩნეული ყოფილან. რა უნდა იფიქროს ამ პატიოსანმა მებრძოლმა? ვაი მე უბედურს, მიხამ რომ გაიგოს, რის ფასად აღირსეს თავისუფლება? გაიგებს, გაუგებარი არაფერია ამ ქვეყანაზე. მერე? ამაზე ფიქრიც კი საშინელებაა. ღმერთო, შენ მიხსენ უბედურებისაგან.

როგორ შემეძლო მე, ადამიანს...

მაგრამ რა გქენი ასეთი?! ვის შეუძლია ჯაშუშობა დამწამოს? მე... მე ხომ ზიძაჩემს ეუთხარი, მარია და ცუცა ორი თუ სამი რაზმელით ონარიის გზით სამუხაოში ბრუნდებიან-მეთქი. ზიძაჩემს ეუთხარი და თორიაც იქ იყო. მერე რა მოხდა. ეს ხომ ბოლშევიკების, ჩემი ძმის საქმის ღალატი არ არის?

ზიძაშენს უთხარი?! შენც შეგარცხვინა ღმერთმა და ზიძაშენიც. განა შენ არ დაურეკე თორიას, ერთმანეთს ზიძაჩემის სახლში შეგხვდეთო? შენ არ უამბე, სად დაბანაკდა ბუკიას რაზმი, რამდენი კაციისაგან შედგება ეს საბრძოლო შენაერთი? შენ არ მოუყევი, როგორ არიან ისინი შეიარაღებული და რას აპირებენ? ისიც ხომ მოახსენე, მარია, ცუცა, ჯოკია და ორი რაზმელი საიდან სად მიდიოდნენ და რა დროს შეიძლებოდა მათი გზაში დახვდრა?

რე არის ეს, ღუდა ბატონო, თუ არა ღალატი? რა არის ეს, თუ არა მიხას ცოცხლად დამარხვა? თუმცა ვინ ეტყვის მიხას, რომ მისმა საყვარელმა ძმამ ასეთი საშინელი დანაშაული ჩაიდინა?! ვინ შეიტყობს მის სიკვამლეს?!

იქნებ დათა მიხვდეს გუმანიო? შეიძლება, მაგრამ გომანი რა სათქმელია! იქნებ მნახა ვინმემ? მერე რა! მე ხომ დათას დაეალებით მივედი ზიძაჩემთან? ჰო, დათას დაეალებით, მაგრამ ხომ არ მიკითხავს, ხომ არ ვიცი, რამდენი ჯარის-

კაცია და რით არიან შეიარაღებული ბიჭვინთას სადარაჯოზე... ჰო, არ მიკითხავს, მაგრამ რომ შეკითხა... ასე ერთბაშად, მისვლისთანავე რას მეტყვოდა მთავრობის კაცი?!

რომ მოგჭორო? შეიძლება. რატომაც არა? ვინ შეამოწმებს? ვინ დაითვლის? ღმერთო დიდებულო! ეს რა ფიქრები დამესია! ნუთუ ისე დავძაბუნდი, გავთახსირდი, რომ ახლა ბუკიასთან მისვლას და მის მოტყუებას ფიქრობ? როგორც ჩანს, მოღალატეობას, ჯაშუშობას ვეგუბები, თორიას დაქირავებული მოენე ვხდები.

მოღალატე, მოენე...

ღუდამ ჯერ თავი ასწია, მერე მუხლებზე წამოიწია, მიხიედ-მოხიედა. ცა ღრუბელს დაეფარა. ქარი სისინებდა. ციოდა. აღმოსავლეთი ჩამუქებულყო. წვიმას აპირებდა. ეჭ, ნეტავ კოკისპირული წვიმა მოვიდეს, იქნებ თავსნმაში გაგრილდეს თონესავით ცხელი გული, ძარღვებში დაცხრეს სისხლი.

რაზმს. რომ მიაშუროს და დათას ყველაფერი უამბოს, გამოუტყდეს, უთხრას. ძმის სიყვარულმა დამაბრმავა და ეს მოუნანიებელი ცოდვა ჩამადენინაო? მერე? დათა აპატიებს? თუნდა აპატიოს, თავი სად გამოჰყოს, ვის დაენახვოს. მოღალატე კალთაზე რომ მიგეკაროს, ის კალთა მოიჭერიო. და ტოლ-მეგობრების, ამხანაგების, მეზობლების, ხალხის გარეშე... არა, დათასთან მისვლას აქ, ამ გზაზე ძალღუერი სიკვდილი ჯოზია. ეჭ, რა კარგია სიკვდილი, მაგრამ ამაღამ გიორგი რომ ჯოკიას დაუხვდება და... მარიას წაართმევს? წაართმევს?! ვინ დაანებებს მარიას თავს! არავინ, მაგრამ დახოცავენ, ბიჭებს დახოცავენ. იქნებ ქალებიც დაიხოცნონ. დიახ, ჯოკია მოკვდება, მოკვდებიან რაზმელებიც, ცუცაც, მარიაც. ისინი კი ახლა რაზმში დაბრუნებაზე ფიქრობენ და არც ერთ მათგანს აზრადაც არ მოუვა, რომ ტყეში, უღრან ტყეში გიორგი თორია შეეფეთებათ.

ღუდა თოფნაკრავივით წამოიჭრა, ცხენს მიაშურა, მაგრამ ზედაურმა ჯერ თავი აავლო მაღლა, განზე გაიწია და

მერე თავივე დაეშვა. შვერთა ღუდა, მის საყვარელ საღარიას ასეთი რამ ჯერ არ მოსვლია. რა დაემართა?! მწარედ გაიღიმა ჭაბუკმა, შენც გამირბიხარო, და დადგა, გახვედა.

ბედაურმა გაიგაკა, შემობრუნდა და ღუდას ისე ამოხედა, თითქოს ეუბნებოდეს: ჰა, გიციდი, ჩამოდი, უღირსი ხარ, მაგრამ მაინც შეცოდები, ვერ მივატოვებო. ღუდა თავივე დაეშვა. ბედაური ისე მორჩილად დახვებდა, როგორც ყოველთვის. ჭაბუკი უნაგირს მოახტა თუ არა, ცხენმა ღაგამი კბილებში მოიგდო და მხედარი გზისკენ გაიტაცა. ღუდამ საღარიას ფერდებზე ქუსლი უმოწყალოდ დაუშინა, მერე უნაგირს ისე გადააწვა, თითქოს ბედაურის კისერზე უნდა გადაცურდესო. გაშურდულდა ცხენი. მწვეარს დაემსგავსა, მაგრამ მაინც არ ცხრებოდა მხედარი: ჰა, ჩქარა, ჩქარა, ჩემო საღარიასო, გაჰკიოდა და ისე ქუსლავდა, თითქოს საყვარელი ცხოველის ფერდების შელეწვას ღამობსო.

ბედაურის ნაფლოქვარი, დაბეღტილი მიწა ზუსტუნებდა ჰაერში. ციციანთელა-სავით ელაგდნენ ნაღები. რცხილა და ტირიფი, მუხა და ჭადარი, თხმელა და წიფლა მხედარს შუილით ჩაუქროლებდნენ და გახველებულეზივით მისდევდნენ ერთმანეთს.

პატარა ბებოში შეეგება ბედაურს და ისიც მუხლჩაუდრეკლად ავარდა ზევით. მხედარმა სადავე ისე მოზიდა, ხელეზი ნიკაპამდე მიიტანა. საღარიამ ფაფარი აიყარა, ყალყზე შედგა და დაიჭიხვინა.

მხედარმა ბედაურს ოფლიან კისერზე თავი მიადო, მიუაღერსა და საღარიაც ისე გაიტრუნა, თითქოს პატრონის გულისთქმას ხედება და მის მწუხარებას იზიარებდესო.

ღუდაც თავისი ბედაურივით გაირინდა, თვალდახუჭული იდგა ერთ ხანს, მერე გზას გახედა, მაგრამ ვერც მღნარი დაინახა და ვერც მხედარი, შორიდან რომ დაღანდა წელან.

ახლა ჭაბუკი ისეთი სახით გასცქეროდა დაბლობს, თითქოს ვერ გარკვეულიყო, როგორ მოხვდა აქ, რა უნდოდა, რას

ეძებდა. მერე თავი გაიქნია და ბედაურს მეგობარივით გაეხმინა.

„ჰა, საღარიო, ამ გზაზე რა გვიინდა? დათასთან? რაო? ცოდვის მოსანანიებლად? არა, არ იქნება, ჩემო კარავო! ააით? არც მე ვიცი, ჩემო ერთგულო!“

ღუდამ მწარედ ამოიოხრა, გზას ნაღვლიანი თვლით გააყოლა.

შორს, მღნარს მიახლოებული მხედარი ახლა უფრო პატარა მოჩანდა. თვალი მოჰკრა ჭაბუკმა და დაჟინებით დააცქერდა, მერე სწრაფად მოსწყვიტა მზე-რა, ცხენს ქუსლი ჰკრა.

ისევ წაიგრძელა კისერი ბედაურმა. ისევ დაკვესეს ნაღმა, ისევ მიჰქროდნენ შუილით ხეები.

ღუდა წინ მიმავალს თოფის გასროლაზე მიუახლოვდა და იცნო. გაუკვირდა: წუხელ ეს კაცი ბუკიასთან დატოვა და დღეს კი აქაა! სოხუმიდან დაბრუნებული! გაკვირვების გარდა ღუდას რატომღაც უსიამოვნო გრძნობამ დაუშინა ისედაც დამძიმებული გული. თუ ე? კაცი სოხუმში უნდა წასულიყო, მე რად დამიმაღესო, იფიქრა და შეჰკრა შუბლი.

რატომღაც აღეძრა საოცარი სურვილი: თავის უკაცობაზე ამ კაცისთვის მოეთხოვა პასუხი. თავისი სულიერი გაჯახირებისთვის ამ კაცზე ეძია შერი. რატომ, ამ კაცს რა ზრალი აქვსო, ჰკითხა გულმა. „ეგ ჩემი საქმე არ არის, ეგ არ ვიცი, მე მხოლოდ. ის ვიცი, რომ ახლა მარტო თორია კი არა, დათაც ჩემი მტერია; დათაც და ყველა მისი რაზმელი; ყველა, ვისაც დათა უყვარს, ყველა, ვისაც თორიასი სჯერა, ვისაც ამ ბედკრული ხელისუფლების იმედი აქვს, ყველა, ყველა და ყველა — ჩემი მოსიხსლენი არიან“.

წინ მიმავალმა მხედარმა საღარიას ფეხის ხმაზე სადავე მოზიდა, ცხენი შეაყენა, გვერდზე მიდგა.

ღუდაც ჩაეჭიდა სადავეს. ბედაური შვილივით მოღუნა.

მღნარი ახლოს იყო. ფოთლების შრიალს ჩიტების ქღურტული ევაჰანე-ორდე დგებუაძე ჩაძირული „თოლია“



ბოდა. მზე ცის კაბადონზე ეშვებოდა. ტყიდან საამო სურნელება გამოჰქონდა ნიავს.

ლუდამ განზე გამდგარ მხედარს აცი თვალთ შეხედა და გესლიანად გაუღიმა. ცხენს სადავე მიუშვა, კარაბინის თასმას ცერი გაუსყარა, ასწია და დასწია.

— რაზმში მიდიხარ, ხომ? ვიჩქაროთ, ჩემო ღუდა, ხედე, დაღამდა კიდევ, — გულმშვიდად უთხრა ბექემ და ბეღაურნი დაძრა.

ლუდამ სადავეს ხელი შეუშვა, ბექემის თვალი მოარიდა. საღარიბა წინ მიმავალ ბეღაურს აედევნა. ჭაბუკმა ხეებს შეაგლო უგულო მზერა. ახლა უნაგირზე ისე იჯდა, თითქოს ძიღმორიული თავს ძლივს იმაგრებდნო.

უხმოდ იარეს ერთ ხანს.

როცა მხედრები ტყეს შეეფარნენ, ჭაბუკმა ახალგაღვიძებულივით გაიზმორა, წელში გაიმართა, ბექემს გადახედა.

— სად იყავი, რა საქმე გქონდა ამ მხარეს? — ჰკითხა და სადავე აკრიბა. ნებაზე მიშვებულმა ცხენმა ნაბიჯი შეანელა.

წინ მიმავალი ბეღაური შედგა, ჰკვირნი თვალებით დააქტერდა რუს, მერე კისერი წაიგრძელა და ბალახში მოლატლიც წყალს დასწვდა.

ლუდამ საღარიბა წყალთან არ მიუშვა, ცხენს თავი მარცხენა ხელით მაგრად დაუჭირა და მარჯვენათი რევოლვერი ისე სწრაფად იშიშვლა, ბექემ თვალის დახამხამებაც ვერ მოასწრო.

ეს მოღალატე უკვე აშკარად ვადმოდის შეტევაზეო, გაუღევა ბექემს და სიკვდილს შერიგებული გაოგნდა.

— მარცხნივ შეუხვიე და აპყვიე ზილიკს, თორემ... — ათრთოლებულა ხმით შეუტია ჭაბუკმა, რევოლვერის ლულა ცივად შესცქეროდა თვალეში „ხელმარდს“ და ისიც თვალს არ აშორებდა ღუდას აკანკალებულ ხელს.

იქნებ მოვასწრო მათუერის ამოღება, ან იქნებ უნაგირიდან ვადმოგატე და ცხენი ვიფაროთ, იფიქრა ბექემ, მაგრამ გულმა უთხრა: „ვერა, ვერ მოასწრებ. თავს შეაკლავ მოღალატეს და მერე ეს

პირის გამტეხი პატიოსანი კაცივით დაბრუნდება რაზმში. ვინ ვააგებინებს ბუკიას, ამ მუხანათმა სული რომ ეშმაკს მიჰყიდა?!“

— არ გესმის? — იღრიალა ღუდამ და ბექემ კარგად დინახა, როგორ დააწვა იგი რევოლვერის სახსლეტს.

ბექემ უხმოდ შეაბრუნა ცხენი და ბილიკს ისე გაპყვა, უკან არ მოუხედავს.

უსიტყვოდ იარეს ერთ ხანს.

ბექემს ბრაზი ახრჩობდა.

— ცხენი მიუშვი ნებაზე, ხელეზი თავზე დაიწყევ! — უბრძანა ღუდამ წინ მიმავალს. ბექემ სადავე კეხის თავზე შეაგდო, ხელეზი ასწია და საქონრზე შემოიღო.

რა არ იფიქრა „ხელმარდმა“: „აღმათ დამლანდა ამ წყეულმა. იქნება უთხრა ვინმემ, მე რომ მის მეთვალყურედ ვიყავი გამოგზავნილი. იქნებ ღალატმა იული აუმიღვრია და არც კი იცის, რა ქნას, რა მოიმოქმედოს. იქნებ აქ არ მელიოდა და ამ გზაზე რომ მნახა, ეჭვი აიღო. ვაითუ თავისი ავკაცობის დასაფარავად უნდა ამ უღრანში მიწას მიმბაროს“.

ბექემს უკვირდა, თოკშებმულ ძროხასავით რომ მიჰყებოდა მოღალატეს რისი იმედით! შეხვედრისთანავე რომ შებრძოლებოდა, იქნებ გადარჩენილიყო. ახლა რა უნდა ქნას?! ზურგში ტყვიამოღერებულს რა გადარჩენს? სუკეზე ახია ყველაფერი, მაგრამ რაზმი? რაზმი რომ შეიწირა?

ბილიკმა მარჯვნივ შეუხვია, კლდის ციკაბო ნაპირს მიადგა. ბექემ უზანგიდან მარცხენა ფეხი შეუმჩნევლად გამოაძრო. მერე უზანგს მარჯვენა ფეხის თითისწვერები შეატოვა და კლდიდან გადაეარდნა იფიქრა: იქნებ გადარჩე, იქნებ მომაკვდავმა რაზმამდე სული კბილებით მიიტანოთ, უთხრა გულმა. თუ არა და მოღალატის ბინძური ხელით სიკვდილს იქ, ხეში, არ ჯობია სისხლის დანთხევა და სიკვდილი?

— დადექი! — მოესმა შეძახილი „ხელმარდს“. ბექემ ერთი ხელი ჩამოიღო. სადავე აიღო, ცხენი შეაყენა.

— ჩამოდი! — ისევ გაისმა ბრძანების ხმა. „ხელმარდიც“ ცხენიდან მშვიდად გადმოვიდა და შებრუნდა.

ღუდას ახლა ხელში კარაბინი ეჭარა, რევოლვერი ქამარში ჰქონდა გარჭობილი.

— აი, იმ ხის ძირში დაჯექი! — ახლა ხმადაბლა უთხრა დატყვევებულს და ტოტებგანიერი მუხა ანიშნა თვალით.

ბექვემ ხის ქვეშ მოიკეცა. ნაზდის შემოსხვევა სკადა. ხელი ნაზადსო, უბრძანა ჭაბუკმა და თვითონაც იქვე, ჰუჩქთან ჩაიმუხლა.

— კიდევ არ მეტყვი, შე ქურდბაცაცავ, სად იყავი, როგორ გაჩნდი სოხუმში. დღეს დილით ხომ რაზმში დაგტოვე?

— რა გინდა ჩემგან, ღუდა, — ჰკითხა მშვიდად ბექვემ და განაგრძო, — ისე მიქცევი, თითქოს მტერი ვიყო, ჯაშუსი, მოლაღატე! — ბოლო სიტყვებს ბექვემ ხაზი გაუსვა და დასძინა: — თუ ჩემს ავტაცობაში ეჭვი გეპარება, თუ ღალატში მამხილე, რა საჭიროა ჩემი სიცოცხლე, მესროლე, მომკალი, რაღას უყურებ? თუ არა და... — სიტყვა არ დაასრულა, გამსჭვალავი მზერა მიაპყრო ჭაბუკს. შეკრთა ღუდა, თვალი დახარა. მწარედ ამოიგმინა, წამოდგა, მაგრამ ისევ ჩაიმუხლა. „ხელმარდს“ არ გამოპარვია ჩიქას გულის ამღვრევა, უფრო თამამად მიატყერდა. — მე და შენ ხომ ერთი საქმისთვის ვიბრძვი? მეტად პასუხსაგებ საქმეში ვართ ჩაბმული, ღუდა, ჩვენ ხალხის სამსახური ვიკისრეთ. შენ ახალგაზრდა ხარ და იქნებ არ იცი, ასეთ ბედნიერებას ღმერთი ყველას არ არგუნებს. მაშ რა მოხდა! რაშია საქმე? იქნებ შენ მართლა გგონია, რომ მე ვუღალატე დათას, ჩვენს რაზმს, ბოლშევიკებს, იმათ, რომელთა გამარჯვებისთვისაც იტანჯება შენი გამარჯველი ძმა და მზად არის უყოყმანოდ სიცოცხლე შესწაროს; რომ მტერს მივემხრე და ჯაშუსი, იუდა, გამყიდველი გავხდით, ჩემი ან ჩემი ოჯახის ბედნიერებისთვის ამხანაგები გავყიდე, სასიკვდილოდ გავიმეტე?! — ბექვემ სული მოითქვა, ტოტებგაშლილ ნაზდისკენ მარჯვენა გააპა-

რა, მოსწია და განაგრძო: — თუ მართლა ასეთი საშინელება იფიქრე ჩემზე, ალბათ იმიტომ, რომ ერთ დროს სახელგატეხილი კაცი ვიყავი! ეს ერთ დროს, მაგრამ ახლა ხომ ქურდი არა ვარ, ღუდა. ქურდი არა ვარ, მაგრამ იქნებ არც ის იცი, რომ ღალატს, ამხანაგების მუხანათურად გაყიდვას ქურდიც კი არ იკადრებს, — ბექვემ ნაზდის მეორე ტოტიც დაითრია ისე, რომ ღუდას წარბიც არ შეუხრია, — მაგრამ ახლა ჩემს სიპატიოსნეს მნიშვნელობა არა აქვს. თუ ჩემს პატიოსნებაში ერთ კაცსაც კი ეჭვი შეეპარა, სასიკვდილო ვყოფილვარ, რად მინდა თავი ცოცხალი. რას უცდი, ბიჭო, იმ თოფს ფეხი გამოუშალე და მომკალი. ღუდამ თავი ჩაქინდრა, აკანკალებული ხელი ვერ დაიმორჩილა, კარაბინის ღულა ჯერ შექანდა და მერე დაბლა დაეშვა. ბექვემ ნაზადი მოახვია და გაყურდა. ჭაბუკს თავი არ აუწევია, არც კი განძრეულა. ბექვემ მარჯვენა ხელი ბარძაყისკენ წაიღო. მალულ ჯიბეში ტყვიით სავსე „პარაბელუმი“ ეგულეზოდა.

— რა მოგივიდა, ბიჭო! ასე მოსიხსლე მტერსაც კი არ აწვალევენ. ჯაშუსებს, მოლაღატეებს ხერტენ, მაგრამ ასე არ იგდებენ აბუჩად, ტყვიას ჰკრავენ და მორჩა, მოისვენა. ზოგჯერ მოლაღატესაც შეიწყნარებენ, შეიცოდებენ, თუმცა რა ფასი აქვს მოლაღატის სიცოცხლეს, მაგრამ ზოგს სული უტკებება და ლაფდასხმულ სიცოცხლეს ვერ ეღვევა, — დამზახის ტარს ხელი წააგლო და თვალეზი აუციმციმდა. — იქნებ შენ არც კი იცოდე, ჰო, ალბათ არც კი გაგიგონია, ჩვენ ერთხელ მოლაღატე გაგვერია. არა, შენ არ გეცოდინება, მაშინ ჩვენი რაზმი ძალზე მცირერიცხოვანი იყო, — როგორც იყო „პარაბელუმი“ ჯიბიდან ამოიღო. — ადრე დათასთან კატარღაზე ვინმე უჩანა მუშაობდა თურმე. ჩვენი მეთაური ამ ვაჟბატონსაც ენდობოდა. აბა, როგორ იფიქრებდა, მის ხელში გაზრდილი ბიჭი

ორდე დგებუაძე  
ჩაძირული „თოლია“

რომ უღალატებდა, — ჯიბიდან ამოღე-  
ბული მოხერხებულად დაიდგა და მშვი-  
დად ამოისუნთქა. — თურმე ნუ იტყვი, ის  
წყველი უჩანა ეშმაკის კერძს თორიას  
ხელში ჩაუგდია, ათასი დაპირე-  
ბით მოუშხამავს და სულის მტერი გაუ-  
ხდია. მოღალატემ ჩვენ ვერაფერი დაგ-  
ვაკლო, მისი ვერაგობა აშკარა გახდა  
საქვყენოდ — ხომ იცი, ამქვეყნად არა-  
ფერი არ დამალეხა, და ერთ მშვენიერ  
დღეს იმ უბედურმა თავი მოიკლა, სისხ-  
ლით მოიხანა საშინელი დანაშაული. —  
ბექვემ ღრმად ამოიხრა, მუხის ამოყ-  
რილ, მსხვილად დაგრებილ ფესვზე მო-  
ხერხებულად ჩამოჯდა და ნაბადს შიგ-  
ნით დამბაჩა შემართა, მოემზადა, —  
მოღალატის ვაჟკაცობა სად თქმულა.  
მაგრამ ის წყველი უჩანა ვაჟკაცი მაინც  
ყოფილა, კაცმა რომ დანაშაულის სიმძი-  
მე შეიგნო და თავი მოიკლა, ესეც საქმეა.  
აშკარაა, სინდისის ნატამალი შერჩენია.  
ყველა მოღალატე როდი მოიკლავს  
თავს.

ღუღამ თავი ისე ასწია, თითქოს დაუ-  
ძლეველი სიმძიმე აწევს კეფაზეო, მია-  
შტერდა ბექვეს. სახე თანდათან დაემან-  
ჭა, თვალეზი შუბლზე მოექცა და მერე  
არაადამიანური ხმით დაიღრიალა:

— რაო! მე მოვიკლა თავი! — ზეზე  
წამოიჭრა, კარაბინი ორივე ხელით მალ-  
ლა ასწია, მოიქნია და ბექვეს ფეხებთან  
დაანარცხა. — არა, მე არ მოვიკლავ  
თავს, თუ სასიკვდილო ვარ, შენ მესრო-  
ლე, შენ მომკალი! — იკივლა და მუხ-  
ლებზე დავარდა, სახეზე ხელები აიფარა,  
მერე მიწაზე გაერთხო და აქვითინდა.

ბექვე ზეზე წამოიჭრა, აცახცახებულ  
ჭაბუკს დააშტერდა, მერე „პარაბელუმი“  
ჯიბეში ჩაიდო და ღუღასთან ჩაიჩოქა.  
ბექვეზე ხელი უსიტყვოდ მოხვია, თავი  
აუწია, თვალეზში ჩახვდა და შეწუხდა,  
იღლიაში ხელი გაუყარა, ადექი, არა  
გრცხენია, რა გატირებსო, უთხრა და  
წამოსწია. ღუღაც აჰყვა „ხელმარდს“ და  
უაზროდ გაუღიმა. ბექვემ ხელი გაუშვა,  
ჭაბუკი წაბორძიკდა, მაგრამ როგორც  
იყო, თავი შეიკავა და ფეხარევით მივი-

და ხესთან, ზურგით მიეყრდნო. ბექვემ  
მივიდა.

— არ მეტყვი, რა მოხდა? — ჰკითხა  
„ხელმარდმა“ ხმადაბლა, როგორც ახ-  
ლობელს, მეგობარს.

მწარედ ამოიგმინა ღუღამ.

— ეპ, ნუ მკითხავ, ძმაო, მეც იმ შენი  
უჩანასავით თავი მოსაკლავი მაქვს, მაგ-  
რამ... — შუბლი შეიკრა, გაფთრებულ  
ტურზე იკბინა, — მაგრამ სანამ იმ სულ-  
ძალს არ მოვკლავ, უნდა ვიცოცხო, უნდა  
ვიცოცხო, ბექვე!

— არ მესმის, ბიჭო, რას ამბობ. თუ  
რამე გიჭირს, მითხარი, მითხარი და აქ  
არა ვარ?! გვერდში ამოგიდგები! —  
ბექვე ჩქარობდა; ღუღამ რომ თორიას  
სული მიჰყიდა, კარგად იცოდა, მაგრამ  
რა უთხრა მას? თუ მარტო რაზმის ად-  
გილსამყოფელი აცნობა, ეს დიდად საში-  
ში არ იყო, ეს შეიძლება ჩიქას გარეშეც  
სცოდნოდ საგანგებო რაზმში, მაგრამ  
იქნებ ისეთი რამ უთხრა... ისეთი, მაგ-  
რამ რა იყო ეს „ისეთი რამ“, არც ბექვემ  
იცოდა. — ჰოდა თქვი, ბიჭო, იქნებ და-  
ყოვნება არ ვარგოდეს, თქვი, ნუ აგვიან-  
ნებ.

ღუღას თითქოს ცივი წყალი გადაას-  
ხესო, გააყრყოლა, მერე გაუაყიციდა,  
ბექვეს თვალეზში ჩახვდა:

— შენ მართალი ხარ, ბექვე, ძმაო,  
დაყოვნება არ შეიძლება, ვინ იცის, ის  
წყველი თორია რა მახეს უგებს მარიას,  
ჯოკიას...

ლახვარივით ეცა გულში ეს სიტყვები  
ბექვეს. შუბლზე ოფლმა გამოყოჩა.

— როგორ! თორიამ იცის, რომ ისინი  
ამაღამ მიმისიდან წამოვლენ?

— იცის, იცის იმ წყველმა და შეიძ-  
ლება... იქნებ რამე ვუშველოთ. შენ  
ქკიანი კაცი ხარ, ბევრის მნახველი,  
მოხერხებული, — ნაბდის შესაკრავზე  
ჩაავლო ხელი ღუღამ მუდარით.

— მერე! ვინ იცის სად დაუხედება  
გიორგი ჯოკიას? — დაბნეულმა „ხელ-  
მარდმა“ ცას ახედა.

შემუქებულ ზეცაზე ვარსკვლავები  
ისახებოდა.

—სად და მიმისის გზაზე, სხვაგან სად უნდა ჩაუსაფრდეს! წავიდეთ, იქნებ მივუსწროთ, იქნებ ვუშველოთ, თუ არა და არ მინდა თავი ცოცხალი, მომკალი, შენი ხელით მომკალი, ბექვე!

იჩქარეთ, მიაძახა „ხელმარდმა“ და თავის ბედაურს მიაშურა. ჭაბუკმა კარაბინს დაავლო ხელი, ცხენს ელვას სისწრაფით მოახტა და მერე, როცა წინგასულ ბექვეს წამოეწია, თავისი „ნაუზერი“ გაუწოდა.

— მე კარაბინი და „ნავანი“ მეყოფა, შენ, უთოფოს, ეგ დამბაჩაღ დაჯჭირდება, — უთხრა და ცხენს ქუსლი ჰკრა.

...ცაზე ღრუბელი აშლილიყო. სამხრეთით ერთი ვარსკვლავი გზის მაჩვენებელ შუქურასავით კიაფობდა. ბექვე და ღუდა სწორედ სამხრეთისკენ მიაქროლუბდნენ ბედაურებს. წინგაპირილი, თმებაშლილი, უქულო მხედარი ცხენსმინდობილი მიჰქროდა. უკან, ორიოდღე ფეხის ნაბჯზე ბექვე მისდევდა. თმცა „ხელმარდის“ წაბლა უფრო მხნედ მიიწვედა წინ, მაგრამ მხედარი აკავებდა, ლავამს არ ანებებდა, გულამღვრეული ღუდას თვალიდან მოშორება არ უნდოდა.

— აბა! თუ მიშველი ისევ შენ, ჩემო საღარია, თუ გადამარჩენ, შენ გადამარჩენ, თუ არა და ჩემთან ერთად გერც შენ გადაურჩები ამ უკუღმართ ღამეს, — ჩურჩულებდა ღუდა და ბედაურის ფარდებს ქუსლს არ აშორებდა. მთელი ტანით წინ იხრებოდა და იმართებოდა.

აღმართი აიქროლეს ცხენებმა. ვზამ ანაზად მარცხნივ გაუხვია, მაგრამ ღუდამ ასატყევი გვიან დაინახა, საღარიამაც თავი ვერ შეიკავა და ხროვ ტაფობზე გადაეშვა. ათიოდღე ნაბიჯი და მხედარმა ჯერ ხეზე დაკიდული ბობოწყერა შენიშნა, მერე ტანდაბალი ცაცხვი შემოეგება, ცხენმა უგანა, ისკუბა, მხედრის ნაბადმაც მერცხლის ფრთებით გაშალა ტოტები და ბედაურმა მდინარეში ზღართან მიადინა.

არც ბექვე მორიდებია წყალს. თავისი წაბლა ნებაზე მიუშვა, როცა მეორე ნაპირისკენ მიმცურავ საღარიაზე წელგა-

მართული ღუდა დაინახა, მადლობა ღმერთს, წყალი ღრმა ყოფილაო, მოასწრო გაეფიქრა და კეხსჩაჭიდებული წამით პაერზე დაეკიდა, მერე, როცა წყლიდან თავი ამოჰყო, მეორე ნაპირიდან თანამგზავრის შემფოთებული ძახილი მოესმა:

— ხომ არაფერი იტყინე, ბექვე, აქეთ, აქეთ, იჩქარე!

ღუდამ ცხენს სულის მოთქმა არ აცალა და გააგვიღვა. ბექვეც უსიტყვოდ გამოედევნა. დაბლობს აღმართი ემიჯნებოდა, თავქვეს ყაფარი მოსდევდა. ილაგა-გაწყვეტილი ბედაურები თავს არ იზოგავდნენ.

საღარიას ადრე დააწყდა მუხლები, ჩიჩერი ჩვარით ჩამოეკიდა, მაგრამ უილაგობას მაინც უძაღიანდებოდა, დამძიმებული თავი მუხლებს ედებოდა. წაბორძიდა, წინა მუხლებზე დაეცა. წამოდგომა სცადა და აქ ძალ-ღონემ უმტყუნა. მიწაზე დაფარდა.

როცა საღარია წინა მუხლებზე დაეცა, ღუდა უნაგირს შურდულივით მოსწყდა, მაგრამ ჭაბუკი მიწას მხოლოდ ფეხის წვერებით შეეხო და ეგ იყო. უმაღ საყვარელ ცხოველთან გაჩნდა და სულთმობრძავს სინანულით სავსე თვალებით დაატყერდა. ბექვემ ჩამოტყეითება ვერ მოისახრა ერთ ჩანს. ამხედრებული გულდაწყვეტით გასტყეროდა მომაკვდავს. საღარიამ უცხემა გაასავსავა, თავი მიწაზე უროსავით დაჰკრა და სული განუტევა. ღუდა ისე შებრუნდა და აწერიალდა, თითქოს შევლას მოეღისო საიდანაც.

სავსე მთვარე თუჯისფერ ღრუბელს გასხლტომოდა და ხროვ თემშარას შუქით ავსებდა. პატარა აღმართი გორაკისკენ მიიკლაკნებოდა. არც ჭრატის სინათლე ჩანდა და არც ძაღლის ყუფა ისმოდა.

— სოფელი შორს უნდა იყოს, რა გვეშველება, ბექვე!

— ჩემი ცხენი?

ორდღე დგებუაძე ჩაძირული „თოლია“

— შენმა ცხენმა ორთავე კი არა, მგონი, შენც ვერ გატაროს.

ბექემე ჩამოქვეითდა. სანუგეშო არაფერი ჩანდა. ენას რა ნუგეში უნდა ეთქვა, როცა გულს საწუხარი ამძიებდა. ბექემე ისე დახედა საღარიბას, თითქოს მისი წამოყენება სწადიაო, მერე გზას შეაფლო თვალი. იქვე ახლოს თასმანწყვეტილი კარაბინი შენიშნა.

— მიდი, თოფი აიღე, — უთხრა ჭაბუკს.

— რა ეშმაკად მინდა თოფი! თოფი კი არა, მგონი ნაბადიც დატოვო.

— თუგინდ პაიჭებიც დატოვე, ოღონდ თოფს ხელი არ შეუშვა.

— მართალია. იქნებ შევეყაროთ იმ წყეულებს.

ღუფა კარაბინის ასადებად შებრუნდა და მოსახვევიდან ელვის სისწრაფით გამოფარდა დაოთხილი ცხენი.

ახალუხისამარა ამხედრებულ მამაკაცს თავი ყაბალახით წაეკრა. მარცხენა ხელში სადავე ჩაებლუჯა, მარჯვენაში თოფი ეჭირა, მგზავრებსა და შუა გზაზე გაშლართულ ცხენს გვერდი ვერ აუარა.

— ჰეი, ვინა ხართ? რა მოგსვლიათ? — ომახიანად დასქექა უცხოში.

— გვარდიელები ვართ, ძმაო. ცხენმა გვიღალატა, საჩქარო საქმეზე მივეშურებოდით, მაგრამ... — უთხრა თამამად „ხელმარდმა“ და ღუფას ანიშნა, ჩუმად ყოფილიყო.

— გვარდიელები! აი, ბედიც ამას ჰქვია! — აღვირს ღონივრად წაეტანა, ბედური მოდრიკა, მოკეცა და უნავირიდან ხელნაკრავივით გადმოეშვა. — თქვენი ჭირიმი, ბიჭებო, უნდა გვიშველოთ! — რა გიჭირს?

— საგანგებო რაზმის უფროსი ბოლშევიკებს წააწყდა...

— ვინ ბოლშევიკებს?!

— დათა ბუკიას რაზმელებს.

— მერე?

— მათი განიარაღება სცადა, მაგრამ... — რა „მაგრამ“? — არ დააცალა ღუფამ სიტყვის დამთავრება.

— მათი განიარაღება კი არა, თვითონ ჩავარდა განსაცდელში.

— ვინ თვითონ?

— საგანგებო რაზმის უფროსი.

— თორია?

— დიახ, გიორგი თორია. ჩუ, — უცნობმა ხელი ასწია, გაირინდა, — გესმით სროლის ხმა? ეს ხმა აი ამ გორაკის გადაღმიდან მოდის. — ახლა ხელი აღმოსავლეთისკენ გაიშვირა და გაღუსულ მგზავრებს გადახედა.

შორიდან კანტიკუნტად ისმოდა სროლის ხმა. ბექემე მრავალმნიშვნელოვნად გადახედა ღუფას, რომელსაც სუნთქვა შეჰკვროდა და ჩახმახივით შემართულიყო.

— მერე? შენ თუ კაცი კაცი ხარ, რად გამოიქეცი, რად დატოვე ამხანაგები განსაცდელში?! — ჰკითხა უკმეხად ბექემე უცნობს და ღუფას წინ დაუდგა. იფიქრა: ამ უცნაურად ახირებულმა ჭაბუკმა არ აურთოს და საქმე არ გააფუქსოს.

— მე როგორ წარმოვიდგენდი... მე რას მემართლები, ძმაო, გიორგიმ მაფრინა, ხალხი მომაშველეო.

— შენ ვინა ხარ? გვარდიელი?

— არა, მე ათანასე ასისტავი ვარ, რეკიდან.

მთვარის შუქზე კარგად მოჩანდა მხარბეჭადაგმული ვაჭკაცის საამო აღნაგობა. კობტად აწყებილი შავი უღვაში, წარბებამდე ჩამოშლილი ხშირი შავი თმა ვაჭკაცურ იერს მატებდა ლამაზ, შავგვრემან სახეს.

— სად წააწყდა გიორგი ბოლშევიკებს? — მოუთმენლად იკითხა ღუფამ, ნახევრად შეყენებულ ჩახმახს ხელს ისე უჭერდა, თითქოს დასრჩობას უპირებო.

— აკი გითხარი, — ათისთავმა ისევ აღმოსავლეთისკენ გაიშვირა ხელი და მოუთმენელი კილოთი განავრძო, — ამ გორაკს გადაღმა-მეთქი. ამ მაღლობს გადაივლი და მარცხნივ საურმე გზას გაჰყევი. იქვე ახლოს, რაღაც ერთი ვერსის დაშორებით, თავდაღმართი შეგხვდებათ, ჩივილი და იქვე წისქვილია. სწორედ ამ წისქვილში მოიმწყვდიეს ბოლშევიკები, მერე...

— ჰო, კარგი, გასაგებია, — იღრიალა ღუღამ და ათანასეს ცხენის ლაგამს სწვდა. სად მივაქვს აღვირო, შეუძახა ათანასემ მოძალადეს, მაგრამ ბექვემ არ დააყოვნა, მაღური ისე დაჰკრა კეფაზე, ასისთავს არც კი დაუკენისია, მოჭრილი ტოტივით დავარდა.

...როცა ცხენოსნები წისქვილს მიუახლოვდნენ, სროლის ხმა კანტიკუნტად ისმოდა. წინა მხედარმა ცხენი შეაყენა, უკან მომავალიც შედგა. ყური მიუგდეს: ორჯერ თუ სამჯერ კიდეც გავარდა თოფი.

— ნეტავ გვეკითხა ასისთავისთვის, სად არიან საგანგებო რაზმელები, საიდან შეიძლება მისვლა, — ჩაილაპარაკა ღუღამ და უზანგზე შემდგარმა ხეობაში ისე გადაიხედა, თითქოს სიბნელეში ჩაწოლილ ვიწროებში რაიმეს დანახვა შეიძლებოდა.

— უნდა გვეკითხა, მაგრამ ვინ დაგაცალა! ამიტომ უთქვამთ, მოთმინება სამოთხის გასაღებიაო, შენ კი... — არ დაასრულა ბექვემ სიტყვა, ცხენიდან ჩამოხტა, უნაგირს ქარშიკი მოუსინჯა, მოუშვა, ზედაურს ჩოხის კალთით გამოუწმინა მუცელი, მერე ყურებს სწვდა, დაუჭიმა და ისევ აჭიმა მოსართავეები. ამხედრდა.

ამასობაში, ერთი ძლიერი ბათქი მოიხმა და ორმა თუ სამმა შაშხანამაც ცალცალკე დაიგმინა.

ღუღამ ცხენს შეუძახა, წინ გავარდა. წაბლამ არ დააყოვნა, სანამ მხედარი ქუსლს მოიმარჯვებდა, წინ წასულს გამოენთო. ცხენები თრითინებივით დაეკიდნენ ფერდობს. თხრილში თოფიანები დალანდეს. წაბლამ დაიხვიხვინა. ჩასაფრებულეებმა მხედრები ნიშანში ამოიღეს. ღუღამ ხელყუმბარა შემართა.

იცნეს ერთმანეთი. თხრილში ჩაწოლილებმა შევებით ამოისუნთქეს, ჩამოქვეითდითო, იყვირა ჯოკიამ, როცა თავისიანები შეიცნო.

ბექვე სწრაფად გადმოხტა უნაგირიდან და წაბლას შეუტია, გარეკა, სატყვიოზე არ დააყენა. შენ რაღას უცდიო, დაუყვირა „ხელმარდმა“ ღუღას, როცა

თხრილში ჯოკიას გვერდით მოუჯდა. მაგრამ ჭაბუკს პასუხი არ გაუცია, წისქვილს მისჩერებოდა მონუსხულივით: საგანგებო რაზმელები არსად ჭაჭანებდნენ.

ღუღა მშვიდად იჯდა ცხენზე, აღარ ბორგავდა და ოხრავდა. ახლა მას თოფი ილღიაში ამოეჩარა, უნაგირის ბალიშს ორივე ხელით დაყრდნობოდა და ისე მშვიდად ათვალეირებდა წისქვილს და გარემოს, თითქოს ამ თვალწარმტაცი ბუნებით ტკებოდა.

— სად არიან ისინი? — იკითხა ჭაბუკმა.

— წისქვილს უკან არიან ჩასაფრებული, წისქვილში კი ქალებია, — უბასუხა ჯოკიამ. — კარებში არავის შევეშვებთ, მაგრამ ვიათუ კედელი შეანგრიონ და... — ცალი ხელი ასწია, ყურადღება გაამახვილა, — რაღაც ხმა მომესმა, მგონი... — ჩაილაპარაკა სიჩუმის შემდეგ.

— შეიძლება კედელი შელეწონ. რას არ იკადრებს ის ღვთისაგან შეჩვენებული. — ღუღამ კეფა მოიფხანა, ყბა მოისრისა, მერე კარაბინი გამართა: — ჰა, ბექვე, ეს თოფი გამომართვი, ჩემი მაღური მომეცი და მე ვაჩვენებ მათ, როგორ უნდა კედლების შენგრევა.

ბექვემ კარაბინი გამოართვა, დამბაჩა გაუწოდა.

— რას აპირებ, ბიჭო, ჩამოდი, ერთად წავიდეთ ხოხევით, წისქვილს უკნიდან მოუფაროთ...

ამ დროს ხევში მეწისქვილის ახლა რატომღაც უფრო იმედინი, უფრო ჯანინი ხმა გაისმა;

— ჰეი, რად არ ისვრით, თქვე სულძალეებო! ვაზნები ხომ არ გაგთავებიათ?

— ვინ არის ის? — იკითხა ბექვემ და ჯოკიას პასუხს ღუღამაც მიუგლო ყური.

— მეწისქვილეა, მეწისქვილე კი არა, არ ვიცი, ღმერთმანი...

მეწისქვილე ისევ აყვირდა:

ორღე დგებუაქე ჩაძირული „თოლია“

— კედელს ანგრევენ. რას აკეთებთ, თქვე ძაღლისშვილებო, ქალებთან ვაჟკაცობთ?! ის კედელი ჩემი ოფლით არის ნაშენი, ყაჩაღებო, ავაზაკებო, — მე-წისქვილეს ხმა ჩაუწყდა, დაღუშდა.

— დაჭრილია. პირველი გამოვარდა წისქვილიდან, რომ მათი ყურადღება მიიპყრო, ჩვენ კი ისე დაეტოვეთ წისქვილი, თითქვ ავ გაგვკაწრია.

— გესმის, კედელს ანგრევენო, — აწრიალდა ღუღა.

ისევე გაისმა მეწისქვილის ხმა:

— ხელი გაუშვით კედელს, ნუ მიტყვევთ ოჯახს...

— ნამდვილად წისქვილში შეჭრას აპირებენ, ქალებიც რომ ხმას არ იღებენ! — ბეჭევესაც მოუსვენრობა დაეტყო.

— ალბათ შესაფერ დროს უცდიან, თორემ არც ცუცუაა გულსუსტი და არც მარია, — უბასუსხა ჯოკიამ და თხრილიდან ამოძვრა.

ღუღამ ნაბადი გადააგდო და სადავეს მაგრად ჩაეჭიდა, ცხენი ადვილზე შემარტა. ამ დროს დაბლიდან გამოსროლილმა ტყვიამ ღუღას ყურთან დაიწვილა. წამით შეკრთა ჭაბუკი. გულფიცხი ბედაური დაოკა, ქვეითებს გადმოსძახა, ქალებს შეველა უნდაო და სანამ ბეჭევე ეტყოდა, ჩამოდიო, ცხენი ფერდობიდან ასკუბა.

თვალის დახამხამებაში ღუღა წისქვილს უკან გაუჩინარდა, მერე ვიღაცამ ანაზღად მიჭრილ მხედარს ომახიანად შეუძახა. დამბაჩებმა დაიკაკანეს, მოლატეო, მიაძახა ვიღაცამ ღუღას.

— შე უნამუსო! ღალატი შენ არ მასწავლე?! — იკივლა ჭაბუკმა.

ისევე გაბმული სროლა. მეწისქვილის აღტაცებული წამოძახილი: „დასცხე! ვენაცვალე შენს მარჯვენას!“

ერთი, ორი წუთი და, ფერდობს იქით, საიდანაც მდინარის მსუილი სიზმარით ისმოდა, სროლა გაჩაღდა. სავანგებო რაზმელები გარბოდნენ. მხედარი ერთ ხანს შორიახლო მისდევდა მათ. მერე მობრუნდა, ველარ მისდია გაქცეულთ. მთიდან ჩამოსულმა ღორღმა და ლოდმა გზა გადაუღობეს.

როცა ღუღამ ცხენი წისქვილთან მიადგო, იქ უკვე ბეჭევე და ჯოკია ფუსებდნენ.

რაზმელებს და ცუცუას მეწისქვილე ამოჰყავდათ ხევიდან. ჭაბუკი ბეჭევეს თავზე დაადგა და სანამ ჰკითხავდა, რა მოხდაო, მარიამ წისქვილიდან პრაქტი გამოიტანა. მოლიფლიფე ბაზმაკის შუქმა დინჯად ჩამოწოლილი ბორი გაარღვია და ღორღით სავსე ღარტაფში პირაღმა გაშხლართულ მამაკაცის გვამს ჭირისუფალივით დაადგა.

მოკლულის გვამთან ცისფერი ბოხობი ეგდო. მარჯვენაში მაგრად ეჭირა საზღვაო პარაბელუმი და ისე იღიმებოდა, თითქოს ვარსკვლავებით მოხატულმა ცამ საფეთქელთან ციცქნა ჭრილობა არც კი აგრძნობინა და ტუჩები სიამოვნებით გაუპოო. შავ ჩოხასაც გულმკერდთან ოდნავ სისველე ეტყობოდა.

— ვინ არის ნეტავ! — ჩაილაპარაკა ღუღამ და ცოტა სიჩუმის შემდეგ დასძინა: — სადღაც მინახავს...

ბეჭევემ ახედა და უცებ შუბლი შეიკრა.

— დაჭრილი ხარ, ბიჭო? — იკითხა შეშფოთებით. — ჩქარა ჩამოდი.

მართლაც, მარცხენა სახელოდან გამოსული სისხლი ხელის მტევანზე წურწურით ჩამოსდიოდა ღუღას. ჭაბუკმა სისხლს შეხედა და სიფთობამ გადაჰკრა. ხელი ასწია — მკლავი თავისუფლად მოძრაობდა.

მეწისქვილეს მხრებში ცუცუა და ერთი რაზმელი ამოსდგომოდნენ. თუმცა მოხუცს მუხლები ეკეცებოდა, მაგრამ გული რომ საგულეში ჰქონდა, ამაზე მისი ფართოდ გახედილი თვალები და ღმილი მტყვევლებდა.

— მადლობა ღმერთს... — დაიწყო მეწისქვილემ, მაგრამ ცუცუამ შეუტია, ჩუმად იყვი, ხმა არ ამოიღო, იქვე, ლაფაროსთან ნაბადი გაუშალა და დაწეპიო, უბრძანა.

ღუღაც გადმოსვეს ცხენიდან, წელზე-ვით გახადეს. მარიამ ტყვიით გადაგლეჯილი მხარი რომ შეუხვია, მოკლულისკენ წავიდა. ღუღა, პირაღმა გაშხლარ-

თულ საგანგებო რაზმელს დახედა. ვილა-  
ცამ ჭრაქი მიაშველა.

— ეს ხომ არაჩემია არის, — ჩაილა-  
პარაკა ლუდამ. — დიახ, ნამდვილად ის  
არის.

ბექვეც და ჯოკიაც მოვიდნენ.

— არაჩემია თუ არის, ეს სულკრული  
ძალეებს უნდა მივუგდოთ, — თქვა  
ჯოკიამ და ისე დაიხარა, თითქოს უნდა  
ხელი წაატანოს და მართლა ქოფაკების-  
კენ წაათრიოსო.

ბექვემ წარბები შეყარა, მოიღრუბლა.  
— რას ბოდავ!

შეერთა ჯოკია, აიღეწა, უკან დაიხია,  
სიბნელეს შეეფარა. ცხენები დაძებნეთო,  
დაიძახა ვილაცამ. კუდამოძებულთა ბე-  
დაურებიც არ დაგერჩეთო, თქვა ბექვემ.  
ჯოკიამ სირცხვილი მოინელა და მალ-  
ლობი აიბრინა.

თვალი კარგად გეპიროს, არ გაგვიპა-  
რონ ეს წყეულებიო, დაადევნა „ხელ-  
მარდმა“ სიტყვა მალლობზე ასულს და  
არაჩემიას დამზახაზე მიყინული თითები  
გაუხსნა, „პარაბელუმი“ აართვა.

როცა მეწისქვილეც ცხენზე შესვეს,  
დაჭრილმა წასვლაზე უარი თქვა: თუ  
სასიკვდილე არა ვარ, ჩემი წისქვილი  
მომარჩენსო, მაგრამ არ დაანებეს.

ცხენოსნები დაიძრნენ. ისევ ჯოკია  
გაუძღვა მხედრებს. გორაკი გადაიარეს,  
გზაზე გავიდნენ. წინ მიმავალმა ბედაუ-  
რი შეაყენა, ამ გზით სიარული საში-  
შიაო, უთხრა ამხანაგებს.

იქნებ სხვა გზა ვიპოვოთო, ჩაილაპა-  
რაკა ბექვემ და წინ გავიდა.

მეწისქვილემ ცხენს ქუსლი ჰკრა, ჯო-  
კიას გაუსწორდა, სად მიედივართო,  
იკითხა. სამუხაოშიო, რომ უთხრეს, მე  
სწორედ იქიდან გახლავართო, წამოიძა-  
ხა, ცხენოსნებს თავში მოექცა და მომ-  
ყვითო, უთხრა. ვიწრო ბილიკზე გადა-  
უხვიეს. მალე ფართო მდინარეს მიადგ-  
ნენ და მშვიდობით გადალახეს. მერე  
ორიოდე ვერსი უგზოზე იარეს და ტყეს  
შეეფარნენ.

— აწი თორია კი არა, კარგი მიძობა-  
რიც ვერ მოგვხანახეს. — თქვა გულმშვი-

დად მეწისქვილემ და ცხენი რუსთან შეა-  
ყენა, წყალი ითხოვა.

ბექვემ ჩამოქვეითდა, მათარა წყლით  
აავსო და დაჭრილს მიაწოდა. სანამ მე-  
წისქვილე წყურვილს მოკლავდა, მხედ-  
რები შევროდნენ. ლუდაც წამოეწია.

— საოცარი ხალხი ხართ ბოლშევიკე-  
ბი, ღმერთმანი! — ჩაილაპარაკა მეწის-  
ქვილემ და დასველებული წვერი სახე-  
ლოთი მოიწმინდა.

— შენ თუ მიხვდი, ჩვენ რომ ბოლშე-  
ვიკები ვიყავით?! — ჰკითხა ჯოკიამ.

— დაგინახეთ და მივხვდი, — უპასუ-  
ხა დაჭრილმა. — რომ არ მიგმხედარი-  
ყავ და თავი სასიკვდილოდ გამემტებნი-  
ნა, სულელი ვიქნებოდი.

— როგორ მიხვდი?

— საგანგებო რაზმელები და სახალ-  
ხო გვარდიელები განა ისე იქცევიან,  
როგორც თქვენ იქცეოდით? მე ტყეში  
მაცხოვრებელი კაცი ვარ, მკვლებს ფეხის  
ხმით ვიცნობ.

— რამ შეგაძულა ასე ისინი? — ჰკი-  
თხა ცუცამ.

— სახლ-კარი გადამიბუგეს. დედი-  
თობლი, ოცი წლის ერთადერთი ვაჟი-  
შვილი მომიკლეს ოცარცესთან. — ხმა  
ჩაუხსა, დადუმდა, უხმოდ იარა ერთ  
ხანს. არც სხვებს ამოუღიათ ხმა. — მე-  
რე ჩემს სოფელს გავეცალე, ამ წისქვილს  
შევიყიდლე, დოლახსა და სარეკელას  
ტკიპივით ჩავეჭიდე გულნამცეცა.

— რატომ „გულნამცეცა“? — იკითხა  
ვილაცამ.

— აბა რა! სახლ-კარი გადამიწვეს.  
შვილი მომიკლეს, მე კი, ვითომ არაფერი  
მომხდარაო, მოძალადეებს კი არ შევეუ-  
ტიე, გავემციე, თავი მოვარიდე.

— ჰოო?

— დიახ, მარტოხელა კაცმა ტყეში  
გასვლა ვერ გავბედე რატომღაც, ხვალ,  
ზეგ-მეთქი, ვამბობდი გულში ყოველდღე  
და დღემდე ხელი არ გამინძრევია.

— რას ერჩოდნენ ოცი წლის ჰაბუკს?!

— რად არ ინდობს მორიელი მძინა-

ორდე დგებუაძე  
ჩაძირული „თოლია“



რესაც კი?! აბა ჩემი ბიჭი ქვეყნის დამ-  
ტყვევი იყო?!

სევდა ჩამოწვა. ცხენები თითქოს თეი-  
თონ მიიკვლევდნენ გზას, მხედრებს სა-  
დაფეც კი არ შეუქანებიათ. დიდხანს  
იარეს უჩუმრად. ბოლოს ისევ მეწისქვი-  
ლემ დაარღვია სიჩუმე:

— თქვენ კი მომერიდეთ, არ გით-  
ქვამთ, ბოლშევიკები რომ იყავით. არც  
ჩემთვის გიკითხავთ, რას მეძახიან, რა  
გვარისა ვარ. ჰო, არ მენდეთ. მერე რა!  
არაფერია გასაკვირი. — მძიმედ ამოიოხ-  
რა, მერე უნაგირზე ნახევრად შემობ-  
რუნდა, — იქნებ თუთუნის მომწვევი-  
ნოთ ვინმემ?

— უნდობლობა რა სათქმელია, ალ-  
ბათ სიტყვამ არ მოიტანა, თორემ... —  
უბასუსხა ბექვემ. — ისე კი, კაცმა რომ  
მართალი თქვას, მასპინძელი უნდა გას-  
ცნობოდა სტუმრებს, ეთქვა, რა გვარია,  
რა ჰქვია სახელი.

— შენც მართალი ხარ, ძმაკაცო. მე  
ჭაფანძე ვარ გვარად, ნესტორს მეძახიან.  
როგორც მოგახსენეთ, სამუხაოდან ვარ. —  
რაზმელმა, ნესტორთან ცხენი მიაგდო და  
თამბაქო მიაწოდა. მეწისქვილემ ქალაღ-  
დი დანერწყვა, თითებში შეაბრუნა.  
გვერდით მომავალმა ცხენოსანმა ანთე-  
ბული აბედიც დაუღო ხელისგულზე.

უკან მომავალმა ღუღამ ბედაური  
შეაჩერა და მოიცადეთ, დაუძახა ბექვეს.

რაზმი შედგა. „ხელმარდმა“ ცხენი  
შეაბრუნა. ღუღამ გაბზარული ხმით  
ყველას გასაგონად წამოიძახა:

— მე ვერ წამოვალ. ბიჭებო, ვერ  
წამოვალ.

ახლა გაახსენდა ჯოკიას, რომ არც  
ჩიქასა და არც ბექვესთვის არ უკითხავს,  
საიდან გაჩნდით წისქვილთან ამ გან-  
საცდელის ჟამსო. ბექვემაც განზრახ  
მორიდა თავი ამ ამბავს და როცა  
ერთმა რაზმელმა ჰკითხა, — როგორ,  
საიდანო, უცებ მოუჭრა: აქ ამბზე ლაპა-  
რაკის დრო არ არისო.

ქალებმა იფიქრეს, ალბათ დათამ ისი-  
ნი ჩვენს შესახებდრად გამოგზავნათ და  
არაფერი უკითხავთ.

ღუღას ძახილზე ბექვემ თავი უხერ-  
ხულად ივრძოდა, წაბლა ადგილზე შეაბ-  
რუნ-შემობარუნა, მერე, სანამ ჭაბუკი  
ცხენოსნებს მიუახლოვდებოდა, თავის  
ბედაურს შეუძახა და ნელი ნაბიჯით  
ღუღას ცხენს გზა გადაუღობა:

— სად უნდა წახვიდე, ბიჭო! რაც  
სოსუმში მოხდა, იქ, წისქვილთან დაი-  
მარხა. წამოდი, შენ ახლა სულითა და  
ხორციით ჩვენი ხარ, — უთხრა ჩურჩუ-  
ლით და ღუღას ცხენის ლაგამს ხელი  
წაავლო.

— არა, არ შემძლია. თუ მესერი  
და მომკლავ, მარჯვენას დაგილოცავ.  
ოღონდ წასვლაზე ნურაფერს მეტყვი.

— ნუ სულელობ, ღუღა, დანაშაული  
უკვე ორმაგად გამოისყიდე, შენ ახლა  
დათას სჭირდები, წამოდი.

— ჯერ სადაა! კიდევ ბევრი სისხლია  
საჭირო, რომ სირცხვილი მომზანოს...  
დათას უთხარი ჩემი კაცობა და ის გეტ-  
ყვის, ვარ თუ არა მართალი.

— არა, არ შემძლია, როგორ ვუთხრა  
დათას, როცა შენი...

— არ გაბედო! უთხარი: თორიამ  
იციის, თუ რამდენი რაზმელი ჰყავს ბუ-  
კიას, იციის, რომ ის სამუხაოშია, იციის...  
ერთი სიტყვით, ყველაფერი იციის, გეს-  
მის?

ღუღამ ცხენი სწრაფად შეატრიალა,  
მშვიდობით იყავითო, დაიძახა ყველას  
გასაგონად და სიბნელეში გადნა, გაუ-  
ჩინარდა.

ტყე გაინაბა.

ღრღობით დამძიმებული ვარსკვლავე-  
თის ვიწრო სანათურიდან მთვარემ გა-  
მოჰყო თავი, მერე ჩრდილოეთიდან ციფ-  
მა ქარმა წამოუბერა. სადღაც ჭოტი  
აეკვლდა. შორს, უკუნეთში, ყრუდ აგუ-  
გუნდა ტყე. ტიტველი ტოტები წაებ-  
ლუსუნენ ერთმანეთს, ახმიანდნენ. შემხ-  
მარი ფოთლებიც შარიშურობდნენ უგზო-  
ზე, ტყედებოდა კიწაწი.

— სად წავიდა ის ბიჭი? — ჰკითხა  
ჯოკიამ ბექვეს, როცა „ხელმარდი“ ცხე-  
ნოსნებში გაერია.

— არ ვიცი, საქმე მაქვსო და წავიდა.

— აქ რაღაც სხვა ამბავია, ბექვე!

— რა უნდა იყო! — ცხენს აურქარა, მაგრამ ჯოკია აედევნა. ვიწრო ბილიკზე გადავიდნენ, თითო-თითოდ გაჰყვნენ ერთმანეთს.

— გაიგონე, ლუდამ რომ დაუსყვირა თორიას წისკვილთან: შენ არ მასწავლე დალატიო?

— არა, არ გამიგონია, ახლა ამაზე ლაპარაკი არ არის საჭირო... წინ იყურე; საერთოდ, უხმოდ ვიაროთ, ვინ იცის, ეშმაკს თვალი არა აქვს, — მკვა-

ხედ უპასუხა ბექემ და წინ წავიდა. — თუ საკითხავი გაქვს რამე, იქ მკითხე, დათასთან. — ჯოკია დადუმდა. არც სხვას ამოუღია ხმა.

ტყიდან პატარა ტაფოზე გავიდნენ. წინ მიმავალმა მეწისკვილემ ცხენი შეაყენა, მიიხედ-მოიხედა და ფრთხილად დაძრა ბედაური. აქ ქარი ძლიერ უბერავდა, წვიმდა. მხედრებმა ნაბდები საგულდაგულოდ შემოიხვიეს და ცხენებს აურქარეს.

სამშობლოსათვის სიკვდილი მიორიდ დაბადებას

1921 წელი.

საქალაქო ტრანსპორტი უქმად იდგა. არ იყო წყალი. არ იყო პური — ფურნეში მჭადი ცხვებოდა. საცხოვრებთან ნაშუალამევს დგებოდნენ რივში.

მატარებელი კვირაში ერთხელ თუ ჩაივლიდა ოხვრითა და ვაებით. შეშით გამოტენილი ლოკომოტივი ცერისოდენა ნაპერწკლებს ანევედა გზაში და ისლით დაბურულ ქოხმახებს ცეცხლს უკიდებდა.

ერთი თვის ხელფასი ერთ დღეს არ ჰყოფნიდა მარტოხელა კაცს.

გაფიცვას გაფიცვა მოსდევდა, ხელფასის მომატებას ითხოვდნენ რკინიგზელები, ტრამვაელები, ბანკისა და ფოსტის მოხელენი, მაგრამ ფულის ნიშნები?! სად იყო ამდენი ქალაღი, ამდენი საღებავი!

ასეთ დროს სახელმწიფოს უნდა ეკისრა ხალხის მომარაგება, მაგრამ ხალხი ვის ახსოვდა. მთავრობა თავისი აღსასრულის მოახლოებას გრძნობდა. მას მხოლოდ თავისი ბედი აწუხებდა.

ჩარჩები და ქორვაჭურები ცეცხლზე ნავთს ასხამდნენ. მათი ალაგმვა იყო საჭირო, მაგრამ ქვეყნის „მეცხეურები“ ჩარჩებითა და ქორვაჭურებით სულდგმულობდნენ.

კულაკობას რომ ზედმეტი ხორბალი და სიმინდი ჩამორთმეოდა, კარგი იყო, მაგრამ მთავრობას ამ გაჭირვების ქამს სოფელში კულაკების იმედი ჰქონდა.

გამოსავალი? — ციხე და თოფის კონდახი, მათრახი და ტყვია. ხალხს მოთმინების ფილა აევსო. მენშევიკებმა ახლა კარგად იცოდნენ, რომ მუშები და გლეხები იარაღებოდნენ და უტყდიდნენ იმ დღეს, როცა ბოლშევიკები დაიძახებდნენ — მოგვეყვიოთ.

საქართველოს „დემოკრატიულმა“ მთავრობამ კარგად იცოდა, რომ უძლეური იყო, რომ არ შეეძლო აჯანყებულ ხალხს გამკლავებოდა და დასავლეთის იმპერიალისტებს თხოვდა დახმარებას. ოღონდ ბოლშევიკების განადგურებაში დახმარებოდნენ და ვინც უნდა ყოფილიყვნენ — თეთრი გენერლები, გერმანელი დამპყრობლები თუ ინგლისელი კოლონიზატორები. ერთი სიტყვით, ოღონდ ბოლშევიკები არა და სხვებს საქართველოს საზღვრებს ფართოდ გაუღებდნენ.

შავ ზღვაზე ინგლისის, საფრანგეთისა და იტალიის სამხედრო გემები გამოჩნდნენ. კარჭაპებმა ცერცვისა და ქაშაყის კონსერვები მოზიდეს. სახარინი, ყავა და დამდილული მაკარონი გადმოტვირთეს ფოთისა და ბათუმის ნავსადგურებში.

მთავრობა აღტაცებას ვერ მალავდა: ეგონა ასეთი ღონისძიება დააფრთხოვდა ბოლშევიკებისადმი კეთილად განწყობილ მოსახლეობას, აჯანყებაზე ფიქრს დაავიწყებდა, ტყეს შეფარებული რაზმე-

ორღე დგებუაძე ჩაძირული „თოლია“

ბი დაიშლებოდა, რაზემელები მთავრობას პატივებს თხოვდნენ, ან ჩრდილო კავკასიაში გადაიხვეწებოდნენ. დიახ, ამის ელოდნენ ქვეყნის მეთაურები, მაგრამ სულ სხვა რამ კი მოხდა:

საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა გადაწყვიტეს ძალადობისთვის ძალადობითვე ეპასუხნათ და ხალხს საყოველთაო სახალხო აჯანყებისკენ მოუწოდა.

თუ მენშევიკებმა დასავლეთის იმპერიალისტები იხმეს, ქართველმა ბოლშევიკებმა გადაწყვიტეს, საქირო შემთხვევაში საბჭოთა რუსეთისთვის ეთხოვათ დახმარება.

ერთ დღეს სასიხარული ამბავი მოედო საქართველოს სოფლებსა და ქალაქებს. ამბობდნენ: ბორჩალოს რაიონში იარაღ-ასხმული ხალხი აღსდგა და სამკედრო-სასიცოცხლოდ შეება სახალხო გვარდისა და მენშევიკური ჯარის ნაწილებსო; აჯანყებულებმა მთელი მაზრა გაათავისუფლეს და რკინიგზის სადგური სადახლო დაიკავესო. აჯანყებულთა წითელი რაზმები ქალაქ შულავერში შეიჭრნენ და სანდარის მიმართულებით შეტევა დაიწყესო; ქართული ჯარის ნაწილებმა მთავრობას ზურგი შეაქცია და აჯანყებულებს შეუერთდნენო.

ამ ცნობამ მთელი საქართველო ფეხზე დააყენა.

ხალხი კმაყოფილებით შეხვდა კომუნისტური ორგანიზაციების მოწოდებას— „იარაღი აისხით, ყველანი წითელი დროშის ქვეშ დადგითო!“

ბორჩალოს მაზრას დღეშეთი აპყვა. აფხაზეთში, სამურზაყანოში, სამეგრელოში აჯანყების ცეცხლი ავიზვიზდა. ანტანტის სამხედრო გემები შავი ზღვის სანაპიროებს უახლოვდებოდნენ და აჯანყებულთა სოფლებსა და ქალაქებს ქვემეხებს უშენდნენ.

დადგა საკითხი — შეეძლო თუ არა ცუდად შეიარაღებულ ხალხს გამკლავებოდა მენშევიკური მთავრობის რეგულარულ ჯარებსა და ინტრიგენტების სამხედრო ძალებს? ცხადი გახდა, რომ არ შეეძლო.

გამოსავალი? მხოლოდ და მხოლოდ საბჭოთა რუსეთი. საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა ერის განსაცდელის ჟამს ვლადიმერ ილიას ძე ლენინს თხოვა დახმარება. კომიტეტი წერდა, საქართველოს მთავრობის დასახმარებლად მოიჩქარიან ევროპის რეაქციული ძალები და შეერთებული შავი ურდოების შემოტევას მხოლოდ გაერთიანებული, წითელი, სოციალისტური მხედრობა თუ აღუდგება წინო.

ამავე დროს აჯანყებულები, სადაც იმარჯვებდნენ, საჩქაროდ ქმნიდნენ რეკომიებს წესრიგის დასამყარებლად და საბჭოთა ხელისუფლების ჩამოსაყალიბებლად. რევოლუციური კომიტეტი მოსახლეობას მოუწოდებდა, შეერთებოდა აჯანყებულ ხალხს და თავი არ დაეზოგათ ქვეყნის გაათავისუფლებისათვის.

აჯანყებულთა რიგები საოცარი სისწრაფით იზრდებოდა, მაგრამ ხალხი მაინც მხოლოდ მაშინ გაიმართა წელში უშიშრად, როცა ცნობა მოვიდა, მეთერთმეტე წითელი არმია დაიძრა უთანასწორო ბრძოლაში ჩაზმულ ქართველი ხალხის დასახმარებლადო.

იმ დღეს მაცნე დილაადრიან მოვიდა სამუხაოში, დათასა და მის რაზმს საქართველოში საყოველთაო სახალხო აჯანყების დაწყება აუწყა და გადასცა აფხაზეთის კომუნისტური პარტიის საოლქო კომიტეტისა და რეკომის ბრძანება: დათას რაზმი ყოველ წუთს მზად უნდა ჰყოლოდა ახალი განკარგულების მოლოდინში.

გასახარელი ამბავი ელვის სისწრაფით მოედო სოფელს. აქამდე განუ მდგარი ადამიანებიც მოდიოდნენ ბუკიასთან და გვიმსახურეო, ეუბნებოდნენ.

ზოგს ცხენი მოჰყავდა, ზოგს მაზიდა, ზოგი „ბერდანაკი“ მოდიოდა, ზოგი სანადირო თოფსაც არ თაკილობდა.

ნაშულამევეს აქადებულნი ცხენი მოაგლო სამუხაოში ახალმა მაცნემ. რევოლუციური კომიტეტი შემდეგ ამბებს იტყობინებოდა:

საქართველოს მშრომელთა გამარჯვება უზრუნველყოფილია. აჯანყებულ საქართველოს საბჭოთა რუსეთმა მეგობრული ხელი გამოუწყოდა, დასახმარებლად წითელი ჯარები გამოგზავნა;

თუ ანტანტის გეგები აჯანყებულთა რაზმებს ზღვიდან ყუმბარებს უშენენ და მეზღვაურთა ქვეითი ნაწილების გადმოსხმას აპირებენ, წითელი ჯარის მეთერთმეტე არმიის ლეგიონებმა საქართველოს ტერიტორიაზე ფეხი შემოდგეს და მეამბოხეთა რაზმებს კვალდაკვალ მოჰყვეზიან;

აღმოსავლეთ საქართველოში მთელი კახეთი, ბორჩალოს მაზრა და საქართველოს სამხედრო გზა გაწმენდილია მენშევიკური ჯარებისაგან, აჯანყებულები და მეთერთმეტე არმიის ნაწილები თბილისის მისადგომებთან იმყოფებიან;

აფხაზეთშიც დასახმარებლად მოსული წითელი არმიის ნაწილებიც პარტიზანულ რაზმებს შეუერთდა და საერთო ძალით უტევენ ინტერვენტებსა და მენშევიკურ ჯარებს. წითელი რაზმები სოხუმისკენ მოიწვიენ. მენშევიკები გაგრაში ფიქრობდნენ წითლების შეჩერებას, ანტანტის სამხედრო საზღვაო ნაწილებს აქ მოუყარეს თავი და საშინელი ცეცხლი დაანთეს, მაგრამ ვერ შეძლეს პარტიზანული რაზმების და მეთერთმეტე არმიის ნაწილების შეჩერება. გაგრაში საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა;

მენშევიკების მესანგრეთა რაზმებმა ახალ ათონში მშვიდობიანი მოსახლეობა გამორეკეს, სახელდახელო სიმაგრეებს აგებენ. უკანდახეული ჯარები სწორედ აქ, ათონთან მაგრდებიან, აქ უნდა გაუმართონ ბრძოლა მეამბოხეებსა და მეთერთმეტე არმიის ნაწილებს.

დათა ბუკიას რაზმს ევალებოდა: თვალყური ედევნებინა ახალი ათონის ამ უბნისათვის; ახლომახლო სოფლებიდან განედევნა სავანგებო რაზმელები და გვარდიის მცირერიცხოვანი ნაწილები, რომლებიც მშვიერი მგლებივით დამარწოდნენ და მოსახლეობას ძალით ართმევდნენ სურსათ-სანოვავებს ჯარისთვის;

ათონთან ბრძოლის დაწყების შემთხვევაში მტრისთვის ზურგში მოულოდნელად უნდა დაერტყა.

იმ ღამით ორმა ცხენოსანმა საბრძოლო იარაღით დატვირთული ათი ცხენი მორეკა. ასამდე შაშხანა იყო, ბევრი ვაზნა და ხელყუმბარა, ერთიც მსუბუქი ტყვიამტრქვევი.

დათამ სასწრაფოდ აფრინა მაცნეები სოფლებში და საიმედო ხალხი იხმო. გათენებამდე ბევრი მწყემსი ჩამოვიდა მთიდან. კომბლები დაყარეს, შაშხანებს მოჰკიდეს ხელი. მეორე დღეს რაზმი უკვე ორასამდე კარგად შეიარაღებულ ვაკეკაცს ითვლიდა.

დათა და ოცულის მეთაურები ნაშულამევეამდე ბუკიას ოთახში იხსდნენ და შაშხანებს, ვაზნებსა და ხელყუმბარებს ანაწილებდნენ, საბრძოლო ღონისძიებებს სახავდნენ.

თენდებოდა, როცა დათა ტახტზე მიწვა და ნაზადი წაიხურა. იქვე მაგიდაზე სესრყვა წამოწვა. სკამლოგინზე კოსტა მოთავსდა.

დათამ კარგად იცოდა, რომ ასეთ დროს ძილზე ფიქრიც არ შეიძლებოდა. მაგრამ ისიც კარგად იცოდა, ილაჯგაწყვეტილი მუხლების დასვენება და ჩაწითლებული, ამწვარი თვალების მილულვა აუცილებელი იყო.

ბუკია ფიქრმა გაიტაცა:

სად დაიკარგა ჯოკია — აქამდე მისში ფეხით ავიდოდა და ჩამოვიდოდა კაცი. მშვიერი მგლებივით დაძრწიან ის ურჯულოები და ვაითუ გზაში რამე... მაგრამ რაღა მარიას? ნუთუ ამ ქალს ერთხელაც არ უნდა გაუღიმოს ბედმა?! იქნებ მართლა შეეყარნენ... დასცხა, ნაზადი გადაიგდო, თითქოს ზურგი დაეჭინჭრა გულამღვრეულს.

შეიძლება ხიფათს გადაეკიდნენ? შეიძლება, რატომაც არა, მაგრამ ყველანი ხომ არ დაიხოცებოდნენ? არც ერთი მათგანი ჯაგლაგზე არ იჯდა, ყველას მუხლმაგარი ბედაური ჰყავდა. ერთი

ორღე დგებუაძე  
ჩაძირული „თოლია“

მინც უნდა გამძვრალიყო, ამბავი მოე-  
ტანა. ისინი ხომ სულ სხვა გზით მოდი-  
ოდნენ, რასაც არავინ მოელოდა. ვაითუ  
ლუდა... მაგრამ მან ხომ არ იცოდა,  
ჯოკია რომ მარიას და ცუცას ჩამოსაყ-  
ვანად მიდიოდა.

ყველაფერი კარგი, მაგრამ ნუთუ ყვე-  
ლას ერთ დღეს გაუჭირდა? ნუთუ ყვე-  
ლას, ვინც საქმეზე გაიგზავნა, ერთ  
დღეს დაუღამდა?! ლუდა?! ჰო, კარგი,  
თუნდ მოღალატე ყოფილიყო ეს ქაბუკი,  
ხომ უნდა დაბრუნებულიყო? ბექვე?  
ბექვე მინც რამ გააჩერა? რა გაუჭირ-  
და. ის თუ ცოცხალია, აქამდე უნდა გა-  
მოჩენილიყო. არა, ნემსის ყუნწში გაძვ-  
რებოდა, სიტყვას არ ვატყებდა. საოცა-  
რია, დემეტრისი! თითქოს ყველანი ერ-  
თად შეიკრიბნენ და პირი შეკრეს.

იქნებ გზებია შეკრული და შორი  
გზით მოდიან. სოსუმისკენ მიმავალი  
გზები რომ შეკრული იქნება, ამას რაღა  
თქმა უნდა, მაგრამ მიმისის გზა რად  
უნდა შეეკრათ? იქნებ ისევ ცუდად გახ-  
და მარია? ალბათ ნელი ნაბიჯით, აუჩ-  
ქარებლად მოდიან, გზა-გზა ასვენებენ  
ნაავადმყოფარს. მიმისიდანაც ალბათ  
გვიან წამოვიდნენ, რომ გზაში არავინ  
შეყროდათ. ახლა რომ სოფლებში ბოზო-  
ლები, ქორგაჭრები და ამ უდღეურთა  
შეიარაღებული დამაქაშები დამარწიან?  
ჯოკია ძალზე ფრთხილი და გამოცდი-  
ლია. არ შეცდებოდა.

ბექვე? ბექვე ალბათ ღუდას დაჰყვება  
კვალდაკვალ. შუაგზაზე ხომ არ მიატო-  
ვებდა ექვმიტანილს? ყველაფერი რიგზე  
იქნება! ბუკიამ იატაკზე დავარდნილი  
ნაბდის კალთა შემოიკეცა და ისევ გაჰ-  
ყვა ფიქრებს...

რამდენი ხანია, მშობლიურ ზღვაში  
ფეხი არ ჩაუდგამს ბუკიას. „თოლიას“  
შკიპერი, რომელსაც ზღვის გარეშე სი-  
ცოცხლე არც კი უფიქრია, ახლა ტყეებ-  
სა და მთებს ისე შეეჩვია, როგორც საყ-  
ვარელ ზღვასა და „თოლიას“.

„თოლიაზე“ და ზღვაზე ფიქრს გაურ-  
ბის შკიპერი. დიახ, გაურბის, რომ გუ-  
ლი არ დაეწვას, სული არ შეეხუთოს.  
ლამაზი და მკვირცხლი კატარდა, მერც-

ხალივით სწრაფი და საიმედო „თოლია“  
ისე გამოიტყრა დათამ, როგორც ზღვის  
წიაღში დაკარგული პირმშო.

მეგობრები? დათას ღვიძლი ძმები?  
როგორ შეეძლო ეფიქრა ბუკიას, რომ  
უნიათოდ შესძლებდა ეცხოვრა. ანტონი!  
მისი ყველაზე უფრო ახლობელი ადამი-  
ანი. რულმოსულ დათას გაეღიმა, ჩემი  
ტიპიყინაო, წაიხურჩულა და შეიშმუშნა.  
მერე მოუსვენარი პანტი დაუდგა თვალ-  
წინ. დინჯმა და კეთილმა დიანოზმაც  
თავი გაახსენა. არც პატარა გოგი თე-  
ლია დავიწყნია, სოსუმში მძინვარე  
ზღვას ხელიდან რომ გამოსტაცა.

ბუკიამ ღრმად ამოიხორა.

მერე ისევ „თოლია“. სოსუმის ნავ-  
მისადგომთან ჩაძირული, სწრაფმავალი  
კატარდა, ზღვის ფსკერზე დაგდებული,  
ყველასაგან დავიწყებული. დავიწყებუ-  
ლი?! არა, ჯერ გაუთუნდეს ქვეყანას და  
ვნახოთ. „თოლიამ“ ისევ ისე უნდა ინა-  
ვარდოს, ისევ ბუკია უნდა იყოს მისი  
შკიპერი, ისევ გერგედა უნდა იღვეს სა-  
ტესთან, ძრავასთან პანტი, იალქნის ქვეშ  
დიანოზი, გოგი, ბიჭები, ძმები, ერთი  
დედისაგან ნაშობი ძმები. აბა რა! სხვა  
რა უნდა ბუკიას? ბუკიას თავისუფლება  
უნდა, „თოლია“, ზღვაზე ნავარდი უნდა  
და სხვა არაფერი.

ნეტავ სად არიან ახლა სამშობლოდან  
განდევნილი ბიჭები? იქნებ ბედმა არ  
უმტყუნოს და მალე ნახოს ისინი. დათას  
ისევ გაეღიმა. ისევ შეიშმუშნა რეიზი და  
თვალეები გაახილა.

მკრთალი ნათელი ფანჯარაში ქურ-  
დულად მოიპარებოდა. დათამ თვალეები  
ისევ დახუჭა, მაგრამ წინ ისევ ის ადა-  
მიანი დაუდგა, ვისზედაც ფიქრს გაურ-  
ბოდა ამ ღამით. მარიას ნაავადმყოფარი,  
უფერული სახე ჰქონდა, მაგრამ ისეთივე  
ლამაზი და მიწილდელი იყო, როგორც  
ყოველთვის...

სესრყვამ ხვრინვა ამოუშვა.

მამლები აყვილდნენ. ფანჯარაში ალი-  
ონის შუქმა შემოიჭყიტა. ვიღაცამ ყუ-  
რისწამდებლად დაუსტვინა და სესრყვაც  
ზეზე წამოიჭრა. ეზოში ძალღი აყვიდა.

შეუტია ვილაცას. ეზოს გადაღმიდან ხმა გაისმა.

— მოდიან, აბა, ხომ არ გატყუებ, შე კაი კაცი! — გაიძახოდა ვილაც და კიბეზე ამორბოდა.

მეთაურებიდან ვაჰანს არ უნდა სძინებოდა ამაღამ, თავისი ოცუელით სამუხაოში მორიგეობდა.

კოსტა წამოჯდა, კარს მიაცქერდა. დათამაც თავი წამოსწია: ვაჰანი ზღურბლზე შედგა, ბიჭები მოდიანო, შემოსძახა ოთახში და შებრუნდა, მაგრამ სესრყვამ წასვლა არ აცალა:

— ვინ ბიჭები?

— ჯოკია!

— კიდე ვინ? — არ ეშვებოდა სესრყვა და თან ცალი თვალით მეთაურისკენ იყურებოდა.

— ჯოკია, ჩვენი რაზმელები, ქალები. ბექვე და კიდე ვილაც უცხო კაცი.

— ბექვე?

— დიხ, ბექვე! ორი თუ სამი შეკაზმული ცხენიც მოიყვანეს.

დათას უკვე კიბე ჩაერბინა და ღია ჭიშკარში შემოსულ მხედრებს ეგებებოდა. ბუკიას კორტა მოსდევდა. ეზოში რაზმელებს მოეყარათ თავი.

სიხარულით სავსე თვალეები შეავლო დათამ მოსულთ. დაჭრილ მეწისქვილეს გადახედა და ვინ არისო, ჰკითხა ჯოკიას.

— მე მეწისქვილე ვარ, გვარად ჭაფანძე, დათა ბატონო, — უთხრა ნესტორმა, სანამ ჯოკია პასუხს გასცემდა.

— საიდან იცი, მე რომ დათას მეძახიან?

— გიცანი, ჩემო ბატონო. სხვა ვინ უნდა იყოს ასეთი ზორბა ვაჟაკი, თუ არა დათა ბუკია, მენშევიკებს რომ ძილს უფრთხოვს.

— ვინ არის-მეთქი! — მოუთმენლად გაუმეორა კითხვა დათამ ჯოკიას, და სახეზე შეეცყო, ეს ენაჭარტალა კაცი თვალში რომ არ მოუვიდა.

— მართალს ამბობს, მართლა მეწისქვილეა, ჭაფანძეა გვარად, ნესტორს ეძახიან, — უპასუხა ჯოკიამ და ბექვეს გადახედა, სხვა სათქმელი შენ უთხარიო. დაღვრემილი ბექვე ღუმდა, ღუღას

ამბავი ჯერ კიდევ ვერ მოენლეგინა, არ იცოდა, საიდან დაეწყო, რა ეთქვა მეთაურისთვის. ამ გამბედავი, უშიშარი ჭაბუკის ღალატი გულს უხოკავდა. აქამდე რატომღაც სჯეროდა, რომ ყველა მოღალატე ლაჩარი იყო, საკუთარი ღანდისა ეშინოდა. მაგრამ ღუღამ მწარედ ჩააუქრა ეს გამოჯაგული, ბევრის მნახველი „ხელმარდი“. მიხედა ჯოკია, რომ „ხელმარდი“ ხმის ამოღებას არ აპირებდა და თვითონ დაიწყო:

— ჩვენ ამ კაცის წისქვილში შევისვენეთ და იქ თორია დაგვესხა თავს...

— თორია! — წამოიძახა დათამ და შეიმართა, მარიას ისე შეხედა, თითქოს მისი აქ ყოფნა არა სჯერაო. სხვებმაც შეათვალღიერეს მეგობრები, როცა ყველანი უკლებლივ დაინახეს, სული მოითქვეს.

— მერე? — იკითხა მეთაურმა.

— მერე მეწისქვილემ თავი გასწირა, დაგვეხმარა. ბექვე და ღუღაც მოგვეშველნენ. ერთი სიტყვით, ბევრი ვიბრძოლეთ და როგორც იყო, გადავრჩით.

— თორია?! — გაფითრებულმა დათამ სული მოითქვა. მერე მარიას მიუბრუნდა და თვალეში სიხარული ჩაუდგა.

ცუცას კარგად ჩაესმა მეთაურის გულის ნათქვამი და ცისკარივით ნათელი თვალეებით შეება მის მომწუსხავ ვაჟკაცს. ბუკიამ თვალი ვერ წაართვა ანთიას ქალის მხერას. თვალეში ჩახედა და თავი დახარა, შეწუხდა რატომღაც.

— თორია გაიქცა. ეს ცხენები და მკვდარი არაჩემია დაგვიტოვა, — ჯოკიამ დათას ცხენები ანიშნა და ჩამოქვეითდა.

საბურას ქალმა ცხენიდან გადმოსვლა დააპირა, უზნაგიდან ფეხი გამოიღო. აფხაზი ქალთან მიიჭრა, ხელი გაუწოდა, გადმოსვა.

ბექვე და რაზმელები ჩამოქვეითდნენ.

ცუცამ ბედაური შეაყენა, უნაგირიდან გადმოიწია, ხელი ბუკიასკენ წაიღო, მომეშველეო. მეთაურმაც არ დააყოვნა,

ორდე დგებუაძე  
ჩაძირული „თოლია“



მიეშველა. როცა ანთიას ქალმა ფეხი მიწაზე დადგა, ჯანგამოლეულივით წაიფორხილა, ფერი ეცვალა, შუბლზე ხელი გადაისვა.

სანამ ქალმა თვალი არ გაახილა, დათა არ განძრეულა, მერე მრავლისმეტყველი მზერა მიაპყრო და ხმადაბლა ჰკითხა: რა იყო, რა მოგივიდაო. ქალი ახლა ისეე შუბლს წაეტანა, მოისრისა, მძიმედ ამოიოხრა, დავიღალეო, უბასუხა დათას და ოდნავ ათრთოლებული ბაგეებიდან მისდაუნებურად გადმოცდა: ეჰ, ნეტავ თორიას ტყვიას მოვეკალიო. მერე უფერული ღიმილით შეხედა მეთაურს და ბროლის კბილები გამოაჩინა. მიიხედ-მოიხედა, საბურას ქალი დაინახა და ყველას გასაკონაღ თქვა, ამდენი გაჭირვება მართლაც რომ სიკვდილს მოგანატრებდსო, და დათას ზურგი შეაქცია, მარიასთან მივიდა.

— ღუდა სადღა? — იკითხა ბოლოს დათამ და თვალი ბექქვეს დაადგა; უხერხულად შეიშმუნა „ხელმარდი“, მორიდებული მზერით გადახედა კრებულს, რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ ჯოკიამ დაასწრო:

— ღუდა რომ არა, ასე ადვილად ვერ გავუსხლტებოდით ხელიდან თორიას.

— ის ყმაწვილი ნამდვილი გმირია, დათა, ტყვიას ისე აბუჩად იგდებდა, ცხენიდან გადმოსვლაც არ იკადრა! — აღტაცებული ხმით წამოიძახა მარიამ და დათასთან ახლოს მივიდა, მონატრებული თვალით ახედა ქმარს.

დათამ ისეე სათითაოდ შეხედა ახალ-მოსულებს, მხრები აიჩჩია, არაფერი მესმის, ღუდა თქვენთან საიდან გაჩნდაო.

— ამაზე ცალკე მოგახსენებთ, — უბასუხა „ხელმარდი“, წრე გაარღვია და ოდა-სახლისკენ წავიდა. ჩაფიქრებული დათა ნელი ნაბიჯით გაჰყვა.

...მთელი დღე რაზმი ახალი მაცნეს მოლოდინში იყო, მაგრამ დამდებოდა და არავინ გამოჩენილა. სამუხაო და ახლომახლო სოფლები მენშევიკების ჯარის ნაწილებსა და სახალხო გვარდიელებთან შეზმის სამზადისში იყო. ბარიდან გამოქცეული ახალგაზრდები ამბობ-

დნენ: მთავარ გზატკეცილთან ახლომდებარე სოფლებს მთავრობამ დამსჯელი რაზმები შეუსია, მამაკაცებს ახალათონთან სიმაგრის ასაშენებლად მიერეკებიანო. ვინ იცის, იქნებ მთაში ამოსვლაც გაბედონო, ფიქრობდნენ სამუხაოსა და მეზობელ სოფლებში და მტრის დასახვედრად ემზადებოდნენ.

თუმცა სამუხაოს ყველაფერი ჰქონდა დათას არც ისე მრავალრიცხოვანო რაზმის გამოსაკვებად, მაგრამ მეზობელი სოფლის მაცხოვრებლებს უნდოდათ მათი გულის სითბოც ეგრძნოთ ბუკიას და მის თანამებრძოლებს. მოჰქონდათ მჭადის ფქვილი, შაშხი, ყველი, თაფლი, ღვინო, არაყი; მოჰყავდათ საკლავები: ძროხები, თხები, ღორები. ერთი სიტყვით, მოდიოდა ყველაფერი იმდენი, რამდენიც პარტიზანებს კი არა, მთელ სამუხაოს ერთ ზამთარს ეყოფოდა.

სალამოს მაცნემ სასიხარულო ამბავი მოიტანა: აჯანყებულები და წითელი არმიის ნაწილები საქართველოს დედაქალაქ თბილისში შევიდნენო.

თუმცა ბნელოდა, მაგრამ დათამ მოედანზე რაზმი შეკრიბა. მთელი სოფელი მოედნისკენ დაიდრა. მოდიოდნენ ჭრაქებით, ყინკლილებით. დათამ ხალხს გამარჯვება მიულოცა, გამოსთქვა რწმენა, რომ რაზმი უკანასკნელ, გადამწყვეტ ბრძოლაშიც თავს ისახელებდა.

სოფლის თავკაცებმა ღვინით სავსე კასრი მოაგორეს. მერიქიფენი ყოშის შეევსებას ვერ ასწრებდნენ. ბავშვები ჩირითა და ჯანჯახით სავსე ბარქაშებით დარბოდნენ.

ახალ, საბჭოთა საქართველოს დღეგრძელობა უსურვეს. წითელი არმიის გამარჯვებისა დალიცს.

სოფლელებმა მოედანზე ცეცხლი ააგოზივნეს. მღეროდნენ, თამაშობდნენ, შაირებში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს.

დათა ბუკიამ როგორც იყო დაიმართოხელა მაცნე. გარდა თბილისის გათავისუფლებისა, მან აცნობა: გაგრის რაიონში საფრანგეთისა და ინგლისის გემები წითელი არმიის ნაწილებსა და აჯანყებულებს ყუმბარებს ესვრიან. ბე-

რი მებრძოლი დაჰკარგეს ჩვენებმა. მდინარე ბზიფის გადმოლაზვის დროს წითლებს ქიმიური ყუმბარები დაუშინესო უცხოეთის გემებმა.

— მერე?!

— მიუხედავად ყველაფრისა ჩვენები წინ მოიწვევენ.

— ჩვენი ჩვენ რაღას ვუცდით?! — დათას ბოღმა მოაწვა. ასეთ უსამართლობას იქ, ზღვაში, არავის მოუთმენდა, მაგრამ აქ რა ექნა. რევეკომს რად ვავიწყდებით?!

— თქვენი ჯერიც მალე დადგებაო, — მაცნე კარგად იცნობდა ბუკიას და ძალზე თავაზიანად, მორიდებულად პასუხობდა.

— როდის?! იქ გააფთრებული ბრძოლებიაო, მითელიან და... იქნებ წინილად ჩადებას გვიპირებენ, აა? თუ ასე გაგრძელდა, მებრძოლებს სისხლი გაუცივდებათ და შეიძლება საბრძოლველად არც კი გამოდგნენ. — დათა ხმადაბლა ლაპარაკობდა, მაგრამ გული რომ საგულეში არ ეტეოდა, მაცნეც კარგად ამჩნევდა. — მე რომ შემეძლოს, ამაღამვე დაძვრავდი რაზმს, გუმისტას ზემოდან მოფეულიდი, ბზიფის სათავესთან ვავიდოდი, შერე დასავლეთისაკენ ჩავჭრიდი გზას და მტერს ზურგში ისე დავარტყამდი, ახალ ათონში გამაგრება არც კი ეფიქრა...

— აქაც ბევრი საქმეა, ამხანაგო ბუკია.

— რა საქმე?! ჩემს ბიჭებს ბევრი ძილისაგან თვალეები დაუსივდათ. — დათამ ერთ ხანს უხმოდ იარაოთახში, მერე ფანჯარასთან შედგა, ეზოს გახედა. — როცა ჩემი ჭკუით ვმოქმედებდი, მენშევიკებს ჩვენი რაზმის შიშით ტკბილად არ სძინებიათ, ახლა კი ახალ-ახალი ცნობებით გვეკვებავენ და ევ არის. — შემობრუნდა, მაცნეს გულაღალად გაუღიმა. — ავევირდე, დათა გულფიცხი კაცია, არ უყვარს დისციპლინაო, იტყვიან, რა მეთქმის... — შემობრუნდა, ისევ ფანჯრისკენ წავიდა დინჯი ნაბიჯით.

— რატომ! საგანგებო დავალებაც მოგიტანეთ, ამხანაგო დათა. — სიტყვა მორიდებულად გააყოლა ბუკიას და წა-

მოდგა. მეთაური შედგა, მაგრამ უკან არ მოუხედავს. ყური ხომ არ მატყუებსო, გაიფიქრა.

მაცნე დათას მიუახლოვდა და ჩურჩულით უთხრა:

— დრანდას ახლოს, იქ, სადაც კოდორი ზღვას ერთვის...

— ხმას აუწიე, რისი გეშინია? — მეთაური შემობრუნდა, ფანჯრის რაფას ზურგით მიეყრდნო, — აქ ჯაშუშები ხომ არ გეკულებათ?

მაცნე შეიშმუნა, ჩაახველა, ხმას აუწია:

— დიახ, იქ, სადაც კოდორი ზღვას ერთვის, ორანძიანი სანდალი „ურეკი“ ზღვაში ჩასაშვებად გამზადებულია დგას. ეს სანდალი ორი კვირის წინ უნდა ჩაეშვათ ზღვაში, მაგრამ რატომღაც დღემდე ადგილიდან არ დაძრულა. როგორც გამოირკვა, მისი ზღვაში ჩაშვება ფრონტის სარდლობის განკარგულებით შეაჩერეს. რევეკომში სარწმუნო წყაროებიდან მიღებული ცნობებით დადასტურდა, რომ „ურეკი“ საჭურვლითა და ფრონტისათვის საჭირო სხვა მასალებითაა დატვირთული და ხვალ, გათენებამდე, ახალი ათონისკენ გაუდგება გზას.

— რატომ ზღვით, ასე მალულად?

— ხმელეთით პარტიზანული რაზმების შიშით ვერ გაუბედათ. ზღვაში უზრუნველყოფილი არიან, ინგლისისა და საფრანგეთის ნაღმოსნები დაიცავენ.

— გასაგებია. მერე?

— მენშევიკები, როგორც მოგეხსენებათ, ახალ ათონთან მაგრდებიან, იქ აპირებენ ჩვენი პარტიზანული რაზმებისა და წითელი ჯარის ნაწილების შეჩერებას.

— ებ ვიცი.

— ჰოდა, თუ რამე არ ვიღონეთ, „ურეკი“ ხვალ ახალ ათონში იქნება და ჩვენს დასახოც ტვირთს გვარდიელებს მიართმევს.

ორღე დგებუაქე ჩაძირული „თოლია“



— ხვალ... — დათამ შუბლი შეიკრა, ჩაფიქრდა. ერთი ხნის სიჩუმის შემდეგ მაცნეს შეხედა: — ხვალ არა... — ჩაილაპარაკა.

— „ურეკი“ ზღვაში უნდა გავიდე, მაგრამ აქ რა ექნა.—რევეკომს რად ვავიწიოს.

— როგორ?!

— როგორც გენებოთ, ეგ უკვე ბუკიას საქმეაო, თქვეს რევეკოში.

— ხმელეთზე რომ აფეთქდეს, ან დაიწვას?

— არ არის სასურველი. მენშევიკების დამსჯელი რაზმები უბრალო მიზნებს ეძებენ, რომ ბოლშევიკურად განწყობილი ადამიანები აწამონ, დახვრიტონ, სოფლები გადაწვან, მოსახლეობა ააწიონ. ჩვენ რომ ამდენი საპურველი, ტყვია-წამალი ავაფეთქოთ, დრანდას კი არა, მთელ რაიონს ააოხრებენ.

— რამდენი კაცი იცავს სანდალს? — იკითხა ბუკიამ.

— ხალხის ყურადღება რომ არ მიიქციონ, „ურეკთან“ მხოლოდ ორი თუ სამი კაცია, ამ სანდლის მეზღვაურები არიან. ამბობენ, იქვე, ახლოს, მესაზღვრეთა მცირერიცხოვანი ნაწილი დგასო. ისინიც იცავენ „ურეკს“.

— „ურეკის“ მეზღვაურები?!

— ისინი რევოლუციებით არიან შეიარაღებული, იარაღს მალულად ატარებენო...

— „ურეკი“, როგორც მახსოვს, ანაკლიელ მესანდლეს უნდა ეკუთვნოდეს, — ჩაილაპარაკა დათამ და კეფა მოიფხანა.

— დიახ, ვინმე ახალაია ყოფილა ამ სანდლის რეიზი, სახალხო გვარდიელი, დაჯერებული მენშევიკი...

— სხვა არაფერი იცით „ურეკის“ შესახებ? — ჰკითხა ხმადაბლა დათამ.

— როგორ არ ვიცი, — ამბის მომტანმა ხელი გულისჯიბეში ჩაიყო, ოთხად გადაკეცილი ქალღი ამოიღო, ბუხართან მივიდა და აბოლებულ ლამპასთან დადგა. დათა გვერდით ამოუდგა, გაშლილ ქალღის დააცქერდა. — აი, სანდალი, — დაიწყო ამბის მომტანმა, — აი, ეს — საჩვენებელი თითი დაადო ნა-

ხაზს — „ურეკის“ კეჩოსთან რომ <sup>სამა</sup>სამა კუთხედს ხედავ, კარავია, პატარა კარავი, ინგლისური ქსოვილისგან ნაკეთები. სულ ორი კაცი ეტევა. როცა ამ კარავში ერთი დარაჯი ისვენებს, მეორე ნავს გარშემო უფლის. ასე რომ ეს ორი კაცი რიგრიგობით დარაჯობს „ურეკს“.

დათამ მაცნეს ქალღი უსიტყვოდ გამოართვა. გულდასმით დააცქერდა ნა-ხაზს, მერე ამბის მომტანს მიუბრუნდა და ჰკითხა:

— სანდალი ახლოს არის შესართავთან?

— დიახ, იქვეა. მდინარის მარჯვენა ნაპირზე. არ არის საქებარი.

— კეთილი. იქნებ იცოდე, მესაზღვრეთა ნაწილი „ურეკიდან“ რამდენი მანძილით იქნება დაშორებული?

მაცნემ დახედა ქალღის და ნახაზის მარცხენა კუთხეს თითი დაადო:

— ეს ჯვარი „ურეკია“, ეს ხაზი მდინარეა. აგერ, რიცხვი ასი, მერე ასორმოცდაათი წერია, პირველი რიცხვი მდინარისა და სანდალს შუა მანძილის მაჩვენებელია. როგორც ხედავ, მესაზღვრეთა ნაწილიდან „ურეკამდე“ ასორმოცდაათი ნაბიჯია.

მეთაურმა არაფერი უთხრა ამბის მომტანს. ქალღი უხმოდ დაკეცა, გულისჯიბეში ჩაიღო.

— ჰო, კარგი, ვაკვივ. შენ კი, ძმობილო, გადაეცი რევეკომს, რომ ჩემთვის ყველაფერი გასაგებია, მოახსენე, რომ „ურეკი“ ახალ ათონამდე ვერ მიადღეწეს! ისიც უთხარი, რომ ჩვენ ასეთ ღროს სამუხაოში დიდხანს უსაქმოდ ყოფნა არ შეგვიძლია. — ახლა კეთილმა ღმირმა გაუპო ბაგე და მაცნეს ხელი გაუწოდა, კეთილი მგზავრობა უსურვა და კარებამდე ისე მიაცილა, თითქოს უნდა, რაც შეიძლება ჩქარა მოიშოროსო.

ამბის მომტანმაც აივანი ისე ჩაირბინა და ეზო ისე დატოვა, რომ არავის მოხვედრია თვალში.

დათა სწრაფად გამობრუნდა, ჯიბიდან ქისა ამოიღო, მაგიდას მიუჯდა და თამბაქოს შეხევეას შეუდგა ჩაფიქრებულნი.

ბუხრის თავზე პატრუქაწეული შუშა-ჩამტყდარი ლამაზა უმოწყალოდ ბოლაგადა. დათამ ახლა შენიშნა, ბულდამდგარ ოთახში ჭვარტილი ბერნასავით რომ ირეოდა. ფანჯარა გააღო, ლამაზა ბუხარში შედგა და აივანზე გავიდა. კარი ღია დატოვა, ოთახი ორჭოლ ქარს მიანდო. მოაჯირს გადაეყუდა. ერთ ხანს არ განძრეულა, მერე შარვლის ზედა ჯიბეში საათის თანმას სწვდა, მაგრამ გაახსენდა, რაღაც ათიოდე წუთის წინ რომ დახედა საათს. ახლა ათი საათი თუ იქნებაო, გაიფიქრა და კიბის თავზე დადგა, ბოძს მიეყუდა.

ქვით შემორაგული ეზოს ჭიშკართან რამდენიმე რაზმელი იდგა და ხმადაბლა მუსიანობდა. ეზოს გადაღმა, მოედანზე, ხალხი ხმაურობდა. ბიჭებმა ხომ არ დალიესო, გაუელვა დათას თავში, მაგრამ მოაგონდა, წესრიგის დაცვა კოსტა კორტას ჰქონდა დავალებული და დამშვიდდა — მან კარგად იცოდა, ძველ მეზღვაურს არაფერი გამოეპარებოდა.

თბილოდა. მოწმენდილ ცაზე ვარსკვლავები უხვად ციმციმებდნენ და ილიმებოდნენ ისე, თითქოს ისინიც ქვეყანას გამარჯვებას ულოცავენო.

ჭიშკართან დათამ ვაჰანი შეიცნო და იხმო.

დანელიანცმა კიბე ამოირბინა.

— შევექოთი მინდა, ვაჰან! — უთხრა ბუკიამ ისე ხმადაბლა, რომ არ შეიძლებოდა სომეხ ჭაბუკს არ გაკვირებოდა.

ავად ხომ არ არის მეთაურიო, იფიქრა და დააკვირდა. ვაჰანი დამშვიდდა მაშინ, როცა დათას შეკრული შუბლი და ჩაფიქრებული, შორსმჭვრეტელი თვალები შენიშნა. როცა ვაჰანმა წასვლა დააბირა, მკლავზე ხელი წააგლო, შემოაბრუნა. ჭაბუკი წინ მორჩილივით დაუდგა, გაულიმა. — ვაჰან, სახიფათო საქმე მომანდეს, მეტად სახიფათო და ამ საქმეზე შევექოთისა და სესრუფას გავზავნა გადაეწავიტე, მაგრამ სესრუფა ფიცხია და ვაითუ... — ისევ ჩაფიქრდა, შუბლი შეიკრა, თვალები მოჭუტა.

ვაჰანი აიღეწა. ნუთუ მე ვავიწყდებიო მეთაურს.

— ეს ისეთი საქმეა, მარტო გულადობა არ იკმარებს. გულადობასთან სინდინჯეა საჭირო.

— რა საქმეა ასეთი? — იკითხა ვაჰანმა თითქოს სხვათაშორის და ბუკიას თვალი მოარიდა, ეზოში გადაიხედა.

დათა ცოტა ხანს დუმდა.

— საქმეზე მერე, შევექოთთან, — ბუკიამ ულვაშზე ხელი გადაისვა, ვაჰანს გამომცდელად შეხედა. — იქნებ შენ წახვიდე, ბიჭო, შენი გულადობა მჯერა...

— თავს არ დაეზოვავ, მეთაურო.

— ჰო, კარგი, წადი, შევექოთი მიხმე, ოღონდ არავის არაფერი უთხრა, იცოდე...

ვაჰანმა სიტყვის დამთავრება არ აცალა მეთაურს, კიბეზე მოწყვეტით დაეშვა.

\*

...ორმა მხედარმა მდინარე აცვარა გადალახა და კალაპოტგანიერი კოდორის ნაპირს ჩაჰყვა. ისინი სწრაფ წყალს მიჰყვებოდნენ, ბედურები ხან ავარდნილი თოხარივით მიჰყავდათ, ხან დაოთხებით. დიდხანს იარეს ასე, მერე თემშარას გადაღმა პატარა ტაფობი ნახეს, შეუხვიეს და ჩამოქვეითდნენ. ესენი იყვნენ შევექოთი და ვაჰანი.

— არ ვიცი, ღმერთმანი, შემრჩა ფეხები თუ აცვარაში ჩავტოვე, — ჩაილაპარაკა ერთმა მგზავრმა და ჩაიკეცა, კვირისთავი დაიზილა.

შევექოთიც დაჯდა, ვაჰანის ფეხს ისე მისწვდა, თითქოს შემის ნაჭერს წაეტანაო და ჩექმა უხეშად წააბრო, ჭაბუკს სიმწრისაგან სახე დაემანუა.

ლაზმა შარვლის სველი ტოტები გაუსწორა ამხანავს, ჩექმები ცხვირსახოცით ამოუწმინდა, ამოუშრო. მერე ისევ ვაჰანთან ჩაჯდა, გაყინული ფეხები უზილა ერთ ხანს. გაუთბო, ნაბადი შემოახვია, ასე იყავი ცოტა ხანსო, დაარიგა.

სანამ დანელიანცს ფეხები გაუთბებოდა, შევექოთმა ცხენები ტაფობზე ატა-

ორდე დგებუაძე  
ჩაძირული „თოლია“



რა და თვითონაც ცელქი ბავშვივით იხტუნა.

მხედრები ისევ მოახტნენ ბედაურებს და ისევ გააჭენეს თემშარაზე. მალე ზღვის გაბმული ხმაური მოესმათ. მდინარე კოდორს გვერდი აუქციეს და ჩრდილო-დასავლეთისაკენ აიღეს გეზი. ზღვის ყრუ ხმაური თანდათან მატულობდა.

— ზღვა ღელავს.

— კარგია, რომ ღელავს. — შევექოთ-მა ცას ახედა. თხელი ღრუბლები ცხერის ფარასავით აშლილიყო. — ნეტავ ღრუბელი შეიკვრებოდეს და სიბნელე ჩამოწვებოდეს.

— ახლა სიბნელე ყველაფერია.

— ზღვის ხმაურში მიპარვა არ გაგვიჭირდება, თუ სიბნელეც ჩამოწვა, ჩვენს ბედს ძალე არ დაჰყვას.

— თუ ჩამოხნულდა, ქრისტე ღმერთი ჩვენსკენ ყოფილა.

— ქრისტე რა სათქმელია, ბედი გვექონია და ეგ არის... მაგრამ მოიცა, — წინ მიმაგალმა ვაჰანმა ცხენს კისერი მოუგრინა, შევექოთმაც შეაყენა ბედაური. გაისუსნენ. მართლაც, ცხენების ფეხის თქარათქური ახლოვდებოდა. ლაზმა მიიხედ-მოიხედა. ვაჰანმა დამზაჩა იძრო. ცხენი გზის ნაპირისკენ გასწია. მომყევით, უთხრა ჭაბუკს და ბედაური თხრილზე გადაახტუნა, ბუჩქებში გაძვრა და ქაშანზე გავიდა. უკან მოიხედა. ვაჰანის ბედაურს შევექოთის ცხენის გავაზე მიედო თავი და წინ მიმაგალს ფეხაწყობილი მოჰყვებოდა.

ლაზმა აღვირი მოზიდა. ვაჰანმაც შეაყენა ბედაური. უცხო მხედრებმა ჩორთით ჩაატარეს ცხენები.

— ოცდაათამდე იქნებიან.

— მეტია.

— გვარდიელებია, ნეტავ?

— ჩვენები ასე ფეხაწყობილად ვერ ატარებენ ცხენებს.

— სხვა ვინ უნდა იყოს? — გაიკვირვა ვაჰანმა და წინ წასულ შევექოთს აედევნა.

— ნამდვილად დენიკინელთა ცხენოსანი რაზმია. მათ შეუძლიათ ასე სია-

რული. ისინი ხომ მეფის რეგულარული ჯარის ნაწილებიდან არიან.

შეჩერდნენ. მიიხედ-მოიხედეს. ირგვლივ სიჩუმე იდგა. ზღვის გაბმული, ყრუ ხმაური თუ არღვევდა მყუდროებას. სადღაც ქორი ღვარძლიანად ეხმინებოდა მეფეშალიას.

— აბა, ვიჩქაროთ, — მიუჯდო სიტყვა შევექოთმა და ცხენს ქუსლი ჰკრა.

— სად მიდიოდა ნეტავ ის რაზმი? — იკითხა ვაჰანმა.

— ზურგის გამაგრებას ფიქრობენ. დათამ ხომ გვითხრა, ახალ ათონთან აპირებენ შებრძოლებასო.

— გასაგებია, მაგრამ რაღა თეთრ-გვარდიელები უნდა იყვნენ. სად არიან ჩვენი ჯარის ნაწილები...

— მართლა არ იცი, თუ მე მცდი, ბიჭო?!

— თითქოს ვხვდები, მაგრამ მეშინია, არ შევცდი!

— აბა, რა იცი?

— ქართველებს არ ენდობიან. ხომ გახსოვს, მაცემე ამბავი მოიტანა, ქართული ჯარის ნაწილები აჯანყებულეების მხარეზე გადადიანო?

...დრანდას ჩაუარეს. შარავზა გადასჭრეს. ერთ ხანს შამხნარზე იარეს და როცა თვალწინ ზღვის ნათელითა და მთვარის შუქით განათებული ქვიშნარი გადაეშალათ, ცხენები შეაყენეს.

მხედრებმა ზღვის ნაპირს თვალი ააყოლ-ჩააყოლეს. ორასიოდე ფეხის ნაბიჯზე ზვინივით იდგა რაღაც. ისევ შამხნარს მიაშურეს. ფრთხილად იარეს და იმ „რაღაცას“ დაუპირისპირდნენ, შორიდან ოჩოკოჩივით რომ მოჩანდა.

— თვალმა არ მოგვატყუა.

— სანდალია.

— კარავი სადღაა?

— ვერა ხედავ, კიროსთან რომ დგას გაფხორილი ინდაურივით?!

ვაჰანი ცხენიდან უსიტყვოდ ჩამოხტა, იქვე ტანდაბალ მურყნის ტოტს სიმაგრე მოუსინჯა და სადავე ზედ შეაგდო. შევექოთივ ჩამოქვეითდა. ცხენს განიერი ყუთი მოხსნა, შეათვალერა, ზონარი მოსინჯა.

შამხნარიდან ქვიშნარზე ჩაცურდნენ. სანდალს თვალდაუხამხამებლად შეცქეროდნენ ერთ ხანს. ქვიშნარიდან ყველაფერი უფრო თვალნათლივ ჩანდა. ზღვის მიბნედილ სინათლეზე არჩევდნენ, თუ როგორ უფლიდა სანდალს ახმახილანდი ნავის ცხვირიდან კიჩომდე. ხან კარავთან შედგებოდა მცირე ხნით, ხან სანდლის ცხვირთან. მერე ზღვისკენ ჩაუხვევდა, თვალს მიეფარებოდა, მაგრამ არ აგვიანებდა, ისევ ისე გამომჩნდებოდა.

გუშაგმა სამჯერ თუ ოთხჯერ შემოუარა ნავს. შედგა. გაიზმორა, მიიხედ-მიიხედა. მერე საკვესი ააჩხაკუნა, აბედს მოუკიდა, თუთუნს გააბოლა.

— ძილი ერევა! — წასჩურჩულა შევქოთმა ვაჰანს.

— სანამ ძილი მოეროდეს...

— ერთ-ორ ნაფაზს დაარტყამს და ნახავ, ძილმა თავი თუ არ წაართვას.

სიგარამ ხარის თვალვით დაიბრიალა.

— ნახე, რა სულწასული ექაჩება თუთუნს. — ისევ წასჩურჩულა ლაზმა მეგობარს.

ლანდი ისევ სანდლის ცხვირისკენ დაიძრა. ისე წავიდა, თითქოს ვიღაც ეზიდებო. ათიოდე ნაბიჯი გადადგა და მოიკაკვა, დააბატარავდა.

— ალბათ დაჯდა. იქ სკამი ან კუნძი იქნება. მაგრამ ამას ჩვენთვის მნიშვნელობა არა აქვს, — ჩურჩულებდა ლანდს მიჩერებული შევქოთი.

— რამდენი ხანი უნდა ვიცადოთ... ან როგორ გავიგოთ, როდის ჩაეძინება იმ მამაცხოვნებულს, — აღმოხდა ვაჰანს.

კიდევ დაიბრიალა სიგარამ და ნელა, სულ ნელა ძირს დაეშვა, ლანდის ფეხთან შეიკალა თვალის ნელ-ნელა ჩაჰქრა.

— ჩაეძინა, — ჩაულაპარაკა შევქოთმა ვაჰანს და წინ გაჩოჩდა. ყუთიც ათორია, ამხანაგს მოხედა, თავის აქნევით ანიშნა, მომყვირო.

როცა ვაჰანი გაუსწორდა, ეს ნაბდები ნამდვილად გვააშკარავებსო, წასჩურჩულა ლაზმა და თექიდან ლოკოკინასავით გამოძვრა. ვაჰანიც ასე მოიქცა. მიწაზე დადებული ორი ნაბადი ათიოდე

ნაბიჯით ჩამოიტოვეს და შესდგნენ. სულგაკმენდილი გაერთხნენ სილაზე.

— ყური დამიგდე, ვაჰან! — შევქოთი სანდალსა და ჩაძინებულ დარაჯს თვალს არ აშორებდა. — მე ახლა სანდლისკენ ისე გავცურდები, შენც ვეღარ დაინახავ. აბა, ნახე, ჩემი ხალათ-შარვალი როგორ შეეხამება ამ ქვიშას. შენ აქ იწექი. თუ კარავში არავინ არის, რაღაც ათ-თხუთმეტ წუთში „ურეკს“ ძირს გაეზებურღავ. ნაბურღს შავი ნაჭრით შევნიღბავ და შენთან გავჩნდები.

ერთ ხანს სიჩუმე ჩამოვირა.

— რა საჭიროა კარავში შესვლა, ხომ შეიძლება, „ურეკს“ კიჩო კი არა, გვერდი გაეზებურღოს? — იკითხა ვაჰანმა.

— რატომაც არა, მაგრამ სანდალი თუ დღის სინათლეზე ჩაუშვებს წყალში, შეიძლება განაბურღს თვალი მოჰკრან.

— მაშ რა ვქნათ?

— საჭეს ქვემოთ, ხრახნის ძირში გაეზებურღავ...

— კარავში შეუსვლელოდ რომ შეიძლებოდეს...

— კარგია, მაგრამ ეგ კარავი ისეა კიჩოზე მიდგმული, რომ... თუმცა ამ ბურუსიან ღამეს, ამ ნესტში, არა მგონია კარავში ვინმეს ეძინოს. შემცვლელი, წესით, კამარსაში უნდა იწვეს.

— ღმერთმა ქნას.

— ალაპი არ დაგავიწყდეს, ბიჭო. — შევქოთმა ჩაიქირქილა. ისევ სანდალს მიაცქერდა.

— კარავში რომ დაგიხვდეს ვინმე?

— თუგინდ დამიხვდეს. ერთი კი არა, ორი იყოს, სამი, არა მგონია „ურეკის“ ბიჭებმა გამწირონ. კარგად მიცნობენ ახალაიას მეზღვაურები. ანაკლიაც ჩემი მეზობელი სოფელია.

— ეჰ, მეზობელი სოფელი კი არა, ხომ ხედავ, ხალხი ისე მოწამლეს, ძმა ძმას აღარ ინდობს.

— მეზღვაური მაინც მეზღვაურია.

— ჰოდა, საშინო არაფერი ყოფილა. მეც წამოვალ შენთან, მარტოკას რა მა-

ორღე დგებუაძე  
ჩაძირული „თოლია“

ყურყურებს? — ისე ჩაილაპარაკა ვაჰან-  
მა, თითქოს წასვლასა და დარჩენას  
ერთი ფასი ჰქონდა და შევექოთს მიუ-  
ჩოჩდა: — მარტოკა ვერ მოვისვენებ,  
გული გამისკდება...

— გეშინია, ბიჭო?!

— შიში რა სახსენებელია, შევექოთ! —  
იწყინა ჭაბუკმა.

— მარტო უნდა წავიდე, ერთი კაცი  
უფრო მარჯვედ შეიპარება კარავში.

— ერთის ნაცვლად ორი რომ დაგიხ-  
ვდეს?

— მაშინ ვერც ორი კაცი უშველის  
საქმეს. აქვე, ყურის ძირში მესაზღვრე-  
ები დგანან.

— არა, ვერ დავრჩები, — მტიცივდ  
უთხრა ვაჰანმა.

— დარჩები, — მკაცრად, ბრძანების  
კილოთი უთხრა შევექოთმა. — შენ აქე-  
დან მიყურე, თუ მშვიდობით დავბრუნ-  
დი, ხომ კარგი, არა და, სანამ სული  
ამომძვრებოდეს, „ურეკს“ მაინც ავაფეთ-  
ქებ. — ყუთს ხელი ისე გადაუსვა, თით-  
ქოს ეფერებო, მერე თასმას მკლავი  
გაუყარა: — თუ „ურეკი“ აფეთქდა და  
შენთან არ გაგზინდი, თავს უშველე! რაც  
შეიძლება ჩქარა მიუტანე ამზავი დათას.

— ამზის წამლებად წამომიწყვანე?

— რას ამბობ, ბიჭო! გახსოვს, რა  
გვითხრა დათამ? ისე იმოქმედეთ, რო-  
გორც მდგომარეობამ გიკარნახოთ.

— მერე?

— სწორედ მდგომარეობა გეკარნა-  
ხობს იმას, რასაც მე ვამბობ! რას იზამ!  
მხოლოდ ზღვის შრიალილა ისმოდა.  
სადღაც, შორს, თითქოს ცხრა მთას  
იქით, რაღაცამ დაიგრავინა.

ქვემეხის ხმა არისო, იფიქრეს ორთა-  
ვემ, მაგრამ არაფერი უთქვამთ. სალაპა-  
რაკოდ არ ეცალათ.

— წავედი, აბა, შენ იცი.

— მოიცა, შევექოთ! — მძიმედ ამოიო-  
ხრა დანელიანცმა და მცირე ხნის სიჩუ-  
მის შემდეგ ნაძალადევი სიდიხჯით გა-  
ნაგრძო, — თუ კარავში დაგიხვდნენ,  
გაბურღვას კი არა, სანდლის აფეთქება-  
საც ველარ მოასწრებ.

58

— შენ არხეინად იყავი! ვინ გითხრა,  
აქედან პირდაპირ კარავში შევალო!

— მაშ?

— ჯერ ზღვიდან მოვუვლი. ამ ყუთს  
კამარსის ქვეშ ჩავდებ, ზონარს კარავში  
შევაძვრენ და მეც თან შევყვები, —  
მიუგო გულმშვიდად და განაგრძო: —  
მე არც ის დამეიწყინია, რომ თუ ვინმეს-  
თან შებმა მომიხდა, ზონრის ანთებასაც  
ვერ მოვანსრებ.

— მერე?

— შეხედე, რამოდენა აბედი მიმაქვს.

შევექოთს რაღაც ბურთივით მრგვალი  
ეჭირა ხელში. ვაჰანი წაეტანა — მართ-  
ლა აბედი იყო. ეს ხის გამოფიტული  
სოკო ლაზის ბარივით ფართო ხელში  
ძლივს ეტეოდა. სომეხ ჭაბუკს არაფერი  
უთქვამს.

— სანამ კარავში შევიდოდე, ამ  
აბედს ავანთებ და თან შევიტან...

— სანამ გაბურღავდე, აბედიც ენთე-  
ბა, არა?

— ჰო, ენთება. თუ დამჭირდა, ზონარს  
მივაღებ და...

— შენ?

— მე მოვეკურცხლავ. სანამ „ურეკი“  
აფეთქდებოდეს, ცხრა მთას გადავირბენ.

ვაჰანს თვალეზში სინათლე ჩაუდგა —  
სანდალი რატომღაც სათამაშო ნავად  
მოეჩვენა, ბავშვობაში ქალაქისაგან  
რომ დაუკეცია და თხრილში წვიმის  
წყლისთვის რომ მიუნდვია. გულმაც შეე-  
ბა იგრძნო. შევექოთის გაბედულად ნათ-  
ქვამმა სიტყვებმა ისე გაამხნევა, რომ  
მოუნდა ლაზი ჩქარა მისულიყო იმ  
„სათამაშოსთან“, ჩქარა მისულიყო და  
ჩქარა დაბრუნებულიყო.

— გასაგებია, — უთხრა და კმაყოფი-  
ლებით გაიღიმა, — წადი, იჩქარე.

— ჰო, მივდივარ.

— წადი, წადი, თორემ დარაჯმა თუ  
გამოიძინა...

— შენ კი უკან დაიხიე. შამზნარში  
შედი. იქნებ სანდალი აფეთქდეს და...

— შენ?!

— მე, ვინ იცის, იქნებ მაღლიდან  
გადმოგხედო, — გაეხუმრა მეგობარი და  
ქვიშაზე იდაყვები მოუსვა.

მძინარე დარაჯი წამოდგა, თითქოს ადგილიდან დაიძრაო. სომეხ კაბუჯს გული უჩვეულოდ აუფართხალდა, დამბაჩასაც კი წაეტანა, მაგრამ გუშავის ლანდი ისევ დაბატარავდა.

ვაჰანი თვალებზე გადაიქცა, მაგრამ ვერა და ვერა, სანდლისკენ გასურებულ ღაზი ვერ დაინახა.

ახლა შევექოთი კარავში იქნება... საქეს ქვემოთ ახლა ბურღს ატრიალებენ ღაზის ღონიერი ხელები, ატრიალებენ და მიზანს უახლოვდებიან. მალე, სულ მალე, ამონაბურღს შავ ნაჭერს მიაკრავს და ხერხელს ისე შენიღბავს, ავმა თვალმა ვერ დაინახოს.

ალბათ გათენებისას ჩაუშვებენ „ურეკს“ ზღვაში და მერე რალაც სამი, თუ ხუთი ვერსი — და სანდალი ჩაძირვას დაიწყებს.

ეკ, შევექოთი რომ მშვიდობით დაბრუნდებოდეს, ვაჰან დანელიანცი მეორედ დაიბადება. თუ არა და... ბანაკში მარტო ვერ დაბრუნდება — რა უთხრას დათან? ამხანაგი მტერს შევატოვე და გამოვიქეციო?! კარგი სათქმელია, ღმერთმანი. არა, შევექოთი თუ დაიღუბა, ვაჰანიც შეეწირება მტერს. „ურეკი“ ჩაიძირება და ჩვენები წელში ამასად გაიმართებიან. მტერს სიცოცხლის ერთ-ორი დღე რომ დააკლდეს, ისიც საქმეა. მისი სიკვდილის დაჩქარება რამდენ კაცს შეუნდარუნებს სიცოცხლეს! დათა სიხარულს არც კი შეიმჩნევს, მაგრამ გული სიამაყით აევსება. ჩვენს დაღუპვას გაიგებს და აცრემლებულ თვალებს მოიწმენდს ქურდულად... თუ კეთილ საქმეს შეეწირები, ასეთი ვაჟკაცის ცრემლიც გეყოფა ძეგლად.

კიდევ უფრო მეტად დამუქდა ზღვის ნაპირი. ვაჰანი ცას მიშტერებოდა, კუპრივით შავი იყო ზეცა. დასავლეთით, ცის კაბადონზე ხარის თვალის ოდენა სანათორიც დაფარა შავმა ღრუბელმა. ზღვაური ძალ-ღონეს იკრებდა.

შევექოთმა ნაღმი ალბათ უკვე ჩაფლო ლამგორში და სილამიწაც მიაყარა.

შეაგვიანდა რატომღაც. ასე ჩქარა ვერ მოასწრებდა. ქვიშნარი ფხვიერია.

ნაღმი ღრმად უნდა ჩასდოს თორემ ამოდენა ნავის აწევა გაუჭირდება. ღმერთო ჩემო! რა დროს ნაღმი! ახლა სანდლის ფსკერი გაბურღული უნდა იყოს და შევექოთი უკან უნდა მოფორთხავდეს.

ეკ, რეკომსაც მოცლია! სანდლის ფსკერი უნდა გაიბურღოსო, ნავი ზღვაში უნდა ჩაიძიროსო. ჩაძირვას და აფეთქებას შორის რა განსხვავებაა, ვერ გამიგია, ღმერთმანი. ახლომახლო სოფლებს ააწიოკებენ, პატიმრებზე შურს იძიებენ, დახვრეტენო!

იქნებ აფეთქება ჯობდა. იქნებ ეგრძნოთ, რომ შურისმაძიებლებით აივსო ქვეყანა.

იჩქარე, იჩქარე, ჩემო შევექოთ! ეკ, რა კარგს იზამ, მოისაზრებდე და ნაღმის ზონარს იმ შენს ანთებულ აბედს მიადებდე.

...შევექოთმა ნაღმი ღრმად ჩადო. ზონარის ბოლო საჩხეში შეაჭვინა და თვითონაც ფრთხილად შეცოცდა კარავში.

კარავში ბნელოდა. შიგ არხეინად ხვრინავდა ვიღაც, მაგრამ შევექოთმა ყური არ ათხოვა მას, კუთხეში ოდნავ მჭუსტავი ანედი დადო. საჭე მოძებნა. ის ადგილიც მოსინჯა, სადაც ბურღი უნდა დაედო და გვერდზე ხმალივით დაკიდულ მაჩხიბს წაეტანა.

მალე დატრიალდა მათხაბი. მტრედევით ღულუნებდა ციბრუტი და შევექოთიც სახელურს აწევებოდა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა.

გარეთ ზღვა ხმაურობდა. კარავში უღარდელი ხვრინვა ისმოდა. ბურღი ტრიალებდა და ტრიალებდა.

როგორც იქნა, ბურღი თავისუფლად დატრიალდა, კიდევ ორი-სამი ასეთი ხვრელი და ამ ჯოჯოხეთიდან შეიძლება ცოცხალი გავიდეთ, გაუფლვა თავში შექოთის და ბურღი უკუღმა დაატრიალა.

რატომღაც მკლავები დაუძძიმდა. ნუ-თუ ეს ღონიერი მხრები და ხელები, სანდლის საიალქნე ლატანს თავისუფლად

ორდე დგებუაძე

ჩაძირული „თოლია“

რომ სწევდა, ამ პატარა მათხაბის ტრიალმა დალაღა?!  
 რა გაჭირვებით მიიწვევს წინ ეს ოხერი ციბრუტი? წელან რატომღაც უფრო თამამად ბრუნავდა. ნუთუ ამ ადგილას ფიცარი უფრო მკვრივი და მაგარია? მძინარეს ყოველ წუთს შეუძლია გაიღვიძოს და ღრიალი მორთოს.

ან ხომ შეიძლება, „ურეკის“ წყალში ჩაშვება სწორედ ამ დროს იყოს დანიშნული და კარავს მთელი ასეული მოადგეს?  
 შევქოთი უფრო დააწვა ბურღის ტარს. უფრო აუჩქარა ხელებს და... ჰოი, სიხარულო, გაძვრა, ნამდვილად გაძვრა მაჩხიბი. ახლა კიდევ ერთი ხერელი და მიზანიც მიღწეულია. ისევ დაადო მათხაბი ლაზმა და დაატრიალა. ანაზად კუთხისკენ გაიხედა. გამოფიტული ხის სოკო ისევ ისე ბეჭუტავდა, მაგრამ ილეოდა, იფერფლებოდა. ლაზმა სწრაფად ამოიღო ჯიბიდან მუშტის სიმსხო აბედი, აანთო.

ისევ ბურღს წაეტანა. ისევ მტრედევით აღუღუნდა ციბრუტი. ჩუ! ხვრინვა შეწყდა. ვილაცამ ნაგაზივით წაიწკმუტუნა და გაისუსა. ლაზიც გახევდა. კარავში მკვდარი სიჩუმე დასადგურდა. მხოლოდ ზღვის ხმაური, მოძალებული ბორიოს სისინი და კარავის კალთების ფატქუნი ისმოდა.

იმ ვილაცას კიდევ რომ გაღვიძებოდა, შევექოთს თვალს მაინც ვერ მოჰკარავდა. აბედსაც ლაზი ისე ეფარებოდა, ოღნავ მბეჭუტავ სინათლესაც ვერ დაინახავდა. სამაგვიროდ, ვერც შევექოთიც ხედავდა მას. არ იცოდა, იმ ვილაცას ისევ ისე ეძინა თუ გუმანით გრძნობდა კარავში უცხოს ყოფნას. იქნებ, წამომჯდარი, თვალებს არხეინად იფშენეტდა.

ეჰ, ცოტა კიდევ მაყალოს იმ სულძაღლმა და მერე გინდ გაიღვიძოს... გაიღვიძოს კი არა, იმღეროს, იცეკვოს, თავი კიჩოს ურტყას და ზღვაში გადახტეს.

ადამიანის ხშირი სუნთქვა მოესმა გალურსულს. ნამდვილად ისევ ჩაეძინა

იმ მამაცხონებულს. ალბათ ძილში მკერდზე გადაბრუნდა...

ისევ დატრიალდა ბურღი, ისევ მთელი ძალ-ღონით მიაწვა ლაზი მათხაბის სახელურს. მაღლობა აღაპს! ხელმა სიმჩატე იგრძნო. როგორ გაიხარა გულმა! შიში? შიში რა სათქმელია! ლაზმა კუთხისკენ გაიხედა — ამ საცოდავმა, კატის კნუტივით რომ მიგდებულა და ამ ქვეყანას მკვდარივით რომ გამოსთიშვია, ახლა თუნდ გაიღვიძოს. გაიღვიძოს, მერე რა! ვინ უნდა იყოს ისეთი დევგმირი, ამ ცხელ გულზე შევექოთმა ბაწარივით არ დაიხვიოს ხელზე!

საცაა ბურღი „ურეკის“ წვერიდან უნდა გამოძვრეს. ლაზი ცოტა ხანს დაღლილ ხელებს შეასვენებს, სულს მოითქვამს. მათხაბს ისევ ჩამოიკიდებს ხმალივით. მერე ქოსალის ძირთან წულას სილაზე მიუსვ-მოუსვამს, ხის ნაბურღ მტვერს სილას მიაბარებს, დამალავს. მერე ჯიბიდან შავ ჩვარს ამოიღებს და ხერელებს გადააკრავს, ხელისგულს ღონივრად გადაუსვამს, რომ კაცის თვალმა ამდენი ნაჯაფი და ნაჯახირალი ვერ შეამჩნიოს...

წყალში კი წებო გადნება და... საცოდავი „ურეკიც“...

ახლა იგრძნო ლაზმა, რომ კარავში სასიამოვნო სუნი იდგა. ეს ხომ ანთებული აბედის სურნელებაა?

ისევ მიიხედა კუთხისაკენ. აბედი გახელეებული ხარის თვალვით იმზირებოდა იმ კუთხიდან, სადაც ნაღმის ზონარს ჰქონდა თავი გამოყოფილი.

შევექოთი ახლა ამ ხარის თვალს ფეხს დაადგამს და ჩააქრობს. კიდევ ერთხელ უნდა შემოაბრუნოს ბურღი და მერე ჩააქრობს, მერე, როცა შალავი „ურეკის“ ფსკერიდან გამოძვრება.

ხელი ასწია ლაზმა. ასწია, რომ მათხაბის ტარისთვის ჩაეველო, ჩავვლო კიდევ, მაგრამ ეს რა მოხდა!

ბურღი! ბურღი კი არა, თითქოს კარავში შვის ნატეხი შემოაგდესო, — მთელი საქუე და კიჩოც აეღვარდა, განათდა, განათდა ისე, რომ სიბნელეში დაბინდული თვალეები თავისდაუნებურად და-

ხუჭა შევექოთმა. სწრაფად განსჭვრიტა განსაცდელი, ბურღის ტარს ხელი გაუშვა, ნახევრად შემობრუნდა, მაგრამ გველის ნისპარტივით ცივი რკინა მიაღო ვიღაცამ კეფაზე და, არ გაინძრეო, შესძახა უშიშრად.

გაშრა შევექოთი. თვალები გაახილა. შუქი ისევ ბრდღვიალებდა კარავში... მიხვდა ლაზი, რომ ეს ნათურას შუქი იყო.

— ვინა ხარ?! — აღმოხდა შევექოთს.

— შენ რაში გეკითხება, ვინცა ვარ! — შეუტია ზურგსუკან მდგარმა. — ხელები მაღლა!

წამით გაიღურსა ლაზი. თითქოს შეიცნო ეს ხმა და შუბლი გაეხსნა.

— რასიმი ხარ, ბიჭო?!

— შენ... შენ ვინა ხარ?

— ვერ მიცანი? მართლა ვერ მიცანი, თუ არ გინდა მიცნო?! — კიდევ სცადა მობრუნება, მაგრამ კეფაზე ცივი ლულა მაგრად დააწვა.

— მითხარი ვინა ხარ, ვერა გცნობ, — შევექოთმა იგრძნო, რევოლვერის ლულა მის კეფაზე რომ აუცახცახდა უცნობს. ვაითუ, შიშისაგან სასხლეტის ფეხს დააწვესო, იფიქრა ლაზმა.

— შევექოთი ვარ, ბიჭო, შევექოთი! — წამოიძახა და გახვედა: აბა ახლა ვნახოთ, მეზღვაური მეზღვაურს თუ გაიშეტებსო.

— შევექოთი! — ისე წამოიძახა რასიმმა, თითქოს უიმედოდ დაკარგული ძმა იპოვნათ. მერე გაჩუმდა, ენაწაგრდნილივით დადუმდა.

— ჰო, შევექოთი ვარ, ეგ იარაღი მომაშორე, შეგხედო: თუ რასიმი ხარ, ბევრი რამ მაქვს სათქმელი, ჩვენ ხომ მეგობრები ვართ, ბიჭო, — მშვიდად უთხრა ლაზმა.

რასიმმა პასუხი არ გასცა. უხმოდ იდგა ერთ ხანს. შერცხვა შევექოთს. როგორ გავფუჭდი კაცი, რას ვეხვეწებო, იფიქრა.

— ვერა, ჩემო ძმაო, რევოლვერს ვერ მოგაშორებ... ხელი ასწიე, დაწევი და მერე რაც გინდა, ის მელაპარაკე.

ისევ სიჩუმე. სიჩუმე გულის წამღები.

— რას მიპირებ, რასიმ! იმ ჯალათების ხელში გინდა ჩამაგდო?! — ახლა თამამად, გაბედული ხმით ჰკითხა ლაზმა.

— აგრე მაქვს ნაბრძანები, — უპასუხა უტიფრად.

— ხალხისა თუ არ შეგრცხვება, ალაპს რას ეტყვი. რას ეტყვი იმ ხალხს, დღეს თუ ხვალ ქვეყანას სათავეში რომ უნდა ჩაუდგეს?!

— ისე გაიხარა ჩემმა მტერმა. ვერ უყურებ, ზღვაში ფრანგებისა და ინგლისელების გემები დგანან?!

— გატყუებენ, — არ დააცალა სიტყვის დამთავრება ლაზმა, სიბრაზით აენთო, ხმას ალწია, — რასიმ! გონს მოდი! შენ ხომ ერთი უმიწაწყლო, ჩემზე უბედური ლაზი ხარ. ჩვენები შენისთანა ადამიანების ბედნიერებისათვის იბრძვიან. შენ კი...

— ჰო, ვიცი, ჩემი დარღით არც შენ გძინავს და არც ბუკიას, — რასიმმა ჩაიჭირქილა. — ეგ საყენი შენს ქათმებს დაუყარე, ასწი ხელები!

— ხელებს ავწევ, მაგრამ იყოდე. შენს ბატონებს ერთი თუ ორი დღის სიცოცხლედა დარჩენიათ. მერე ყველაფერზე პასუხს მოგთხოვენ.

— მემუქრები?

— თუ ჰქუა გაქვს, ამ სანდლის ჩაძირვაში ხელი შემიწყვე და ეს პატარა სამსახური ასმაგად დაგიფასდება. იცოდე...

— ჩაძირვაში?! — რასიმი შეხტა თითქოს ფეხის გულში ეკალი შვირპო.

— ჰო! ეს შენი „ურეკი“ ნაღმებით, ყუმბარებით, ვაზნებით და ვინ იცის, კიდევ რა ოხრობით არის გამოტენილი.

— მერე რა! იყოს, რა შენი საქმეა? ან მე რაში მეკითხება?!

— მე და შენ ის გვეკითხება, რომ ეს ნაღმები ხვალ ჩვენს სახლ-კარს, ჩვენს მეგობრებს თავზე სეტყვასავით დააცვივა. იცი, რამდენი სისხლი და ცრემლია ამ სანდალში ჩაწყობილი?

ორდღე დგებუაძე  
ჩაძირული „თოლია“





„ურეკის“ გუშაგი ხმას არ იღებდა. მისი სუნთქვაღა ისმოდა, ხშირი სუნთქვა.

— თუ ეს „ურეკი“ ჩავძირეთ, ან ავაფეთქეთ, ეკ, რასიმ, რამდენ ადამიანს გაჩუქებთ სიცოცხლეს.

კიდევ იყურა ერთ ხანს ლაშმა. არც რასიმი იღებდა ხმას, მაგრამ კეფაზე მინათებულმა ნათურამ ჰკერღზე გადაიწია, ახლა „ურეკის“ ძირში აცახცახდა შუქი.

მგონი გული გაუთბა ამ უბედურს, იქნებ ღმერთმა მიშველოსო, იფიქრა შეგქოთმა და ერთ ხანს სიჩუმე ამჯობინა.

— ეკ, მერე რა მოხდა! — ხელი აიქნია რასიმმა, ისევ აიწია ნათურას შუქმა: — ომია, თოფს გაისვრიან, აბა სხვა რა უნდა აკეთონ.

— მაშ გამწირე, რასიმ?!

— მე რა?! შენ არ მოხვედი ჩვენს დასარბევად?

— აბა, დაფიქრდი. მე ხომ საქურღლად არ მოვსულვარ. მე ხომ შურისსაძიებლად არ მოვსულვარ შენთან, რასიმ! აბა თუ მიხვდები, რამ მაიძულა ამ ხაფანგში თავი შემომეყო?

გუშაგმა ხმა არ გასცა. იღგა უძრავად.

— შენ კარგად იცი, რად გავწირე თავი, მაგრამ არ ამბობ! არ ამბობ იმიტომ, რომ გრცხვენია. შენ კარგად იცი, მე თქვენთვის, ჩემი ამხანაგობისა და მიგობრების გულისთვის გავწირე თავი. მე ხომ ახალშერთული ცოლი დავტოვე სახლში.

— მერე, კარგი ჰქენი?! გუშინ შენი ატირებული ცოლი გვარდიელებს ოჩამჩირეში მიჰყავდათ. ქმარიც შენისთანა უნდა...

— გვარდიელები! მერე... ბავშვი?

— აბა, რა ვიცი. ერთი სიჩყვით, დაწევი, თორემ, ალაპს გეფიცები...

შეგქოთმა თვალები დახუჭა და ისე ამოიგმინა, თითქოს გულ-ღვიძლიც თან ამოატანათ. შექანდა. იგრძნო, რომ მუხლებმა უმტყუნა.

ცოლი! უენო, ლამაზი ზაირა თავხედა გვარდიელების ხელში... ვინ იცის რა დღეშია ახლა შეგქოთის სიყვარული.

ეკ, იქნებ სიკვდილი სჯობდეს. იქნება შევბას რასიმს და თავი შეაკლას? მაგრამ „ურეკი“? არა, არ შეიძლება. ჯერ ეს ურჩხული უნდა განადგურდეს, უნდა მოისპოს სიკვდილით სავსე ურჩხული და მერე... მერე, თუ ლაზი ცოცხალი დარჩა...

— დაწევი-მეთქი, — იბღავლა ახლა რატომღაც რასიმმა.

ლაზი გამოერკვა.

— ჰო, კარგი, დავწევი.

რასიმმა თითქოს ვერ გაიგონაო, ისევ დაიყვირა:

— ჰეი, ვალო! აქეთ, ჩქარა, ვალო!

— რა გაყვირებს! ხომ ხედავ, მწვები, — ხელგაწეულმა შეგქოთმა ჯერ ჩაიმუხლა, მერე პირდაღმა დაწვა, ოდნავ მბჟუტავ აბედს შეუმჩნევლად მისწვდა და ნაღმის ზონრის წვერს მიაღო.

კარავში მეორე ნათურამ შემოანათა.

— რა ამბავია, რა მოხდა? — დაიყვირა ვიღაცამ და როცა სილაზე გაწოლილი ლაზი დაინახა, გაოცდა — ვინ არის ეს კაცი?

შეგქოთმა თავი ასწია.

— არ გაინძრე, არ გაინძრე-მეთქი, — იყვირა რასიმმა და უკან დაიხია.

— ვინ არის? თქვი, ხმა ამოიდე! — შეუტია გუშაგს ახალმოსულმა.

— შეგქოთია, ვერა ხედავ. ვინც არის! — უპასუხა რასიმმა და კიდევ ერთი ნაბიჯით მოშორდა უკვე ფეხზე წამომდგარ ლაზს.

— შეგქოთი!

— ჰო, შეგქოთი, სანდალს ძირს უბურღავდა, გელუპავდა ეგ უნამუსო.

შეგქოთმა ახალშემოსულს შეხედა.

— უნამუსო! — ვალომ ამართული დამბაჩა დაუშვა, რასიმს შეხედა. — რა გაღრიალებდა! შენც ზელიმხანი დაგიმერია! — უთხრა და ამხანაგს დაცინვით გადახედა.

შეგქოთს თვალები გაუბრწყინდა, მიხვდა, რომ ვალო არ გასწირავდა. გაახსენდა, რომ ვალო ყოველთვის არჩევდა შავს თეთრისაგან, პატრონის ყურმოჭრი-

ლი ყმა არასოდეს არ ყოფილა. „ეპ, ნეტავ ვალო დამხვედროდა კარავში!“

— შევექოთ, წადი, თავს უშველე, საცაა სანდალი წყალში უნდა ჩაუშვან!

— რაო?! — იყვირა რასიმმა.

— ჩვენ სროლას ავტეხავთ, ვითომ გაგმეძეცი...

შევექოთმა ისე მიიხედ-მოიხედა, თითქოს უფსკრულში გადასაჩეხად უბიძგესო და თვლები დახუჭა. მან კარგად იცოდა, რომ კარვიდან გასვლას ვერ მოასწრებდა — ანთებული ზონარი, წაში და...

— თქვენც უშველეთ თავს, საცაა გემი აფეთქდება, — დაიყვირა და გასასვლე-

ლისაკენ ისკუბა, მაგრამ ამ დროს ღრუბლებიდან გამოვარდნილი მთვარე სანდლის კიჩოზე დაეცა და სანამ ქვიშნარი, მთა, ტყე, „ურეკი“, დრანდა, სამუხაო ცეცხლსა და მიწაში, ზღვასა და ბოლში აირეოდა, ძლიერმა სინათლემ თვალი მოსჭრა შევექოთს. მერე საშინელმა გრილმა ლაზი სადღაც წკვარამისკენ გაიტაცა, სადღაც, უსასრულო სივრცეში, ზაირას თვალცრემლიანმა სახემ გაიღვავა და შევექოთიც უკუნეთში ჩაიძირა.

---

ორდე დგებუაძე  
ჩაძირული „თოლია“

გაგრძელება იქნება



# ქრონიკა ზენაქრები

ამერიკელთა მოახლოება

1945 წლის მარტის პირველ რიცხვებში ვაილბურგში განუწყვეტელი გუგუნი იდგა. ეს გუგუნი არ ვეაშინებდა, პირიქით, ოდნავ რომ შენელებოდა, იმას ვფიქრობდით: ხომ არ მოიგერიეს გერმანელებმა იერიშები და გუგუნი იმიტომ ხომ არ შენედა-თქო.

გერმანელი ნაცისტები სასოწარკვეთილნი იყვნენ. მსოფლიოს დაპყრობის მსურველნი გრძნობდნენ, რომ საქმე კარგად ვერ მიუღიოდათ. ერთი კატეგორიის ფაშისტები გააფთრებულნი იყვნენ, „ცხენებს რომ ვერაფერს აკლებდნენ, უნაგირებს ამტკრევდნენ“. მეორენი კი ფიქრობდნენ: რაც ტყვეები გავწყვიტეთ, ალბათ არც ის შეგვრჩებაო და ახალი ხოცვა-ჟლეტა რომ გაეჩალებინათ, შურისძიებისა ეშინოდათ. მაგრამ როცა ამა თუ იმ ქალაქს ტოვებდნენ და ტყვეების გაყვანას ვერ ასწრებდნენ, იქვე ხოცავდნენ.

გერმანიაში სხვადასხვა ქვეყნის მრავალი სამხედრო ტყვე და იძულებით გასახლებული მოქალაქე იყო. ახლოვდებოდა მათი გათავისუფლების ეამი და როგორც ზემოთ ვთქვე: ნაცისტებს შურისძიებისა ეშინოდათ.

გაგრძელება. იხ. „ცისკარი“, № 2, 3, 4, 5, 6, 7, 8.

ერთი კვირა იყო გასული, რაც კარლ შმიდტი არ მენახა. ძალიან მომენატრა.

შარლოტას თითქმის ყოველდღე ვხედავდი, მაგრამ ერთმანეთს სალაპარაკოდ იშვიათად ვხვდებოდით. შეხვედრას ვეღარ ვახერხებდით. ახალმა ობერლეიტენანტმა სასტიკი რეჟიმი შემოიღო სამხედრო სკოლის ტერიტორიაზე, კარლსაც მოვენატრებოდი, მეუღლე გახდომოდა ავად და ამის გამო ბანაკში ჩემს წასაყვანად ვეღარ ამოსულიყო. უკანასკნელად ერთხელ კიდევ წამიყვანა.

სალამომდის იქ ვიყავი. ჩემს გარდა ზუთი თუ ექვსი ტყვეც იყო. საქმე რომ არაფერი გვქონდა, შლოსჰოფის მარჯვენა მხარეს დაწყობილი საღებავების ყუთები მარცხნივ გადამოვალაგეთ და მერე ისევ მარჯვნივ გადავალაგეთ. თითქოს ვგრძნობდით, ერთმანეთს რომ ვეღარ შევხვდებოდით, სულ ერთად ვიყავით.

— აბა შენ იცი, თუ არ დამივიწყებ, სამშობლოში რომ დაბრუნდები, — მეუბნებოდა კარლი და მეხვეოდა.

ნამეტანი არეულობა არისო, მითხრა კარლ შმიდტმა იმ დღეს და რადიოს მოსასმენად თავის პატარა ოთახში გამიყვანა.

პებელსი გაცოფებული ლაპარაკობდა. სახალხო არმიას მოუწოდებდა საშვე-

ლად. „შეინდელ!“ — მიაძახა კარლმა და ხელი ჩაიჭინა.

მათი სახალხო არმიაც ვნახე. საღ ჰყავდათ ნეტავ ამდენი ხეიბრები? ძლივს დალასლასებდნენ. რადიოს მოსმენის შემდეგ ისევ სასტუმრო დარბაზში გავედით, რალაც სურათი უნდა ეჩვენებინა, მაგრამ აღარ დაგვეცალდა. ქუჩიდან აურზაურისა და ჩოჩქოლის ხმა შემოიჭრა. სმენად ვიჭეცივით, მაგრამ აურზაური სადღაც დაცემულმა ყუმბარის გრილმა დაფარა, სახლი შეინძრა და სასადილო დარბაზში ბროლის ჭიქებმა გაიწკარუნა. კარლის მეუღლემ ლოცვა დაიწყო.

სადღაც შორი-ახლოს კიდეც დაცვა ყუმბარა, ახლა უფრო ძლიერად შეზანზარდა სახლი და სარკმლის მინები ჩაიმსხვრა. მეორე ოთახიდან კარლის მეუღლე გამოვარდა და შემკრთალი შედგა. მხატვარმა გაამხნევა ცოლი. ამ დროს კარლის ქვრივი რძალი და ქალიშვილი შემოვარდნენ და შეგვატყობინეს:

— ხალხი მალაზიებს ამტვრევს, ყველაფერს იტაცებენ, რუსები და ამერიკელები ერთად მოდიანო.

ამის გაგონებაზე გული კინაღამ ბუდიდან ამომივარდა. რაო? რუსები მოდიანო? ყველანი გარეთ გავცვივდით, მთავარ ქუჩაზე გავედით და რას შევხედეთ? სამხედრო ტყვეების ჯარი მღვრიე ტალღასავით მიაბობდა ხალხით გაჭედილ ქუჩას. ამ ჯარს გაცოფებული ესესელები მისდევდნენ. თვალის ერთმა გადავლება ამ ყველაფერი დაგვანახა და გვაგრძობინა. ნუთუ ისევ გარეკვა და ხოცვა-ჟლეტა გველოდა? კიდეც კარგი, რომ იმ დღეს მხნე ბიჭებთან მოვხვდი.

შმიდტი გვიჩვენებდა, რომ ბანაკში არ დავბრუნებულიყავით, ვითონც სხვა ქალაქებიდან გარეკილ ტყვეებს შეუერთდითო, მე ვიტყვი ასე, პასუხს მე ვაგებო. მისი მეუღლე, რძალი და ქალიშვილიც ამ აზრისა იყვნენ. მე კატეგორიული უარი განვაცხადე და ამხანაგებიც მომემხრნენ.

ამერიკელები რომ დროზე არ შემოსულიყვნენ და კარლ შმიდტის სარდაფ-

ში დამალულები გესტაპოს ვებოვნეთ, შმიდტის ოჯახიც დაიღუპებოდა. ჩვენ რომ ეს ვუთხარით, მხატვარმა გვიპასუხა: როგორც ვინდოდეთო, დაფიქრდით და ისე მოიქეცითო.

ქალაქში ამტყდარი აურზაური თანდათან ძლიერდებოდა, მერე ისევ გამაყრუებელი გრგვინვა გაისმა. უკანდახეულმა ჰიტლერელებმა მდინარე ლანზე ხიდი ააფეთქეს. ქალაქის დაბომბვა თანდათან ძლიერდებოდა. ისევ კარლ შმიდტის ოჯახში ვაპირებდით დაბრუნებას, მაგრამ გესტაპოელებმა გზა გადაგვიღობეს. ამ დროს ჩვენს წსაყვანად გამოგზავნილი მცველიც მოვარდა, „ჰაპ მარშ!“ — მოგვძახა და გავეშურეთ ბანაკისაკენ.

როგორც უკრაინაში, აქაც ისევ ხვრეტდნენ ჩამორჩენილ ტყვეებს მცველები და ესესელები. ვაილბურგის ვიწრო ქუჩებში გავლა ჭირდა. ქალაქის ცენტრი უკანდახეულ ნაცისტური არმიითა და მანქანებით იყო გაჭედილი. ქალაქს ტოვებდნენ მხოლოდ ესესელები და გესტაპოელთა ოჯახები. მძიმედ მიემართებოდა მათი ბარგი-ბარხანითა და ცოლ-შვილით სავსე მანქანები. ჰიტლერის თავყანისმცემლებს არ დავიწყებოდათ თავიანთი ფურერის ვებებერთელა პორტრეტი, ალბათ სიჩქარით თავდაყირა მიეკრათ მანქანაზე. თავგზაბნეულები მიისწრაფოდნენ, უღმერთოდ იგინებოდნენ. ტყვეების ზურგზე გავარჯიშებულ რეზინის კეტებს იქნევდნენ. ესესელები ცოლები ყოველი ყუმბარის დაცემისას კიოდნენ. ჩვენს მცველს რომ არ ევაჟყაცნა, შვიდი კაცი შვიდი წვეთი წყალივით დავიკარგებოდით ამ ზღვაში.

როგორც იქნა, მივედით ბანაკში. სხვა სამუშაოდან დაბრუნებულმა ამხანაგებმა ამბავი მოიტანეს: რომელიღაც ბანაკისთვის ესესელებს ბენზინი გადაუსხამთ და ტყვეები შიგ გამოუწვავთო. თავს ვუშველოთ, თორემ ჩვენც ისეთი

გიორგი ქავთარაძე  
ჯარისკაცის ჩანაწერები

დღე დაგვადგებაო. გუშაგებმა ბანაის ჰიშკარი რკინის ურდულით ჩაგვიკეტეს, სხვა დროს კი მხოლოდ ბოქლომით იკეტებოდა, რკინის ურდულით ჰიშკარის ჩაკეტვა ჩვენი აღსასრულის მოახლოებას ჰგავდა. კარლ შმიდტის კეთილი რჩევა მახსენდებოდა, მაგრამ სინანული რაღას მიშველიდა. ჩვენი მეთვალყურეობა მაქსს ორი ახალი გუშაგისთვის მიენდო და თვითონ, მე ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, ჩვენს საქმეში არ უნდოდა ჩარეულიყო.

ასკერ კალაბურა დროებით გარეთ დარჩა. იგი მაქსს ურჩევდა, ვეცლარში გაქცეულიყო, რადგან მაქაი ვეცლარელი იყო. კალაბურას უნდოდა, რომ მაქსი სულ გაგვეშორებოდა, თუ ამერიკელები ჩქარა შემოვიდოდნენ, მაშინ ბანაის კომენდანტი მაქსი გადარჩებოდა. მათ შემოსვლამდე რომ გაქცეულიყო, ტყვეების მიტოვებისათვის პასუხს აგებდა.

კომპოზიტორი არ ღელავდა, იქნებ კიდევ ღელავდა, მაგრამ მე ვერ ვამჩნევდი, იგი ახლაც ისეთივე იყო, როგორც მთელი ორი წლის განმავლობაში. საოცარი უფრო ის იყო, რომ მაქსი ამ დროს იჯდა და მუშაობდა. მანამდე არ შეუწყვეტია მუშაობა, სანამ ყუმბარის ტალღამ არ დაუნგრია უბრალო ფიცრული ოთახი. უკანასკნელად კიდევ მოკვარი თვალი კომპოზიტორს, ხელში წიგნები და ალბათ თავისი ნაწერებიც ეჭირა, უქუდოდ იდგა, თავისი ოთახისკენ იხედებოდა და გამელოტებულ თავზე ხელს ისვამდა.

ჩვენი ბანაის წინ, დიდ გზაზე მდორედ ჩაიარა სამხედრო ტყვეების კოლონამ, შემდეგ ჰიტლერის არმიის უკანდახეული ჯარისა და ყოველნაირი ტრანსპორტის მოძრაობა დაიწყო, მათში აქა-იქ სამხედრო ტყვეების პატარა პატარა ჯგუფებიც ერია. ყველაფერი ერთმანეთში ირეოდა. ჩვენს ბანაის ორი გერმანელი ადვენებდა თვალ-ყურს, თვალს აცეცებდნენ და აღარ იცოდნენ, რა ექნათ. ყუმბარების გუგუნი ღეღამიწას აზანზარებდა.

აღიღებულ მდინარესავით მოედინებოდა ჰიტლერის არმიის მღვრიე ტალღა, ჯარის ნაწილები პატარა მდინარეებისავით უერთდებოდნენ და ვერავითარი ჯებირები ვეღარ უძლებდა, ჩვენს ბანაისაც წასალეკავად ემუქრებოდა.

აღარ ვიცოდი, რა გზას დავდგომოდი ეს იყო ყველაზე უმძიმესი წუთები მთელი ჩემი ტყვეობის მანძილზე.

ბანაის მეთვალყურე გერმანელები რიგრიგობით მიდიოდნენ გზის ნაპირას, უკანდახეულ ჯარს გასცქეროდნენ, ერთმანეთს უსიტყვოდ ენაცვლებოდნენ. ასე მივაღწიეთ რიყრაჟამდე, უნდა გათენებულყო და ეს გათენება არ ვიცოდით, რას მოგვიტანდა. არტილერიის ცეცხლი განუწყვეტლივ ანათებდა ბნელ ღამეს. ეზოში სულ რამდენიმე კაცი დაერჩით, დანარჩენები ბარაკში შესულიყვნენ.

უტებ გადაწყვეტიტე და მოქმედებას შევუდექი: ორი კაცი ბანაის წინ დავტოვე, თუ გუშაგი ბანაის ირგვლივ შემოსავლელად წამოვიდოდა, უნდა გამოლაპარაკებოდნენ და რამენაირად შეეჩერებინათ. ორი კაცი კი მე წამომყვა. ავედი ვაშლის ხეზე და მავთულხლართზე გადაწოლილი ტოტით ბანაის გადაღმა გადაეხტი. ამ ვაშლის ხის მოჭრა უნდოდათ გერმანელებს, როდესაც ბარაკის ირგვლივ მავთულხლართებს ვავლებდით, საეჭვო ადგილზე დგასო, — თქვეს, მაგრამ დაენანათ მსხმოიარე ვაშლი და გადაიფიქრეს. მე კი იმ ვაშლის ხეს შევყურებდი და ღმერთს ვთხოვდი, გადაერჩინა. ძალიან კარგად ადგილას იდგა და, როგორც ხედავთ, გამოგვადგა.

გუშაგი არ ჩანდა. რომ წამოსულიყო, ყველაზე ადრე მე უნდა დამენახა, ხეს ამოვეფარე, რკინის კეტი ხელში მეჭირა. ლანდივით გავყევი მავთულხლართებს, დამავიწყდა, რომ ეკლოანი იყო, ხალათის გულისჯიბეზე წამომედო და შემეჩერა, თავზარი დამეცა, თითქოს ვილაყამ ხელი მტაცა და დამიჭირა. გავიქეცი, ბანაის ჰიშკრამდე მივაღწიე და შევდექი. ადვილად გამოვაძრე რკინის

ურდული, რკინის ხელკეტით ჩამოვკლი-  
ჯე ბოქლომი და გავალე ჯოჯოხეთის  
კარი. ამხანაგები, რომლებიც თვალ-  
ურს მადვენებდნენ, ჩემთან გაჩნდნენ,  
ერთმა ურდული მოიმარჯვა და ხეს  
ამოეფარა. ერთი გერმანელი გუშავი  
იქვე გაავორა და ახლა მეორეს ჩაუ-  
საფრდა.

გუგუნი ალბათ ისევ ახანზარებდა  
დედამიწას, მაგრამ რაც მავთულხლარ-  
თებს გაეშორდი, აღარ მესმოდა. ნამძი-  
ნარევი ტყვეები თავგზააბნეული მორ-  
ბოდნენ. ვილაყის ხმა ტყვიასავით და-  
მეწია: ბიჭებო! სირცხვილია ბანაკში  
სიკვდილი, წავიდეთ, გარეთ მიინც და-  
ვიხოცოთო. მისმა მართალმა გულის ძა-  
ხილმა ისეთი ძალა და გამბედაობა შემ-  
მატა, რომ წინ ვედარაფერი დამიდგე-  
ბოდა.

დაახლოებით ნახევარი კილომეტრი  
ვირბინე და შევედექი. აღარ ვიცოდი,  
საით წავსულიყავი. უკან მოვიხედე,  
მხოლოდ ორი კაცი მომყვებოდა და ეს  
ორი კაცი მხსნელივით შემომყურებდა,  
უფსკრულში რომ გადავვარდნილიყავი,  
თან გადმომყვებოდნენ. ოთხი კაცი კი-  
დევ დაგვეწია. დანარჩენები? სად წა-  
ვიდნენ დანარჩენები? ალბათ დანარჩე-  
ნებმა თავს უფრო მოხერხებულად უშ-  
ველეს-მეთქი, — გავიფიქრე, ისევ წინ

წავედი და დიდ გზაზე აღმოვჩნდი:  
გზაზე გერმანელები მიდიოდნენ.

უკან ვეღარ გამოვბრუნდებოდი, შე-  
ვერიეთ და ერთად განვაგრძეთ გზა.

ვინ არიან, — დაიყვირეს გერმანელებ-  
მა. ფრანგები ვართ-მეთქი, შეეძახე და  
ლურჯი ბერეტი მათ თვალ წინ დავიხუ-  
რე (ტყვე ფრანგები ლურჯ ბერეტს ატა-  
რებდნენ).

უკანდახეულ გერმანელებში ფრანგი  
ტყვეებიც ერივნენ. მათ გაიგეს, ვინც  
ვიყავით და შუაში მოგაქციეს.

— Liberté, liberté chériel! — ჩურ-  
ჩულვდნენ ფრანგები.

მუდამ მხიარული ფრანგები კიდევ  
მეტად. გამხიარულებულყვენ, ვეღარ  
მალავდნენ სიხარულს, დასცინოდნენ  
გაქცეულ გერმანელებს. ამასობაში  
ვაილბურგის ტყეს მივეუახლოვდით, თვა-  
ლი სულ ტყისკენ მექირა.

უკანმოუხედავად გარბოდნენ ჰიტლე-  
რელები, ჩვენც მათ მივდევდით. ჩვენს  
თავზე შხელით გადაჰქროდნენ ამერი-  
კელთა ყუმბარები. შუა გზაზე, ჩვენს  
წინ მიმავალ გერმანელებში ჩავარდნილ-  
მა ყუმბარამ გვიშველა, კოლონა შუაზე  
გაწყვიტა, ყველაფერი აირ-დაირია,  
ჩვენც ეს გვინდოდა, გერმანელებმა  
ტყეს მიაშურეს, მათ მივეყვით, ტყეში  
ღრმად შევედი და მივიმალეთ.

ვაილბურგის ტყეში

ტყეში შევედი თუ არა, გაცეხული  
დავრჩით. გერმანელები, ამერიკელები,  
ფრანგები და საბჭოთა ტყვეები სულ  
ერთად იყინენ არეულ-დარეული. ვეღარ  
გაარჩევდით, ვინ მტერი იყო და ვინ  
მოყვარე.

ვაილბურგის ტყეს მთლიანად დავე-  
პატრონეთ. ტყეში მიმალული გერმანე-  
ლები განვაიარაღეთ და დავაპატიმრეთ,  
მაინცადამაინც დიდი წინააღმდეგობა არ  
გაუწევიათ. სწრაფად მოეაწყეთ ბანაკი  
გერმანელი ტყვეებისათვის და მეთვალ-  
ყურეები გამოვყავით.

ნაშუადღევს სრულიად მოულოდნე-  
ლად თავს დაგვესხნენ ტყეში მიმალუ-

ლი ჰიტლერელები, ერთი ცხარე ბრძო-  
ლა მაინც გადავიჩადეთ. ოც კაცამდე  
დაგვიტრეს. გერმანელების ერთმა ნა-  
წილმა, ესესელებმა იარაღი არ დაყარეს,  
მაგრამ საბოლოოდ მაინც მოვახრევი-  
ნეთ ქელი.

ტყის შუაგულში მოქცეულებს განუ-  
წყვეტლივ გვესმოდა სროლა და დიდ

<sup>1</sup> თავისუფლება, საყვარელო თავისუფლე-  
ბავ (ფრანგ.).

გიორგი ქავთარაძე  
ჯარისკაცის ჩანაწერები

გზაზე მიმავალი ტანკებისა და მანქანების ხმაური.

პირველ დღეს სასამელ-საქმელზე არ გვიფიქრია, მეორე დღეს მოგვშივდა, მაგრამ ჩვენ არაფერი გაგვაჩნდა. ისევ ამერიკელებმა და ფრანგებმა გვიშველეს. მესამე დღისთვის მთლიანად გავითავადა სურსათი და წყურვილმაც შეგვაწუხა. გერმანელ ტყვეებს ჩვენზე ნაკლებად არ სტანჯავდათ წყურვილი და გვიჩივის: ამ ტყეში ამოვთხაროთ მიწა და წყალი ამოვაო. მაგრამ რამდენჯერაც დავიწყეთ, იმდენჯერ მივატოვეთ. ამერიკელები პირდაპირ იმ ადგილს უმიზნებდნენ. გაციებულ ტყვიები თავზე გვატყვივოდა. ჩავიქინეთ ხელი.

ნაშუაღამევს თქორი წამოვიდა. ერთმა რუსმა ამხანაგმა წვრილი ჯოხი გათალა, ორივე თავი წაუწვეტა, ხეს დახრილად მისო. წვიმის წვეთები წაწვეტილ ჯოხს გაჰყვა და წვეთა დაიწყო. მივუღვით ქვაბუნები და ხეს ირგვლივ შემოვხევეთ. რამდენიმე წუთში იმდენი წყალი დაგროვდა ქვაბუნაში, რომ პარის გასასველებლად ორ კაცს ეყოფოდა. დანარჩენებმაც მას მივბაძეთ, ვისაც ქვაბუნა არ ჰქონდა, კონსერვის კოლოფი გამოიყენა.

თანაბრად წვიმდა. მხოლოდ ერთხელ წამოუშინა, შემდეგ ისევ თქორავდა, არც ემატებოდა და არც აკლდებოდა. ხანდახან ყუმბარის გადაშხილება და ხეებში ტყვიების ზუზუნი თუ შეგვამფოთებდა, თორემ ჯერჯერობით თავდასხმას არსაიდან ველოდით. არც ჩვენ ვაპირებდით თავდასხმას, მხოლოდ ზოგიერთი ჩვენი ამხანაგი ნადირობდა ტყეში მიმალულ გერმანელებზე.

წვრილად წვიმდა. მიჰყვებოდა წვიმის წვეთები ხეზე მისობილ ჯოხს, მიღწევდა წვეთი ჯოხის წვერამდე, ბროლის თვლებივით აინთებოდნენ და ცვივოდნენ ქვაბუნებსა და კონსერვების კოლოფებში. წვიმას გახურებულ სახეებს ვუშვერდით და სველ ტუჩებს ვილოკავდით.

იმ დღით ვაილბურგის ტყეში ფრინველების საოცარი გალობა მოვისმინე.

წუთით ყველაფერი დამეიწყა. თვალდახუჭული ვუსმენდი. ყველას დუმილი დაუფლებოდა.

წვიმამ გადაიღო, გზაზე ისევ გრძელდებოდა მანქანებისა და ტანკების გუგუნი, ნაშუაღამევს სროლის ხმა შეწყდა.

ერთმა ამერიკელმა, რომელიც ავად იყო, დაიხინა: ჩვენი ამერიკული მანქანებისა და ტანკების ხმა მესმისო. ეს კაცი სიცხიანია-თქო, ვიფიქრეთ და არ დაუფჯერეთ. ის ამერიკელი თურმე ინჟინერ-ტექნოლოგი იყო და ყველა ამერიკული მანქანის ხმას სცნობდა. მას სხვა ამერიკელებმაც დაუპირეს მხარი ამბობდნენ: ვაილბურგში ამერიკელების ჯარი შემოსულაო.

მე, ორი რუსი და ორი ამერიკელი გზის დასახვერავად წავედით და წინ ერთი დატყვევებული გერმანელი ოფიცერი გავივადეთ.

გზას ფორთხვით მივუახლოვდით, წინ გერმანელი ოფიცერი მიდიოდა, უკან ხანჯალმომარჯვებული რუსი მიჰყვებოდა, დანარჩენები შორიახლო მივდევდით. გზასთან ისე ახლოს მივედით, კაცი ლაპარაკს გაიგონებდა. სროლის ხმა შორიდან ისმოდა. მანქანები და ტანკები კვლავ ახლო გრიალებდნენ.

ყურებდაცქვეტილები ხან ბუჩქებს ვეფარებოდით და ხან ფორთხვით მივიწვედით გზისკენ. მოულოდნელად ერთი მალალი და კაფანდარა ამერიკელი ფოცხვერივით გადაახტა წაქუხულ გერმანელს, მთელი სიმაღლით აღიმართა და დაიყვირა: ჩვენებია, ჩვენებია და გზისკენ გაიქცა, ჩვენც მივეყვით და თვალის დახამხამებში გზაზე გაჩნდიო.

ამერიკელთა ჯარი ჩვენი გაქცევის დღესვე შემოსულიყო ვაილბურგში. ტანკები, არტილერია და მანქანები შეუჩერებლად მიემართებოდნენ წინ, არც ერთი ქვეითი არ იყო, სიგარებს აბოლებდნენ, რალაცას ლეჭავდნენ და იცინოდნენ. ტყვე გერმანელი ოფიცერი აღარავის მოჰგონებია.

გზის დასახვერად წამოსულეხს, თურმე შორი ახლოს დანარჩენი ამხანაგებიც მოგვყვებოდნენ. უცებ მთელი ტყე

ლაიკალა და ყველანი დიდ გზაზე გამოცვიდნენ.

ტანკებითა და მანქანებით მიმავალი ამერიკელები ხელს გვიქნევდნენ, გათავისუფლებას გვილოცავდნენ. საპატო ყარაულივით ვიდექით ჩამწკრივებულნი გზის პირას. ამერიკელები ისროდნენ კონსერვებს, პურსა და სიგარეტებს, ყველაფერს, რაც კი ჰქონდათ. განსაკუთრებით რიგითი ჯარისკაცები უფრო გულუხვნი იყვნენ. სურსათით სავსე ყუთებსაც კი ჰყრიდნენ წლობით ნაშმიშლიევი ტყვეებისთვის. ამერიკელთა ჯარის გრძელმა კოლონამ ჩაგვიქროლა. ზურგჩანთები ავაესეთ. ყველაფერი ერთად მოვაგროვეთ და გზის ნაპირას სიგარეტის კოლოფები და სურსათ-სანოვავე დაეხვავეთ. სავსე ზურგჩანთებიც გვერდით მივულავეთ, მივატოვეთ და ავადმყოფების წამოსაყვანად ისევ შუაგულ ტყეს მივაშურეთ.

ავადმყოფ ამერიკელს როგორც კი გაეგო თავისი თანამემამულეების შეშინება, მაშინვე გარდაცვლილიყო. მიცვალებული ჭისტვის ნათხარ მიწაში დავსაფლავეთ, ქუდი და საწვიმარი დაგვაფიწყდა ჩაგვეყოლებრნა სამარეში. ქუდი სამარის თავთან დავუდეთ და საწვიმარი მისმა ამხანაგმა სამარეს წააფარა.

მღუმარედ ვიდექით თავზე ვაშინგტონელ მოქალაქეს, რომელსაც მუხთალმა ბედმა ვაილბურგის მიწაში წოლა არგუნა.

თითო-ოროლა ვშორდებოდით ობოლ სამარეს. მისი ამხანაგი თავჩაქინდრული ადგა თავზე, მერე ჩაიჩოქა, ცას ახედა, თავი დახარა, საწვიმარი შეუქცა და სწრაფად გაშორდა.

მივატოვეთ ჩვენი მფარველი ვაილბურგის ტყე და ისევ დიდ გზაზე გამოვედით. ჯერჯერობით მანქანა არ გვეყავდა, ამიტომ მხოლოდ ზურგჩანთები წავიღეთ. თურმე რად გვინდოდა, ზურგჩანთების თრევით რად ვიკლავდით

თავს! მთელი ქალაქი ჩვენს განკარგულებაში აღმოჩნდა. რასაც მოვისურვებდით, იმას ვიშოვნიდით.

აირჩიე, ვის რა უნდა! გერმანული თუ ფრანგული, ამერიკული თუ სხვა ქვეყნის სასმელ-საჭმელი, ჩასაცმელი და დასახურავი.

ჩვენი გათავისუფლების ბედნიერი დღე 1945 წლის 28 მარტი იყო.

სანამ ქალაქში ჩავიდოდით, ჩვენი ბანაკი ვინახულეთ. ირგვლივ შემოფორბინე ბანაკს და ვნახე ის ვაშლის ხე, რომლის შემწვობითაც ბანაკს თავი დავაღწიე. ველავდი, მაგრამ ეს ღელვა სულ სხენაირი იყო.

ის მავთულხლართიც დავათვალიერე, უკანასკნელად რომ მოიწადინა ჩემი დაქერა, ჩვენი ტანისამოსის ნაფლეთები შერჩნოდა. ეს იმდამინდელი ორომტრიალის ნიშანი იყო.

ალარ მინდოდა შეესულიყავი ბანაკში, ასე მეგონა, ჭიშკარი ჩაიკეტებოდა და ალარ გამომიშვებდნენ. მაინც შევედი. არეულ-დარეული იყო იქაურობა.

„Sauber machen“, დაასუფთავე, — სიცილით ეუბნებოდნენ ერთმანეთს ამხანაგები. ამერიკული კონსერვებითა და შოკოლადებით დატვირთულები. კარტოფილის ნაფცქვენებსა და სანაგვე ყუთებიდან ამოდებულ ძელებს შევცქეროდით: გვინდოდა ცეცხლი წაგვეკიდებინა ბანაკისათვის.

დანარჩენი ამხანაგების ბედი მაწუხებდა. ჯერჯერობით ვერავის შევხვდი. მხოლოდ გოგი გოგინაშვილი იყო ჩემთან.

ჩვენი ნაბანაკარიდან ჩქარა გამოვეარდი. მაქსის ოთახი ღია დამხვდა. მისი საწერი მაგიდაც ხელუხლებელი იყო, მხოლოდ ოთახის ერთი კედელი ჩამოენგრია ყუმბარის ტალღას. კომპოზიტორის მაგიდაზე გადაშლილი პარტიტურები ეწყო.

მაქსის ოთახიდან რომ გამოვედი, რამდენიმე უზბეკი მოვარდა. ისინი

გიორგი ქავთარაძე  
ჯარისკაცის ჩანაწერები



ჩვენს შემდეგ გაქცეულიყვნენ. ვაღამეხვივნენ და ვაღამეოცნენ. ბანაკის ჭიშკრის გატეხისათვის მადლობა ვაღამეხვივნენ და ბანაკში ჟრიაბულით შეცვივნენ. ერთი ბანაკიდან აღრე გამოვიდა, ჭიშკარი ჩაეკრა და გულშავივით დადგა. დანარჩენებიც ჩქარა მოადგნენ ჭიშკარს, მაგრამ დაკეტილი დახვდათ. იქვე „გუშავივ“ შენიშნეს და ახარხარდნენ.

ისევ კომპოზიტორის ოთახში შევბრუნდი. ჰიტლერის დიდი პორტრეტი ეკიდა და გულგრილად ვერ მივატოვე. მაქსის სამელნე ვესროლე და ზედ მივამსხვრიე. მერე სამხედრო სკოლისაკენ ვავიქეცი, სადაც შარლოტა მუშაობდა. რა თავისუფლად ვგრძნობდი თავს! აღარაფრისა მეშინოდა.

შარლოტას სამუშაო ოთახიც ღია დამხვდა, კედელზე ეკიდა მისი ჟოლოსფერი ბერეტი, ჩამოვიღე და ჯიბეში ჩავიდე. ვამოვალე მავიდის უჯრა, ყველაფერი ვადავტრიალე, რას ვეძებდი? რა დამეარგვოდა? არ ვიცი! არავის ველოდი, აღარავისი მეშინოდა, მაგრამ სიჩუმე მიახლოვდებოდა ფეხაკრეფით და მაშინებდა.

გულმა სამხედრო სკოლის შენობისკენ გამიწია, პირველად სამხედრო სკოლის უფროსის კაბინეტში შევედი. წესრიგის მოყვარულ გერმანელ ოფიცერს დალაგებული ოთახი მიეტოვებინა, მხოლოდ ლაიკის ცალი ხელთათმანი ეგლო იატაკზე. სარკმლის რაფაზე ხორბალი და პურის ნამცეცები ეყარა, ჩიტები ჰყოლია მოჩვეული „გულჩვილ“ ჰიტლერელს. ჩვენ კი საკმლის ნარჩენები რომ არ ამოგვედო, მეფოვეს ნაგვის ყუთებში ნავთიანი და ბენზინიანი ჩვრები ჩააყრევინა.

სამხედრო სკოლის დიდი ოთახები საღორეს დამსგავსებოდა. კიბე ჩამოვირბინე და ეზოში გამოვევარდი, კლუბის შენობიდან როიალის ხმა შემომესმა და შევევარდი. მეწალე-მუსიკოსს გული გაედღა, ხელები დაეკაპიწებინა და უკრავდა. მე რომ თავზე წავადექი, მარჯვენა ხელი აიჭნია და ქართული საცეკვო დაუკრა. რატომ არ ვიცეკვებდი?

ხასიათზე არ ვიყავი თუ? ჩამოვუარე მერე დამკვრელმა და მოცეკვავემ ერთმანეთი ვადავკოცნეთ და ქალაქისაკენ ვავეშურეთ.

ბანაკიდან ჩვენს შემდეგ გაქცეული ამხანაგების უმრავლესობა შუა ქალაქში შეგვხვდა. ერთმანეთს ყუინით გადავეხვიეთ და გათავისუფლება მივეულოცეთ. ოთხი თუ ხუთი კაცი, და მათ შორის, არამ ბაგრაშიანი სამუდამოდ დაგვეკარგნენ. გათავისუფლების შემდეგ თითქმის ნახევარი წელი კიდევ ვიცხოვრეთ გერმანიისა და არც ერთი არ შემხვედრია, ახლაც არ ვიცი, რა ბედი ეწიათ.

უზბეკებს, ტაჯიკებსა და ყირგიზებს ჭრელა-ჭრულად ჩაეცვათ. ყველაზე სასაცილოდ უზბეკი დაურა გაიბოვი გამოწყობილიყო. გერმანული მწვანე სამხედრო შარვალი, ბისმარკის დროინდელი შავი ფრაკი ჩაეცვა და ნაცრისფერი ფეტრის ქუდი დაეხურა. გერმანელი ჯარისკაცის დაბალი და ყელგანიერი ყვითელი ჩექმები კოჭებამდე სწვდებოდა მალალ გაიბოვს და ყვენივით დადიოდა. სახეგაბადრული ილიმებოდა და თავის თანამემამულეებს ეხვეწებოდა, სამშობლოში ახლავე ფეხით წავიდეთო.

თავისუფლების პირველი დამე რომელიც ბინაში გავატარე. მეორე დღეს კარლ შმიდტის სანახავად ვავეშურე. ხელეგაშლილი კარლი მამასავით ვაღამეხვია და ვაღამეოცნა. მერე მის მეუღლესთან მივედი და ხელები დავეუკოცნე. კარლი მათვალისწინებდა და მეუბნებოდა: ახლა სულ სხვანაირი ხარ, ყავისფერ კოსტუმზე მოყვითალო პერანგი ძალიან გიხდებაო.

რა სჯობდა ამ ოჯახში ყოფნას... და მაინც ვერ გავჩერდი. ერთ ადგილზე დიდხანს ვერ ვჩერდებოდი. სალამოს ექვსი საათის შემდეგ ქალაქში სიარული აკრძალული იყო. მე შარლოტა მინდოდა მენახა. მისამართი არ ვიცოდი, არც მივითხავს. რა ვიცოდი თუ დამპირდებოდა. შმიდტს ჩემი მისამართი მივე-



ცი, დავემშვიდობებ და ამხანაგებთან დავბრუნდნი.

მეორე დღეს შარლოტა მოულოდნელად შემხვდა ქუჩაში. სიხარულისაგან ატირდა. მეც მომერია ცრემლი, ბავშვივით მკერდზე მომეყრდნო. შემდეგ ორივენი კარლ შმიდტთან წავედით, შეპირებული ვიყავი, იმ დღეს უნდა მივსულიყავი. შარლოტას დანახვაზე კარლმა თვალი ჩამიკრა, კარგა მანძილზე გამოგვაცილა და დაგვემშვიდობა. მე და შარლოტა ბაღში დავსხედით და დიდხანს ვილაპარაკეთ. მთხოვა, უსათუოდ მივსულიყავი მათ ოჯახში და მისი მშობლები გამეცნო. მე დავპირდი, რომ უსათუოდ მივიდოდი. შარლოტამ უბის წიგნაკში ჩამიწერა მისამართი.

მთელი ვაილბურგი შემოვიარე და მაინც ვერ მივაგენი შარლოტას სახლს. ვწუხდნი. მელოდნენ და რომ არ მივსულიყავი, რა უნდა ეფიქრათ?

მე რომ ჩემი ხელით. დამეწერა შარლოტას მისამართი, შეიძლებოდა შემხვლოდა. თვითონ დამიწერა და განა შეიძლებოდა, სწორი არ ყოფილიყო? ბოლოს ერთი გერმანელი მოქალაქე შევაჩერე და ვკითხე. გერმანელმა მოქალაქემ მწარედ გაიღიმა და მიპასუხა:

— ბატონო, მე ამ ქუჩაზე ვცხოვრობდი 50 წელიწადი. აღარ არსებობს ეს ქუჩა, თითქმის მთლიანად დაინგრა. — გამევა, დამანახა ერთადერთი გადარჩენილი სახლი იმ დანგრეულ ქუჩაზე და მითხრა: აი, იმ სახლში ცხოვრობს კომპოზიტორი ოტო შტოლი, ძალიან კარგად ვიცნობო.

უცნობ გერმანელს დიდი მადლობა გადაუხადე და ამერიკული სიკარეტების ორი კოლოფი ვაჩუქე. გაეხარა, ქუდი მომიხადა და დამემშვიდობა.

უკვე სადილობა იყო და უნერხულად ჩავთვალე უცხო ოჯახში მისვლა, გადავწყვიტე მეორე დღეს მივსულიყავი.

კომპოზიტორი ოტო შტოლი

საცოდავად იდგა პაინ ალეს ქუჩაზე ერთადერთი სახლი და მდუმარედ გასცქეროდა დანგრეულ ქუჩას. იმ სახლში ცხოვრობდა შარლოტას ოჯახი.

უჩვეულო მღელვარებით ავირბინე კიბე. ზარის დარეკვაც ვერ მოვასწარი, კარი შარლოტამ გამიღო, მელოდა. სასტუმრო დარბაზში შემიყვანა. დაჯდომაც ვერ მოვასწარი, ერთად მოადგნენ ღია კარს შარლოტას მშობლები.

— მადლობა დმერთს, — თქვა შარლოტას მამამ, სანამ ხელს. ჩამომართმევდა. დავსხედით.

შარლოტა როილს მიუჯდა და როგორც მითხრა, დიდი ხნის დადუმებული ინსტრუმენტი აამეცყველა. კომპოზიტორი მამის საყვარელ ნაწარმოებს უკრავდა. ველავდი, ყველაფერი სიზმარი მეგონა, ტკბილი და სანატრელი სიზმარი.

კომპოზიტორი ოტო შტოლი დაახლოებით 60-65 წლის, საშუალოზე მაღალი,

შავგვრემანი და გამხდარი, სათნო სახის კაცი იყო.

კარგი მეგობრებივით ვკითხულობდით ერთმანეთის ამბებს მე და შარლოტას მამა. შარლოტამ კიდევ დაუკრა რაღაც და მერე ჩვენთან დაჯდა. სულ იცინოდა, ცოტას ლაპარაკობდა. მამამ თავის ქალს რაღაც ანიშნა, ქალიშვილმა თავი დაუქნია და მეორე ოთახში გავიდა. ყავის დალევის დრო იყო.

შარლოტა ჩქარა შემოვიდა, ორი წიგნი შემოიტანა და მამას მუხლებზე დაუდო. ოტო შტოლმა ერთი წიგნი დაიტოვა და მეორე მე გადმომცა. შარლოტა იცინოდა, ხან ჩემს წიგნს შეხედავდა და ხან მამამისს. წიგნი ხელში მეჭირა, მაგრამ ჯერ არ ვაპირებდი დათვალიერებას. ვფიქრობდი, ალბათ რაღაც საინტერესო წიგნია-მეთქი.

გიორგი ქავთარაძე  
ჯარისკაცის ჩანაწერები

კომპოზიტორმა წიგნი გადაფურცლა, თვალი გადააგლო და ჩამოთვალა: გრიგოლ ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი...

მე გაოცებული შევყურებდი და ვერ დამეჯერებინა, რომ ქართველი მწერლების სახელს წიგნიდან კითხულობდა.

ოტო შტოლმა სათვალე მოიხსნა, დააორთქლა, ფაფუკი ხავერდის ნაჭრით გაწმინდა და დახედა. მერე ისევ წიგნი გადაფურცლა. ერთი ლექსი მონახა და წამიკითხა, ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანი“ იყო.

კომპოზიტორის მეუღლე, შარლოტა და შარლოტას უმცროსი და პატარა უტა თავზე გვადგნენ და კმაყოფილებით შემომცქეროდნენ: შარლოტა კისკისებდა და სახეზე ბედნიერების შუქი ევინა.

კომპოზიტორმა კიდევ მონახა ერთი ლექსი, თქვა: ახლა გაზაფხულია და გაზაფხულისადმი მიძღვნილ ლექსს წავიკითხავთო.

ოტო შტოლმა ილია ჭავჭავაძის „გაზაფხული“ წაიკითხა. ვერ ვიტყვი, რა განვიცადე. ეს არ იყო მხოლოდ ის სიამოვნება, რასაც პოეზია გვანიჭებს ხოლმე, რაღაც სხვა იყო, რაღაც უფრო მეტი და უფრო საოცარი. ფეხზე წამოვხტი და ქართულად წავიკითხე. მერე კომპოზიტორს შუბლზე ვეამბორე.

არტურ ლაისტის წიგნი იყო, XIX საუკუნის ქართველი პოეტების ლექსების თარგმანები. როგორც ცნობილია, ეს წიგნი რამდენჯერმე გამოიცა გერმანიაში—ლაიფციგსა და დრეზდენში. ამის შემდეგ ოტო შტოლმა მეორე წიგნი აიღო, გადაშალა და წაიკითხა: „იყო არაბეთს როსტევან, მეფე ღმრთისაგან სვიანი“... ესეც ლაისტის თარგმანი იყო. შტოლმა არც კი იცოდა კარგად ლაისტის ცხოვრება და მოღვაწეობა. მე ვუთხარი, თუ როგორ უყვარს და პატივს სცემს ქართველი ხალხი გერმანელ მწერალს არტურ ლაისტს. ის დღე ჩემთვის ნამდვილად ბედნიერი დღე იყო.

კომპოზიტორ ოტო შტოლს რუსული ენა დამოუკიდებლად შეესწავლა. რუსულად კარგად წერდა და კითხულობდა, ლაპარაკი მაინც უქირდა.

ორი წიგნი—ტურგენევის „Стихотворения в прозе“ და „გერმანელი პოეტების ალმანახი“ იმ დღესვე მისახსოვრა. ჩამოვიტანე სამშობლოში და ორივე წიგნს თვალის ჩინივით ვუფრთხილდები.

გერმანელი კომპოზიტორი რუსული მუსიკის დიდი თაყვანისმცემელი იყო.

ნაიცისტების ხელში საწყალი კომპოზიტორი ხელმოკლედ ცხოვრობდა. ამას ისიც ემატებოდა, რომ ჰაინეს ლექსების ტექსტზე იყო დაწერილი მისი საუკეთესო მუსიკალური ნაწარმოებები. ჰაინრიხ ჰაინეს წიგნი გადასაგდებად ვერ გაემეტებინა და ფრიდრიხ ვოლფის ლექსებთან ერთად სარდაფში გადაეშალა. ჩემს იქ ყოფნაში ამოატანინა სარდაფიდან თავის უმცროს ქალიშვილს მტვერწყარილი წიგნები, წინ დამილაგა და ღმერთს მადლობა შესწირა, ამ დღეს რომ მოესწრო.

ორშაბათ დღეს ვაილბურგის ქუჩებში დავეხეტებოდი. შემთხვევით ოტო შტოლის სახლთან გავიარე. კომპოზიტორი, მისი მეუღლე და მათი უმცროსი ქალი უტა შინიდან გამოდიოდნენ. გაზაფხული იყო და მშრომელი გერმანელები ბალ-ბოსტნებისკენ მიეშურებოდნენ.

კომპოზიტორს პატარა თოხი ეჭირა, მის მეუღლეს—ბარი და უტას კი ჭრელი კალათა. შარლოტა, რომლის დანახვა ყველაზე მეტად გამახარებდა, არ ჩანდა. ერთმანეთს მშვიდობის დილა ვუსურვეთ, ვთხოვე ჩემთვისაც ეშოვნათ რაიმე სამუშაო იარაღი, თქვენთან წამოვალ-მეთქი. უარი მითხრეს, როგორ შეგაწუხოთო.

არ მოვეშვი, ჩემს დაქინებულ სურვილს წინააღმდეგობა ვეღარ გაუწიეს და ქერაკულულებიანი უტა პეპელასავით გაფრინდა თოხის მოსატანად. დე-

დამ გოგონას სიტყვა დაადევნა: მაისი ნაცრისფერი გრძელი ხალათი უპოილე, ბალში არის ვადაკიდებული დიდი პალმის კასრზეო.

გზა განვაგრძეთ, მკვირცხლი გოვონა ჩქარა წამოგვეწვია, ნაცრისფერი ხალათი გადმოშვა, თოხის მოცემა კი ვერ შემომკადრა. თოხი გამოვართვი და მხარზე გავიდე. შარლოტაც მოვარო, — გვითხრა გოგონამ და ასკინილით განაგრძო გზა.

მზიანი დღე იყო, ოდნავ ციოდა, მზე თანდათან მალდებოდა და ტბილად გვათბობდა. ნელ-ნელა, ტბილი ჰუსაიფით შევედით ბოსტანში.

ხელისგულის ოდენა პრასის ფოთლებმა და მწვანედ წამოჩიტულმა ოხრახუშმა თავბრუ დამახვია. მინდოდა მომეკრიფა და შემექამა. ვერ გავბედე, შემტრცხვა, თვალი ავარიდე.

ავიდე თუ არა ბარი და დავკარი მიწას, ჩემი სამარის თხრა მომაგონდა. რამდენ ბელტსაც გადავაბრუნებდი, იმდენი გათხრილი სამარე მეჩვენებოდა. ისე დამცხა, თითქოს აგვისტო ყოფილიყო, თვალები ამემღვრა და მიწა გამექცა. ვცდილობდი, მომეშორებინა ეს მტანჯველი ჩვენება, მაგრამ ვერ ვახერხებდი.

არ ვიცოდი, რა მეშველებოდა, შარლოტა რომ არ მოსულიყო... „გამოჯობაო“, ტბილი ხმით მომესალმა შარლოტა. გონს მოვედი. საშინაოდ ეცვა, შეენოდა საშინაო ტანსაცმელი.

საცოდავად ურტყამდა თოხს კომპოზიტორი შტოლი. რამდენჯერაც დაარტყამდა თოხს მიწაზე, იმდენჯერ ისვენებდა, დაეყრდნობოდა თოხის ტარს და მეკითხებოდა ჩემი ქვეყნის ცხოვრების ამბებს. უკვირდა, ნამდვილი მუსიკაცივით მუშაობო. 16 წლამდე სოფელში ვცხოვრობდი და განა შეიძლებოდა უმამოდ გაზრდილს მუშაობა არ მცოდნოდა?

ყავის დაღვეის დრომ მოაღწია და მთხოვეს, თითო ჭიქა ყავა ერთად დავლიოთო. არ მინდოდა ყავა, მაგრამ მაინც დავთანხმდი.

მეჩქარებოდა. იმ დღეს ამხანაგებს უნდა შევხვედროდი. ერთი ჭიქა ყავა დიდი გაკირვებით დავლიე, რამდენიმე ჭიქა კონიაკი ფეხზე მდგომმა გადავკარი, ჩემს კეთილ გერმანელ მეგობრებს დროებით გამოვეთხოვე და კიბეზე დილინით დავვევი.

ვაილბურგის ქუჩები უგრძნობლად მთვრალი ამერიკელებით იყო სავსე. შორიდან ხმაური და ავტომატის კაკანი ისმოდა. მალე სროლა ახლოც გაჩაღდა. გერმანელი მოქალაქეები მიმალულიყვნენ.

ქუჩაში სიარული შეუძლებელი იყო, უკან დავბრუნდი და ისევ ჩემი მასპინძლების სახლთან მოვხვდი. ოტო შტოლის მთელი ოჯახი აივანზე გადმომდგარიყო და მირჩევდნენ, მათთან ავსულიყვი. უარი ვუთხარი და თავის შესაფარებლად მოპირდაპირე სახლის სადარბაზოს მივაშურე, მაგრამ კარი ვერ გავაღე. სადარბაზო გერმანელებით იყო გაჰედილი. ისევ უკან დავბრუნდი. სროლა ისევ გრძელდებოდა. მოულოდნელად შარლოტა წინ გადამიდგა, სხვა გზა არ მქონდა, მათთან მივბრუნდი. მიყვარდა ეს ოჯახი, მაგრამ გული ახლა მაინც ქალაქისკენ მიმიწევდა.

გვიან ვივანშემეთ, ჩემი ოთახის ფანჯრები ქუჩას გადაპყურებდა. ბნელოდა, მთვარე გვიან ამოვიდა. არ მეძინებოდა, სარკმელი გავაღე და ქუჩაში გადავიხედე. მთვარის შუქზე გულმეზარავე იყო ნანგრევები.

ოთახში ვეღარ გავჩერდი, მარტოობამ სევდით ამავესო, ველარ გავუძელი ნანგრევების ცქერას, მთელი ქვეყანა დანგრეული მეგონა.

შუშაბანდში გამოვედი და ბალში გადავიხედე. შარლოტას პალტო წამოესხა, ორივე ნიდაყვით დაყრდნობოდა დიდ კაარს, რომელშიაც პალმა იყო. დიდხანს ვუყურებდი. არ მინდოდა მყუდროება დამერღვია. არ გამოვლამარაკებოდა. ჩემს ხსოვნაში იგი ასე დარჩა:

გიორგი ქავთარაძე  
ჯარისკაცის ჩანაწერები

პალტოწამოსხმული და პალმის ჩრდილ-  
ში დაფიქრებული.

დილით ყველანი უხალისოდ ვიყა-  
ვით. საუზმის შემდეგ შარლოტამ და  
მამამისმა ბინამდის მიმაცილეს. შაბათს  
ვაიმარში ვაპირებდით წასვლას, ღამე  
ოტო შტოლის ნათესავეებთან უნდა  
გავგეთია და მეორე დღეს სხვა ქალა-  
ქებს დავათვალიერებდით.

ვაილბურგში ყოფნის დროს ვინახუ-  
ლე მაინის ფრანკფურტი, ვაიმარი, ვეც-  
ლარი და თითქმის ყველა ახლო-მახლო  
ქალაქი.

ერთ პარასკევს, დღის 12 საათზე  
სრულიად მოულოდნელად ამერიკელებ-  
მა გამოგვიცხადეს: ვისაც სურს ამერი-  
კაში წასვლა, დარჩეს განსაზღვრულ  
დრომდე ვაილბურგში, ვისაც არ სურს,  
დღესვე, ახლავე უნდა წავიდეს ვაილ-  
ბურგიდან. ერთ საათში მანქანები მო-  
ვაო.

გამიხარდა. ყოველი წინ გადადგმული  
ნაბიჯი სამშობლოსთან მახლოვებდა.  
შევუდექი მზადებას, ვეღარ მოვასწარი  
შემერბინა კარლ შმიდტისა და ოტო  
შტოლის ოჯახებში გამოსამშვიდობებ-  
ლად. გული დამწყდა.

ვერ მოვითმინე. პატარა გერმანელ  
ბიჭს დავუძახე. რამდენიც მოხოვა, ათი  
იმდენი მივეცი ჩემთვის გამოუსადეგარი  
გერმანული ფული. არ მოელოდა, ამ-  
დენს თუ მივემდი. ბევრი ფულის შოვ-  
ნით გახარებული პატარა ბიჭი მოახტა  
ველოსიპედს და ორივე ოჯახში წაიღო  
ჩემი წერილები.

ვეწრდი, რომ მოულოდნელად მივ-  
დიოდი ვაილბურგიდან და ვეღარ მო-  
ვახერხე მათი ნახვა. მადლობას ვუხდი-  
დი ყველას სიკეთისათვის და აგრეთვე  
იმასაც ვწერდი, რომ სამშობლოში მი-  
მავალს თან მიმყვებოდა მათი დიდი  
სიყვარული.

ჩვენი მანქანების კოლონები ნელ-  
ნელა ტოვებდნენ ვაილბურგს. აი, და-  
ზიანებულ ხიდზე მანქანებმა კიდევ  
უფრო შეანელებს სვლა. უეცრად ჩემი  
სახელი და გვარი გავიგონე. მოვიხედე:  
ჩემი ვაილბურგელი მეგობრები: კარლ  
შმიდტი, მისი მეუღლე, მათი ქალიშვი-  
ლი, ორი ქერივი რძალი, ოტო შტოლი,  
მისი მეუღლე, უტა და შარლოტა ჩემს  
გასაცილებლად მოსულიყვნენ. ყვავილე-  
ბი ეჭირათ. შინ აღარავინ დაეტოვები-  
ნათ. კარლ შმიდტს თავისი პატარა  
ძალიც კი წამოეყვანა.

პატარა უტამ ყველას აჯობა, წითელი  
ვარდების თაიგული მესროლა, მკერდზე  
მომხვდა და ხელით დავიჭირე. დანარ-  
ჩენებს ხელში შერჩათ ყვავილები.

მანქანამ ხიდი გადაიარა, სვლას უმა-  
ტა, კარლ შმიდტის ძალი დიდხანს მოგ-  
ვდეგდა. ხეებს მოვფარეთ. მერე მან-  
ქანები ხეებს გასცილდა და ისევ გამოჩნ-  
დნენ ჩემი გამცილებლები.

შარლოტას უკანასკნელად მოვკარი  
თვალი და მერე ყველაფერი თვალს  
მოეფარა.

ერთი კვირის შემდეგ ქალაქ ორ-  
დრუფში ჩავედი.

დასასრული იქნება




შექსპირს ყოველ კულტურულ ქვეყანაში ყოველი  
თაობა ახლებურად თარგმნის.

მე ვაქვეყნებ „ჰამლეტის“ პირველი აქტის თარგ-  
მანს და თუ ამ ცდამ დადებითი გამოძახილი ჰპოვა,  
განზრახული მაქვს მთლიანად ვთარგმნო ეს ტრა-  
გედია.

1962 წ.  
ოქტომბერი.                      ბ. ბ.

## ჟილიამ შექსპირი



პრინცი ლანიისა

აქტი პირველი

სცენა პირველი. ელისინორში მცირე რამ მოედანი სამეფო სასახლის კოშკის წინ.

ბერნარდო — ჰე, ვინ მოდის?

ფრანცისკო — ჯერ თავათ გმართებს ხმა გაიღო,

შესდექ და გვამცნე ვინაობა, ეს გირჩევნია.

ბერნარდო — მზეგრძელი იყოს მეფე!

ფრანცისკო — ბერნარდო, შენა?

ბერნარდო — გახლავთ იგივე.

ფრანცისკო — თქვენ გამოცხადით ზედმიწევნით დანიშნულ  
დროზე.

ბერნარდო — ჰა ესეცაა, რაც თორმეტჯერ დაჰკრა საათმა.

წადი, დაწევი, დაიძინე, ჩემო ფრანცისკო.

ფრანცისკო — მაღლობას გიძღვნი შენაცვლებისათვის:

ოჰ, როგორ ცივა! უგუნებოდ ვარ რატომღაც თანაც.

ბერნარდო — გუშაგობის დროს თუ სუფევდა ირგვლივ სიწყნარე?

ფრანცისკო — თავგსაც კი არსად გაუღია მცირედი ჩქამიც.

ბერნარდო — ღამენებისა.

თუ სადმე შეხვდე ჰორაციოს და მარცელუსსა,  
შემცვლელთა ჩემთა, უთხარ, დროზე გამოეშურონ.

**ფრანცისკო** — ვგონებ გამოჩნდნენ... ჰეი, შესდექ, ვინ მოდის, გვამცნე!

შემოდან **პორაციო** და **მარცელუს**

**პორაციო** — შეგობარნი ამ ნიადაგის.

**მარცელუს** — და ქვეშევრდომნი დანიის მეფის.

**ფრანცისკო** — ლამენებისა.

**მარცელუს** — მშვიდობა შენდა, მეომარო პატიოსანო, თქვენ ვინ შეგცვალათ?

**ფრანცისკო** — ბერნარდო დადგა საგუშაგოდ. ლამენებისა. ვადის

**მარცელუს** — ჰეი, ბერნარდო!

**ბერნარდო** — სთქვი, პორაციო თუ არის აქა?

**პორაციო** — ნამუსრევი გახლავართ მისი.

**ბერნარდო** — მობრძანდი, ჩემო პორაციო. შენაც, მარცელუს.

**მარცელუს** — რაო? ხელახლა ხომ არ ნახეთ ჩვენება იგი?

**ბერნარდო** — მე არაფერი შემინიშნავს.

**მარცელუს** — პორაციოს თქმით, ჩვენ გვატყუებს ვითომდაც თვალი.

მას არც კი სჯერა არსებობა საშინელების, რომელიც ორგზის ამას წინათ გამოგვეცხადა.

მიტომც ვაწვიე იგი ახლა, რათა თვითონვე

ჩვენ ორთან ერთად იგუშავოს გათენებამდის.

და როცა კვლავაც გამოჩნდება ჩვენება იგი,

თვათი დარწმუნდეს და თვითონვე მას შეესიტყვოს.

**პორაციო** — ჰაი, ჰაი, იგი არ მოვა...

**ბერნარდო** — დასხედით ერთხანს და იერიშს მივიტან ისევ მე თქვენს ყურებზე, რომელნიც თქვენ დახშეთ ანაზღად იმის სასმენად, რაც ორ ღამეს აქ ვნახეთ ორგზის.

**პორაციო** — კეთილი, დავსხდეთ, მოვეუსმინოთ ბერნარდოს თბრობას.

**ბერნარდო** — გასული ღამით,

ჰე, ის ვარსკვლავი, სწორედ იგი, პოლაუსის მხრიდან დასავლეთისკენ ისწრაფვოდა, ცას ანათებდა იქ. სადაც ახლა კვლავ დაეღაყებს, მე და მარცელუს, ჟამი პირველი თუ იქნებოდა...

**მარცელუს** — დაღუმდი, დახე... ისევ უნდა გამოგვეცხადოს. ჩვენება ცხადდება.

**ბერნარდო** — ანაგობითაც მოგვაგონებს გარდაცვლილ მეფეს.

**მარცელუს** — განსწავლული ხარ, შეესიტყვე მას, პორაციო.

**ბერნარდო** — განა არა ჰგავს მეფეს ჩვენსას, ჰე, პორაციო?

**პორაციო** — დიახ, მაყრყოლებს შიშისა და განცვიფრებისგან.

**ბერნარდო** — სჩანს, შესიტყვებას მოელის ჩვენგან.

**მარცელუს** — მაშ, პორაციო, ხმა გაეცი, ჰკითხე რაიმე.

**პორაციო** — ვინა ხარ, მარქვი, ჰე, ჩვენებაც, გვიანი ღამით

რომ განგვეცხადე კეთილშობილ ანაგობითა,

რომლითაც მეფე დანიისა მზეგადასული

გვევლინებოდა ჩვენ აქ მიწაზე.

გაფიცებ ზეცას, გვარქვი, ვინა ხარ?

**მარცელუს** — შემოგვწყრა, ვგონებ...



**ბერნარდო** — დახეთ, გვშორდება.

**ჰორაციო** — ჰეა შესდექი, ცას გაფიცებ, შემოგვესიტყვე ჩვენება ჰერება

**მარცელუს** — ვაგლახ, წავიდა და პასუხი არც კი გვადირსა.

**ბერნარდო** — ახლა რას იტყვი, ჰორაციო, ათრთოლებულხარ! ეს ხომ ყოველგვარ ფანტაზიას აღემატება? რას ფიქრობ ახლა?

**ჰორაციო** — ვფიცავ უფალსა, არასოდეს დავიჯერებდი, ჩემივე თვალნი მოწმეებად რომ არ მყოლოდნენ.

**მარცელუს** — განა არა ჰგავს მეფეს ჩვენსას?

**ჰორაციო** — ისე, როგორც შენ მიაგაეხარ საკუთარ თავსა. სწორედ ეგეთი თორი ეცვა, როგორიც მაშინ, როდესაც მეფე დაეძგერა ნორვეგთა ბატონს, პირქუში, მწყრალი, ისეთივე, როგორმაც ერთხელ ყინულზე დასცა გულზევიადი მეფე პოლაკთა!

**მარცელუს** — ორგზისაც სწორედ ასეთსავე უქამურ ქამზე ჩამოგვიარა ჩვენ გუშაგებს პირგამეხილმა.

**ჰორაციო** — ვით საცნაურგვყო ეს ამბავი, მე აღარ ვუწყვი, მაგრამ რამდენად კიდევ მიჭრის გონების ძალი, ეგ მოასწავებს დიდ აღრევას ჩვენს სამეფოში.

**მარცელუს** — მაშ კარგი ახლა, გვამცნოს იმან, ვინც კარგად იცის — რას ნიშნავს ეგზომ დაძაბული მზაობა სპათა, ჩვენს ქვეყანაში რომ წარმოებს დღისით და ღამით? რისთვის აღნობენ ქვემეხთათვის ნიადაგ რვალსა, უცხო ბაზრებზე საქურველებს რისთვის იძენენ? რად აგროვებენ სახომალდო ვერფებში მუშებს, რომელთაც კვირის დასვენებაც ვერ ღირსებიათ? რას მოასწავებს ეს ოფლისდგრა დაუცხრომელი, რომელმაც ღამე მიაშველა დღეს გასარჯელად? ვის შეუძლია ეს მაუწყოს და განმიმარტოს?

**ჰორაციო** — ამას მე გამცნობთ. რამდენადაც ხმა დადის ხალხში, უკანასკნელი მეფე ჩენი, რომლის ხატება წედან აქ დამსწრეთ მოგვევლინა და განგვეცხადა, როგორც თქვენ უწყით, ფორტინბრასის, ნორვეგთა მეფის გულზევიადობამ აიძულა დაეწყო ბრძოლა. მერმე ის იყო, უფლისწულმა ჩვენმა ჰამლეტმა, მთელს ქვეყანაზე სიმამაცით სახელ განთქმულმა, მოჰკლა ფორტინბრას; მათ წინასწარ ჰქონდათ პირობა დამტკიცებული კანონით და სეფებეჰდიოთა, ჰერალდიური, რაინდული წესების კვალად, რომ ამ ბრძოლაში დამარცხებულ მხარეს მართებდა სამკვიდრო თვისი სიციცხლესთან ერთად დაეთმო გამარჯვებულის საწინდარად და სასარგებლოდ! ამოდენივე საბრძანისი და სამფლობელო ჩვენმა მეფემაც მიუზომა თავის მეტოქეს და ვინძლო ომში გაემარჯვა ნორვეგთა პატრონს,

<sup>1</sup> შექსპირი პოლონელს უწოდებს პოლაკს.



იგი უცილოდ მიიღებდა სამკვიდროს ჩვენსას,  
 ისევე, როგორც მისი წილი ერგო ჩვენს ჰამლეტს.  
 ახლა ფორტინბრას უფლისწულმან, ჯერაც ჭაბუკმა,  
 გულმოცემულმან გამოუცდელ სიყრმის სიანჩხლით,  
 ნორვეგიაში ალაგ-ალაგ შექყარა სპანი  
 თავაწყვეტილნი, უმეცარი ბოგანო ბრბონი,  
 რომელთაც ძალუძთ თავი დასდონ ლუკმა-პურისთვის.  
 ეს სხვა რაღაა, როგორც ფიქრობს მთავრობა ჩვენი.  
 თუ არ მაგარი მკლავითა და ძალმომრეობით  
 დაპატრონება აქ ნახსენებ ჩვენ მიწა-წყლისა,  
 რაც მამამ მისმან ჩვენ წაგვიგო და სწორედ ეგა,  
 მე ავრე ვფიქრობ, უნდა იყოს კიდევ მიზეზი  
 შესაძლებელი ომისათვის სამზადისისა,  
 პირველსათავე ფხიზლობის და ჩუმი ფუსფუსის,  
 რაიც ამჟამად საცნაური გამხდარა ჩვენში.

**ბერნარდო** — მეც ამას ვფიქრობ, რომ ეგაა. ამას ემთხვევა  
 იგიცა, რომ მეფის ჩვენის მზგავსი ჩვენება  
 ეგზომ ბედითად შექტურვილი და თოროსანი  
 ეწვევა ხოლმე საგუშაგოს ღამეულს ჩვენსას,  
 როგორც მიზეზი და სათავე ომიანობის.

**ჰორაციო** — მტერის ნამუსრევი იგი ბიდნავს თვალს გონებისას,  
 ოდესღაც მაღალ და პალმებით შემკულ ქალაქში,  
 რომშიც ეს მოხდა იმ დღეებში, როს დიდებული  
 დიდი ცეზარი დაიღუპა; დაცალიერდნენ  
 საგოდებელნი და საფლავნი, წარმოდგნენ მკვდრები,  
 სულარიანად მოეფინენ ქალაქის ქუჩებს  
 ზრინვით და ვიშით, ამაზრზენი ალიაქოთით.  
 ცაზე ვარსკვლავნი აელვარდნენ აღმოდებულნი,  
 რთვილი სისხლისა მზეს მოედო მრეში ლაქებით,  
 სველი ცთომილი გამგებელი ნეფტუნის ქვეყნის  
 ავად შეიქნა ეკლიპსისგან თვით განკითხვის დღეს  
 სწორედ ასეთი წინასწარი საცნაურყოფა  
 ფრიად ბედითი მოვლენების საშინელ დღეთა,  
 ვით მალესრბოლნი განგებისგან წარმოგზავნილნი  
 და თანაც მაცნე ნათელხილვის, მისნური ჰერეტის  
 ჩვენ მოგვივლინეს ერთობლივად მიწამ და ცამან  
 სამკვიდროს ჩვენსას და ჩვენსავე თანამომქმეებს.  
 დაღუძმდით, დახეთ. ისევ მოდის, გვიახლოვდება...  
 ჩვენება ცხადება

**ჰორაციო** — გზას გადავუჭრი, თუნდაც მომკლას. შესდქეი, ლანდო!  
 თუ გავაჩნია ხმის ვალების რამე უნარი, შეიომესიტყვე.  
 თუ, შესაძლოა ჩაეიდინო სიქველე რამე,  
 შენდა საშველად და სალხენად ჩემი სულისა,  
 შემომესიტყვე, ეგებ უწყოდე,  
 რა მოელის ქვეყანას შენსას.



ან რა გზით ძალგეის დავაღწიით განსაცდელს თავი, შემომე-  
სიტყვე.

უკეთუ შენის საქაოს ცხოვრების ქამსა  
შემოგინახავს მიწის გულში საჭურჭლე რამე,  
რისთვისაც სულნი, აგრე ითქმის სიკვდილის შემდეგ,  
დაეხეტებოთ კვლავ ამქვეყნად, შესდექ და გვამცნე.  
მამალი დაიყილებს

მარცელუს, გვედრი, შეიპყარი, ხმა მიაწვდინე!

**მარცელუს** — შენ როგორ იტყვი, ჰორაციო, ვცე წერაქცული?

**ჰორაციო** — შემოჰკარ მყისვე, თუ შედგომა აღარ ინება.

**ბერნარდო** — იგი აქ არის.

**ჰორაციო** — იგი აქ არის.

ჩვენება ჰქრება.

**მარცელუს** — გაუჩინარდა:

ამოდ დავშვრით, მოვექცით უმართებულოდ  
ლანდსა დადებულს, რომ შევებდეთ ძალმომრეობა.

შეუვალა იგი ისე, როგორც ჰაერი.

ქადილი ჩვენი გულზოროტთა ღრეჯაა მხოლოდ.

**ბერნარდო** — ხმას გაიღებდა სწორედ, მამალს რომ არ ეყვილა.

**ჰორაციო** — და შეერთა მყისვე, როგორც ვინმე ცოდვილთაგანი,

შემოძახებას რა მოისმენს, გამიგონია:

მამალი თურმე, ეს დაფდაფი განთიადისა,

გულამაზრზენი გამყივანი ხმითა აღვიძებს.

ზღვაზე იქნება თუ ქარცეცხლში, ხმელზე, ჰაერში,

ღეთაებას დლისას და მისივე ნიშნის მიხედვით

ყოველი სული მოყიალე და მორიალე

საკუთარ სამანს მიაშურებს და ამას მართლაც

ეს მაგალათიც ადასტურებს ჩვენგან ხილული.

**მარცელუს** — იგი განქარდა, რა მოესმა მამლის ყვილი.

აგრე იტყვიან: როს დადგება თვე დეკემბრისა,

როცა მაცხოვრის ჩვენის შობას ვდღესასწაულობთ.

ნიადაგ ღამით ყვის თურმე ფრინველი იგი.

მავნებელ სულებს შეეკვრებათ მყისვე იოგი,

ამოა ღამე და ცთომილნი მაღალ ცისანი

არ სთესვენ სიკვდილს, ვერც ფერია მაცთუნებელი,

ველარც ჭინკები ახერხებენ კაცთა გაქარჩხვას,

აგრე მოწყალე და წმინდაა ეგ ქამი თურმე.

**ჰორაციო** — ეგ მეც მსმენია, ნაწილობრივ მჯერა კიდევაც,

მაგრამ მიხედვით, შემოსულმან ძიწით რიყრაქმან

ფეხი დაადგა იმ თხემებზე მთვლემარე რთვილსა;

შეეწყვიტოთ ახლა გუშაგობა და მე გირჩევდით

ეს ყოველივე გაუჟმელანოთ, რაც თვალთ ვნახეთ,

ჭაბუკსა ჰამლეტს, რადგანც გეტყვი, ვფიცავ სიციოცხლს,

სული, რომელიც დაგვეუბრა, მას გასცემს ხმასა.

მე დამიჯერეთ, მას ვაუწყოთ ეს ყოველივე,

რასაც გვაქისრებს სიყვარულის ვალდებულება.

\* შილიამ შექსპირი \* ჰამლეტი \*

სტენა მეორე, სახელმწიფო დარბაზი სამეფო კოშკში. შემოდინ: მეფე, დედოფალი, პაპლეთი, პოლიციის, ლაერტეს, ვოლტიმანდ, კორნელიუს, ლორდები, ამაღა.

**მეფე** — თუმც საყვარელის ძმისა ჩენის პაპლეთის სიკვდილს ჯერაც განვიცდით სიმძიმლით, მართებულია გულში ვატაროთ მწუხარება და მთელ სამეფოს მართებს დარდისგან ცალი წარბის მოღუშვა კიდევ. მაგრამ რამდენად განსჯამ სძლია კაცურ ბუნებას, ბრძნული წუხილით მოვიგონებთ მას ნიადაგ ჟამს, თან არ ვივიწყებთ ჩვენ საკუთარ ვითარებასაც. ოდესღაც ჩვენი სანუკველი, ძვირფასი დაჲ, ამიერიდან დედოფალი დაქვრივებული და მამაცური სახელმწიფოს მემკვიდრე სრული, ნადველნარევი სიხარულით, როგორც იტყვიან, ცალთვალში სხივით და ცალითაც ცრემლმორეულით, ცალკე რი მწუხარე და ცალკერძად მხიარულ გულით ავწონ-დავწონეთ სიხარული და დანაკლისი — ცოლად შევირთეთ და ვისმინეთ ამ შემთხვევაში თათბირნი თქვენნი, რაც დაემთხვა ჩვენს მაღალ წადილს; გიძღვნით მაღლობას ყოველივე ამისათვისა. მოგეხსენებათ, რომ ფორტინბრას, ჯერაც ჰაბუკი აბუჩად გვიგდებს რა, წინასწარ დარწმუნებული, რომ ძმისა ჩემის საყვარელს გარდაცვალებას თითქოს სამეფო შეერყიოს ჩვენი მთლიანად. გულმოცემული ეგზომ ფუქი გულზვიადობით დესპანებს თვისას წარამარა გვიგზავნის ხოლმე, თანაც მოითხოვს დაბრუნებას იმ მიწებისას, რაც მამამისმან ჩვენს მამაც ძმას წაუგო ერთხელ. ეს რაც ფორტინბრას შეეხება. ახლა ისმინეთ საქმეთა ჩვენთა და ლაშქართა მზაობისათვის. საქმე აგრეთა: ჩვენ წიგნსა ვწერთ ნორვეგიაში მამის ძმას ჰაბუკ ფორტინბრასისას. მოხუცი იგი დავრდომილია და არცა აქვს ალბათ გუმანი თავის ძმისწულის იღუმალთა ზრახვათა გამო. რადგან მისივე ქვეშევრდომთა წილიდანა ხდება ლაშქართა გამოწვევა. მიტომც მიგავლენთ, ჩვენო ვოლტიმანდ და თქვენც კორნელიუსს, სალაში ჩვენი მიუძღვენით მხცოვან ნორვეგელს. თანაც უწყოდეთ, ჩვენ არ გაძლევთ რწმუნების სიგელს, მეფესთან რამე შეთანხმების მოსახდენელად კიდევან მისა, რაც ამ წიგნში ჩაგვიწერია. მშვიდობით ახლა და სისწრაფემ თქვენმა ნაცადმა ჩვენ დაგვიმოწმოს ერთგულება თქვენი ჩვენდამი.



**კორნელიუს და ვოლტიმანდ** — როგორც ყოველთვის, ისე ახლაც ჩვენ დაგიმოწმებთ.

**მეფე** — ზევიც არა გვაქვს. მაშ იარეთ გამარჯვებულად. ვოლტიმანდი და კორნელიუს გადიან

ახლა, ლაერტეს, თქვენ რაღა გაქვთ საუწყებელი? სავედრალი რამ ხომ არ გაქვთ რამე, ლაერტეს? თუ გონიერსა რასმეს ეტყვით დანიის მეფეს, შეგისრულდებათ, ოღონდ გვამცნეთ, რა გსურთ, ლაერტეს? უთხოვნელადაც აგისრულებთ ყოველგვარ წადილს. თავი იმდენად არ იქნება გულის მოკეთე, არცა თუ ხელი პირისათვის, ისე ხელმარჯვე, როგორც დანიის ტახტი არის მამაშენისთვის. რა გსურს, ლაერტეს?

**ლაერტეს** — ჰოჲ მალალო მბრძანებელო, გთხოვთ დამართოთ ნება საფრანგეთში მიბრუნებისა, საიდანაც მე საკუთარის ნებაყოფლობით მეფედ კურთხევის დასასწრებლად აქ გიახელით. ახლა გულწრფელად მოგახსენებთ აწ ვალმოხდილი, ოცნება ჩემი კვლავ მიიწევს საფრანგეთისკენ და ველოდები თავმოღრეკით ბრძანებას თქვენსას.

**მეფე** — მამამ თუ დაგართო ამის ნება? ჰა, პოლონიუს?

**პოლონიუს** — დაქინებითა თხოვნის შემდეგ დაერთე კიდევაც ყოყმანით ნება და მისსავე წადილზე ბოლოს დაგვი ბეჰედი, როგორც იქნა, ჩემი დასტურის. მეც გთხოვთ, უფალო, ნება დართეთ, რომ გაემგზავროს.

**მეფე** — ნება დამირთავს, გაემგზავრე, უამი შენია. შენივე ნიჭი მოიხმარე წადილისამებრ. ახლა, მოკეთე ჩემო ჰამლეტ და შვილო ჩემო.

**ჰამლეტი** — ოღნაეად მეტი, ვიდრე მოკეთე და მეგობარზე ოღნავ ნაკლები.

**მეფე** — განა კვლავ ბურავს შენს გონებას უემური ჯანლი?

**ჰამლეტი** — არა, უფალო, დღენიდაც ვიწვი მზვარეში.

**დედოფალი** — განაძე შენგან, ქველო ჰამლეტ, არმური დამის და მიაპყარი მეგობრული თვალი დანიას. ნულარ დაეძებ ქვედახრილი ქუთუთოებით მამასა შენსა კეთილშობილს ნიდაგ მტვერში.

განგების წესი აგეთია: მოკვდეს ცოცხალი, რა დასთმობს სოფელს და ეწვევა მარადყამობას.

**ჰამლეტ** — დიახ, წესია, დედოფალო, ვიცი, წესია.

**დედოფალი** — დიახაც ავრე.

სჩანს მარტო შენთვის არ დათქმულა ეგ განაჩენი.

**ჰამლეტი** — სჩანს, დედოფალო, მაგრამ არა. არა მრწამს ეგ „სჩანს“, ველარც ეგ ჩემი მოსახსამი მელნისაფერი, ვერცა სამოსი დათალხული, სანიადაგო, ველარც ვარამი ეგოდენა გულსშემომყრელი, ვერცა თვალთაგან დადენილი დეღე ცრემლისა, ვერც სიმძიმელით დაზაფრული სახის ნაკეთები,

დარდის ყოველგვარ ანაგობის გამოვლინება,  
 ველარ შესძლებენ საცნაურ ჰყონ და როგორცა სჩანს,  
 უფრო მეტ ბოდმას დაეატარებ გულის სიღრმეში,  
 ვიდრე ეგა სჩანს და ვიტყოდი ალალი გულით —  
 ეს ყოველივე დარდის ჩემის სამოსელია,  
 მისი მუღმივი სამკაული და საფარველი.

**მეფე** — თქვენი ბუნების ეგ თვისება, ძვირფასო ჰამლეტ.  
 ქების ღირსია, მართებული გლოვა მამისა,  
 მაგრამ, ხომ უწყვი, მამამ თქვენმა დაჰკარგა მამა,  
 უკანასკნელმან — საკუთარი; ცოცხლად შეთენილსა  
 დიხხაც მართებს გლოვა მშობლის,  
 მაგრამ იცოდეთ,  
 სააუგოა სიმძიმეილი დაჟინებული,  
 ვაჟკაცს ამგვარი მწუხარება არც კი შეშვენის.  
 ნება ამგვარი ზეცის მიმართ ამბოხს ამქლავნებს.  
 ესე სჩვევია გულსა ძაბუნს და გაუწერთნელსა.  
 რაც უკვე ჩვენთვის ცნობილია და საყოვლადო,  
 ვითა საგანი მარტივი და ჩვეულებრივი,  
 რა საჭიროა, უგუნებოდ ამრეზილებმა  
 გულში ვატაროთ ზეცის გმობა  
 და შეცოდება მზეგადასულ სულის მიმართაც,  
 ბუნების მიმართ შეცოდება არც ეგუება  
 ესე თუნდ კანონს ბუნებისასა, რომელიც მუდამ  
 მამათა სიკვდილს ღაღადებდა პირველ ცხედრიდან  
 თვით იმ კაცამდის, რომელიც დღეს სიკვდილს მინებდა.  
 ეგ აგრეც უნდა.

ახლა ამას გთხოვთ, განაძეთ თქვენგან  
 ეგ წუხილი უნიადაგო, მიმზირეთ ეგრე, როგორც მამას  
 თქვენსა საკუთარს,

რათა დღეიდან მივიჩნიოთ მთელმა მსოფლიომ  
 ტახტისა ჩვენის უახლოეს თანამდგომელად.  
 არც თუ ნაკლებად მოჰარბებულ სიყვარულითა,  
 ვიდრე ძეს თვისას მიაკუთნებს მამა მშობელი,  
 ვარ მე თქვენდამი განწყობილი. ხოლო ვიტტენბერგს  
 თქვენს განსასწავლად მიბრუნებას რაც შეეხება,  
 საწადელს ჩვენსას ეგ ამბავი არ ეგუება. და  
 ჩვენც ამას გთხოვთ დარჩეთ ჩვენთან სალხენად ჩვენდა,  
 როგორც სალბუნი თვალთა ჩვენთა და სიხარული,  
 ვითარცა ჩვენი კარისკაცი, ძმისწული, ვაჟი.

**დედოფალი** — ნუ ამუდარებ დედას შენსა ამაოდ, ჰამლეტ,  
 გთხოვთ ჩვენთან დარჩე, ნუღარ წახვალ აწი ვიტტენბერგს.

**ჰამლეტ** — მზად ვარ თქვენს წადილს თავმოდრეკით დავემორჩილო.

**მეფე** — აი ეგ არის სანუკველი, კარგი პასუხი.

ჩვენებრ თქვენც დარჩით დანიაში. წავიდეთ, მადამ,  
 ჰამლეტის ეგზომ უთუმცოი ნების დაყოლა  
 ჩემს გულს ღიმილის მარაგანდით გარს შეჰფენია,  
 ნიშნად ამისა ამცნოს ღრუბლებმა დიდმა ქვემეხმა  
 მთელს დანიაში აწეულთა სასმურთ გამოცლა, —

ხოლო ჩოდესაც მეფე ასწევს მაღლა ფილას,  
ქვემეხთა ქუხილს შეუერთდეს დვინვა ზეცისა.  
დედოფალს მიუბრუნდება

აჲ წამობრძანდით.

ყველანი ვადიან, გარდა ჰამლეტისა

**ჰამლეტი** — ჰომ, ნეტავი გალღვებოდეს ეგ მკვრივი ხორცი,  
დაიშლებოდეს, გადნებოდეს თუნდ რთვილის წვეთში,  
ან მარადჟამულს არ დაეთქვა ხატად არასდროს  
კანონი თვისი თვითმკვლევლობის მიმართ, ო, ღმერთო!  
როგორი ფუჭი, გულარძნილი, გულსამრევი  
ყოფილა თურმე ქრიამული წუთისოფლისა!  
ფუჲ, აჲ ყოფნას, ეგ ბაღია იავარქმნილი,  
რომელსაც უკვი მორევია მყრალი კაჭაჭი.  
აგრე უნდოდა? ორი თვეა, რაც მიიცვალა,  
ჯერ ორი არა, არც ამდენი, ჯერ ორი არა!  
ეგზომ მორჭმული, დიდებული ხელმწიფე დიდი,  
ეგ იმის გვერდით აპოლო სატირის გასწვრივ,  
როგორ უყვარდა დედაჩემი! ზეცის ნიავსაც  
არ აკარებდა ღაწვთა მისთა დასაზრობელად.  
ჰომ, ზეცაო, ჰომ, მიწაე! რად მოვიგონო!  
როგორ უყვარდა დედოფალსაც, თითქოს მის ვნებას  
აორკეცებდა ისევ იგი, რაც მას კვებავდა;  
და სულ ერთ თვეში. ძნელი არის მოსაგონარად,  
ჰომ, დიაცო, სიძაბუნე გერქვას სახელად.  
მხოლოდ ერთი თვე, ვიდრე ოდნავ გაუცვდებოდა  
მას ფეხსაცმელი, რაც ზედ ეცვა გასვენების დღეს,  
ნიობეს დარად ღვრიდა ცრემლებს, დიახ, ეგ იყო...  
ღმერთო, თვით მხეცი, უგუნური პირუტყვი მეტ ხანს  
იგლოვდა ალბათ, ცოლად გაჰყვა იგი ბიძაჩემს,  
მამის ძმას ჩემსას, ვინც მამაჩემს ისევე ჰგავდა,  
როგორც მე ვგავარ, მაგალითად, ოუნდაც ჰერკულესს.  
მხოლოდ ერთ თვეში, ვიდრე ცრემლთა მისთა სიყალბე  
მის დაწითლებულ თვალის გუგებს შეაწრებოდა.  
გათხოვდა, ჰომ სამარცხენო სულმოსწრაფებაე,  
აგრე იჩქარა ავხორცობის სარეცელისკენ.  
არ არის კარგი... არც იქნება აროდეს კარგი.  
განიბე, გულო, რადგან ენა უნდა დაღუმდეს.

შემოდიან ჰორაციო, მარცელუს და ბერნარდო.

**ჰორაციო** — დღეგრძელი იყოს უფლისწული!  
**ჰამლეტი** — მახარებს თქვენი კარგად ყოფნა... ო, ჰორაციო,  
თუ თავი ჩემი მე თავათ არ დამვიწყებია.  
**ჰორაციო** — დიახ, უფალო, ვარ მსახური თქვენი მორჩილი.  
**ჰამლეტი** — სერ, მეგობარო, გათხოვთ მიწოდოთ მეც მეგობარი.  
რამ მოვიყვანა ვიტტენბერგიდან, შენ, ჰორაციო.  
მარცელუს, შენა?  
**მარცელუს** — უფალო ჩემო...

☆ ჰამლეტი ☆ ჰორაციო ☆

**ჰამლეტი** — ფრიად მახარებს ხილვა თქვენი,

მწუხრის მშვიდობა, სერ...

ბერნარდოსადმი

რომელმა ბედმა მოგიყვანათ ვიტტენბერგიდან?

**ჰორაციო** — მიდრეკილება სიზარმაცისკენ, კეთილო პრინციო.

**ჰამლეტი** — ასეთი რამე მტერსა თქვენსას ნუ დასცდენია,

ნულარც ჩემს ყურებს დააძლებთ ამის მოსმენას.

რათა თქვენივე ჩვენებანი მტერს გამოადგეს.

მე კარგად ვიცი, თქვენ ზარმაცი რომ არ ბრძანდებით,

ესლა მითხარით, რას აკეთებთ აქ, ელსინორში?

არაფერია, სმას გასწავლით გამგზავრებადის.

**ჰორაციო** — ჩამოსული ვარ მამის თქვენის დაკრძალვის დღისთვის.

**ჰამლეტი** — ამას გთხოვ, სიყრმის მეგობარო, ნულარ დამცინი.

ვგონებ ქორწილი დედის ჩემის უნდა გენახა.

**ჰორაციო** — მართლაც, ორივე ზედ დაემთხვა ერთიმეორეს.

**ჰამლეტი** — მომპირნეობა, ჰორაციო, ქელესის მწვადებს

მექორწილენი მიირთმევდნენ ცივ ლარნაკებზე,

აგრე მერჩია შევხედროდი ცაში, მოსისხარს,

ვიდრე მე ეს დღე განმეცადა, ო, ჰორაციო,

მამა მე ახლაც თვალწინ მიდგას, აგრე მგონია.

**ჰორაციო** — სადღაა, პრინც?

**ჰამლეტი** — გონების თვალთ, ჰორაციო.

**ჰორაციო** — მეც ვნახე ერთხელ. იგი იყო დიდი ხელმწიფე.

**ჰამლეტი** — ვაჟკაცი დიდი, სწორუპოვარი.

მე მაგის ბადალს ვერასოდეს ველარ ვიხილავ.

**ჰორაციო** — უფალო, ვგონებ გუშინწინაც ვხედავდი მე მას.

**ჰამლეტი** — ვინა ვნახეო?

**ჰორაციო** — პრინც, მამათქვენი, ჩვენი ბატონი.

**ჰამლეტი** — მამაჩემიო?

**ჰორაციო** — გთხოვთ გულისყურით გაცემა დაიშოშმინოთ,

ვიდრე აქ დამსწრე ვაჟკაცები დაგიმოწმებენ

ამ სასწაულს, ჩემს მიერ ხილულს.

**ჰამლეტი** — ღვთის გულისათვის, მომასმენინეთ.

**ჰორაციო** — ეს ორივენი, მარცელუსი და სერ ბერნარდო

ზედიზედ იდგნენ გუშაგებად ბარე ორ ღამეს.

ირგვლივ სუფევდა მყუდროება უკუნეთისა,

როს შეეფეთა მას ჩვენება რამ უცნაური,

რომელიც ფრიად მიაგავდა ბატონს, მამათქვენს.

თორში ჩამჯდარი, შექურვილი თხემით ტერფამდის

გამოგვეცხადა, ჩაიარა დარბაისლურად,

განა თუ ერთგზის, სამგზას თურმე ვიდოდა ნელა

მათ გაცებულ ძრწოლით აღვსილ თვალთა წინაშე.

კვერთხის სიგრძეზე გაუვლია, იგინი სდუმდნენ,

ხმა წართმეოდით შიშისაგან გაოგნებულებს.

ეს ყოველივე უაღრესის ფიცის ქვეშ მამცნეს.

მესამე ღამეს მეც დავდექი მათთანვე ტალად.

იმავე საათს, იმ ადგილას, იმავე სახით  
და ანაგობით წარმოგვიდგა ჩვენება იგი.  
კარგად ვიცნობდი მე მამათქვენს და ეგ ხელები  
მომეტებულად არა ჰგვანან ერთიმეორეს.

**ჰამლეტი** — მერმე სად მოხდა ეგ ყოველივე?

**ჰორაციო** — პრინცი, იმ ტერასზე, სადაც ღამით ვგუშავობთ ხოლმე.

**ჰამლეტი** — მერმე რა ჰქენით, არ შეესიტყვეთ?

**ჰორაციო** — მე შევესიტყვე, უფლისწულო.

მაგრამ პასუხს ველარ ველირსე და მომეჩვენა.

ასწია-მეთქი ოდნავ თავი

და იმნაირად წავიდა ჩვენგან

და შემართა თანაც სხეული, ასე მეგონა,

გაიღებსო საცაა ხმასა, და სწორედ ამ დროს

დაიყვილა დილის მამალმა. ამის გამგონე

მყის შეცფუნდა, გაუჩინარდა.

**ჰამლეტი** — უცნაურია ფრიად და ფრიად.

**ჰორაციო** — ჩემს მზეს ვფიცავარ, უფლისწულო კეთილშობილო,

ეს ყოველივე ნამდვილია, რაც მოგახსენებთ.

და ჩვენ ვფიქრობდით, ვალად გვედო ყოველ ჩვენთაგანს

თვალთ ხილული გვემცნო თქვენთვის შეუფარველად.

**ჰამლეტი** — მართლაც და მართლაც, ბატონებო, ეს მე მადლელებს,

თუ მორიგეობთ თქვენ ამ ღამითაც?

**მარცელუს** — დიახ, უფალო!

**ჰამლეტი** — მამ თქვენ აგრე თქვით: შეჭურვილი იყოვო მეფე თხე-

მით ტერფამდის?

**მარცელუს** და **ბერნარდო** — დიახ, უფალო.

**ჰამლეტი** — სახე თუ უჩნდა?

**ჰორაციო** — დიახ, უფალო, ზუჩს ლითამი! ჰქონდა ახდილი,

სახეზე დარდი ეტყობოდა უპირატესად.

**ჰამლეტი** — ფერმკრთალი იყო თუ შეფაკლული?

**ჰორაციო** — არა, ფერმკრთალი მომეტებულად.

**ჰამლეტი** — თუ დაგაცქერდათ, ან შემოგხედათ?

**ჰორაციო** — შემოგვაშტერდა.

**ჰამლეტი** — ჰოა, ნეტავი ვყოფილიყავ მეც თქვენთან ერთად!

**ჰორაციო** — ეს თქვენ უთუოდ შეგზარავდათ, ო, უფლისწულო.

**ჰამლეტი** — დიდხანს დაყოვნდა?

**ჰორაციო** — სწორედ იმდენ ხანს, ვიდრე კაცი აუჩქარებლად

ასამდის დათვლას ჩამოათავებს.

**მარცელუს** და **ბერნარდო** — უფრო ხანგრძლივად.

**ჰორაციო** — მე უფრო მეტ ხანს არ მინახავს დაყოვნებული.

**ჰამლეტი** — წვერი თუ ჰქონდა შეყდალებული?

**ჰორაციო** — სწორედ ისევე, როგორც თავათ მინახავს ხოლმე.

ოდნავ მოშავო და შევერცხლილი.

**ჰამლეტი** — ამალამ მინდა მეც ვიგუშავო, ეგებ ისევე ჩამოიაროს.

**ჰორაციო** — ნაძლევს მოვდივარ.

\* უილიამ შექსპირი \* ჰამლეტი \*

1 ლითამი — მუზარადიდან სახეზე ჩამოსაშვები რკინის ზადე.



**ჰამლეტი** — თუ განგვეცხადა მამაჩემი კეთილშობილი, შევესიტყვები, თუნდ ქვესკნელმა დამიღოს ხახა და შემიკეთოს დადუმება მარადჟამული.  
 ამას გთხოვთ ყველას, როგორც დღემდის შემოგინახავთ თქვენგან ხილული საიდუმლოდ, აწივ დადუმდეთ და რაც ამაღამ ჩვენ შეგვემთხვას, დეე შეიცნოს გონებამ ჩვენმა, მხოლოდ ენას დავადგათ კბილი. თქვენი ძმობისა დაფასება მე დამეკისროს, ღამე ნებისა, თერთმეტსა და თორმეტ ეამს შორის კოშკის ტერასზე მე უცილობლად თქვენთან გავჩნდები.

**სამივენი** — მზად ვარ მარადის გემსახუროთ, უფალო ჩვენო.

**ჰამლეტი** — გიყვარდეთ ისევ, როგორც მე თქვენა.  
 ღამე ნებისა!

ჰორაციო, ბერნარდო და მარცელუს გაღიან

**ჰამლეტი** — მამ აგრე! სული მამიჩემის თორში ჩამჯდარი? რაღაც სიავეს მოასწავებს ეს ყოველივე, უნდა ველოდეთ უხიავ ზვანჯერებს.  
 ო, სად ხარ, ღამევე!  
 იყურე მინც, სულო ჩემო, ავნი საქმენი მიწის წიაღშიც მიჩქმალულნი ვერ დარჩებიან.  
 გაღის

## სცენა მესამე

პოლონიუსის სახლში ერთი დარბაზი.

შემოდინ ოფელია და ლაერტეს

**ლაერტეს** — ვაშკარანები უკვე გემზე გატანილია. მშვიდობით, დაო, როს დაჰბერავს მეგზური ქარი, მარქაფა გემი რა ჩამოდგეს, არ დაგეძინოს და მაუწყე შენი ამბავი.

**ოფელია** — ნუთუ საეჭვოდ მიგაჩნიათ?

**ლაერტეს** — რაც შეეხება პრინც ჰამლეტის გააშიკებას, ეს მიიჩნე, როგორც მოდა, სისხლის ცელქობა; იის ყვავილი ყვავილთდასხმის პირველ ხანაში მთლად სათუთია, არა მყარი, ტკბილი, უხანო, სურნელოვანი და სალბუნი ერთი წამისა. სხვა არაფერი.

**ოფელია** — სხვა არაფერი?

**ლაერტეს** — რადგან ბუნება თავთ ზრდაში გვიმატებს ხოლმე არამც თუ კუნთთა სიძლიერეს და მოცულობას და ტანთან ერთად იზრდებიან სული, გონება. შესაძლო არის, მას უყვარდეთ ეგებ კიდევაც, არც თუ რაიმე მზაკვრობაი, ლაქა რაიმე ახლდეს კიდევ ქველ წადილებსა და ზრახვით მისთა, მაგრამ იცოდეთ, ესოდენად დიდგვაროვანსა ხელთ არ უპყრია საკუთარი ნების სადავე. საკუთარ გვარის ჩვევათაგან ხელფენშეკრულსა მას ხომ არ ძალუქს მდაბიორის კვალობაზედა

თვით აირჩიოს, რადგან უწყი, ამ არჩევანზე  
 ჰკიდია მთელი სახელმწიფოს სვე და სიკეთე.  
 მიტომც არჩევანს მისას საზღვრავს ხმა იმ ტანისა,  
 რომლისაც თავი თავათ არის და თუ გითხრა:  
 შენ მიყვარხარო, უკვე გმართებს დარბაისლობა;  
 ერწმუნე მაშინ, როცა სიტყვას და დაპირებას  
 შესაძლო არის უკვე მოჰყვეს შედეგად საქმე,  
 დანიის ხალხის დასტურისგან დამტკიცებული.  
 თავთ განსაჯე, თუ რაგვარად შეიბღალეა  
 ნამუსი შენი, თუ მის ლიქნას ბრმად მიენდობი,  
 ან გული შენი რას დაჰკარგავს და შენს საუნჯეს  
 უბიწოებას მიანებებ მის უქმურ ვნებას.

ერიდე ამას, ოფელია, ძვირფასო დაო.  
 და დაიმაღე სიყვარულის მტკიცე ხანდაკში  
 ვნების ისართა შემოქნევის მოსაგერებლად.  
 უნატიფესიც ქალთა შორის უკვე უხვია,  
 როცა თვით მთვარეს გაუმქლავნებს მშვენებას თვისას.  
 მატლი ღრღნის ზოლმე გაზაფხულის ჩვილ ნაშვირებს,  
 ვიდრემდის მორჩი მოასწრებდეს მზეზე გაფურჩქნას.  
 და სიყმაწვილის უფაქიხეს, აღრიან რთვილში  
 საშიშარია გაკარებაც ჟამიანისა.

შიშშია თავათ, ეგ იცოდე, უშიშროება  
 და სიჭაბუკე უსავნოდაც მემამოხეა.

**ოფელია** — მე ამ კეთილთა შეგონებათ აზრს დავიხსომებ,  
 ვითარცა გულის საკუთარის ფრთხილი გუშავი.  
 მხოლოდ ეგაა, არ ემგზავსო ცრუმქადაგებლებს,  
 სხვას რომ ურჩევენ ეკლიან გზას ცისკენ მიმართულს,  
 თავათ კი ღწენის ფიანდაზას ფეხით ჯეგავენ  
 შეგონებათა საკუთართა არადმიმჩნევი.

**ლაერტეს** — ო, ნუ გეშინის,  
 მაგვიანდება. მობრძანდა მამაც.

შემოდის პოლონიუს

**ლაერტეს** — ორგზის დალოცვა — ორგზის მადლი,  
 შემთხვევამ მარგო წილად ორგზის დამშვიდობება.

**პოლონიუს** — კიდეც აქა ხარ, ო, ლაერტეს, გემს მიაშურე,  
 ქარი ქეჩოზე მოსჯდომია უკვე თქვენს აფრებს,  
 უკვე გიცდიან, პა, ინებეთ ჩემგან დალოცვა.

ლაერტესს მკლავზე წაავლებს ხელს  
 ეს მცირე რჩევა შენს ხსოვნაში შემოინახე.  
 ზრახვათა შენთა ნუ მიანდობ ყოველთვის ენას,  
 შეუსაბამოს ნურასოდეს შეეჭიდები.  
 თავაზი ყველას, მაგრამ ყველას ნუ გაიტოლებ.  
 ჰირში დაცდილი მეგობრები თუ შეიძინო,  
 ეცადე სულზე შემოიკრა ფოლადის სალტით.

მაგრამ, იცოდე, ნუ გაიჩენ ხელებზე კოჭრებს  
 ვივინდარების წამდაუწუმ მისასალმებლად.  
 მუდამ ერიდე ჩაერიო რაიმე ჩხუბში,  
 მაგრამ უკეთუ წაიკდება თუ მოასწარი,

ეტადე, შენს მტერს რიდი გაჰყვეს შენგან სახსოვრად.  
ყური ათხოვე თუნდ ყოველ კაცს, მაგრამ გახსოვდეს,  
მხოლოდ რჩეულებს შეაწიე ხმა საკუთარი.

მიიღე რჩევა ყველასაგან, იცოდე, მსჯავრი  
ბოლოს და ბოლოს მხოლოდ შენთვის შემოინახე,  
გეცვას მდიდრულად, რამდენადაც გაგიძლებს ჯიბე,  
არა ჭრელჭრულა, იყოს სადა, ვანა ძვირფასი,  
რადგან სამოსი აჩენს ხშირად თავის პატრონსა.  
ეს ცნობილია: დიდებულნი ფრანკთა ქვეყნისა,  
დიდ გემოვნებას ამჟღავნებენ ჩაცმის საქმეში.  
ფულს ნურც ისესხებ, ნურც იქნები გამსუსხებელი,  
რადგან დაჰკარგავ ხშირად სესხსაც და მეგობარსაც.  
და გასესხება ანიავებს მეურნეობას.

ერთიც მთავარი: საკუთარ თავს უერთგულვლედ  
ისე უცილოდ, როგორც ღამეს მოჰყვება დღეა,  
არც სხვათა მიმართ დაგჩემდება მაშინ სიყალბე.  
მშვიდობით, ჩემმა მამობრივმა ლოცვა-კურთხევამ  
ეს ყოველივე დაამწიფოს შენს გონებაში.

**ღაერტეს** — თავმოდრეკილი გემშვიდობები, უფალო ჩემო.

**პოლონიუს** — აწ გიხმობს ჟამი, წა, მსახურნი გელოდებიან.

**ღაერტეს** — მშვიდობით, ჩემო ოფელია, გახსოვდეს ოღონდ,  
რაც მე ვითხარი შენ ამასწინათ.

**ოფელია** — ეს ყოველივე ჩემს ხსოვნაში ჩაკეტილია  
და გასაღები შენ გეპაროს ამიერიდან.

**ღაერტეს** — მშვიდობით იყავ!

**პოლონიუს** — რა იყო, ჩემო ოფელია, რა დაგიბარა?

**ოფელია** — პრინც ჰამლეტს ჩვენი საუბარი შეეხებოდა.

**პოლონიუს** — კარგად უქნია.

ეგრე მსმენია, ამ დაბოლოს იგი ხშირხშირად  
გწვევია თურმე და ამბობენ, თქვენაც აგრეთვე  
სტუმრობას მისსა სიხარულით ეგებებოდით,  
თუ ყოველივე ეგრე არის, როგორც მაუწყებს,  
გასაფრთხილებლად უნდა გამცნო მე პირუთვნელად,  
ჯერაც არა ხართ გარკვეული, როგორც მოიქცეთ,  
როგორც შეშენის ეს ჩემს ასულს და ნამუსს თქვენსას.  
მაუწყეთ სწორად, პრინც ჰამლეტთან რა გაკავშირებთ?

**ოფელია** — ამ მოკლე ხანში არაერთგზის მან დამიმოწმა  
თვისი ჩემდამი გულმართალი მიდრეკილება.

**პოლონიუს** — მიდრეკილება? ფუჲ, როგორ უსაზნო სიტყვებს  
ვისმენ მე შენგან, თითქოს იყვე ვინმე ცუნდრუკი,  
ამგვარ საქმეში გაუწევრთნელი, გამოუცდელი,  
თუ მართლაც გჯერა შენ ამგვარი მიდრეკილება.

**ოფელია** — სხვა აღარ ვიცი, რა ვიფიქრო, უფალო ჩემო!

**პოლონიუს** — მაშ მე გასწავლი, ეგ იცოდეთ, რომ თქვენ ხართ  
ბალდი,

მის აღსარებას დანდობილად რომ ერწმუნებით,  
ქუას მოუხმე, თორემ ეგეც იცოდე, ჩემო,  
სიშლეგე შენი განსაცდელის ზღურბლთან მიგიყვანს.

ოფელია — მან სიყვარული განმიცხადა, უფალო ჩემო,  
 საესებით ქველი, საპატიო წესების დაცვით.  
 პოლონიუს — ქველი წესების? წა, დადუმდით.  
 ოფელია — და სიტყვებს თვისას ამოწმებდა, მამავ ძვირფასო,  
 ყველა წმინდანთა საფიცარით დამტკიცებულსა.  
 პოლონიუს — ეგ ყოველივე პოტიკია ოფოფებისთვის.  
 მე კარგად ვიცი, როცა სისხლი გიდულს ძარღვებში,  
 ენა გულისგან ფიცს სესხულობს დაუხარებლად.  
 ამგვარ კრთომაში სიტრფოს სჭარბობს თავათ ლაბლაბი  
 და ჰქრება უკვე, როგორც სიტყვა მოსწყდება ბაგეს.  
 ამიერიდან გაუფრთხილდი შენს სიქალწულეს,  
 ნულარც უსაზმნოდ მიენდობი აწი ლორდ ჰამლეტს.

ინგლისურიდან თარგმნა  
 კონსტანტინე გამსახურდიამ



# წ. წყნისი წყ კლი

„დაუნისი და ქლოე“ ზეკოლიკური რომანია. მისი ავტორი, ლონგე, წარმოშობით ლესბოსელია. ვარაუდობენ, რომ იგი ცხოვრობდა I ან II საუკუნეში. ელინისტურ რომანში „დაუნისი და ქლოე“ მოთხრობილია მწყემსებში აღზრდილი ორი ბავშვის თავგადასავალი.

ლესბოსზე რომ ვნადირობდი, ნიმფებისადმი შეწირულ ჭალაში საუცხოო სანახაობა ვიხილე, ყველაზე მშვენიერი, რაც კი ოდესმე მინახავს თვალწარმტაცი სურათი, ამბავი სიყვარულისა. ეს მშვენიერი ჭალა უხვად შეემკო ხეებს, ყვავილებსა და მდინარეს; ყველა ხესა და ყვავილს ერთი წყარო ასაზრდოებდა. მაგრამ კიდევ უფრო თვალს ახარებდა სურათი; იგი ხელოვნების საუცხოო ქმნილება, სიყვარულის გამოხატულება იყო. ასე რომ აქ მრავალი მნახველი მოდიოდა. უცხოელებიც, რომლებსაც მასზე მოსმენილი ამბავი იზიდავდა, ნიმფებს ლოცვას აღუფლენდნენ, ხოლო სურათით ტკბებოდნენ. ამ სურათზე კი, აი, რისი ხილვა შეიძლებოდა: ჯგუფი ქალებისა მშობიარობს, მეორე ჯგუფი ახალშობილ ბავშვებს საბურველით ამკობს; მიტოვებულ ბავშვებს ძიძობენ ნერბები და წალები; აღმზრდელები არი-

ან მწყემსები. მერე ვნახე შეყვარებული ქალ-ვაჟი, მეკობრეების თავდასხმა, მტრის შემოსევა. ბევრი სხვაც ვნახე, და ყველაფერი გამსუვალული იყო სიყვარულით; მე, აღტაცებული, შემიპყრო სურვილმა, რომ სურათს ვაგვიბრებოდი და მოთხრობა დამეწერა. მოვნახე კაცი, რომელმაც ამ სურათის შინაარსი გამაგებინა, ბევრი ვიშრომე და ოთხი წიგნი დავეწერე ერთტის, ნიმფებისა და პანისთვის შესაწირად, ხოლო ყველა ადამიანის გულის გასახარად: დაავადებულის განსაკურნავად, მწუხარის სანუგეშოდ; ვისაც უყვარდა, სიყვარულს მოაგონებს, ხოლო ვისაც არ ჰყვარებია, სიყვარულს ასწავლის. სიყვარულს ხომ ვერაფერი გაქცივია და ვერც გაექცივა, სანამ სილამაზე არსებობს და მის დასანახად თვალი გვაქვს ნაბოძები, მე კი ღმერთმა გონება შემინარჩუნოს და სხვისი სიყვარულის ამზის დაწერა შემაძლებინოს.

### წიგნი პირველი

1. ლესბოსზე ქალაქია — მიტილინე, დიდი და ლამაზი. იგი დასერილია არხებით, რომელთაც ზღვა მშვიდად ავსებს, და შემკობილია თლილი ქვით ნაშენი ხიდებით. შეიძლება იფიქრო, ქალაქს კი არა, კუნძულს გვხვდავო.

ამ ქალაქიდან დაახლოებით ორასი სტადიის მანძილზე ერთი მდიდარი კაცის მამული მდებარეობდა; ეს იყო შესანიშნავი ადგილი: მთაში ნადირი, ბარად ყანები, გორაკებზე ვენახი, მდელოებზე ჯოგები და ზღვა, რომელიც ნა-

პირისაკენ მიიღტვოდა და რზილ სილა-ზე შხაპუნებდა.

2. აი, ამ მამულში ცხოვრობდა ლამონი, თხის მწყემსი; თავის არგეს რომ მწყემსავდა, ბავშვი იპოვა, ერთ-ერთი მისი წალი ბაღის ძუძუს აწოვებდა. იქვე მახლობლად ხშირი ჯაგით მოფენილი, დაბურული ტყე იყო, ყველაფერს სურო ეხვეოდა და ნაზი მოლი იზრდებოდა. ამ მოლზე იწვა ბავშვი. წალი მუდამ აქ მოდიოდა, ხშირად თვალს მოეფარებოდა, თავის თიკანს ტოვებდა და ბავშვთან დიდხანს რჩებოდა. ლამონმა შენიშნა, რომ თხა სადღაც გარბოდა და მიტოვებული თიკანი შეეცოდა; სწორედ შუადღისას კვალდაკვალ დაედევნა წალს და ხედავს: თხა ფრთხილად მიაბოტებს, ეშინია თავისი ჩლიქებით ბავშვს არაფერი ავნოს, ჩვილი კი, თითქმის დედის მკერდს მიკვრივს, ძუძუს წოვს, რძე უხვად მოსჩქეფს. მწყემსს, რა თქმა უნდა, უკვირს, მიუახლოვდებოდა და თავს წაადგებოდა ბავშვს; მსუქანი ბაღლია, ლამაზი და მიგდებული ბავშვისათვის მეტად მორთული: მეწამული საბურველი, ოქროს საკინძე, სპილოს ძვლის ტარია-ნი პატარა დანა.

3. და ლამონმა პირველად კინაღამ განიზრახა თან წამოეღო მხოლოდ ბავშვის ეს საჩინო ნიშნები, ჩვილი კი იქ დაეტოვებინა; მაგრამ მერე შეერცხვა, თხაზე უკულო გამოვდივარო. დაღამებას დაელოდა და თავის ცოლს, მირტალს, საჩინო ნიშნები მიუტანა, ბავშვი ჩააბარა და თხაც მიუყვანა. ქალი გოცდა: ნუთუ წაღებამაც ბავშვის გაჩენა დაიწყესო? და ქმარმა დალაგებით უამბო, თუ როგორ იპოვა მიტოვებული ბავშვი, როგორ ნახა, რომ წალი ჰკმე-ბავდა და როგორ შერცხვა სასიკვდილოდ განწირული ბავშვის მიტოვება. ცოლმა ქმარს საქციელი მოუწონა. მერე ბავშვთან დატოვებული ნივთები შეინახეს, ბაღლი თავისად სცნეს და მისი კვება წალს მიანდეს. რათა ბავშვს ისეთი სახელი ჰქონოდა, როგორიც მწყემსებს აქვთ ხოლმე ჩვეულებრივად, გადაწყვიტეს, მისთვის დაფნისი დაერქმიათ.

4. ამის შემდეგ ორი წელი გავიდა, და აი, მწყემსს, სახელად დრიასს, რომელიც მეზობელ მდელოზე საქონლის ჯოგს მწყემსავდა, ასეთივე რამ შეემთხვა. იქ, უზარმაზარ მორგებულ კლდეში, იყო ნიშნების ცარიელი გამოქვაბული, თვით ნიშნები კი ქვისაგან იყო გამოკვეთილი: ფეხშიშველა, მკლავტიტველა, მხრებზე კულულეები ეყარათ, ბარძაყებზე ერთყბათ სარტყელი, თვალები უღიმოდათ, თითქმის ფერხულს ცეკვებენო. გამოქვაბულის შესასვლელი ამ ვეება კლდის სწორედ შუა ადგილას იყო, წყაროც აქ ჩქეფდა და ნაკადულად მოედინებოდა. ამის წყალობით გამოქვაბულის წინ ქორთა მდელო გადაშლილიყო და ხშირი, ნაზი ბალახი ხარობდა. აქ ელაგა საწველელებიც, მრუდი ფლეიტებიც, ლერწამიც—აღტქმული შესაწირავი გარდასულ დროთა მწყემსებისაგან.

5. ნიშნების ამ გამოქვაბულში ერთმა ნერბმა, რომელმაც ბატკანი ახლახან მოიგო, ისე ხშირად დაიწყო სიარული, ბევრჯერ ეგონათ, დაიკარგათ. დრიასმა გადაწყვიტა, ნერბი დაესაჯა და კვლავ მორჩილი გაეხადა. მწვანე წნულეებისაგან ღვლეჭი დაწნა, ყულფი გააკეთა და ნერბის დასაპერად კლდისაკენ დასწია. ახლოს რომ მივიდა, სულ სხვა რამ დაინახა: ცხვარი, როგორც ნაზი დედა, უხვრძიან ჯიქანს აწოდებს ბავშვს. ისიც მშვიდად ხან ერთ, ხან მეორე კერტს ხარბად ავლებს თავის პატარა პირს—სუფთასა და ფუნჩულას, რადგან ნერბი სახეს ულოკავს, როცა ბავშვი გამოძღება. ეს პაწია გოგონა იყო და მასთანაც ელაგა საჩინო ნიშნები: ოქრომკედით ნაქსოვი თავსაბურავი, მოოქრული ფაჩულები, ბაჯალლო ოქროს სამაჯურები.

6. მწყემსი ფიქრობს, ეს ნაბოვნი ღმერთებმა გამომიგზავნესო. ჩვილს ხელში აიყვანს. ბავშვის შებრაღება და კეთილი მოპყრობა ნერბმა ასწავლა. საჩინო ნიშნებს ჩანთაში ჩაილაგებს და ნიშნებს ევედრება: შემაძლებინეთ, რომ ჩემთან თავშეფარებული ჩვილი ბედნიე-

ლონგე დაფნისი და ქლოე



რად აღეზარდოო. როცა ცხვრის ფარის შინ გარეკის დრო მოვიდა, მწყემსი თავის ეზოში დაბრუნდა. ცოლს წვრილად უამბო, რაც ნახა, უჩვენა, რაც იპოვა, და უბრძანა, გოგონა თავისად ჩაეთვალა, ღვიძლი შეილივით გაეზარდა, მისი საიდუმლოება ყველასთვის დაემალა. და ნაპა (ასე ერქვა დრიასის ცოლს) ბავშვს მაშინვე დედად გაუხდა; ეალერსებოდა, სიყვარულს არ აკლებდა, თითქოს შიშობდა, ნერბზე ნაკლები სინაზე არ გამოვიჩინოო. ყველა რომ დაეჯერებინა, გოგონა ჩემიაო, ჩვეულებრივი მწყემსური სახელი — ქლოე დაარქვა.

7. ეს ორი ბავშვი სწრაფად გაიზარდა და სიღამაზით უბრალო გლეხის შვილებზე უფრო დამშვენდა. დაფნისი უკვე თხუთმეტი წლისა იყო, ქლოე კი ორი წლით უმცროსი, როცა დრიასმა და ლამონმა ერთ ღამეს ასეთი სიზმარი ნახეს: სწორედ იმ გამოქვაბულის ნიშფებმა, სადაც წყაროა და სადაც დრიასმა ბავშვი იპოვა, დაფნისი და ქლოე მკვირცხლსა და მშვენიერ ბიჭუნას ჩააბარეს. მას მხრებს უკან ფრთები ჰქონდა, ხელთ კი პატარა მშვილდი და მოკლე ისრები ეპყრა. ორივეს ერთი ისრით შეეხო და ბრძანა: ვაკმა ამიერიდან თხის არვე მწყემსოს, გოგონამ კი — ცხვრის ფარაო.

8. ეს სიზმარი რომ ნახეს, დრიასი და ლამონი დალონდნენ — ნუთუ ამ ბავშვებს თხა-ცხვრის მწყემსვა უწერიათო. მათი სამოსელის მიხედვით თითქოს უკეთესი ბედი უნდა ჰქონოდათ, ამიტომაც იყო, რომ უფრო ნაზ სატყეულს ატყეოდნენ, ასწავლიდნენ წერა-კითხვას და ყველაფერს, რაც სოფელში მოსაწონად ითვლებოდა. მაგრამ იფიქრეს, მაინც ღმერთებს უნდა დავემორჩილოთ, რადგან ღმერთების განგებით გადარჩენილი ბავშვების ბედი წყდებოა. ეს სიზმარი ერთმანეთს უამბეს და ფრთოსან ბიჭუნას (მისი სახელი არ იცოდნენ) ნიშფების გამოქვაბულში მსხვერპლი შესწირეს. მერე თავიანთი გაზრდილები მწყემსად გაუშვეს, წინასწარ ყველაფერი შესაწავლეს: როგორ უნდა მწყემსოს შუადღემდე; ფარა ისევ როგორ გარეკოს

სამძვრად, როცა აგრილდება; როდის წაიყვანონ სარწყულებლად, ბაკში როდის დააბინავონ; კომბალი როდის გამოიყენონ, ან როდის კმარა მხოლოდ შეძახება. დაფნისსა და ქლოეს კი გაეხარდათ, თითქოს მნიშვნელოვანი საქმე დაავალესო და თავიანთი თხა-ცხვარი იმაზე უფრო შეიყვარეს, ვიდრე ეს უბრალო მწყემსებს სჩვევიათ: გოგონა ხომ ცხვრებს მწყემსავდა, რომელთა წყალობითაც გადარჩა, ბიჭს კი ახსოვდა, რომ მიტოვებული თხამ გამოჰკვება.

9. მაშინ გაზაფხულის პირი იყო და ყვავილი გაიფურჩქნა ყველგან — ტყეებში, მთებსა და მდელივლებზე. ჰაერი ფუტკრების ზუზუნით აივსო, ფრინველები წკრიალ-წკრიალით გალობდნენ, ახალმოგებული თიკნები და პატკნები დახტოდნენ, კუნტრუშობდნენ. კრავები გორაკებზე დარბოდნენ, ფუტკრები მდელივლებზე ბზუოდნენ, ჩიტებმა გალობით აიკლეს ხშირი ბარდი. გარშემო ყველაფერი სიხარულმა და ზეიმმა რომ მოიცვა, ნაზი, ნორჩი დაფნისი და ქლოე თვითონაც ბაძავდნენ ყველაფერს, რაც ესმოდათ, ყველაფერს, რასაც ხედავდნენ: ფრინველთა გალობას უსმენდნენ და თვითონაც გალობდნენ; ხედავდნენ, ცხვრები როგორ დახტოდნენ და თვითონაც მსუბუქად დანავარდობდნენ; ფუტკრების მიბაძვით ყვავილებს აგროვებდნენ და გულის უბეში იდებდნენ, ანდა პატარა გვირგვინებს წნავდნენ და ნიშფებს სწირავდნენ.

10. და ყველაფერს ერთად აკეთებდნენ, ფარასა და არვეს ერთმანეთის მახლობლად მწყემსავდნენ. დაფნისი ხშირად ფარას მოწყვეტილ ცხვრებს მორეკავდა, ქლოეც ხშირად ციცაბო კლდეებიდან მეტად გაბედულ თხებს ჩამოდენიდა. ასეც ხდებოდა, თხა-ცხვარს ერთი მათგანი დარაჯობდა, როცა მეორეს თამაში ძალიან გაიტაცებდა. მათი თამაზობანი კი მწყემსური, ბავშვური იყო. ქლოე ჭაბჭაში ადრაგუნის ღეროებს აგროვებდა, ჭიჭინობელებისთვის გალიებს წნავდა და ამით ხშირად ისე ერთობოდა, რომ თავისი ცხვრები ავიწყლებოდა. დაფნისი კი წვრილ ლერწმებს ჭრიდა,

მათი მუსხლები კვანძებს ხვრეტდა, ერთიმეორეზე აწებებდა და დაღამებამდე საღამურის დაკვრას სწავლობდა. ზოგჯერ ერთად სვამდნენ რძესა და ლენისს, საჭმელი კი შინიდან მოჰქონდათ და ერთმანეთს უყუფდნენ. უმაღლ იმას ნახავდით ხშირად, ცხვრები და თხები რომ ცალ-ცალკე ძოვდნენ, დაფნისსა და ქლოესს კი დაცვილებულთ ვერ იბოვნიდით.

11. და სანამ ისინი ასე მხიარულებდნენ, ერთტმა აი რა განიზრახა მათ წინააღმდეგ: შორიასხლოს ძუ-მგელი თავის ლეკვებს ჰკვებავდა და ხშირად საძოვრებიდან საქონელს იტაცებდა; მას ხომ ლეკვების გამოსაკვებად ბევრი ხორცი სჭიროდა. მაშინ გლეხები შეიკრიბნენ და ორმოები ამოთხარეს. სივანე სამი ადლი ჰქონდა, სიღრმე კი ოთხი. მიწის უმეტესი ნაწილი ორმოების მოშორებით მიმოფანტეს, ორმოების პირზე კი დააწყეს ხმელი, გრძელი ტოტები და დარჩენილი მიწა ზედ მოაყარეს, რომ ადგილს პირვანდელი სახე მისცემოდა. კურდღელს რომ გაერბინა, ეს ტოტები მაშინაც კი ჩატყდებოდა, ისინი ხომ ჩალაზე უწვრილესი იყო; მაშინვე აშკარა იქნებოდა, რომ აქ მიწა კი არა, მისი მსგავსი რამ იყო. თუმცა ასეთი ორმო მთად თუ ბარად ბევრი ამოთხარეს, ძუ-მგელის დაჭერა მაინც ვერ მოახერხეს: მაშინვე სუნი იკრა, აქ რალაც მახეაო. თხა და ცხვარი ცოტა კი არ დაღუპულა, თვითონ დაფნისიც კინალამ დაიღუპა. აი, ეს როგორ მოხდა.

12. ეჭვიანობით გაცოფებული ორი ვაცი ერთმანეთს დაეტაკა და ბრძოლა გაიმართა; ისე ძლიერ დაეჯახნენ, რომ ერთს რქა მოტყდა, ტკივილისაგან ერთიანად აკანკალდა და გაიქცა; გამარჯვებული უკან დაედევნა, სული არ მოათქმევინა. დაფნისს რქამოტეხილი შეეცოდა, თავზედ თხაზე გული მოუვიდა, თავის კომბალს ხელი დასტაცა და გამოეკიდა. და, რასაკვირველია, არც გაქცეული თხა, არც დაფნისი, გაბრაზებული რომ ეწეოდა, ფეხქვეშ არ იცქირებოდნენ, და ორივე ორმოში ჩავარდა — ჯერ ვაცი, მერე დაფნისი. ვაჭი სწორედ ამან გადაარჩინა: დავარდნისას თხა საყრდენად გამოადგა,

და აი, ჭაბუკი ცრემლმორეული ელოდა. იქნებ ვინმე მოვიდეს და ამომიყვანოსო. ქლოემ დაინახა, რაც მოხდა, ორმოს მიაშურა, გაიგო, რომ დაფნისი ცოცხალი გადარჩა და მახლობელ მდელის მიაშურა, ხარების მწყემსს დაუძახა, დამეხმარეო. მწყემსი მოვიდა, გრძელი თოკის ძებნას შეუდგა, რომ დაფნისს მისთვის ხელი ჩაეგლო და ორმოდან ამოსულიყო. მაგრამ თოკი არ აღმოჩნდა. მაშინ ქლოემ თავისი შემოსაკრავი მოიხსნა და მწყემსს მისცა, რათა დაფნისისთვის ორმოში ჩაეწოდებინა. ორმოს მიადგნენ და მის ამოყვანას შეუდგნენ. დაფნისი შემოსაკრავზე ხელებს ინაცვლებდა და ზევით ასე ამოვიდა. საბრალო თხაც ამოიყვანეს, ორივე რქა მოსტეხოდა; აი, როგორ დაისაჯა იმ ვაცის გამო, რომელიც დაამარცხა. ეს თხა მწყემსს აჩუქეს დახმარების ჯილდოდ, მსხვერპლად შესწირეო. გადაწყვიტეს, შინაურებისთვის ეს ამბავი არ გაემხილათ; თუ ამ ვაცს მოიკითხავდნენ, ეთქვათ, მკვლემა მოგვტაცაო. თხა-ცხვარს მიაშურეს, დაათვალიერეს, — მშვიდად ძოვდნენ. მუხის ქვეშ ჩამოსხდნენ და იმის რკვევას შეუდგნენ, ორმოში ჩავარდნისას დაფნისი ხომ არ დაჭრილა, სისხლი ხომ არ სდისო. მაგრამ არც ჭრილობა, არც სისხლი არსად ჩანდა, მხოლოდ თმა და მთელი ტანი მიწა-ტალახით ჰქონდა დასვრილი. და გადაწყვიტეს, დაფნისმა ტანი დაიბანოს, სანამ ღამოსნა და მირტალს ეს ამბავი არ გაუვიათო.

13. და დაფნისი ქლოესთან ერთად ნიმფების გამოქვამულში შევიდა. ვაჭმა ქლოეს თავისი კვართი და ჩანთა მიაბარა, თვითონ კი ნაკადულის პირას ტანისა და კულულების ბანას შეუდგა. შვეი და სქელი კულულები ჰქონდა, ტანი კი ქარდაკრული, გეგონებოდა. კულულების ჩრდილი სხეულს მუქ ფერს აძლევსო. ქლოე უმზერდა და დაფნისი მშვენიერი ეჩვენებოდა; ეს პირველად მოხდა, რომ მშვენიერი მოეჩვენა და მისი სილამაზის მიზეზად ბანაობა ჩასთვალა.

ლონგე  
დაფნისი და ქლოე





როცა ზურგს ბანდა, ვაჟის ნაზი სხეული ხელს რბილად ხვდებოდა და ქლოე მაღლულად არაერთხელ შეეხო თავის ტანს, რომ გაეგო, უფრო ნაზი რომელიაო. მერე არვე და ფარა შინ გარეკეს. მზე უკვე ჩადიოდა. ამის შემდეგ ქლოე აიტანა მხოლოდ ერთმა სურვილმა—კვლავ ენახა მოზანავე დაფნისი. დილას მდელიოზე გავიდნენ, დაფნისი ჩვეულებრივ მუხის ქვეშ ჩამოჯდა და სალამურის დაკვრა დაიწყო. ამავე დროს თხებს თვალს არ აშორებდა. თხები წყნარად იწვნენ, თითქოს მის ჰანგს უსმენენო. ქლოე იქვე იჯდა, თავის ცხვირის ფარას თვალს ადევნებდა, მაგრამ უფრო ხშირად დაფნისს უმზერდა. ვაჟი სალამურს რომ უკრავდა, კვლავ მშვენიერი მოეჩვენა და ქლოემ კვლავ გადაწყვიტა: მისი სილამაზის მიზეზი ჰანგის მშვენიერებააო. როცა ვაჟმა დაკვრა დაამთავრა, ქლოემაც სალამურს მოჰკიდა ხელი იმ იმედით, იქნებ მეც ასეთივე გაგხდეთო. ქლოემ ვაჟი დაარწმუნა, კვლავ ებანავა და მოზანავე დაფნისი ისევ იხილა; რომ იხილა, ხელი შეახო და კვლავ აღტაცებული მოშორდა. ეს აღტაცება იყო დასაწყისი სიყვარულისა. საყვარელ გოგონას ეერ გაეგო, რა დაემართა. ის ხომ სოფელში გაიზარდა და ერთხელაც არავისაგან გაუგონია სიტყვა „სიყვარული“. გული უღონდებოდა, აქეთ-იქით დაბნეულად იყურებოდა და სულ მუდამ დაფნისზე ლაპარაკობდა. ჰამას თავი მიანება, ღამით ძილი აღარ ჰქონდა, თავისი ფარისათვის აღარ ზრუნავდა, ხან იცინოდა, ხან ტიროდა; ხან უეცრად ჩაეძინებოდა, ხან ისევ წამოხტებოდა; სახე ხან უფითრდებოდა, ხან ცეცხლი მოედებოდა. ბორას დაკბენილი დეკუული უფრო ნაკლებ იტანჯებოდა ხოლმე. და ერთხელ, როცა მარტო დარჩა, აი რა ფიქრებმა მოიცვა მისი გონება.

14. „ავადა ვარ, მაგრამ არ ვიცი, ეს რა ავადმყოფობაა; ვიტანჯები, ჭრილობა არა მაქვს; ვდარდობ, თუმცა არც ერთი ცხვირი არ დამკარგვია. ერთბაშად ცეცხლი მომედება ხოლმე, მაშინაც კი, როცა ჩრდილში ვზოგარ. რამდენჯერ ეკალს დავუჩხვდელივარ და არ და-

მიკვნესია, რამდენჯერ ფულტარს დავეუკბენივარ, ჰამაზე კი უარი არ მიტევამს. მაგრამ ის, რამაც ახლა ჩემი გული დაჩხვლიტა, ბევრად უფრო ძლიერია. დაფნისი ლამაზია, მაგრამ ლამაზია ყვაიღელიც; მშვენიერად ჟღერს მისი სალამური, მაგრამ მშვენიერად გალობენ ბულბულებიც, მაგრამ მათზე ხომ სრულიად არ ვფიქრობ. ოჰ, ნეტავ მის სალამურად მაქცია, თავისი სუნთქვა რომ ჩამმეროს, ან თიკნად, რომ მწყემსოს. ოი, ბოროტო ნაკადულო! შენ მხოლოდ დაფნისი გაამშვენიერე, მე კი შენს წყალში ამაოდ ვიზანავე. საყვარელო ნიმიფეო, მე ვიღუპები და შევლას არც თქვენ მანიჭებთ ქალიშვილს, რომელიც თქვენ წინ გამოვიკვებე! ვინა შეგამკობთ გვირგვინებით, როცა მე ამქვეყნად აღარ ვიტენები? ჩემს საბრალო ბატენებს ვინა გამოკვებავს, ჩემს მოლაყბე ჭიჭინობელას ვინა მოუღლის? ძლივს დავიჭირე იგი, გამოქვაბულის მახლობლად თავისი გალობით რომ დავეძინებინე, მაგრამ დაფნისმა ახლა ძილი დამიკარგა, და ჭიჭინობელა ამაოდ მღერის“.

15. ასე იტანჯებოდა, ასე ლაპარაკობდა, ცდილობდა სიყვარულის სახელი ეპოვნა. მწყემსს დორკოს, რომელმაც დაფნისი და ვაცი ორმოდან ამოიყვანა, იმ დღეს მოულოდნელად ქლოე მოეწონა. იგი ახალგაზრდა კაცი იყო, წვერი ახლა ეღინღებოდა. ამ მწყემსმა უკვე სიყვარულის საქმეც და სახელიც იცოდა. რაც დრო გადიოდა, მის გულს უფრო და უფრო ედებოდა ცეცხლი, დაფნისს, როგორც ბატარა ბიჭს, ყურადღებასაც არ აქცევდა. გადაწყვიტა, ძალმომრეობით თუ საჩუქრებით ქლოე აუცილებლად ხელში ჩაეგდო. ჯერ ორივეს საჩუქრები მიუტანა, ბიჭს — სამწყემსო სალამური, ცხრაბუხლიანი, დამაგრებული არა ცვილით, არამედ სპილენძით; გოგონას კი ირემლალის ტყავი, ბახუსის ქურუმი ქალის ტანისამოსი, წინწყლებიანი, თითქოს სულ ფერადებით მოუხატავთო. ამის შემდეგ თავს უკვე მათს მეგობრად სთვლიდა და თანდათან დაფნისს ავდებულად ეპყრობოდა. ქლოესთვის კი ყოველდღე მოჰქონდა ან ჭყინტი ყველი, ან

ყვავილებიდან დაწნული გვირგვინი, ან ნაადრევად დამწიფებული ვაშლი; ერთხელ კი მაწოვარი ხბო და მთის ფრინველთა ბარტყები მიუყვანა, ოქროსნაცმიანი ფინჯანში მიუტანა; სიყვარულის ფანდებში გამოუტყდელი გოგონა კი ამ საჩუქრებს იღებდა, უხაროდა, უფრო კი ის სიამოვნებდა, ამით დაფნისს გავახარებო. მაგრამ დაფნისსაც უკვე დრო დაუდგა გაეგო, თუ სიყვარული რა ტანჯვის მომგვრელი იყო. ერთხელ მან და დორკომ დავა ასტიხეს, ჩვენს შორის ვინ უფრო ლამაზიაო, და მსაჯულად ქლოე აირჩიეს; ჯილდოც კი დანიშნეს: გამარჯვებული ქლოეს აკოცებდა. ჯერ დორკომ დაიწყო ლაპარაკი:

16. „მშვენიერო ასულ! მე დაფნისზე მაღალი ვარ, მე ხარებს ვმწყემსავ, ის კი თხებს, და დაფნისზეც იმდენად უკეთესი ვარ, რამდენადაც ხარები თხებზე; რძეზე უფრო თეთრი ვარ, ჩემი გრუზა თმა ოქროს ფერია, როგორც მოსამკვლად შემოსული თავთავი. მე ძუძუ დედამ მაწოვა და არა რომელიმე პირუტყვმა. დაფნისი კი პატარაა, ქალივით უწვერო და მგელივით შავი. თხებს მწყემსავს, მათ კი საძაგელი სუნი აქვთ. იმდენად ღარიბია, რომ ძალსაც ვერ შეინახავს, თუ მას, როგორც ამბობენ, წალი ჰკვებავდა, თიკანზე უკეთესი რით არის?“. ასე ლაპარაკობდა დორკო. მერე დაფნისმა დაიწყო ლაპარაკი: „მართალია, როგორც ზევსი, მეც წალმა გამომკვება, თხებს ვმწყემსავ, მაგრამ ისინი მისი ჯოგის ხარებზე უფრო ღიდებია. თხის სუნი სრულიადაც არ მომკარებია: პოდა, პანს ხომ სუნი არა აქვს, თუმცა ნამდვილი ვაცია. მე მყოფნის ყველი გახუხულ პურთან ერთად და ტკბილი ღვინო, ეს კი მდიდარი გლეხის დოვლათია. მე უწვერო ვარ, მაგრამ დიონისეც ასეთივეა; ჩემი სხეული მუქია, მაგრამ სუმბულიც ხომ მუქი ფერისაა, დიონისე ხომ სატირებზე მაღლა დგას, სუმბულიც მთის შროშანაზე უკეთესია. დორკო მწითურია, როგორც მელა, თხის წვერი აქვს და ქალაქელი ქალივით თეთრია და თუ ერთი ჩვენთაგანის კოცნა მოგიწევს, შენ ტურჩებში მაკოცებ, მას კი ჯავარში.

მერე კი, საყვარელო ქალიშვილო, არც ის დაივიწყო: თუმცა ცხვარი ბკვებავდა, შენც ხომ ლამაზი ხარ“.

17. ქლოე სიხარულმა აღანთო, მისგან ქება რომ მოისმინა; დიდი ხანია, თვითონაც სურდა დაფნისისთვის ეკოცნა. აღარც დააყოვნა, წამოიჭრა და დააჯილდოვა უხადო, გაუწაფავი კოცნით, მაგრამ ისეთით, რომ ამ კოცნამ ვაქის გულის ანთება შესძლო. დაღონებული დორკო მათ სწრაფად გაეცალა და თავისი სიყვარულისთვის სხვა გზის ძებნას შეუდგა.

დაფნისი კი მაშინვე მოიღუშა, თითქოს კოცნით კი არ დააჯილდოვეს, არამედ უკბინესო. ხშირად შეკრთებოდა, ცდილობდა აჩქარებული გულის ცემა დაეწყინარებინა; სურდა სულ ქლოესთვის ეცქირა; როგორც კი შეხედავდა, სახე ერთიანად აელეწებოდა. პირველად სწორედ მაშინ შენიშნა აღტაცებით, რომ ქლოეს ხუჭუტი თმა ოქროსფრად ეღვარებდა და ხბოსავით დიდი თვალემა ჰქონდა, სახე კი ნამდვილად მისი თხების რძეზე უფრო თეთრი, — თითქოს სინათლე მაშინ პირველად იხილა, მანამდე კი თვალი თითქოს სრულიადაც არ ჰქონია. საჭმელს თითქმის არ ეკარებოდა, სვამდა კი, თუ ვინმე ვიწოდებდა: მხოლოდ პირს დააკარებდა. ის, ვინც ჭიჭინობელაზე უფრო ყბედი იყო, სულ დადუმდა; ის, ვინც წინათ თხებზე უფრო მკვირცხლი იყო, სულ მოღუნდა. არეეს პატრონობას თავი მიანება, თავისი სალამურიც დაივიწყა; სახე გაუყვითლდა თაკარა სიცხისაგან გადამწვარი ბალახივით. მხოლოდ ქლოეზე ლაპარაკობდა. თუ უმისოდ მარტო რჩებოდა, თითქოს ზოდავსო, თავის თავს ელაპარაკებოდა:

18. „ეს რა მიყო ქლოეს კოცნამ? მისი ტურჩები ვარდზე უფრო ნაზია, პირი კი თაფლზე უტკბესი. მისი კოცნა ფუტკრის ნესტარის ჩხვლეტაზე უფრო მტკივნეულია. ხშირად დამიკოცნია თიკნები, დამიკოცნია ლეკვებიც, დორკოს ნაჩუქარი

ლონგე  
დაფნისი და ქლოე



ხმოც, მაგრამ ქლოეს კოცნა რაღაც ახალია. სუნთქვა შემეკვრა, გული ლამის ბუდიდან ამომივარდეს, სული მეღვავა, მისი კოცნა კი კვლავ მწყურია. ოი, ბედკრულო გამარჯვებავ, ოი, განუცდელი სწულეზავ, მისი სახელიც კი არ ვიცი. ჩემს კოცნას რომ აპირებდა, ქლოეს რაიმე შხამის გემო ხომ არ გაუსინჯავს? თვითონ რატომ არ დაიდუღა? ბულბულები როგორ გალობენ, ჩემი სალამური კი დადუღდა! თიკნები როგორ მხიარულად დანავარდობენ, მე კი გაშეშებული ვზივარ! ყვავილები როგორ დიდებულად გაიფურჩქნა, მე კი გვირგვინებს აღარ ვწვანავ! აგერ იები, აგერ სუმბულები გაიშალა, დაფნისი კი დაჰქანა. ნუთუ დორკო მალე ჩემზე უფრო ლამაზი გახდება?"

19. მშვენიერი დაფნისი ასე ლაპარაკობდა და გული ეღეოდა, — მან ხომ პირველად იგემა სიტყვა და საქმე სიყვარულისა.

დორკო კი, მწყემსი, რომელსაც ქლოე შეუყვარდა, დრიასს დაუდარაჯდა. დრიასს ვაზის ჩაყრა დაეწყო. დორკო მივიდა და ძღვენად საუკეთესო ყველის კვერები მიართვა; ისინი მეგობრები იყვნენ იმ დროიდან, როცა თვითონ დრიასი ჯერ კიდევ ჯოჯს მწყემსავდა. ეს მეგობრობა მოაკონა და ქლოესთან თავის შეუღლებაზე სიტყვა ჩამოუვლო: თუ მომათხოვებ, ძვირფას საჩუქრებს მოგართმევ, როგორც ხარების მწყემსს შეეფერება — უღელ ხარს სახანავად და ფულტრის ოთხ ახალ ოჯახს, ორმოცდაათ ვაშლის ხეს, ხარის ტყავს ლანჩების გამოსაჭრელად და ამის გარდა ყოველ წელს კვებულას მოგართმევო. დრიასი ასეთ საჩუქრებს დაეხარბა და კინადამ ქორწინებაზე დაეთანხმა. მაგრამ ბოლოს მოისაზრა, ქალიშვილს უკეთესი საქმრო შეეფერება და ემანდ თავდაუღწიველ უბედურებაში არ გაეხვიო, როცა ყველადფერი გამომქლავნდებაო, და ქორწინების დასტური აღარ მისცა. დორკოს ბოდიში მოუხადა და ყველა ძღვენი უკან დაუბრუნა.

20. დორკოს მეორედ რომ გაუცრუვდა იმედი და თავისი კარგი ყველის კვერები ტყუილ-უბრალოდ დაჰკარგა, გა-

დაწყვიტა, ქლოეს თავს დასხმობდა, როცა მარტო მოიხელთებდა. გამორკვია: არგვსა და ფარას სარწყულეზავად რიგრიგობით მირეკავდნენ: ერთ დღეს დაფნისი, მეორე დღეს კი ქალიშვილი. და დორკომ მწყემსის შესაფერისი ეშმაკობა იხმარა. აიღო ტყავი დიდი მგლისა, რომელიც ძროხების დაცვისას ხარმა რქებით გამოშვიგნა; ზურგზე მოიხურა — ქუსლებამდე წვდებოდა; წინა თათებით ხელები დაიფარა, უკანათი — ფეხები, სულ ტერფამდე; მგლის ხახადაღებული თავი კი მუხარადივით ჩამოიცვა, როგორც მხედარმა. რამდენადაც შეიძლებოდა მხეცს დაემსგავსა და რუსთან მივიდა, სადაც ძოვების შემდეგ თხა-ცხვარი სარწყულეზავად მიეშურებოდა. ეს წყარო ღრმა ხევეში იყო; მის გარშემო მთელი მიდამო აკანთოს, ასკილს, ღვიას, თავცეცხლასა და მაცყალსა დაეფარა. ასეთ საფარში ნამდვილი მგელიც ადვილად დამალულია. აქ დამალული დორკო პირუტყვის რწყულებას ელოდებოდა. დაიძვებოდა იყო, რომ ამ საშინელი სანახაობით თავზარდაცემულ ქლოეს ხელში ადვილად ჩაიგდებდა.

21. ცოტა ხანმა გაიარა და ქლოემ არვე და ფარა რუსკენ გარეკა, დაფნისი კი დატოვა, რომ ქორთა ყლორტები მოეჭრა თიკნებისთვის. ქლოეს უკან ძაღლები მიჰყვებოდნენ თხა-ცხვარის დასაცავად და როგორც ყოველთვის, არემარეს ფხიზლად ჰყნოსავდნენ. ძაღლებმა სუნი იკრეს დორკოსი, რომელიც ბუჩქებში გაინაბა და მზად იყო მოულოდნელად თავს დასხმობდა ქალიშვილს. ძაღლებმა გამაყრუებელი ყვეთით მიიჩინეს მასთან. თითქოს ნამდვილი მგელიაო, გარს შემოერტყნენ და მგლის ტყავს გლეჯა დაუწყეს. შემინებულმა დორკომ წინააღმდეგობის გაწევაც ვერ მოასწრო. თავი არ შევირცხვინოო, საფარში მიმალული და ტყავმობურული ხმას ვერ იღებდა. მისი დანახვით გულგახებთქილმა ქლოემ დაფნისს დაუძახა, მიშველეო. ამასობაში ძაღლებმა დორკოს ტყავი შემოაგლიჯეს და ტანზე კბენა დაუწყეს. მწყემსმა ყვირილი მორთო, შევლას ეშუდარებოდა დაფნისსა და ქლოეს, რომლე-

ზიც უკვე მასთან მიიჭრნენ. ქლოემ და დაფნისმა ძაღლებს მოუხმეს, იმწამსვე დააწყნარეს, დორკო ნაკადულთან მიიყვანეს — თეძოები და მხრები დაკბენილი ჰქონდა; ძაღლის ნაკბენი ჭრილობები მოზანეს, თელის მწვანე ქერქი დაღებულ და ზედ წაუსვეს. გამოუცდელ ახალგაზრდებს სიყვარულის კადნიერი საქციელისა არაფერი გაეგებოდათ და მგლის ტყავში გახვეული დორკოს ბორბოტი განზრახვა მწყემსურ ხუმრობად ჩასთვალეს. გული არ მოსვლიათ, კიდევ ანუგეშეს, ხელი მოჰკიდეს, ცოტა ხანს მასთან ერთად გაიარეს და შინ მხოლოდ მერე გაუშვეს.

22. და აი, დორკო, რომელმაც ასეთ ფათერაკს თავი იოლად დააღწია და, როგორც ანდაზა ამბობს, მგლისას კი არა, ძაღლის ხახას გადაურჩა, ჭრილობებს იშუშებდა. იმ დღეს დაფნისსა და ქლოეს დიდი სარჯელი გაუჩნდათ — კარგა დაღამებამდე ცხვრებსა და თხებს თავს უყრიდნენ; მგლის ტყავის დანახვით შეშინებული, ძაღლის ყვეფით დამფრთხალი პირუტყვი ზოგი მთებში გაიფანტა, ზოგიც ბარში დაეშვა, ზღვასთან მიიჭრა. თუმცა დაჩვეული ჰყავდათ ძახილისთვის ყური დაეგდოთ, ან სალამურის ხმას დამორჩილებოდნენ, დამშვიდებულიყვნენ და, როგორც კი ტაშის დაკვრას გაიგონებდნენ, ერთად შექუჩბულიყვნენ, მაგრამ ახლა შიშმა ყველაფერი დააფიწყათ. როგორც იქნა, დაფნისმა და ქლოემ თხაცხვარი დიდი გაჭირვებით მოძებნეს და ბაკში შერეკეს. ღრმა ძილი მხოლოდ იმ დამეს ჰქონდათ, დაღლილობა მათი სიყვარულის წამალი აღმოჩნდა. მაგრამ როდესაც გათენდა, კვლავ ტანჯვამ შეიპყრო: შეხვედრით ხარობდნენ, დაშორებით მოიწყენდნენ; რაღაც უნდოდათ, მაგრამ რა — არ იცოდნენ. ერთი კი იცოდნენ, რომ ვაჭი კოცნამ დაღუბა, ქალიშვილი კი ნაკადულში ბანაობამ.

23. წელიწადის დროც მათ ცეცხლს უკიდებდა. გაზაფხული ილეოდა, ზაფხული დგებოდა და ყველაფერი ყვაოდა. ხეებს ნაყოფი მოესხა, პურის ყანებს ველეები დაეფარა, ყველგან ჭიჭინობელების ნაზი ჭრიჭინი ისმოდა, ხილი საამო

სურნელებას აფრქვევდა. ცხვრის ფარების ხალისიანი ბლავილი ყურს ატკბობდა. იფიქრებდი, მშვიდად მოლივლივე მდინარეებშიც საამოდ დუღუნებნო, ქარი ფიჭვის ტოტებს აშრიალებდა, თითქოს ფლეიტას უკრავსო, ვაშლები, თითქოს სიყვარულის სევდას შეუპყრიაო, ტოტებიდან მიწაზე ცვიოდნენ; მზე — მოტრფიალუ სილამაზისა — ყველას სამოსელს ახდევინებდა. და ყოველივე ამით აღმოდებული დაფნისი მდინარეში ეშვებოდა, ხან ჩაიყურყულალებდა, ხან ირგვლივ მონავარდუ თევზებს დასდევდა; ხშირად ცივ წყალს ყლაპავდა, თითქოს თავის არსებამი მოგიზგიზე ხანძრის ჩაქრობას ლამობსო. ქლოე ნერბებსა და თითქმის ყველა წალს რომ გამოწველიდა, ყველის შესაყენებლად ცოტა დროს როდი ჰკარგავდა. საძაგელი ბუზები ხელს ძალიან უშლიდნენ და ჰკბენდნენ. მერე პირს დაიზანდა, ფიჭვის ტოტებისგან გვირგვინს გაიკეთებდა. თეძოებს ირემლადის ტყავით დაიფარავდა, ჯამს რძიანი ღვინით ავსებდა და ამ სასმელს დაფნისთან ერთად სვამდა.

24. მაგრამ, აი, შუადღე ახლავდებოდა და დგებოდა დრო, როცა მათს თვალებს მომხიბლავი ძალა ატყვევებდა. ქლოე დაფნისს ტიტვებს რომ ნახავდა, მისი სილამაზე აოცებდა, მის ტანზე ვერაგითარ ზიანს ვერ პოულობდა და იზნიდებოდა. ვაჭი კი ქლოეს ირემლადის ტყავით შემოსილს და ფიჭვის გვირგვინით შემკობილს რომ ხედავდა, ეგონა, გამოჭეაბულის მოზინადრე ერთ-ერთი ნიმივი გამომცხადაო; ფიჭვის გვირგვინს მოსტაცებდა, ჯერ დაპოცნიდა, მერე კი თავზე დაიდგამდა; როცა ჭამბუკი ტანთ გაიხდიდა და მდინარეში ბანაობდა, ქლოეც ჯერ მის ტანსაცმელს დაპოცნიდა, მერე კი ჩაიყვამდა. ზოგჯერ ერთმანეთს ვაშლებს ესროდნენ ან თმას უყოფდნენ ვასალამაზებლად: ქლოე ამბობდა შენი თმა მურტის კენკრებს ჰვავს, რადგან მუქი ფერისააო; დაფნისი კი მის სახეს ვაშლს ადარებდა, რადგან თერ-

ლონგე დაფნისი და ქლოე

დაქვდაყაო. ვაჟი სალამურის დაკვრას ასწავლიდა. როცა ქალიშვილი დაკვრას დაიწყებდა, ვაჟი სალამურს გამოართმევდა და ლერწმის ყველა ღეროს თავისი ტურნებით მოივლიდა. ამის მხნახველს ეგონებოდა, ვაჟი დაკვრას ასწავლის, შეცდომას უსწორებსო, ნამდვილად კი სალამურის მეშვეობით მოკრძალებულად ქლოეს ჰკოცნიდა.

25. ერთხელ შუადღისას, როცა დაფნისი სალამურს უკრავდა, მათი თხაცხვარი კი ჩრდილში გაწოლილიყო, ქლოეს შეუქმნევლად ჩაეძინა. დაფნისმა ეს რომ დაინახა, სალამური გადასდო, თვალს არ აშორებდა ასულს, მისი ცქერით ტკბებოდა: ახლა ხომ არაფრისა რცხვენოდა და ჩუმად თავისთვის ღაპარაკობდა: „რა საუცხოოდ ძინავს მის თვალებს, რა ტკბილად სუნთქავენ მისი ბაგენი! არც ვაშლებს, არც აყვავებულ ბუჩქებს არა აქვთ ასეთი სურნელება. მაგრამ მეშინია, ვაკოცო; მისი კოცნა გულს მიკოდავს და მგაყიებს ახალი თაფლივით. ჩემი კოცნით მისი ვაღვიძებაც მეშინია. ოჰ, ეს ყბედი კუტკალიები ხმამაღალი ჭრიჭინით ძილს უფროსობენ. აი, ვაცები ერთმანეთს ერჩოლებიან და რქებს ჯახანი გააქვთ; ოი, მკლბო, მელიაზე უფრო მშინარნო, ეს თხები აქამდე რატომ არ დაგლიჯეთ?“

26. ვაჟი ასე ღაპარაკობდა, კუტკალია კი ამ დროს გაურბოდა მერცხალს, რომელიც მის დაჭერას ღამობდა. კუტკალია ქლოეს მკერდზე დაახტა, მერცხალმა მისი დაჭერა ეერ შესძლო, მაგრამ ქლოეს ისე ახლოს ჩაუჭროლა, რომ ლოყაზე შეეხო. მიძინარე ვერ გაერკვა, რა მოხდა, წამოიყვირა და გაეღვიძა. იქვე მახლობლად მოფრთხილვე მერცხალი შენიშნა; დაფნისი მას შეშინებულს რომ ხედავდა, ეცინებოდა. ქლოე დამშვიდდა და ჯერ კიდევ ნამძინარევი თვალების ფშვნეტა დაიწყო. ამ დროს ტანისამოსის ნაკეცებში ჩამალულმა კუტკალიამ ქლოეს მკერდზე სიმღერა წამოიწყო, თითქოს გადარჩენისათვის მადლობას უხდისო. ქლოემ კვლავ ხმამაღლა იკივლა, დაფნისს კი ისევ გაეცინა. ამ საბაბით ვაჟმა მკერდზე ხელები დაადო და

საყვარელი კუტკალია ამოიყვანა; ის კი მის ხელშიც სიმღერას განაგრძობდა. კუტკალია რომ დაინახა, ქლოეს გაეხარდა, ხელისგულზე დაისვა, აკოცა და კვლავ თავის უბეში შეიფარა, კუტკალია კი მღეროდა და მღეროდა.

27. ერთხელ ისინი ლურჯმა მტრედმა გაახარა ტყეში თავისი მწყემსური სიმღერის ღულღუნით; და როდესაც ქლოემ მოისურვა გაეგო, მტრედი რას ღაპარაკობდა, დაფნისმა საყოველთაოდ ცნობილი ზღაპარი უამბო:

„ის იყო ქალწული, ოი, ქალწულო, ისეთივე ღამაზი, როგორიც შენა ხარ. ტყეში ძროხების დიდ ჯოჯს მწყემსავდა. ქალწული სულ მღეროდა და ძროხებს მისი სიმღერა უყვარდათ; მწყემსვის დროს ძროხებს კომბალით არ სცემდა, არც წამახული ჭოგრით არ ჩხვებდა, ფიჭვის ტოტების გვირგვინით თავშემკობილი იჯდა ფიჭვის ქვეშ და პანისა და პითისა ბატისაყვამდ მღეროდა. სიმღერით მოხიბლული ძროხები შორს არ მიდიოდნენ. მახლობლად კი მწყემსი ბრჭი ხარებს მწყემსავდა. ისიც ღამაზი და ისეთივე მომღერალი იყო, როგორც ქალიშვილი, და ერთმანეთს შეეკამათნენ, ჩვენ შორის ვინ უფრო ღამაზად მღერისო; ბიჭმა თავისი ვაჟაკური, ძლიერი და ბავშვური ნაზი ხმით ქალიშვილის რვა საუკეთესო ძროხა თავის ჯოჯში გადაიბირა და გარეკა. ნახირის ზარალით დამწუხრებული და სიმღერაში დამარცხებული ქალიშვილი ღმერთს შეევიდრა, ფრინველად გადამაქციეო, — შინ დაბრუნებას ეს ერჩია. ღმერთებმა თხოვნა შეუსრულეს და მასავით მთაში მცხოვრებ და მასავით მომღერალ ფრინველად გადააქციეს. და დღემდე საყვარულით ჰყვება თავის უბედურებას: სულ ჩემი გზადაკარგული ძროხების ძებნაში ვარო“.

28. ასეთ სიხარულს ზაფხული მათ არ აკლებდა. როდესაც შემოდგომა ერთიანად გაიფურჩქნა და ყურძნის მტვენები დამწიფდა, ამ არემარეს ტვიროსელი მეკობრენი მოადგნენ კარიული მსუბუქი გემით (ბარბაროსებად რომ არ ეცნოთ). ნაბირზე გადმოვიდნენ ნახევარჯაშენია-

ნები, მოკლე მახვილით შეიარაღებულნი და დარცვა დაიწყეს; ყველაფერი მიჰქონდათ, რაც კი ხელში მოჰყვებოდათ: სურნელოვანი ღვინო, ურიცხვი მარცვალი, გოლეული. დორკოს ჯოჯის რამდენიმე ხარიც გარეკეს, მოიტაცეს დაფნისიც, რომელიც ზღვის პირად დაეხეტებოდა. ქლოე კი დრიაის ფარას უფრო მოგვიანებით მორეკავდა ხოლმე: ქალიშვილს თავგასული მწყემსების ეშინოდა. ყაჩაღებმა ტანადი, ლამაზი ბიჭი რომ დაინახეს — ყველაფერზე ძვირფასი, რაც მინდორ-ველად დაიტაცეს — თხების გარეკვის ან სხვა ნადავლის შოვნისათვის თავი აღარ შეიწუხეს, დაფნისი გემზე აათრიეს. სასოწარკვეთილი ვაჟი ქვითინებდა, ქლოეს ხმამაღლა უხმობდა. მეკობრეებმა მისაბმელი ბაგირი მოხსნეს, ნიჩბები მოუსვეს და უკვე გაშლილ ზღვაში გავიდნენ. ამ დროს ქლოე თავის ფარას მიერეკებოდა და დაფნისისთვის საჩუქრად ახალი სალამური მიჰქონდა. უცებ დამფრთხალი თხები დაინახა და დაფნისის ძახილი გაიგონა — ჭაბუკი სულ უფრო და უფრო ხმამაღლა ყვიროდა. ქლოეს ყველაფერი დაავიწყდა, სალამურიც გადაავლო და დორკოსთან მიიბრინა, მიშველეთ.

29. ის კი იწვა ყაჩაღების მიერ საშინლად დაჭრილი და სისხლად იღვრებოდა. ქლოე რომ დაინახა, წამით აღვრინდელი სიყვარულით აინთო და მიმართა:

„მალე ცოცხალი აღარ ვიქნები, ქლოე. ამ ბოროტმოქმედმა ყაჩაღებმა, როცა ხარებისთვის შევებრძოლე, თვითონ მე დამკლეს ხარივით. შენ კი დაფნისსაც გადაარჩენ, ჩემთვისაც შურს იძიებ, ყაჩაღებსაც დაღუპავ. ხარები გაწაფული მყავს, ჩემი სალამურის ძახილი ემორჩილებიან; როგორც კი მის ხმას გაიგონებენ, ჩემსკენ მოეშურებიან, შორსაც რომ ძოვდნენ. ახლავე აიღე ეს სალამური და ის ჰანკი დაუკარ, ერთხელ რომ დაფნისს ვასწავლე, მან კი შენ ვასწავლა; რაც მოხდება, ეს უკვე ჩემმა სალამურმა და ხარებმა იციან, ისინი იქ, შორს არიან. ამ სალამურს გაჩუქებ; ამით ბევრ შეჯიბრებაში მიჯობნია მწყემსებისთვის,

ხარებსა თუ თხებს რომ მწყემსავენ; შენ კი, სანამ ჯერ ცოცხალი ვარ, მაკოცე, მოგვედები და ცრემლი დამაფრქვიე. და თუ ნახავ სხვას, რომელიც ჩემი ხარების მწყემსად იქნება, გამისხნე“.

30. ასე უთხრა დორკომ და გამოსამშვიდობებლად აკოცა. ამ კოცნასთან და ამ სიტყვებთან ერთად სულიც განუტევა. ქლოემ სალამური აიღო, ტურზე მიიღო და ისე ხმამაღლა დაუკრა, როგორც კი შეეძლო. აი, სალამურის ხმა ესმით ხარებს, ნაცნობი კილო იცნეს და ყველანი ერთად თავშეუკავებლად ზღვაში გადაეშვნენ. ასეთმა ბიძგმა გემი ერთ მხარეს ძლიერ გადახარა, წყალში გადამხტარი ხარების სიმძიმემ ზღვა ღრმად გააპო, გემი გადაბრუნდა და შეკრულ მორევში შთაინთქა. ყველა, ვინც გემზე იყო, წყალში გადაეშვა, მაგრამ გადარჩენის იმედი ყველას თანაბარი არ ჰქონდა, ყაჩაღებს წელზე ხომ მახვილი ეკიდათ, ქერკლოვანი ჯაგშანი ეცვათ, წვიგებზე კი ნახევრამდე სამუხლეები ჰქონდათ. დაფნისი კი ფეხშიშველა იყო (არეეს ხომ მდელოზე მწყემსავდა) და ნახევრად ტიტველი (ჯერ ხომ კიდეც ცხელოდა). ყაჩაღებს დიდხანს ცურვა არ დასცალდათ, იარაღის სიმძიმემ ზღვაში ჩასძირა; დაფნისმა კი თავისი ტანისამოსი ადვილად მოიცილა, მაგრამ ცურვა ჯერ გაუჭირდა, რადგან წინათ მხოლოდ მდინარეში ცურავდა; მაგრამ გაჭირვებაში მალე ასწავლა, თუ რა უნდა გაეკეთებინა. წინ გაეშურა და ორ ხარს შუა მოექცა, ორივე ხელი ამ ხარების რქებს ჩასჭიდა, უშრომლად და უდარდელად გასწია, თითქოს ეტლით მგზავრობსო. ხარი ხომ ისე ცურავს, რომ ადამიანი ვერ გაუტოლდება. ხარი ცურვაში მხოლოდ წყლის ფრინველებსა და თევზებს თუ ჩამოუვარდება. ცურვის დროს ხარი არასოდეს არ იღუპება, მხოლოდ მთლად დამბალი რქა ჩლიქს აძვრება. და დღესაც ჩემი ნათქვამის სიმართლეს ადასტურებს ზღვებზე ბევრი ადგილი, რომ-

ლონვე დაფნისი და ქლოე



ლებსაც „ბოსფორი“ (ხარების გადასას-  
ვლელი) ჰქვია.

31. ამნაირად გადარჩა დაფნისი. სრულ-  
ლიად იმედდაკარგულმა ერთბაშად თავი  
ორ საფრთხეს დააღწია: ყაჩაღებსაც ხე-  
ლიდან დაუსხლტა და არც ზღვაში და-  
იხრჩო. ნაპირზე რომ ამოვიდა, ქლოე  
დახვდა: ერთსა და იმავე დროს ქალი-  
შვილი კიდეც ტირილდა და კიდეც იცი-  
ნოდა. ვაჟი ჩაეკონა და ჰკითხა, სალამუ-  
რის დაკერა რატომ დაიწყეთ? ქალი-  
შვილმა ყველაფერი უამბო: როგორ მია-  
შურა დორკოს; როგორ იყვნენ გაწაფუ-  
ლი ხარები; როგორ უბრძანეს სალამუ-  
რის დაკერა და ისიც, რომ დორკო გარ-  
დაიცვალა; მხოლოდ თავის კოცნაზე არა-  
ფერი უთქვამს, შერცხვა; ახალგაზრდებ-  
მა გადაწყვიტეს, თავისი კეთილისმყო-  
ფელისათვის პატივი ეცათ: მისი ნათესა-  
გების შემწეობით უბედური დორკო და-  
კრძალეს. საფლავზე მაღალი ბორცვი  
აღმართეს, თავიანთი ბაღების მრავალი  
მცენარე დარგეს აქ და ყოველმა მათ-  
განმა დორკოს პატივსაცემად ამ მცენა-  
რებზე თავ-თავისი შრომის ნაყოფი ჩა-  
მოჰკიდა; მერე კი საფლავს რძე დაასხეს,  
ზედ ყურძნის მტევნები დაუყლიტეს და  
ბევრი სალამური დაამტვრიეს. აქ ხა-  
რები საცოდავად ბლოდნენ და არეულ-  
დარეულნი აქეთ-იქით ეხეთქებოდნენ;  
თხა-ცხვირის მწყემსები ამბობდნენ, ხარე-  
ბი მიცვალებულ მწყემსს დასტირიანო.

32. დორკო რომ დაკრძალეს, ქლოემ  
დაფნისი ნიმფებთან მიიყვანა, გამოქვა-  
ბულში შეუძღვა და ტანი დაბანა. და  
პირველად დაფნისის თვალწინ თვითო-  
ნაც დაიბანა ტანი თეთრი, უმანკო სილა-  
მაზისა; ის დაბანას არც კი საჭიროებდა,  
რათა მშვენიერი გამხდარიყო; მერე ყვა-  
ვილივე დაპკირიეს, მაშინ რომ ყვაოდა,  
ნიმფების ქანდაკებანი გვირგვინებით  
შეამკეს, დორკოს სალამური კი ღმერ-  
თებს შესწირეს, კლდეს მიამაგრეს. ამის  
შემდეგ თხა-ცხვირს მიამაგრეს. ყველა  
მშვიდად იწვა, არ ძოვდა, არც ბლოდა,  
მაგრამ, ვფიქრობ, ისინი დაფნისსა და  
ქლოეს რომ ვერ ხედავდნენ, ამას დარ-  
დობდნენ. როგორც კი ახალგაზრდები  
გამოჩნდნენ, მათი ჩვეულებრივი ძახილი  
გაისმა და სალამურები ააღულუნეს,  
ცხვრები მაშინვე აიშალნენ და ძოვა  
დაიწყეს. თხები აკუნტრულდნენ, თით-  
ქოს თავისი მწყემსის გადარჩენით ხა-  
რობენო. დაფნისი კი ვეღარ მხიარულებ-  
და, რაკი ტიტველი ქლოე და მისი აქამ-  
დე დაფარული სილამაზე იხილა; გული  
ატიკვდა, თითქოს რაღაც შხამი ღრღნი-  
სო: ხან აჩქარებული, ხშირი სუნთქვა  
ჰქონდა, თითქოს ვინმე მოსდევსო, ხან  
სული ეხუთებოდა, თითქოს სირბილით  
უკვე ძალა გამოლევიანო. ჩანს, ნაკადულ-  
ში ბანაობა მისთვის უფრო საშინელი  
აღმოჩნდა, ვიდრე ზღვაში გემის და-  
ღუპვა; ეკონა, ჩემი სული ისევ ტყვეობა-  
შიაო. დაფნისი ხომ ახალგაზრდა და  
მიამიტი იყო, მან ჯერ კიდევ არ იცოდა,  
სიყვარული რა ყაჩაღიც ბრძანდებოდა.

წინა მხრე

1. შემოდგომა უკვე საესებით გაი-  
ფურჩქნა, რთველის დრო დადგა, მინ-  
დერებში ყველა მუშაობას შეუდგა: ვინ  
საწნახლებს დაუწყო შეკეთება, ვინ  
კასრებს რეცხავდა და ვინ კალათებს  
წნავდა; ზოგი ყურძნის მტევნების მო-  
საპრედ ნამკლისებურ დანებს იმარა-  
გებდა, ზოგი ლოდს — მტევნების და-  
საუყლტად, ზოგი ხმელ როკებს აპობდა,  
რომ ღამით აენთო და მის სინათლეზე  
მაჭარი გადაეტანათ.

დაფნისმა და ქლოემ თავიანთი თხა-  
ცხვირი დაივიწყეს და რთველში დასახ-  
მარებლად მივიდნენ; დაფნისი გოდრე-  
ბით ყურძენს ეზიდებოდა, საწნახლებში  
ჰყრიდა, წურავდა და მაჭარს კასრებში  
ასხამდა; ყურძნის მკრეფავებს ქლოე სა-  
დილს უმზადებდა, ძველ დეინოს უსხამ-  
და და ძირს დაშვებულ მტევნებს ჰკრიადა:  
ლესბოსზე ხომ დაბალი ვენახია, მაღლა  
არ აღის და ხეების ტოტებს არ ეხვია;

ვაზები სუროსავით დაბლა ეფინება მიწას; ბავშვსაც კი, რომელმაც ხელები ესეს არის სახვევებიდან გაითავისუფლა, შეუძლია მტევენებს მისწვდეს.

2. როგორც ხდება ხოლმე, დიონისეს დღესასწაულზე რთველში ქალები მიიპატივეს ახლომახლო მინდვრებიდან. ისინი დაფნის თვალს ვერ აშორებდნენ, სილამაზეს უქებდნენ, ამბობდნენ, დიონისეს ბადალიაო; ზოგი, ყველაზე ვაბედული, დაფნის კიდევ ჰკოცნიდა და ამით აღვლევდა; ქლოეს ეს ძალიან აღონებდა. მამაკაცები კი, სწავნახლებში რომ ყურძნებს წურავდნენ, ქლოეს ეარშიყებოდნენ, როგორც სატირები ბახუსის ქურუმ ქალთა წინაშე, შემლილივით დახტოდნენ და ეფიცებოდნენ, ნეტავ ცხვრებად გადაგვაქცია, რომ შენ მოგვმწყემსოო; ახლა ქალიშვილი მხიარულებდა, დაფნისი კი ღონდებოდა. და რთველის დასასრულს ორივე მოუთმენლად ელოდა, რათა ნაჩვევ ადგილებს დაბრუნებოდნენ და ნაცვლად ყვილ-ხივილისა მოესმინათ სალამურის ხმა, თხების კიკინი და ცხვრების ბღავილი. და როდესაც რამდენიმე დღის შემდეგ ყურძენი უკვე დაიკრიფა, კასრები მაჭრით აიგსო და ამდენი მუშახელი საჭირო აღარ იყო, დაფნისმა და ქლოემ არცე და ფარა კვლავ მდგომარე გარეკეს და სიხარულით აღესილმა ახალგაზრდებმა ნიმფებს თავყვანი სცეს, ყურძნის აკიდობები, რთველის საწყისები შესწირეს. ნიმფების მახლობლად წინათაც არც ერთხელ არ ჩაუვლიათ უყურადღებოდ: ძოვების დაწყებისას ვედრებით მიმართავდნენ, საძოვრიდან დაბრუნებისას კი თავყვანს სცემდნენ. და ყოველთვის რაიმე შესაწირავი მიჰქონდათ: ან ყვავილი, ან ხილი, ან მწვანე ტოტი; ან რძეს შესწირავდნენ მსხვერპლად. ამისთვის მერე ქალდემერთები უხვად აჯილდოებდნენ. და მაშინ ახალაშვებული ლეკვებივით დახტოდნენ, სალამურს უკრავდნენ, მღეროდნენ, ვაცებსა და ყოჩებს ერაოლებოდნენ.

3. ასე რომ სიხარულობდნენ, მათთან თხის ტყავით შემოსილი მოხუცი მოვიდა; ფეხზე უხეში სანდლები ეცვა, წელზე ჩანთა ეკიდა, ისიც ძველი. ახალგაზრ-

დებთან დაჯდა და ეს თქვა: „ჩემო ბავშვებო, მე მოხუცი ფილეტასი ვარ; ძველად ნიმფებისთვის ბევრჯერ მიმღერია, ხარების დიდ ჯოგს მხოლოდ და მხოლოდ სიმღერით ვუძღვებოდა. თქვენთან მოვედი, რომ გვიამოთ, რაც მინახავს, გადმოგცეთ, რაც გამიგონია. მაქვს ბაღი — ჩემი ხელით გავაშენე მას უკან, რაც სიბერის გამო მწყემსობას თავი დავანებე. და ყველაფერი, რაც წლის ყოველ დროს მოაქვს, ჩემს ბაღში თავისთვის დროზეა: გაზაფხულზე — ვარდები, შრომანები, სუმბულები, ორივე ჯიშის იები; ზაფხულში — ყაყაროები, ყოველნაირი ჯიშის მსხლები და ვაშლები; ახლა კი ყურძენი, ლეღვი, ბროწეული და მწვანე მურტია. დილაადრიან ჩემს ბაღში გუნდ-გუნდად ფრინველები მოფრინდებიან; ზოგი კენკავს, ზოგი ვალობს. ხშირი და ჩრდილიანი ბაღია, საში ნაკადული რწყავს და ჯაგის ღობე რომ მოაყილო, გეგონება ჭაღააო.

4. დღეს შუადღისას ბაღში შეგდივარ და გხედავ, ბროწეულისა და მურტის ხეებქვეშ ბიჭუნას ბროწეულები და მურტის კენკრები ხელში უჭირავს; ბიჭუნა რძესავით თეთრი იყო, ცეცხლისფერ კულულებიანი, ისე ბრწყინავდა, თითქოს ეს-ეს არის ტანი დაუბნაიაო. ის იყო ტიტველი და სულ მარტო; ცელქობდა, ხილს წყვეტდა, თითქოს თავის ბაღშიაო. გავეშურე მის დასაპყრად. თან მეშინოდა, ამ თამამ, ნებიერ ბიჭუნას ჩემი მურტები და ბროწეულები არ დამეტყრია; მაგრამ იგი მარდად და ადვილად მისხლტებოდა ხელიდან: ხან ვარდების ბუჩქებს მოეფარებოდა, ხან ყაყაროებში იმალებოდა, თითქოს კაკბის ღლაპაიაო. წინათ ხომ ხშირად დაგვევნიებოვარ პატარა თიკნებს ან ძუძუმწოვარ ხბოს და დამიჭერია ხოლმე. ეს ბიჭუნა კი მოხერხებული და მოუხელთებელი ქმნილება იყო. დავილაღე. — მე ხომ უკვე ბებერი ვარ, — კომბალს დავებჯინე და დაუდარაჯდი რომ არ გამიქცეოდა; და ვკითხე: ვისი

ლონკე დაფნისი და ქლოე





ხარ და სხვის ბაღში ხილს რატომ ჰკრეფ-  
მეთქი. არაფერი მიბასუხა, მაგრამ მახ-  
ლობლად გამიჩიერდა, ნაზად გამიციხა და  
მურტის კენკრების სროლა დამიწყო; და  
თვითონ არ ვიცო, როგორ მომაჯადოვა  
ის, რომ ველარ გავუჯავრდი. ხეწუნა და-  
იწყუწყუ: ჩემი ნუ გეშინია, დამნებდი-მეთ-  
ქი და ჩემს მურტებს ვეფიცებოდი, რომ  
საგზლად ბროწეულებსა და ვაშლებს გა-  
ვატანდი, გავუშვებდი, არასოდეს არ  
დაგეშლიდი არც ხილის მოკრეფას, არც  
ყვავილების მოწყვეტას, თუ ერთხელ  
მინც მაკოცებდა.

5. მაშინ გადაიკისკისა და ისეთი ხმა  
ჰქონდა, როგორიც არც მერცხალს, არც  
გედსა და არც ბულბულს არ გააჩნია, თუ  
გინდ ეს გედი ჩემსავით ბებერი იყოს.  
„ჩემთვის ძნელი არ არის, რომ გაკოცო.  
მე ხომ შენზე უფრო მინდა გაკოცო, რათა  
ახალგაზრდობა დაგიბრუნდეს; მაგრამ  
შენს ასაკს ვანა ასეთი ჯიღლო შეეფე-  
რება: საკმარისია, ეს ჩემი ერთადერთი  
კოცნა იკეშო, შენი სიბერეც ვერ შეგაკა-  
ვებს და დასაჭერად დამედევნები. მაგრამ  
ჩემი დაჭერა არც მიმინოს, არც არწივს,  
არც სხვა რომელიმე უფრო ფრთაშალ  
ფრინველს არ შეუძლია. თან — მე სრუ-  
ლიადაც არა ვარ ბიჭი, თუ გარეგნულად  
ბიჭად გეჩვენები, ნამდვილად კი ქრონოს-  
სა და ყველა მის საუკუნეზე ხანდაზმუ-  
ლი ვარ. შენც ხომ გიცნობდი, როცა ჯერ  
კიდევ ჭაბუკი იყავი და იქ, მთაზე, ფარ-  
თოდ გაშლილ შენს ნახირს მწყემსავდი.  
მაშინაც შენთან ვიყავი, როცა ამარილისი  
გიყვარდა და ამ მუხების მახლობლად სა-  
ლამურს უკრავდი; მაგრამ შენ ვერ მხე-  
დავდი, თუმცა ქალიშვილის გვერდით  
ვიდექი. ეს ქალი მე მოგვეარე. და აი, და-  
გეზარდნენ ვაჟიშვილები — შესანიშნავი  
მწყემსები და მხვნიელები. ახლა დაფნის-  
სა და ქლოეს ვმწყემსავ, და როდესაც  
დილაადრიან მათ ერთმანეთს შევახვედ-  
რებ, მივდივარ შენს ბაღში, ვენტარებ  
შენი ყვავილებით, ხილით და ამ ნაკა-  
დულში ვბანაობ. ამიტომაც შენთან ხილი  
და ყვავილები მშვენიერია. ისინი ხომ  
წყალს იქ სვამენ, სადაც მე ვბანაობ. ნა-  
ხე, შენთან არც ხეა დამტვრეული, არც  
ხილი მოწყვეტილი, არც ყვავილთა ფეს-

ვებია გათელილი, არც ნაკადული ამღვ-  
რეული; და გინაროდეს, რომ სიბერეში  
მოკვდავთა შორის ასეთი ბავშვი მხოლოდ  
შენ იხილე“.

6. ესა თქვა და მურტებზე ნორჩი ბულ-  
ბულიცა შეფრთხილდა, ნუჭრიდან  
ნუჭრზე, ფოთლებს შორის კენწეროდ  
ავიდა; მხრებს უკან ფრთები დავეუნახე;  
მხრებსა და ფრთებს შორის კი მშვილდი  
და კაპარჭი; და აი, უკვე აღარც მშვილდი  
ჩანს და აღარც თვითონ.

თუ თავი ამოვად არ გამთეთრებია და  
თუ ჩემი გონება სიბერეს ჯერ კიდევ არ  
დაუსუსტებია, ოი, ბავშვებო, თქვენ ერო-  
ტისთვის შეუწირავხართ და ეროტი  
თქვენთვის ზრუნავს“.

7. ახალგაზრდები მოიხიბლნენ, თით-  
ქოს ზღაპარს უსმენდნენ და არა ნამ-  
დვილ ამბავს. და გამოკითხვა დაიწყეს:  
ვინ არის ეროტი? ბავშვია თუ ფრინვე-  
ლი, და რა ძალა აქვსო? ფილეტასმა უპა-  
სუხა: „ბავშვებო, ეს ეროტი ღმერთია —  
ნორჩი, მშვენიერი, ფრთიანი. ამიტომ  
შეჰხარის ახალგაზრდობას, სილამაზის  
მოტრფიალსა და ადამიანის გულს ალა-  
ფრთოვანებს. ისეთი ძალა შესწევს, რომ  
ზევსი ვერ გაუტოლდება. ბატონობს  
სტიქიებზე, ბატონობს მნათობებზე, ბა-  
ტონობს ისეთსავე ღმერთებზე, როგო-  
რიც თვითონაა, — თქვენ საკუთარ თხა-  
ცხვარსაც კი ვერ დაიმორჩილებთ იმასა-  
ვით. ეს ყვავილები მისი ნახელავია, ეს  
ხეები მისი შექმნილია. მდინარეებს თავის  
ნებაზე იგი ამოძრავებს და ქარებს ახმა-  
ურებს. მინახავს ხარი, ვნებით შეპყრობი-  
ლი ბღაოდა, თითქოს ბორას დაუკუნეიაო;  
მინახავს ვაციც, რომელსაც წალი უყვარ-  
და და მას ყველგან დასდევდა. მეც ვიყა-  
ვი ახალგაზრდა და ამარილისი მიყვარ-  
და; მაშინ ჭამა მავიწყდებოდა, არც სას-  
მელს ვეკარებოდი, უძილობა დამჩემდა.  
სულის სიმშვიდე დავკარგე, გული მითრ-  
თოდა, სხეული მეყინებოდა; ხან ნაცემი-  
ვით ვკენესოდი; ხან მკვდარივით ვდუმ-  
დი; ხან ცეცხლმოდებული მდინარეებში  
გადავშვებოდი; ვუხმობდი პანსაც, რომ  
მომშველებოდა, თვითონ მასაც ხომ პი-  
თია უყვარდა, — ექოს ვადიდებდი იმი-  
სათვის, რომ ჩემთან ერთად ჩემი ამარი-

ლისის სახელს იმეორებდა. ჩემს საღამურებს გამტვრედი იმისათვის, რომ ჩემს ხარებს ხიბლავდნენ, ამარილისი კი ჩემთან ვერ მოიზიდეს. ეროტის წამალი არც ჭამა-სმამა, არც გამოლოცვები, მხოლოდ ერთი რამ — ხვევნა-კოცნა და კიდევ ტანშიშველი ერთმანეთთან წოლა-ჩახუტება“.

8. ფილეტასმა ასე დაარიგა ქალ-ვაჟი და წავიდა დასაჩუქრებული ყველის კვერებითა და უკვე მოზრდილი თიკანით. მართო დარჩენილი ახალგაზრდები კი, რომლებმაც ეროტის სახელი პირველად გაიგონეს მაშინ, დაღონდნენ. და ღამით, შინ რომ დაბრუნდნენ, ფილეტასისგან მოსმენილი შეადარეს იმას, რასაც თვითონ განიცდიდნენ... შეყვარებულები იტანჯებიან — ჩვენც ვიტანჯებით. ჭამა ავიწყდებოდა — ჩვენც დიდი ხანია დავივიწყეთ; ძილი დაკარგეს — ახლა უძილობა ჩვენც დაგვიქმდა. თითქოს იწვიანო — ჩვენც ცეცხლი გვეკიდება. ერთმანეთის ნახვა უნდათ — ჩვენც ამიტომ ვლოცულობთ, რომ დღე მალე გავგიტენდეს. მართლაც ეს ყოფილა სიყვარული; ჩვენ ეს არ გვეცოდნია, ერთმანეთი კი გვეყვარებოდა. თუ ეს სიყვარული არაა, მას არ ვუყვარვარ, მაშინ რატომ ვწვალობთ, ერთმანეთისაკენ რატომ მივისწრაფვით? ფილეტასმა ყველავერი სწორად თქვა. ეს ბაღის ბავშვი ერთხელ ხომ ძილში ჩვენს მამებს გამოეცხადა და უბრძანა, რომ ჩვენ ფარა და არე გვემწყვესა. მაგრამ როგორ დავიჭიროთ? ის ხომ პატარაა და ადვილად გაგვეტყევა? ჩვენ კი მას თავი როგორ დავადწიოთ? ფრთები აქვს და მაშინვე დაგვეწვება. დასახმარებლად ნიშნებს უნდა მივმართოთ. მაგრამ პანიც ხომ ვერ დაეხმარა ფილეტასს, რომელსაც ამარილისი უყვარდა. მაშ იმ წამლებით ვიმკურნალოთ, რაც გვიორჩია: ხვევნა-კოცნა და მიწაზე ერთად ტიტმე-ლი წოლა. თუმცა ახლა ცივა, მაგრამ მოვითმინოთ, — მოთმენა ხომ ფილეტასსაც უწევდა.

9. ამგვარად ეს ღამე ახალგაზრდებისათვის ჭკუის სასწავლი გამოდგა. და როცა თხა-ცხვარი საძოვრებისკენ გარეკეს, შეხედრისთანავე ერთმანეთი გადა-

ჰკოცნეს და, რაც წინათ არასოდეს ჩაუდენიათ, ერთიმეორეს მაგრად ჩაეკონენ. მაგრამ მესამე საშუალების გამოყენება ვერ გაბედეს — ტანთ გახდა და მიწაზე დაწოლა. ეს მეტად გაბედულ საქციელად მოეჩვენა არა მართო მოკრძალებულ ქალიშვილს, არამედ თხის ახალგაზრდა მწყემსსაც.

და ისევ მოვიდა უძილო ღამე, სულ იმაზე ფიქრობდნენ, რაც გააკეთეს, და თავს უსაყვედურებდნენ იმისათვის, რაც ვერ შეასრულეს. „ერთმანეთს ვკოცნიდით, მაგრამ ამოოდ; ერთმანეთს ვეხუტებოდით — თავი უკეთ ვერ ვიკრძენით. მაშ ასე, ერთად წოლა — მხოლოდ ეს არის სიყვარულის წამალი. ესეც გამოცადოთ: ამაში, ალბათ, იქნება რაღაც კოცნაზე უფრო ძლიერი“.

10. ასე ფიქრობდნენ და, როგორც ხდება ხოლმე, ესიზმრებოდნენ სატრფიალო ალერსი, ხვევნა-კოცნა; და ღამით სიზმარში ასრულებდნენ იმას, რასაც დღისით ვერ ახერხებდნენ: ტიტველნი, ჩახუტებულნი ერთად იწვნენ. და ამ ღვთის ნებას სულ უფრო და უფრო ემორჩილებოდნენ, ალიონზე დგებოდნენ და სტვენით მიერეკებოდნენ თხებსა და ცხვრებს, საკოცნელად მიეშურებოდნენ. და ერთმანეთს თვალს რომ მოჰკრავდნენ, ერთიმეორის შესახებდრად გარბოდნენ. და ჯერ კოცნა, მერე ჩახუტება ახლდებოდა; მხოლოდ მესამე წამლის გამოყენებას არ ჩქარობდნენ. დაფნისი სიტყვის თქმას ვერ ზედავდა, ქლოეს კი არ სურდა ეს პირველს დაეწყო. მაგრამ ბედნიერმა შემთხვევამ ხელი შეუწყო, ესეც რომ გაეკეთებინათ.

11. ერთმანეთს მიკრულნი მუხის კუნძთან ისხდნენ და კოცნით ტკბებოდნენ, განცხრომას ეძლეოდნენ. არც ჩახუტება ავიწყდებოდათ, ამ დროს ტუჩებით ერთმანეთს უფრო მაგრად ეწაფებოდნენ. და როცა ხვევნა-კოცნისა დაფნისმა ქლოე უფრო ძლიერ მიიზიდა, ქალიშვილი გვერდზე გადაიხარა, გაეყვანა თან გადაჰყავა, მიწის კოცნის დაკარგვა დაენანა. და ამაში

ლონგე დაფნისი და ქლოე

შეიცნეს ის, რასაც სიზმრად ნახულობდნენ, დიდხანს იწვნენ ერთად, თითქოს მაკრად გაუთოკავთო. მაგრამ მერე რა უნდა გაეკეთებინათ, ეს კი აღარ იცოდნენ; იფიქრეს, სიყვარულის ზღვარი ეს არისო. და დღის უმეტესი ნაწილი ამოდ დაჰკარგეს, ერთმანეთს დაშორდნენ, ფარა და არვე შინ გარეკეს, ღამის წყევლაში იყვნენ. ცოტა ხნის შემდეგ მათ შეიძლება ის გაეკეთებინათ, რაც საჭირო იყო, რომ მთელი ეს მხარე აი ასეთ არეულობას არ მოეცვა.

12. რამდენიმე მეთიმნელმა მდიდარმა ჭაბუკმა მოისურვა, დრო რთველში ტკბილად გაეტარებინა, ქალაქგარეთ მოეღონა. პატარა გემი აღჭურვეს, მსახურნი მენიჩხებდად დასვეს და ჩაუარეს მიტილენეს მინდვრებს, ზღვასთან ყველაზე ახლოს რომ მდებარეობდა. აქ ზღვის უბეებით დასერილი ნაპირი მდიდრული შენობებით არის დამშვენებული. ყველგან სახანაო ავჯიღები, ბაღები და კორმები; ერთი თუ ბუნებამ შეჰქმნა, მეორე—ადამიანის ხელმა; ყველაფერი კი ერთად მშვენიერი გასართობი კუთხე იყო. ნაპირის გასწვრივ დაცურავდნენ, გემს ხან აქ, ხან იქ მიაბამდნენ, არავის არაფერს უშაგებდნენ, რაც კი შეეძლოთ მხიარულობდნენ. ხან ზღვისაკენ დაქანებულ კლდეზე დადგებოდნენ და წვრილი სელის მკედით გრძელ ლერწმებზე მიზმული ანკესებით ქვებს შორის მობინადრე თევზებს იჭერდნენ; ხან კი ბადითა და ძაღლებით დასდევდნენ კურდღლებს, ვენახებში მომუშავეთა ხმაურობას რომ დაეფრთხო. ახალგაზრდები ფრინველზე ნადირობითაც ერთობოდნენ, გარეულ ბატებსა, იხებებსა და ინდაურებს მახეს უგებდნენ. ასე რომ გართობა დიდ სარგებლობასაც აძლევდათ. თუ რაიმე შემოაკლდებოდათ, ადგილობრივ მცხოვრებთაგან იძენდნენ. ნამდილ ფასზე მეტს აძლევდნენ. მათ მხოლოდ პური, ღვინო და ღამის გასათევი სჭიროდათ; უკვე დადგა შემოდგომა, ზღვაზე ღამის გათევის საშისრად სთვლიდნენ, ქარიშხალი არ ამოვარდესო, და გემი ნაპირზე გამოჰქონდათ.

104

13. აი, ერთ ადგილობრივ გლეხს მოჰქმნა დასჭირდა, უკვე დაჰყლელილ ყურძენზე დადებული ლოდი საწნახლიდან რომ ამოეღო (ძველი თოკი გასცვეთოდა), ზღვის ნაპირთან მიიპარა, უდარაჯოდ დატოვებულ გემთან მივიდა, ბაგირი მოხსნა, შინ წაიღო და თავისი საჭიროებინათვის გამოიყენა. დილით მეთიმნელი ჭაბუკები ბაგირის ძებნას შეუდგნენ და რადგან ქურდობაში არაგინ გამოტყდა, მასხინძლები ცოტა დატუქსეს და გემით იქაურობას გაეცალნენ. ოცდაათი სტადია გაიარეს და გემი იმ მდელის მახლობლად მიაყენეს, სადაც დაფნისი და ქლოე ცხოვრობდნენ; ეს ვაკე კურდღელზე სანადიროდ კარვ ადგილად მიიჩნიეს, მაგრამ თოკი არ მოეპოებოდათ მისადგომზე გემის მისაბმელად. მაშინ მწვანე გრძელი წნელი თოკივით დაგრიხეს და კიჩოს მხრიდან გემი ნაპირს მიაბეს. მერე ძაღლები აუშვეს ნადირთა მოსაძებნად. უფრო მოხერხებულად მიჩნეულ ბილიკებზე მახეები დააგეს. მათი ძაღლები ხმამაღლი ყუფითა და სირბილით მოედვენ გარემოს, დაფრთხეს თხები, რომლებმაც იალალი მიატოვეს და ზღვისაკენ დაეშვნენ. მაგრამ აქ ცარიელ ქვიშაზე მოსაწიწკნი ვერაფერი ნახეს; მათ შორის უფრო თამამები გემთან მივიდნენ და შეჭამეს მწვანე წნელი, რითაც გემი იყო მიზმული.

14. ზღვა კი ღელავდა, რადგან მთებიდან ნიაგმა დაუბერა. ტალღები ნაპირს ეხეთქებოდა, მიუზმელად დარჩენილი გემი ზვირთებმა ასწიეს და გაშლილ ზღვაში გაიტაცეს. როცა მეთიმნელმა სტუმრებმა ეს შენიშნეს, ზოგმა ზღვას მიაშურა, სხვებმა ძაღლებს დაუძახეს. ისე ხმამაღლა ყვიროდნენ, რომ მინდორში მახლობლად მყოფმა ყველამ გაიგონა და თავი მოიყარა. მაგრამ დახმარება ვის შეეძლო: ქარი ძლიერდებოდა, დინებას გემი სწრაფად მიჰქონდა. მეთიმნელებმა, რომლებსაც ცოტა სიმდიდრე კი არ დაედუჰათ, იმას დაუწყეს ძებნა, ვინც ამ თხებს მწყემსავდა. როცა დაფნისი

იბოვეს, დაუწყეს ცემა, ტანისამოსი შემოაგლიჯეს. ერთმა მათგანმა ძაღლის სატარებელი თასმა აიღო, დაფნისს ხელეზი ზურგისაკენ მოფურჩია, თითქოს მის გათოკვას ლამობსო. დაფნისი კი, როცა სცემდნენ, ყვიროდა, გლეხებს ემუდარებოდა, მიშველეთო. სოფელელები თუმცა მოხუცებულნი, მაგრამ ჯანმგებარნი იყვნენ, მინდვრად მუშაობას დაჩვეული ღონიერი ხელები ჰქონდათ. მათ წინააღმდეგობის გაწევა შესძლეს და მოითხოვეს, სამართლიანად გაეარკვიოთ, რა მოხდაო.

15. რადგან მოწინააღმდეგეებსაც ეს უნდოდათ, მსაჯულად ხარების მწყემსი ფილეტასი ამოირჩიეს. აქ მყოფთა შორის უხუცესი და თავისი იშვიათი სამართლიანობით გლეხებში სახელმწიფეჭილი ის იყო. რა ბრალს სდებდნენ, ეს პირველად მეთიმნელებმა თქვეს მოკლედ და გარკვევით — მათი მსაჯული ხომ უბრალო მწყემსი იყო: „ამ მხარეში ჩვენ ჩამოვედით სანადიროდ. გემი მწვანე წნელით მივანბით და ზღვის ნაპირზე დავტოვეთ, ძაღლები კი ნადირის საძებრად მივუშვით. ამ დროს ზღვასთან აი ამ მწყემსის თხები მოვიდნენ, საბელი შეჭამეს და გემი აუშვეს. შენ თვითონ დაინახე, ზღვამ გემი როგორ გაიტაცა... როგორ ფიქრობ, გემზე რამდენი სიმდიდრე იქნებოდა? რამდენი ტანისამოსი დაგვეკარგა, რამდენი აკაწმულობა ძაღლებსა, რამდენი ფული, ამ თქვენს მინდვრებს სულ ერთიანად ვიყიდით! ჩვენი ზარალის ასანაზღაურებლად, ვფიქრობთ, ბიჭის წაყვანის უფლება გვაქვს, რადგან იგი უფარგისი მწყემსია: თავის თხებს ზღვის ნაპირას მწყემსავსა, თითქოს ზღვოსანიაო“.

16. მეთიმნელებმა ასეთი საბრალდებულო სიტყვა წარმოთქვეს. გაღახული დაფნისი თავს ცუდად გრძნობდა, მაგრამ ქლოე რომ დაინახა, ყველაფერი დაავიწყდა და ასე უპასუხა: „თხებს მე კარგად ვმწყემსავ; არც ერთ მეზობელ გლეხს არასოდეს უჩივლია, რომ თუნდაც ერთ თხას მისი ბაღი წაეხდინოს, ანდა ვაზის ყლორტები გაეფუჭებინოს. აი, ესენი კი ვაი-მონადირენი არიან; ძაღლები ცუდად ჰყავთ დაგეშილი: გარემომ

ცოფიანივით დარბიან, გააფთრებით ყფენ, მთა-ბარად ყველა თხა დამიფრთხეს, როგორც მგლებმა, ზღვასთან მირეკეს. ამბობენ, რომ ჩემმა თხებმა ლერწი შეჭამეს; რასაკვირველია, მოტიტვლებულ ქვიშაზე ბალახს სომ ვერ იპოვნიდნენ, ვერც მარწყვის ჯაგებს, ვერც კვლიავს. გემი ქარმა და ზღვამ დაღუპა: ეს ქარიშხლის ბრალია და არა ჩემი თხებისა. გემზე ფული და ძვირფასი ტანისამოსი იყო. მაგრამ ვინ დაიჯერებს, ვისაც გონების ნატამალი შერჩენია, რომ გემზე ასე ძვირფასი ტვირთი ჰქონდათ და იგი ბაგირით კი არა, წნელით მიაბეს“.

17. ეს თქვა დაფნისმა, ატირდა და ყველა გლეხს თავი შეაბრალა. ასე რომ თვითონ ფილეტასმა, მსაჯულმა, პანი და ნიმფები დაიფიცა, რომ არც დაფნისს, არც თხებს არავითარი ბრალი არ უდევთო; ზღვა და ქარია დამნაშავეო; მათი მსაჯულები კი სხვები არიანო. მაგრამ ფილეტასმა ასეთი სიტყვებით მეთიმნელები ვერ დაარწმუნა, განრისხებულნი კვლავ დაფნისს მივარდნენ, ხელი სტაცეს, მისი გაკოჭვა მოისურვეს.

მაგრამ ახლა გაცოფებული გლეხები შაშვებისა თუ ქუების გუნდოვით თვითონ დაერივნენ მათ. დაფნისი იმწამსვე ხელიდან გამოჰგლიჯეს — იგი თავს თვითონაც იცავდა — ჯოხების ცემით მეთიმნელები მალე გააქციეს; მხოლოდ მაშინ მოეშვენენ, როცა თავიანთი საზღვრებიდან სხვათა მინდვრებში გადარეკეს.

18. სანამ ისინი მეთიმნელებს მიერეკებოდნენ, ქლოემ დაფნისი ნელა ნიმფებთან მიიყვანა. ცხვირგატეხილს სისხლით მოთხუნული სახე დაბანა; ჩანთიდან პურის ნატეხი და ყველის ნაპერი ამოიღო და დაფნისს მიაწოდა, თან თავისი ნაზი ტურჩებით აკოცა თაფლივით ტკბილი კოცნით, რასაც ვაჟი განსაკუთრებით უნდა გაემხნევებინა.

19. აი, რა ხიფათს გადაურჩა მაშინ დაფნისი. მაგრამ საქმე ამით არ გათავებულა: როგორც კი მეთიმნელები

ლონგე  
დაფნისი და ქლოე



შინ — ქალაქში დაბრუნდნენ ფეხით და არა გემით, დაქრილნი და არა მოზეიმენი, მაშინვე მოქალაქენი კრებაზე მოიწვიეს და წარუდგნენ მათ მუდართ, ხვეწნით: ჩვენი შური იძიეთო; ერთი სიტყვა მართალი არ უთქვამთ, მასხრად არ აგვიგდონ იმის გამო, რომ უბრალო მწყემსებმა ასეთი დღე გვაყარესო; პირიქით, მიტილენელ მოქალაქეებს ბრალი დასდეს: გემი წაგვართვეს და, თითქოს ომი იყო, ჩვენი ქონება დაიტაცესო. ჭრილობებიც უჩვენეს, მაშინ მოქალაქეებმა დაუჯერეს და სამართლიანად ჩასთვალეს შურისძიება, რადგან ეს ქაბუკები ყველაზე დიდგვაროვან ოჯახთა შვილები იყვნენ. ამიტომ გადაწყვიტეს ომი მიტილენესთან გაუფრთხილებლად დაეწყოს და მხედართმთავარს უბრძანეს წყალში ათი-ოდე გემი ჩაეშვათ, თავს დასხმოდნენ და მთელი სანაპირო აეკლოთ. ზამთარი ახლოვდებოდა და ზღვაში უფრო დიდი ფლოტის ჩაშვება საშიში იყო.

20. მხედართმთავარმა გათენებისთანავე ჯარისკაცები ნიჩბებთან დასვა, გაშლილ ზღვაში გავიდა და მიტილენელთა სანაპირო მინდვრები დაარბია. ბევრი პირუტყვი, ბევრი მარცვალა და ღვინო დაიტაცა, რადგან რთველი ახალდამთავრებული იყო, აქ მომუშავე არც თუ ცოტა ხალხი ტყვედ წაიყვანა. იმ ადგილებსაც მიადგა გემით, სადაც ქლოე და დაფნისი იყვნენ. სწრაფად ნაპირზე გავიდა და მათი პირუტყვიც გარკაა, რაც ხელში მოხვდა.

დაფნისი იმ დროს თავის თხებს არ მწყემსავდა, ტყეში ნორჩ ყლორტებს ჭრიდა, ზამთარში თიკნებს საკვები რომ ჰქონოდათ. მაღლობიდან თავდასხმა რომ შეამჩნია, ხმელი წიფლის ფულუროში დაიმალა, ქლოე კი არგესა და ფარასთან იყო; ქალიშვილმა თავის გადასარჩენად ნიჩბებს მიაშურა, მტრებს ემუდარა, ქალღმერთთა გულისათვის შემობრალეთ მეც და ჩემი თხა-ცხვარიცო. მეთმინელებმა ქალღმერთების ქანდაკებანი მასხრად აიკადეს, არგე და ფარა წინ გაირეკეს, ქლოეც თან წაიყვანეს და როგორც თხასა და ცხვარს, წნელით წკეპლავდნენ.

21. ყველა გემი სხვადასხვა ნადავლით აავსეს, მერე გადაწყვიტეს, უფრო შორს აღარ წასულიყვნენ და შინ დაბრუნებულიყვნენ, რადგან ზამთრის ქარიშხლებსაც ეშინოდათ და მტრებისაც. ქარი არ ჰქროდა და გაჭირვებულნი ნიჩბებს ძლივს უსვამდნენ. დაფნისი კი, როცა გარშემო ყველაფერი მიწყნარდა, ზარში ჩავიდა, სადაც ქლოესთან ერთად მწყემსავდა: ვერც თხები ნახა, ვერც ცხვრებს გადააყარა, ვერც ქლოე იპოვა. იპოვა მხოლოდ დუმილი-მყუდროება და გატეხილი საღამური, რომლითაც ქლოეს გართობა უყვარდა. ხმამაღალი ყვირილით და შესაბრალისი ქვითინით ხან წიფელთან მიიჭრებოდა, სადაც სხედბოდნენ ხოლმე, ხან ზღვასთან, იმ იმედით, იქნებ იქ ვნახო, ხან ნიჩბებთან, რომლებსაც ქლოემ მიაშურა, მტრები რომ დაედევნენ. აქ ვაჟი მიწაზე დაემხო და ნიჩბებს ყვედრება დაუწყო, ასე რატომ გაგვირეთო.

22. „თქვენს ქანდაკებებთან მოიტაცეს ქლოე და თქვენ შესძელით ამისთვის გულგრილად გექქირათ? ქალიშვილი, რომელიც თქვენთვის გვირგვინებს წნავდა, პირველ ნაწიელს თქვენ გვირავდათ, ვისი საღამურისი, თქვენთვის შემოწირული, აქ ჰკიდია. ერთი წალიც კი ჩემთვის მგელს არ მოუტაცნია, მტრებმა კი მოიტაცეს მთელი არგე და ისიც, ვინც ჩემთან ერთად მწყემსავდა. ჩემს თხებს გაატყავებენ და ცხვრებს მსხვერპლად შესწირავენ, ქლოე კი სამუდამოდ ქალაქში დარჩება საცხოვრებლად. არც თხები მყავს, არც ქლოე, როგორ დავენახო დედ-მამას მე საცოდავი? აწ ხომ სამწყემსარი არაფერი მყავს! აქედან ფეს არ მოვიცვლი, დაველოდები ან სიკვდილს, ან ახალ შემოსევას. ქლოე, შენც ასე იტანჯები? იკონებ თუ არა ამ ვაჟს, ამ ნიჩბებს და მე? ხომ გართობენ ნერბები და წალები, რომლებიც შენთან ერთად ტყემობაში არიან?“

23. ასე ლაპარაკობდა დაფნისი. მერე ნამტირალევსა და მწუხარეს ღრმად ჩაეძინა. სიზმარში სამი ნიჩვა გამოეცხადა, სამი მაღალი მშვენიერი ქალი, ნახევრად ტიტკელი, ფესშიშველა, თმაგაშლილი, სწორედ ისეთი, როგორც ქანდაკებენია.

ჯერ თითქოს სიბრაღულით შეხედეს დაფნისს; მერე კი მათ შორის უხნესმა ასე გაამხნევა: „ნუ გვემღერი, დაფნის! ქლოესათვის შენზე უფრო ვზრუნავთ. აკი ჩვენ შევიბრაღეთ უმწურო ბაღლი; აქ გამოქვაბულში მწოლიარე გამოვკვებეთ. ქლოეს ხომ არაფერი აქვს საერთო არც დრიასის ცხვრებთან, არც ამ მღელოსთან. ახლაც მისი ბედისწერისთვის ჩვენ უკვე ვიზრუნეთ: მას მეთიმნაში ვერ წაიყვანენ, რათა მონის ხვედერი გაიზიაროს და სამხედრო ნადავლის ნაწილი შეიქნეს. აი ამ პანს, აქ, ნაძვის ქვეშ აღმართულს, რომლისთვისაც ყვავილების მირთმევიტაც კი არ გამოგახატავთ პატივისცემა, ჩვენ ვთხოვეთ ქლოეს დახმარებოდა. ჩვენზე უფრო ღაშქრობას ის არის დაჩვეული, საომრად სოფლის მინდვრები სწორად მიუტოვებია. და უკვე წავიდა მეთიმნელათვის საშინი მტერი. მაშ ასე, ნულარ სწუხარ. ადექ, დენახვე ლამონსა და მირტალს; ისინიც ხომ შენსაგვით მიწაზე გართხმულან, შენზე ფიქრობენ, მტრებს ხელში ჩაუვარდაო. ხვალ ქლოე შენთან დაბრუნდება თხა-ცხვართი, ფარასა და არეცს ერთად მომწყემსაეთ და სალამურსაც ერთად დაუკრავთ. სხვა დანარჩენი ეროტის საქმეა, თქვენთვის იზრუნებს“.

24. ყველაფერი ეს რომ ნახა და მოისმინა, დაფნისი სწრაფად წამოხტა, გამოფხიზლდა; სიხარულისა და მწუხარების ცრემლებს ღვრიდა, ნიშნების ქანდაკებებს თაყვანი სცა და აღუთქვა, თუ ქლოე გადარჩება, საუკეთესო თხას მსხვერპლად შემოგწირავთო. მერე სირბილით ფიჭვს მიაშურა: იქ იდგა რქოსანი და თხისფეხა პანის ქანდაკება; ერთ ხელში სალამური ეჭირა, მეორეთი გაქცეულ თხას აკავებდა; დაფნისმა პანს თაყვანი სცა, ევედრებოდა ქლოე გადამირჩინეო და აღუქმა მისცა, მსხვერპლად ვაცს შემოგწირავო. მხოლოდ მზის ჩასვლის შემდეგ შესწყვიტა ტირილი და ვედრება. მოჭრილი რტოები აკრიფა და შინ დაბრუნდა, ლამონსა და მის მახლობლებს მწუხარება გაუფანტა, სიხარული მოჰვინა. ცოტა ჭამა და ჩაეძინა, მაგრამ ძილშიაც ტირიდა და ლოცულობდა, რა-

თა ნიშნები კვლავ ეხილა, ლოცულობდა, რათა ქლოეს დაბრუნების დღე მალე გაეთენებოდა. ეს ღამე ყველა ღამეზე გრძელი მოერგენა. ამ ღამეს კი აი რა მოხდა.

25. ათიოდე სტადია რომ გასცურეს, მეთიმნელთა ბელადმა გადაწყვიტა, თარეშით დაღლილი მეომრები დაესვენებინა. შენიშნა კონცხი, ზღვაში ღრმად შეჭრილი, ნამგალივით მოკაუჭებული. წყალი ამ კონცხს იქით უფრო წყნარი იყო, ვიდრე სხვა რომელიმე ყურეში და ბრძანა გემები აქ დაეყენებინათ, ღუზა ნაპირის შემოორებით ზღვაში იღუ ჩაეშვათ, რომ გემს ვერც ერთი გლეხი ხმელეთიდან თავს ვერ დასხმოდა და მეთიმნელებს ნება მისცა ემხიარულათ, თითქოს მშვიდობიანობა დამყარდაო. საკმაოდ ჰქონდათ ნადავლი და შეუდგნენ ჭამა-სმას, თამაშს, თითქოს გამარჯვებას ზეიმობენო. ის-ის იყო დღე დაიღია და საღამოს მხიარულება მიწელდა, უცრად თითქოს მთელი დედამიწა აფეთქდაო, ნიჩბების მოსმის ისეთი ყურის წამლები დგაფუნი მოისმა, თითქოს დიდი ფლოტი ახლოვდებო. ზოგი ყვიროდა: „იარალი აისხით“, ზოგი მხედართმთავარს მოუხმობდა, ზოგს ეგონა, უკვე დაჭრილი ვარო, ზოგი ცოცხალმკვდარი ეგდო: თითქოს ღამის ბრძოლაო, მაგრამ მტერი არსად ჩანდა.

26. მათთვის ამ ღამემ ასე გაიარა, მაგრამ ღამეზე კიდევ უფრო საშინელი დღე გაუთენდათ. დაფნისის ვაცებსა და წალებს რქებზე გაუჩნდათ სურო კენკრების კუნწულებით, ქლოეს ყოჩებმა და ნერბებმა მგლებივით ღმუილი მორთეს, თვითონ ქლოე კი, ფიჭვის ტოტების გვირგვინით შემკობილი, უცრად თვალწინ დაუდგათ. თვით ზღვაზეც ბევრი რამ სასწაულბერივი ხდებოდა. როცა ფსკერიდან ღუზების ამოდება სცადეს, აღმოჩნდა, რომ ადგილიდან მათი დაძვრა შეუძლებელი იყო; ნიჩბები მოსმის დროს იმტვრეოდა. დღეფინები ზღვიდან რომ ამოხტებოდნენ, კუდის დარტყმით ვემთა სამაგრებს ასუსტებდნენ, კონცხის ციცა-

ლონგე  
დაფნისი და ქლოე

ბო კლდის მწვერვალადან სალამურის ხმა ისმოდა, მაგრამ ჩვეულებრივი სალამურივით სმენას კი არ ატკობდა, ეს ხმა საომარი საყვირივით საშინელი იყო. ყველა აჩოჩქოლდა. იარაღი აისხებ, უხილავ მტრებს საბრძოლველად იწვევდნენ; ბოლოს სასოებით ლოცვას მოჰყვნენ, დაღამებას ნატრულობდნენ, იქნებ სული მოვითქვათო. ყველასათვის, ვინც ამ მომხდარ ამბავს კარგად დაუყვირებოდა, ნათელი გახდებოდა, რომ თავზარდამცემი ლანდების გამოჩენასა და ხმაურობაში მეზღვაურებზე რატომღაც განრისხებული პანის ხელი ერია. მაგრამ მიზეზი ვერ გავგოთ — მათ ხომ პანის არც ერთი საკურთხეველი არ გაუძარცვავთ. და აი, დღისით — ეს ღმერთების ნების გარეშე არ მომხდარა — ბელადს ღრმად ჩაემინა, სიზმარში პანი გამოეცხადა და ასე უთხრა:

27. „ოჰ, ყველაზე დამნაშავე, ყველაზე უღმობელო ადამიანებო! გაგვიკლით, ეს როგორ გაბედეთ? თმის აურზაურით ჩემი საყვარელი სოფლის მიდამო აიკელით, თქვენ გარეკეთ ხარების ჯოგებიც, თხაცხვარიც, რასაც ჩემს ზრუნვას არ ვაკლებდით. საკურთხეველს მოგლიჯეთ ქალიშვილი, რომლის მეშვეობით ეროტს სიყვარულის ზღაპრის შექმნა სურდა. თქვენ არც ჩემი, პანის, შეგრცხვათ, არც იმ ნიმფებისა, რომლებიც გიმზერდნენ. მეთომნას ველარ იხილავთ, სანამ თქვენ ასეთი ნადავლი მიგაქვთ; ვერ გაქცევით ვერც ჩემს სალამურს, რომელიც გაცახცახვებთ. ზღვაში ჩაგახრჩობთ, თევზების ლუკმად გაგზავნით, თუ ნიმფებს დაუყოვნებლივ არ დაუბრუნებ ქლოეს, აგრეთვე ქლოეს არგესა და ფარას, მის თხაცხვარს. მაშ ალსდექ და ქალიშვილი ხმელეთზე გადასვი, დაუბრუნე ყველაფერი, რაც გითხარი. მაშინ ზღვაზე გზას თვითონ გიჩვენებ, ქლოეს კი შინ მივაცილებ“.

28. ძლიერ აღელდა ბრიაკისი (ასე ეძახდნენ წინამძღოლს); როგორც კი გაიღვიძა, ყველა გემის უფროსი მოიხმო და უბრძანა, ტყვეებს შორის დაუყოვნებლივ ეპოვნათ ქლოე. მალე მონახეს და

წინ დაუყენეს: ქალიშვილი ხომ ფიჭვის ტოტების გვირგვინით შემკობილი იჯდა. ბრიაკისმა ეს სიზმრად ნახულის ნამდვილ მითითებად ჩასთვალა და ქლოე თავისი გემით ნაპირამდე თვითონ მიაცილა. და როგორც კი ქალიშვილმა მიწაზე ფეხი დადგა, კლდეებიდან სალამურის ხმა კვლავ მოისმა, მაგრამ უკვე არა საომარი, არა თავზარდამცემი, არამედ მწყემსური, რომლითაც ჯოგებს საბალახოდ მიერეკებიან. ცხვრებმაც მაშინვე გემების საბიჯელი ჩაირბინეს, მაგრამ გაყოფილი ჩლიქები უტურდებოდათ, ფრიალო კლდეებზე სიარულს დაჩვეული თხები კი უფრო გაბედულად ჩარბოდნენ.

29. და ისინი ქლოეს გარშემო დაგროვდნენ, წირედ შემოევლნენ, თითქოს ქორაო, დარბოდნენ, ზღაოდნენ, კიკინებდნენ, თითქოს უხარიათო. სხვა მწყემსების თხა-ცხვარი და ხარები მშვიდად იდგნენ ერთ ადგილას გემის სიღრმეში, თითქოს სალამური მათ არ უხმობსო. როცა ყველა, გაოცებული, პანს ადიდებდა, მაშინ ხმელეთსა და ზღვაზე უფრო დიდი სასწაულები მოხდა. ჯერ კიდევ ღუზა არ ამოედოთ, რომ მეთიმნელთა გემები ადგილიდან დაიძრა, ბელადის გემი დელფინს მიჰყავდა, მის წინ წყალზე გარბოდა. თხა-ცხვარს კი სალამურის ტკბილი ხმა მიუძღოდა, მაგრამ სალამურის დამკვრელი არსად ჩანდა. ასე ერთად თავმოყრილი პირუტყვი გზას მიჰყვებოდა, სალამურის ტკბილი ხმით დამტკბარი ბალახობდა.

30. ის დრო იყო, როცა დღისით ჯოგებში საძოვრად მეთრედ მიუღიოთ ხოლმე; დაფნისმა მაღალი კლდიდან თვალი მოჰკრა თხა-ცხვარსა და ქლოეს და ხმაზაღლა დაიძახა: „ოი, ნიმფებო, პანო!“; ვაკეში ჩაირბინა, ქლოე მკერდში ჩაიკრა და გული წაუვიდა. ქლოემ ძლივსძლივობით შესძლო მისი მოსულიერება, კიდევ ჰკოცნიდა, ხვეწნა-აღერისით კიდევ ათბობდა. მერე დაფნისმა ნაცნობ წიფელს მიაშურა, ხის ქვეშ დაჯდა და ქლოეს ეკითხებოდა, ამდენ მტერს თავი როგორ დააღწიო. ქლოემ უამბო ყველაფერი:

თხების რქებს სურო როგორ ეხვეოდა, ცხვრები მგლებივით როგორ ღმუოდნენ, თვითონ მას როგორ გაუჩნდა თმაზე ფიჭვის ტოტების გვირგვინი, როგორ მოედო მიწას ცეცხლი, ზღვას კი ხმაური; როგორ უკრავდა სალამური ორგვარ სიმღერას — ხან საომარს, ხან სამშვიდობოს. ყველაფერი უამბო იმ საშინელ ღამეზე, გზაბნეული რომ მიჰყვებოდა თავისი მეგზურის სალამურის პანჯს. მაშინ დაფინისისთვის გასაგები გახდა, ნიმფების სიზმარში გამოცხადება და პანის ნამოქმედარი; ვაჟმა თვითონაც უამბო, რაც ასი და გაიგონა: როგორ სურდა თავის მოკვლა და ნიმფებმა სიცოცხლე დაუბრუნეს. მერე ქლოე გაგზავნა, რომ დრინასი და ლამონი ჯალაბობით მოეყვანა, თან მოეტანა ყველაფერი, რაც საჭიროა მსხვერპლის შესაწირავად; მან კი საუკეთესო წალი შეარჩია, სუროს გვირგვინით შეამკო — მტრებს ხომ მთელი არეე ასეთი მორთულობით გამოეცხადა, რქებს შორის რძე მოაპკურა და წალი ნიმფებს მსხვერპლად შესწირა; ჩამოჰკიდა, გაატყავა და ეს ძღვენი ქალღმერთებს მიართვა.

31. როცა ქლოე თავისი თანამგზავრებით მოვიდა, დაფინსმა ცეცხლი გააჩაღა, ხორცი ზოვი მოხარშა, ზოვი შეწვა; პირველი მოსავალი მსხვერპლად შესწირა, საესე თასით მაჭარი მოაპკურა. მერე მხარეთძოზე წამოსაწოლად ფოთლები დააფინა, გაჩაღდა ლხინი, სმა და მხიარულება. მაგრამ ამავე დროს დაფინისი თხა-ცხვარს თვალს არ აშორებდა: მგელი არ მიეპაროს და ის ვნება არ მიაყენოს, რაც მტრის სურდაო. ბევრი იმღერეს ნიმფების პატისაცემამდე ძველი მწყემსური სიმღერები.

როცა დაღამდა, ყველა აქვე, მინდორზე, მიწვა დასძინებლად. გათენებისთანავე პანის პატისაცემა არ დაივიწყეს. მთელი არეეს ყოჩი ფიჭვის გვირგვინით შეამკეს, ღმერთი ადიდეს, ვაცი მსხვერპლად შესწირეს, ჩამოჰკიდეს და გაატყავეს; ხორცი მოხარშეს და შეწვეს, იქვე პატარა მდელივით დააწყვეს ფოთლებზე; ტყავი კი რქებიანად ფიჭვზე მიაჭედეს პანის ქან-

დაკებასთან — მწყემსთა ძღვენი მწყემსების ღმერთს მიართვეს, ხორცის პირველი ნაჭერი მისთვის გადასდეს და თასით ღვინო შესწირეს მსხვერპლად; ქლოემ იმღერა, დაფინსმა სალამური დაუკრა.

32. მერე კი მხარეთძოზე წამოწვენენ და ლხინი გააჩაღეს. შემთხვევით მათთან მწყემსი ფილეტასი მივიდა: პანს მიართვა პატარა გვირგვინები და ყურძნის აკიდო ფოთლებითა და ნორჩი ყლორტებით. თან ახლდა თავის შვილებში ყველაზე უმცროსი ტიტირე, ოქროსკულულებიანი, ცისფერთვალემა, ცელქი თეთრი ბიჭი; სიარულის დროს მსუბუქად ხტოდა, თითქოს თიკანაო. ყველა ერთბაშად წამოდგა და პანი გვირგვინებით შეამკო, ყურძნის მტევნები ხუჭუჭი ფიჭვზე მიამაგრეს; შემოსწრებულნი საერთო ლხინში მონაწილეობის მისაღებად მიიპატივეს და გვერდით დაისვენეს.

მოსუცები რომ დათვრნენ, როგორც ხდება ხოლმე, ერთმანეთს აშბის მოყოლა დაუწყეს: როგორ მწყემსავდნენ ჯოგებს, როცა ახალგაზრდები იყვნენ, ყაჩაღთა რამდენ თავდასხმას გადაურჩნენ. ერთი იკვებნიდა, მგელი მოკვლიო, მერე — სალამურის დაკვრაში მხოლოდ პანს თუ ჩამოვუვარდებო. ამას განსაკუთრებით ფილეტასი იკვებნიდა.

33. და აი, დაფინსმა და ქლოემ ხეწვნა დაუწყეს, შენი ხელოვნება გვიჩვენო, ღვთის დღესასწაულზე აამღერე სალამური, რომელიც მას ასე უყვარსო. ფილეტასი დათანხმდა, თუმცა სიზერეს უჩიოდა, სუნთქვა მიჭირსო, და დაფინისის სალამური აიღო; მაგრამ მისი დიდი ხელოვნებისათვის იგი პატარა აღმოჩნდა. ეს სალამური მხოლოდ ბიჭის ტუჩებისათვის თუ გამოდგებოდა. მაშინ ფილეტასმა თავისი სალამურის მოსატანად ტიტირე გაგზავნა, მისი სახელი კი ათი სტადიით იყო დაშორებული. ბიჭმა ლაბადა მოიშორა და ტიტრევი მოსწყდა ადვილს. ამასობაში კი

ლონგე დაფინისი და ქლოე



ლამონი მათ შეპირდა, სირინქსზე თქმულებას მოგიყვებით, ოდესღაც ერთმა სიცილიელმა მწყემსმა რომ მიაგზო ჯა ამისთვის სალამური და ვაცი გამომართვაო.

34. „ოდესღაც ეს ჩვენი სალამური სალამური კი არ ყოფილა, იარალი სიმღერისა, არამედ ნაზხმიანი მშვენიერი ასული. იგი თხებს მწყემსავდა, ნიშნებთან ერთად უკრავდა და მღეროდა, როგორც ახლა მღერის. ერთხელ, როდესაც არვეს მწყემსავდა, უკრავდა და მღეროდა, პანი გამოეცხადა, ცდილობდა შეეცდინა, თავისი საწადელი შეესრულებინა და ამისთვის შეპირდა, ყველა შენი წალი ერთდროულად ტყუბთიკანს მოიგებსო. ასული კი მის ვნებინაობას დასცინოდა, ეუბნებოდა: არ

მინდა სატრფოდ ისეთი ვინმე ვიყოლიო, რომელიც არც ვაცია, არც ნამდვილი ადამიანო. პანი ასულს დასაჭერად გამოეკიდა, რათა ძალით დაემორჩილებინა. სირინქსი კი გარბოდა, რომ პანისა და მისი ძალმომრეობისაგან თავი დაეღწია. მაგრამ სირბილით დაიღალა, ლერწმებში დაიმალა და ჭაობში შთაინთქა. განრისხებულმა პანმა ლერწმები აკაფა, მაგრამ ასული მაინც ვერ იპოვა. მიხვდა, ასულს რა უბედურება ეწია, და ეს სალამური გამოიგონა, თაფლის სანთელით ერთმანეთს მიაწება უთანასწორო ლერწმები, მსგავსად იმისა, როგორც უთანასწორო იყო მათი სიყვარული. და ის, ვინც წინათ მშვენიერი ასული იყო, მომღერალ სალამურად გადაიქცა“.

ფრანგულიდან თარგმნა  
იროდიონ ჭავჭავაძემ

დასასრული იქნება



# ქართული პოეზია

## გიორგი შაყულაშვილი

### საიათნოვა

დაბადებიდან 250 წლისთავის გამო

აშუღური პოეზია მეთვრამეტე საუკუნიდან ისეთ მძლავრ ნაკადად დაიძრა საქართველოსკენ და მისი ალამი საიათნოვას ისეთი ძარღვიანი პოეტური მარჯვენით ეჭირა, სხვებზე რომ არაფერი ვთქვათ, ბესიკი, ალექსანდრე ჭავჭავაძე და გრიგოლ ორბელიანიც კი კარგა ხანს ატარა იმ ალმის ქვეშ და, ნიკოლოზ ბარათაშვილის უზარმაზარი პოეტური ენერგია და ეროვნული სული რომ არა, ალბათ მე-19 საუკუნის ქართულ მხატვრულ სიტყვიერებასაც გაპყვებოდა.

თუმცა საიათნოვა აშუღური პოეზიის წარმომადგენელია, იგი ისეთი დიდი პოეტური ფიგურა არის, რომ ძნელია ჩაეტოს სიტყვა „აშუღის“ ვიწრო არტახეზში. საიათნოვას პოეზია გაცილებით მაღლა დგას, ვიდრე თბილისელი აშუღების პოეზია, რომელთა პოეტური სიტყვის ბარაქაე თანდათანობით დაკნინდა და თბილისის ვიწრო ქუჩებში მიიყუდა, აშუღებისა, რომელთაც საიათნოვას მაღალი იდეალები და ჭეშმარიტი ტრფიალი „პროსტამდე“ და ღვინომდე დაიყვანეს.

საიათნოვა ქართული ლიტერატურათმცოდნეობისთვის ორმხრივად არის საინტერესო. ჯერ ერთი, მას ოცდაათამდე ლექსი აქვს დაწერილი ქართულ ენაზე (შესაძლოა მეტიც. საიათნოვასეულ ლექსთა დავთარს, რომელიც ერევანში ინახება, აკლია შესავალი ნაწილი. მკვლევართა აზრით, ამ ნაწილში ქართული ლექსები უნდა ყოფილიყო),

მეორეც, საიათნოვა ქართულ ლიტერატურაში ფაქტიურად ამკვიდრებს ჩვენი პოეზიისთვის უჩვეულო ლიტერატურულ მიმდინარეობას — აშუღურ პოეზიას.

საიათნოვამ აშუღური პოეზია ჭეშმარიტი ხელოვნების სიმალღემდე აიყვანა. მისი შემოქმედება ეროვნული თვალსაზრისით სამი ხალხის — ქართველი, აზერბაიჯანელი და სომეხი ხალხის გეოგრაფიულ საზღვრებში იშლება, მაგრამ მისი სახელი დიდი ხანია გასცდა ამიერკავკასიის ფარგლებს. დღეისათვის საიათნოვას პოეზია თარგმნილია რუსულ, უკრაინულ, ფრანგულ, გერმანულ, ინგლისურ ენებზე. საიათნოვას ლექსები დაიბეჭდა ალექსანდრე ბუნიაკოვი, ბერიუსო და სტამბოლში.

მიუხედავად ასეთი პოპულარობისა, საიათნოვას პოეტური მემკვიდრეობა ჯერ კიდევ არ არის საფუძვლიანად დამუშავებული და შესწავლილი. საიათნოვას აზერბაიჯანული ლექსები, რომელთა რიცხვი 114-ს აღწევს, მთლიანად არ არის გამოფრული და დადგენილი. ამიტომ გვიძნელდება, სრული წარმოდგენა ვიქონიოთ საიათნოვას პოეტურ ფიგურაზე. ქართულად არც მისი სომხური ლექსებია თარგმნილი<sup>1</sup>. თუმცა ქართველი საზოგადოება ადრევე დაინტერესებულა საიათნოვას პოე-

<sup>1</sup> თუ არ გავითვალისწინებთ განსვენებულ პროფ. ლეონ მეღვინის მიერ თარგმნილ სომხურ ლექსებს, რომლებსაც, თვით მეღვინის მიერვე სიტყვით, პოეტური თარგმნის პრეტენზია არა აქვთ.

ტური მემკვიდრეობის ბედით, საგულისხმოა, რომ ქართული კულტურის ამგდარს თეიმურაზ ბატონიშვილს პოეტის შვილისთვის დაუვალებია საიათნოვას ლექსების შეგროვება. პოეტის შვილმა, ივანე სეიდოვად ცნობილმა, 1820 წელს პეტერბურგში ერთ დავთარში მოაქცია საიათნოვას ლექსთა ნაწილი (როგორც ჩანს, ზეპირად რაც ახსოვდა), დაწერილი ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. ამ დავთარმა შემოგვინახა საიათნოვას ქართული ლექსები. საიათნოვას შემოქმედებისადმი არც შემდეგში შეგნებულა ინტერესი. ქართულ პრესასა თუ ლექსთა კრებულებში დროდადრო იბეჭდებოდა პოეტის ქართული ლექსები, ხოლო 1918 წელს ი. გრიშაშვილმა ზემოაღნიშნული დავთრის საფუძველზე საიათნოვას ლექსების წიგნი გამოსცა.

საიათნოვას პოეზიამ ქართველი მკითხველის დიდი სიყვარული დამსახურა. მისი ლექსები უშუალოებითა და მძაფრი რიტმით გამოირჩევა. მიუხედავად იმისა, რომ საიათნოვას ლექსიკური მარაგი არც თუ ისე დიდია, მისი ლექსები თავისებური პოეტური სინტაქსით მაინც დიდ ზემოქმედებას ახდენს მკითხველზე.

დიდია საიათნოვას დამსახურება თვით აშუღლური პოეზიის წინაშეც. მან იგი თემატურად გაამრავალფეროვნა, რაც ნაკლებად ახასიათებდა წინა პერიოდის აზერბაიჯანულ, სომხურსა და თურქულ აშუღლურ პოეზიას. საიათნოვამ თავის პოეზიაში წინ წამოსწია მოქალაქობრივი, დიდაქტიკური-მორალური და სხვა მნიშვნელოვანი მოტივები. იგი ამქვეყნიურ ცხოვრებას და მიწიერ სილამაზეს უმღეროდა.

საიათნოვას პოეზიაში მძლავრად იმის ეპოქის მაჯისცემა და ჩანს სოციალური უსამართლობით გამოწვეული წინააღმდეგობები. პოეტს ხშირად დაუკენესია საყუთარ უბედობაზე, მაგრამ ხშირად მისი სამღურავი სცალდება პირადულ ამბებს და პოეტი ყველა დაჩაგრულის ქომავად გვევლინება, ხმას იმალეებს სიმართლის დასაცავად:

სიცრუე კეშმარიტებაში შესარეველ მოსულა,  
ქიყელა სიგრძეში გველის დასაწეველ მოსულა,  
ყვავი ბულბულივით გალობად მოსულა —  
ყაფაზაში ჩაჯდომა რის სურდეს, ჩაჯდება?!

პოეტს გულს უკლავს ყოველგვარი უსამართლობა და მის ხმას ხშირად ერევა ნაღვლიანი კილო.

მოქალაქობრივი მოტივები ერთ-ერთი უმთავრესია საიათნოვას მრავალფეროვან შემოქმედებაში.

განსაკუთრებით საყურადღებოა საიათნოვას სატრფიალო ლირიკა; რომელიც განცდათა სიღრმითა და ფორმის სილამაზით გამოირჩევა. საიათნოვას სატრფიალო ლირიკა მოკლებულია განსჯასა და ცივი გონების ჩარევას. მისი გრძნობა უშუალოა. ჩვენ თითქოს ხელით ვეხებებით სატრფოს გულცივობით მიყენებულ ტკივილებს, რაც უზომოდ ტანჯავს პოეტს:

განუყრელი მონა ვარ, სატრფოვ, ნურღა  
დამტანჯავ.  
სახე შენი სარკეა, აისი მოაზარნიშებს.  
მარგალიტი ვიყავ, სიყვარულმა მაქცია  
თუჯად.  
ხალასი ოქრო ვიყავ, დარდისგან ვტყუელვარ  
თითბრად.

ეს თავისებური აპოლოგია მიჯნურობისა, მხოლოდ აღმოსავლურ პოეზიას რომ ახასიათებს. აღმოსავლურ პოეზიაში ხომ სიყვარულისთვის არ არსებობს დრო და სივრცე. აქ მიჯნურისათვის წერაქვით მთას ანგრევენ და უდაბნოს ფეხშიშველა თელავენ. ფარვანას ეჯიბრებიან და შხამსაც შარბათივით სვამენ... და რა გასაკვირია, რომ აშუღლი საიათნოვა ასე აანთო სიყვარულმა:

პე, საიათნოვავ, შენ დინავლო,  
მას არა მოხედეს რა ჩემი მუგუზლიდან.

ისევე, როგორც აშუღლური პოეზიისთვის და ყოველი აშუღლისთვის, საიათნოვასთვისაც არ იყო უცხო რელიგიური მოტივები. მართალია, ქართულ

<sup>1</sup> ლექსთა სიტყვასიტყვითი თარგმანები მოტანილია აზერბაიჯანული ლექსებიდან.



ԵՆՈՅՈՒՆՅԱՆ

ლექსებში ამ მოტივების კვალი თითქმის არ ჩანს, პირიქით, ერთგან დაიჩვილა კიდევ — „ერთი მითხარ, ბერობა რად მინდოდაო“, მაგრამ მის სომხურსა და აზერბაიჯანულ ლექსთა ნაწილი შეიცავს ერთი მხრივ შუასაუკუნეების ქრისტიანულ სქოლასტიკას და მეორე მხრივ ძველ აღმოსავლურ მოტივებს ეხმიანება. ეს უკანასკნელი მოვლენა საიათნოვასთან აშუღური პოეზიის ტრადიციებით უნდა ავსხნათ. აშუღური პოეზია საუკუნეთა განმავლობაში იკვებებოდა სპარსული კლასიკური პოეზიის იდეური მოტივებითა და მხატვრული აზროვნებით. მაგრამ რელიგიური მოტივები პოეტის შემოქმედების მხოლოდ მცირე ნაწილშია.

თავისი მსოფლმხედველობის, მაღალ მისწრაფებათა და განცდათა გადმოსაცემად პოეტს შესაფერისი დახვეწილი ფორმაც გააჩნდა.

პირველყოვლისა, უნდა აღინიშნოს საიათნოვას ლექსის რიტმი და მუსიკალობა. ლექსის სტრიქონები მძლავრ პოეტური მარჯვენით არის ნაჭედი და არსად არ ეცემა ამალღებული ტონი. პოეტი მოხდენილ ეპითეტებს არ იშურებს საყვარელი არსების დასახატად:

შუა ლამის ვარსკვლავით ცაში ხარ,  
ლაღის ვარდო. ყანაში ხარ, მკაში ხარ!  
გაზაფხულს ისავით მთაში ხარ,  
სანთური ხარ, ქამანხა ხარ, ტაში ხარ.

მართალია, საიათნოვას რაიმე სიახლე არ შეუტანია ლექსის ზომასა თუ ტექნიკაში, მაგრამ პოეტური კულტურა ნამდვილად თავისი, ახალი ინტონაციებით გაამდიდრა, რითაც უდიდესი გავლენა მოახდინა თანამედროვე და მომდევნო ხანის პოეტებზე.

სასიამოვნო მუსიკალობით და ლაკონიზმით გამოირჩევა საიათნოვას აზერბაიჯანული ლექსები. საილუსტრაციო მოგვყავს ერთი ადვილი მისი აზერბაიჯანული ლექსიდან:

ყურბან ოლუმ ჰაისინა დარინა,  
მასუნ თაქი ნა გირიშმაზ დარინა,

ჩუნქი იეთიშმისან დარია დარინა —  
გასტ ელა გირმასუნ სუ, საიათნოვა.

ვენაცვალე შენს ღირსებას, მორცხვობას,  
უკოდველობის გარდა არარას მოუღწევია  
შენთან,  
იმიტომ რომ ჯერ არ გასულხარ ზღვის  
სიღრმოდან,  
მცაღა, არ შემოვიდეს წყალი, საიათნოვა.

საიათნოვა რითმებად არჩევს ისეთ სიტყვებს, რომლებიც ფონეტიკურად მთლიანად ერთმანეთის მსგავსია. სიტყვის ეს მაჯამური ელერა ქმნის მუსიკალობასა და ლექსს ემოციურს ხდის. საიათნოვას საყვარელი სალექსო ზომებია თეგჯინის და მუხამბაზი.

პოეტი ოსტატურად იყენებს აგრეთვე ე. წ. რედიტს. ამ ფორმის ლექსში სიტყვა ან წინადადება გატანილია რითმის გარეთ და იგი ამავე დროს პოეტური გამეორებაა, რაც ძირითად განწყობილებაზე მიგვანიშნებს. საიათნოვას ქართული ლექსებიდან რედიტის შესანიშნავი ნიმუშია:

საიათნოვა ამას ვჩივი, სამალი ვერ მოშოვია!  
მინდა გული ზედ ავაგო და ხმალი ვერ  
მიშოვია,  
შენი უბის ბროწეულის ნამალი ვერ მოშოვია,  
თავი მტკივა, გული მტკივა, წამალი ვერ  
მიშოვია!

საიათნოვას სალექსო ტექნიკა საკმაოდ დახვეწილი და სრულყოფილია. მაღალ მისწრაფებებს და დიდ ადამიანურ ვნებებს იგი ოსტატურად გადმოსცემს შესაფერისი მხატვრული ხერხებით.

ასეთია მოკლე საიათნოვას პოეტური ფიგურა, რომლის დიდმა ოსტატობამ, 200 წლის წინათ ნათქვამმა სიტყვამ არ დაკარგა არც ფერი და არც სურნელი, საერთო აღიარება მოიპოვა და დღეს მის იუბილეს ზეიმობს არა მარტო ამიერკავკასიის სამი ერი, რომელთა ენაზეც იგი ქმნიდა თავის ლექსებს, არამედ მთელი მსოფლიოს მოწინავე საზოგადოება.

გიორგი შაყულაშვილი  
საიათნოვა

## ვთქვამთ გუდახლიდავ

ძნელია იმსჯელო ნაწარმოებზე, რომლის არსებობა თითქოს არც არის ლიტერატურული ფაქტი, მაგრამ იგი არსებობს, ხელიდან ხელში გადადის, მას კითხულობენ და არც თუ ისე ადვილი მისაგნებია ის მიზეზი, რამაც წიგნი მკითხველთა გარკვეულ წრეს ასე მოაწონა.

თქვენ არაერთგზის შეხვედებით ასეთი წიგნის წაკითხვის მოსურნეს. წიგნს თითქოს არავითარი პრეტენზია არა აქვს, იგი არც რაიმე ნორმებს არღვევს, არც სოციალურ და საზოგადოებრივ თემას გაურბის, მისი ავტორი არც რაიმე ხელოვნური სიახლეების ძებნით იტყივებს თავს, აქ არც ფორმალისტური გადახვევების საშიშროებაა და არც ტრადიციული ფორმების მექანიკური განმეორება. წიგნი არსებობს ჩუმალ და თითქოს ყველაფერი რიგზეა.

არსებობს საშუალო ღირსებებს ლიტერატურა, იგი ამინდს არ ქმნის, მაგრამ გარკვეული დანიშნულება და ლიტერატურული ღირსება აქვს. წიგნს კი, რომელზედაც საუბარიც გვსურს, საშუალო ლიტერატურად ვერ მივიჩნევთ. იქნებ იგი იმ ნაწარმოებთა რიცხვს განეკუთვნება, რომელთა პრიმიტიულობა და სწორხაზოვნება „ფორმალისტების მეორე, არა ნაკლებ სახიფათო მხარეა“? მაგრამ არც ასეა. მაშინ რაა ის „რაღაც“, რამაც წიგნი, ასე თუ ისე, პოპულარული გახადა?

ერთი შეხედვით თითქოს არც ღირს დიდი დრო და ადვილი დაეთმოს გიორგი ლორთქიფანიძის რომანის „უკანასკნელი ცრემლის“ განხილვას. მასზე არ დაობენ, არც იხსენიებენ, ლიტერატურული ცხოვრება თავისი გზით მიდის და წიგნის არსებობა არავის აგონდება, მაგრამ იგი არსებობს და საკმაოდ დიდი ტირაჟითაა გამოცემული.

ლიტერატურული კრიტიკა სწორად ცდილობს უპასუხოს კითხვას: „რა“ და „როგორ“, რაა დაწერილი და როგორაა დაწერილი. ამჯერად ჩვენ თითქოს და უჩვეულო შეკითხვა დაგვებადა, „რა-ტომ?“ — რატომაა წიგნი დაწერილი და რატომ კითხულობენ?

იქნებ ჩვენი ლიტერატურული გამოვლენა ვერ ასცილდა „მელოდრამით“ გატაცების დონეს, როცა მკითხველს მოსწონს ნაწარმოები, სადაც მოთხრობილია მკვლევლობაზე, მრუშობაზე, ან „უკანასკნელი“ ცრემლის სენტიმენტალობა და უარყოფილი სიყვარულია აღწერილი. ან იქნებ დეტექტივის ელემენტები გვიზიდავს?

პასუხის გაცემა უბრალოდ შეიძლება, ლიტერატურული ანალიზი ადვილად დაამტკიცებდა წიგნის აკარგაინობას, თუმცა უნდა ითქვას — რაც უფრო მდარე ხარისხის ნაწარმოებთან გვაქვს საქმე, მით უფრო ძნელია ანა-

ლიზი. და მაინც, რა არის ის „რაღაც“, რის გამოც წიგნი იკითხება?

გიორგი ლორთქიფანიძის წიგნში მოთხრობილია მძაფრი, მოულოდნელობით სავსე ამბავი, რაც გარკვეულ, დაძაბულ ინტერესს იწვევს, მაგრამ ამ რომანში თხრობა შემოქმედებითი აქტი არ არის, ავტორი მხოლოდ და მხოლოდ ამბავს იგონებს. მკითხველს თითქოს არც აინტერესებს — რა დაიწერა და მით უმეტეს არ აინტერესებს, როგორ დაიწერა. ყოველივე ეს შეცვალა ცნობისმოყვარობამ, რა მოხდება, ვინ ვის მოკლავს, ვინ ვისთან ერთად და სად გაიპარება და ა. შ. ყველაფერი ეს, შეზავებული პათეტიკურ ტონთან, მრავალწერტილებთან, გულუბრყვილო განწყობილებებთან, ქმნის ნაერთს, რომლის მხატვრულ ღირსებებზე მსჯელობა ძნელია, მაგრამ ამავე დროს ძნელია წიგნი ბოლომდე არ ჩაიკითხო. ავტორი ყოველ ნაბიჯზე გპირდება რამე მოულოდნელს, იქნებ ალოგიურს, იქნებ პათოლოგიურსაც, მაგრამ ისეთს, რაც გამოუცდელ მკითხველს ცნობისმოყვარეობას უღიზიანებს; სენტიმენტალური ვენებათაღელვის მოყვარულთაც შეუძლიათ თავიანთი მოთხოვნილება დაიკმაყოფილონ. აქ ცალმხრივი სიყვარულის, ღალატის, ფანჯრებთან გამართული კონცერტების, ზოგჯერ „ჰოლივუდის“ ერთი პერიოდის ფილმებისათვის დამახასიათებელი სუსალობისა და თეატრალური „ტრაგიკის“ ატმოსფეროშიც ექცევი.

ჩვენ ხშირად ვლაპარაკობთ სიუჟეტის შესუსტებაზე, ამბის ტრადიციული განვითარების უარყოფაზე და ა. შ. ერთი სიტყვით, ყველაფერ იმაზე, რაც სერიოზული ლიტერატურული მსჯელობის საგანი, გულახდილად რომ ვთქვათ, არც არის და არც იყო. ალბათ „უსიუჟეტობის“ მოდურმა თეორიამ მხედველობიდან გამოგვაპარა ერთი ვითარება — ძველი და ურყევი ჰერმეტიკობა, — ამბავს ჯერ კიდევ „არ დაუქარგავს“

მნიშვნელობა და მკითხველიც სწორედ ამბის გამო კითხულობს მდარე მხატვრულ ნაწარმოებს. ამბავი არის სწორედ ის „რაღაც“, რამაც უნდა გვიბასუხოს შეკითხვაზე — რატომ? იმიტომ, რომ ზოგიერთი მკითხველის მოთხოვნილება არ ითვალისწინებს კომპოზიციურ ექსპერიმენტებს, რთულ, ამორფულ, გაბნეულ ასოციაციებს, მას ამბავი აინტერესებს და თუ არ აქვს ნიჟიერი მწერლის მიერ დაწერილი ლიტერატურული ამბავი, მაშინ უნებლიეთ სუროგატსაც ეტანება.

„უქანასკნელი ცრემლი“ დეტაპტივი არ არის, იგი არც სათავგადასავლო რომანია. წიგნში არავითარი დაფარული ბოროტმოქმედება არ არის აღწერილი და არც ბოროტმოქმედის ძებნა მოთხოვნილი. მკითხველმა ყოველთვის იცის — ვინ რა ჩაიდინა, მკითხველმა ისიც კი იცის — ვინ რას ჩაიდენს, და მაინც კითხულობს, კითხულობს თუნდაც იმიტომ, რომ არ იცის, რომელ გვერდზე რა ბოროტება იქნება აღწერილი.

ჩვენ თითქოს მივაგენით ერთ მიზეზს, რის გამოც ამ წიგნს თავისი მკითხველი ჰყავს. გარდა ამისა, როგორც ჩანს, ჩვენი მკითხველების გარკვეულ რიცხვს ჯერ კიდევ იზიდავს პათეტიკური, ხელოვნურად აფორიაქებული სტილი, ძახილის ნიშნები, მრავალწერტილები, შორისდებულები. წიგნს საერთოდ დაკარავს ბულვარული იერი, ამ ხასიათის ლიტერატურას რუსულად Чтиво-ს უწოდებენ. ასეთ წიგნებს კითხულობენ და იქვე ივიწყებენ და მაინც, თუ მკითხველთა ინტერესი ერთგვარი საზომია, მაშინ მკითხველთა ამ ფენის ბელმაც უნდა დაგვაფიქროს, დაგვაფიქროს შედეგმაც, რასაც მსგავსი ლიტერატურული „კულინარია“ გამოიღებს.

როცა ფიქრობ რომანზე „უქანასკნელი ცრემლი“, პირდაპირ გაუგებარია, რა კუთხით უნდა მიუღდე მას,

ოტია პაჭორია

ვთქვათ გულახდილად

რათა როგორმე მაინც გამოხატო შენი დამოკიდებულება. იქნებ ზოგი რამ უნდა დათმო, აღიარო, რომ წაიკითხე წიგნი, თანაც რომანი და სათქმელი არაფერი გაქვს. წიგნი არსებობდა ჩუმი და კვლავაც იარსებებდა, ისევ ივლიდა ხელიდან ხელში, იქნებოდა პროვინციული სატრფიალო ბარათების მასაზრდოებელი სტილისტური ეტალონი და ჩვენი ერთი გამომცემლობის სასიხარულოდ, მომგებინაც კი. მაგრამ რომანს (უფრო სწორად ავტორს) აქვს ერთი თვისება, რაც გაიძულებს იფიქრო წიგნზე და მწერლის ბედზე. ეს არის ენერგია, წარუმატებელი, არაორგანიზებული ენერგია, ხშირად უჩვეულო ლაფსუსებით, ან ისეთი გულუბრყვილო ხერხებით გამოხატული, როგორც, თუნდაც, დამტვრეული, რიტმულად დალაგებული და ზედმეტი წინადადებებაა.

ნუ დავივიწყებთ ერთი ცნობილი პიროვნების სიტყვებსაც — „ყველაზე დიდი უზნეობა ის არის, როცა ხელს მოკიდებ საქმეს, რომელიც არ იცია“. „საქმის ცოდნა“ კი მხოლოდ წერის გაუცნობიერებელი სურვილი როდია. არსებობს პროზის სპეციფიკა, მოვლენათა დაკავშირების ლატერალური ფორმა, ოსტატობა, მწერლის „სიმართლე“ და ყოველივე ამის გარკვევაში მწერალს ვერავითარი კრიტიკა ვერ უშველის. შემოქმედებითი პროცესი, შერწყმული ობიექტურ გარემოსთან, იღებთან. სოციოლოგიასთან ქმნის იმ რთულ სამყაროს, რაშიც მწერალი თვით უნდა გაერკვეს.

გიორგი ლორთქიფანიძე დაუფაქრებლად წერს, წერს უკონტროლოდ, „შემოქმედებით ინსტიქტს“ აყოლილი, სწორედ ამის შედეგია თუნდაც ასეთი ადგილი:

„და აი, არქიფო თითქოს თვალნათლივ ხედავს, რომ ციციანომ მიწას ფეხი აღქაჯივით მოსწყვიტა, აპყვეა, ახაფრენად ფრთებახსმული გული ჩაწიხლა; მოადუნა და ისევ ამზეურდა, ისევ არაკდა.“

გული კი უძლებს.  
ერთხელ არ წამოუოხრავს.  
არ დაუკვნესია.  
ოღონდ დაჩაივდა.  
დაპატარავდა.  
დაიწრიტა.  
აი, ციციანოც მოიღალა, სილალის ძალი წაერთო და ვნების ცეცხლი ჩაუქრა. ცელქი ღიმილი აჯიღაში გაახეია და თავდაც გაუჩინარდა.  
გაქრა...

შავი ჩრდილი კი ისევ მდოვრედ მიბობლავს ფართო შარაზე.

ზედ სიყვარულით ჩაფერფლილი მგვილისტოლა გული აგდია და ხალიჩაფუჩი აულოკავ გესლსა და ბაღღამს დაუწინწყლავს“.

არაფერი რომ არ ვთქვათ „ფეხი აპყვეცაზე“, „აჯიღაში გაახეიაზე“ და „ამზეურდაზე“, არა მგონია მოიქნოს მკითხველი, რომელიც ნათლად წარმოიდგენს, რაა ნათქვამი ამ ნაწყვეტში. ეტყობა, ვიდაცამ ვიდაცის სიყვარული უარპყო, რასაც მოპყვა „სილალის ძალის წართმევა“, „ვნების ცეცხლის ჩაქრობა“ და „შავი ჩრდილის მდოვრედ“ წაბობლება.

ავტორმა სცადა ემოციური სცენა როგორმე ემოციურად აეწერა და ვფიქრობთ კომენტარი ზედმეტია; ჯერ ერთი, თუ არქიფოს ციციანო უყვარს, მაშინ ძნელი დასაჯერებელია, კაცმა ჰალუცინაციების დროსაც კი წარმოიდგინოს, რომ საყვარელი არსება „ფეხს მიწას აღქაჯივით სწყვეტდეს და აპყვეცავდეს“. აქ იჩინა თავი კონტროლის უქონლობამ. სწორედ ესაა არცოდნა არა მარტო ენისა, არამედ ისეთი უბრალო ქეშმარიტებისაც, რომ საგნის აღწერა საგნის ფორმასა და ხასიათს უნდა გამოხატავდეს, რომ არ შეიძლება ნაწერის რიტმი მანერულად დაუპირისპირდეს მოვლენის რიტმს. გარდა ამისა, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ქართული რომანი ქართულ ენაზე უნდა იწერებოდეს.



მოვიტანოთ კიდევ ერთი მაგალითი:  
„რას სწუხს მზია?“

...აი, ცის ტატნობს შავი არწივი მოს-  
წყდა და დაბლა, შორეულ ყინულეთის-  
კენ დაქანდა, დათოვლილ მწვერვალზე  
აყოყნისა და ფეხშეუდგამ ღოდს ბას-  
რი კლანჭები ჩასკიდა, ყაშყაში მორ-  
თო...

ნაბდისტოლა ფრთები გასაფრენად  
აიბერტყა, ააფარაფატა.

ვერ აფრინდა...  
სუსხმა ძალი წაართვა.

დაბუხა.

გათოშა.

დაალოხა.

უძღურებამ კი დაღალბათებული არ-  
წივი გაამძვინვარა, გააშეთა.

და ერთხელ კიდევ აიბურძგლა, გაი-  
ფხორა.

ადგილიდან ვერ დაიძრა.

უიმედოთ დაიყაშყაშა, გაქვავდა და  
შავი ნისლით მოიბურა, გაუჩინარდა.

მერე ჯანდიც ვაიცრიცა და ახლა  
იმავე ღოდზე ყორნისფერი ლანდი გა-  
მოიტვიფრა, აიზიდა და შეინძრა.

ეს ხომ ზაზაა?

ჰო, ზაზა!

მზიას უცნაურმა სანახაობამ გული  
აუბორგა და დაჟინებით მიაშტერდა  
ლოდზე ამართულ ვაჟკაცს.

ნუთუ მასაც იმ გულშევიადი არწივის  
ბედი მოეღის?

ნუთუ ისიც უნდა დაისუსხოს.

და კოპიკად იქცეს?

არა!

ყინულეთში ამართული ზაზა ჯერ არ  
დალოხებულა და არც კოპიკად ქცეუ-  
იგი მკლავებს ჰაერში იქნევს.

აწყვეტას ლამობს.

იბრძვის.

ყინულის ლოდზე ბორგავს.

ვიდაცას უხმობს.

ცქახის.

არა!

სუსხმა და ყინვამ ვერ დააჯაჭვა ვაჟ-  
კაცი, ცაში ვერ აიჭრა, ადგილიდან კი  
მოსხლტა, დაქანდა და ზავთიანად დაი-  
ქუხა:

„მხოლოდ შენ, შენ, სხვა არავინ!“...  
მოჰქრის...

მოფრინავს ზაზას ლანდი.

შავი ლანდი.

აჰა, სადაცაა მკლავებსაც გაშლის და  
აცხცახებულ მზიას გულში ჩაიკრავს,  
გაიტაცებს.

კიდევ ერთი ამოსუნთქვა და სევდიან  
შუბლზე ქოჩორჩამოფენილი ვაჟკაცი  
მასთან გაჩნდება.

თავადაც უნდოდა გაქცეულიყო.

შეგებებოდა.

იმედიაანი სიტყვა წინ გაიგდო და  
გაიქნია:

„ჰო, მხოლოდ შენ, შენ, სხვა არავინ,  
ჩემო ზაზა!“

მირბის, მიჰქრის მზია.

ეს რა მოხდა?“

და მართლაც — რა მოხდა?

ავტორმა დაიფიწყა (ან არ იცოდა)  
პროზის ზოგიერთი კანონი. არ შეიძ-  
ლება ერთი ტიპის, ერთი კონსტრუქ-  
ციის, ერთნაირი ემოციური დატვირ-  
თვის მიქონე წინადადებების დაუსრუ-  
ლებლად განმეორება. მართალია, თით-  
ქოს დაძაბული რიტმულობის შთაბეჭ-  
დილება იქმნება, მაგრამ იგი იმდენად  
პრიმიტიულადაა გადაწყვეტილი, რომ  
სინამდვილეში მსგავსი „დინამიკა“, რო-  
გორც ხედავთ, მხოლოდ მონოტონურია  
და უაღრესად მოსაბეზრებელი.

მსგავსი ვითარებები იწვევენ იმ გა-  
რემოებას, რომ გიორგი ლორთქიფანი-  
ძე იშვიათადაა „მართალი“. იგი „ტყუ-  
ის“ მოვლენების, ხასიათების, ადამიან-  
ების აღწერის დროს, ავტორი იმდენ-  
ად გაიტაცა თბრობამ და ეფექტის  
მოხდენის გულუბრყვილო სურვილმა,  
რომ დაკარგა ზომიერების გრძნობა და  
გადააბიჯა იმ ზღვარს, რომლის იქი-  
თაც მწერლის სიმართლე ირღვევა.  
დავეუშვათ, რომ ჩვენ ერთი წუთით არ  
მივაქციეთ ყურადღება გამომხატველო-  
ბით ხერხებს და მხოლოდ ამით დავინ-  
ტერესდით. მწერალი გვიყვება — ვინმე

ოტია პაჭკორია

ვთქვამთ გულახდილად

მათე ომის დროს სოფლად შექმნილ სიძნელეებს იყენებს და ხალხის უბედურებით ხელს ითბობს (სამწუხაროდ, ასეთებიც არსებობდნენ). მათე მარტო არ არის, მას თანამზრახველები ჰყავს (ესეც შესაძლებელია), მათეს ჰყავს მრუში, ავხორცი ცოლი, მათეს წარსულიც ამართლებს მის სოციალურ მრწამსს. ყველაფერი ეს შესაძლებელია. ავტორი გაიტაცა თეორიულად შესაძლებელმა, მის მიერვე შემზადებულმა ბოროტებამ და აქვე მას მექანიკურად დაუბირისპირა სიკეთე, კეთილი ადამიანები, სენტიმენტალური ტრფიალება, ქალიშვილი, რომელიც ჩავარდნილ კოლმეურნეობას „ამოქაჩავს“ და სხვ. რა გვეთქმის, ასეც ხდებოდა. მაგრამ როცა ჩვენ ავსახავთ სინამდვილეს გარკვეული იდეური პოზიციიდან, ავსახავთ ისე, როგორც ამას სოციალისტური რეალიზმის მეთოდი მოითხოვს, ზოგჯერ ნუ დავივიწყებთ ერთ ვითარებასაც — სინამდვილის დამახინჯება შეიძლება არა მარტო ასახვის მცდარი მეთოდითა ან იდეური შეცდომით. სინამდვილეს დაბალმხატვრული, უნიათო, სქემატური მწერლობაც ამახინჯებს.

გიორგი ლორქიფანიძემ ნაკლები წინააღმდეგობის გზა აირჩია. იგი ცდილობს ტკივილი და მწუხარება პათეტიკური წამოძახილითა და ოხვრით გამოხატოს, ყოველგვარი ფსიქოლოგიური ძიებებისა და მოტივირების გარეშე, თუნდაც ისეთი რიტმით შეკოწიწებული პროზით, როგორიცაა, მაგალითად, შემდეგი ნაწყვეტი:

„...აივანზე გამოვიდა, მთელი ხმით დაიძახა...“

— ვენერა უუუ!...

და ყური მიუგდო.

— ვენერა უუუ!...

უკანვე დაუბრუნა თავისი ხმა სანახებმა.

უხალისოდ, მოდუნებული შებრუნდა ოთახში.

პატრუქს აუწია.

მაგიდაზე ქაღალდი ეგდო.

ხელი დასტაცა და დაუყვირა.

წაითხვა გაუჭირდა.

ლამპა მოიახლოვა“.

ალექსანდრე დიუმამ ათოსის მსახური გრიმო სიტყვაძუნწი გამოიყვანა, რათა რაც შეიძლებოდა მეტი მოკლე სტრიქონი დაეწერა, ხოლო როცა ერთ-ერთმა გამომცემლობამ გადაწყვიტა, პონორარი მხოლოდ შუამდე შეესებულ სტრიქონებში მიეცა, ადგა და „სამი მუშკეტერიდან“ ათეული გვერდები ამოშალა.

ჩვენ იმის თქმა კი არ გვინდა, თითქოს გ. ლორქიფანიძეს ასეთი „პრაქტიკული“ მიზანი ამოძრავებდეს. საგარაუდოა, რომ იგი ასე დალაგებული წინადადებებით დინამიურობის ყალბი შთაბეჭდილების შექმნას ცდილობს და გარეგნულ ფაქტორებს ხელოვნურად უპირისპირებს ამბის შინაგან რიტმსა და ხასიათს. ასეთი რამ დამწყებ მწერლებს ჩვევიათ მაშინ, როცა არ ჰყოფნიან ოსტატობა დაეუფლონ ეპიური თხრობის სისადავესა და სიღინჯეს. ისინი ამ სისუსტეს ნერვიული სტილით ავსებენ, რაც ზედმეტ დატვირთვას, გადამეტებულ ემოციურ დაძაბულობას იწვევს და გამართლებული არ არის, მით უმეტეს ვრცელ რომანში, რომელიც ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეიგუებს იმპრესიონისტული ნოველის თხრობის მანერას.

ავტორი ხშირად თავადაც არღვევს აზრის დინებას და წინააღმდეგობებში ვარდება. იგი ზედმეტ ყურადღებას აქცევს ფიგურალურ გამოთქმებს და ენას ამძიმებს. მას არა აქვს პლასტიკურად წარმოდგენილი ის, რაზეც წერს და მკითხველშიც ბუნდოვან წარმოდგენებს ქმნის, ვერ ამყარებს უშუალო კონტაქტს თემასთან და მკითხველთან, ვერ პოულობს ზუსტ გამოთქმებს:

„გაწყობილმა სუფრამ, ღვინით სველმა დოქმა, დაუცვლელმა ჭიქებმა მადა გაუღვიძა და საქეიფოდ აიტაცა მზია.“

დამტვერილი ჩქქმები და შარვალხალათი გაიხადა.

კარადიდან სხვადასხვა ფერის კაბები გამოჰყარა.

ვარდისფერი აირჩია.

პირზე ცივი წყალი შეისხა.

პერანგისამარამ ხარკის წინ გაიღვივ-  
ლივა, გაიკვლუცა.

ძლივს ჩაეტია კაბაში.

აწეწილი თმები გადაივარცხნა“.

შემდეგ „საქეფოდ ატაცებული“  
მზია ფიქრობს:

„ვაუბატონო, აბა, რად გინდა ვარდი,  
რომელსაც თავისი სურნელი სხვის  
გულში ჩაუფრქვევია...“

შენ კი დამღრალი და ჩაყვითლებუ-  
ლი ბროლის ვაზაში ჩაგისვამს...

ამოა...

უსიყვარულოდ გული ვერ გაიხა-  
რებს“.

მოტანილი მაგალითი, ჩვენი აზრით,  
განმარტებას არ საჭიროებს. აქაც და-  
ცულია რომანის საერთო სტილი. შეიძ-  
ლებოდა კიდევ ბევრი ადგილის ამო-  
წერა. მსგავს სტილისტურ, ენობრივ და  
აზრობრივ შეცდომებს შეიცავს რომა-  
ნის ნებისმიერი გვერდი.

ახლა ორიოდ სიტყვით შევეხოთ  
რომანის თემას. როგორც უკვე ვთქვით,  
რომანში ძირითადად აღწერილია ომის  
დროის სოფელი. ერთი შეხედვით ძნე-  
ლია ავტორს რამეში შეედავო. აქ უკ-  
ლაფერია: კოლმეურნეობა, სიყვარული,  
სახელმწიფო საკუთრების მითვისება,  
მკვლელობა, პატიოსანი და უპატიოსნო  
ადამიანები, „უკანასკნელი ცრემლი“ და  
სიცილი, როგორი უნდა იყოს და არ  
უნდა იყოს ადამიანის მორალი, ბევრი  
რამეა ნათქვამი ზნეობრივსა და ეთი-  
კურზეც. პერსონაჟების დადებით და  
უარყოფით გმირებად დაყოფაც ზუს-  
ტად შეიძლება. არის გარდამავალი კა-  
ტეგორიაც — შეცდენილი ბარნაბა,  
რომელმაც კოლმეურნეობის ქონება  
მიითვისა, შანტაჟზე წამოეგო და იტან-  
ჯება. ბოლოს ბარნაბას კლავს მათე.  
მერყევი ადამიანი იღუპება, რადგან  
მერყეობაც ისეთივე დანაშაულია, რო-  
გორც ბოროტება და ა. შ. მაგრამ მკით-  
ხველს გაუჭირდება წარმოიდგინოს. თუ  
სად ზღვება მოქმედება, ვინ არიან რე-  
მანის გმირები, როგორია ეთნოგრაფიუ-

ლი გარემო, რომელიც რამდენადმე ლო-  
კალიზებული მაინც უნდა იყოს, როგო-  
რია ცხოვრება — მხოლოდ ფაქტების  
მონაცვლეობა?

რომანს არა აქვს ხასიათი, არა აქვს  
თავისი ფსიქიკა.

იგი თითქოს ნამდვილად მომხდარ  
ამბებზეა დაწერილი, მაგრამ რეალის-  
ტური ნაწარმოები მაინც არ არის. წაგს  
არა აქვს სოციალური შინაარსი. აქ მხო-  
ლოდ გამძაფრებულ ურთიერთობებს  
ამოფარებული ნატურალიზმის გამართ-  
ლების გულუბრყვილო ცდაა. ავტორი  
თავს თითქოს ერთი ვითარებით ამართ-  
ლებს — მას ხომ არაფერი გამორჩე-  
ნია, მან კლასობრივი ინსტიტუტების გად-  
მონაშთიც ასახა (მათე მაღალაშვილი),  
ახალი ადამიანიც დაგვიხატა (მზია),  
ფრონტელი ვაჟკაცის ამბავიც მოგვითხ-  
რო (ზაზა), ფრონტზე დასახიჩრებელი  
კაცის ვენებათა ლელვაც წარმოგვისახა  
(თეიმურაზი), უბედური სიყვარულიც  
არ დაივიწყა და ხელოვანის დაბადე-  
საც დაუთმო რამდენიმე გვერდი (ვანო  
და ციციანო), არც სიძვა, დალატი  
და მლიქვნელობა დატოვა უყურადღე-  
ბოდ. ერთი სიტყვით, ათიოდე მოთხრო-  
ბის თემა გააერთიანა, მინიატურა სენტი-  
მენტალურ-სუსალური იერი, ვამოიყენა  
სათავგადასავლო მოთხრობას ელემენ-  
ტებიც, დეტექტივის მარცვლებიც შე-  
ურია და ბოლოსდაბოლოს ჩვენს წინაა  
წიგნი, რომლის ესთეტიკური, ზნეო-  
ბრივი და სოციალური არსი მაინც უად-  
რესად ძნელი დასადგენია. რომანს  
რამდენადმე წააგავს მისი ერთი გმირის  
აკვიატებულ სიმღერას:

„წუთისოფლის სტუმრები ვართ,  
რეროოო,  
ჩვენ წავალთ და სხვა დარჩება,  
რეროოო!“

იქნებ გვისაყვედურონ, რა საჭიროა  
მსჯელობა ნაწარმოებზე, რომელსაც ამ  
სამი წლის წინათ გამოიცა და ლიტე-

ოტია პაპკორია  
ვთქვათ გულახდილად

რატურულ წრეებში არავითარი გამოძახილი არ ჰქონიაო. ყოველ წიგნს, რა მხატვრული ღირსებაც არ უნდა ჰქონდეს მას, თავისი მორალური, ესთეტიკური და იდეური დანიშნულება აქვს. იგი გავლენას ახდენს მკითხველთა ერთი ნაწილის გემოვნებაზე და მსოფლმხედველობაზე. მართალია, გიორგი ლორთქიფანიძის რომანი „უკანასკნელი ცრემლი“ არ გვაძლევს ჰემმარტი ლიტერატურული საუბრის საბაზს, მაგრამ წიგნს ჰყავს თავისი მკითხველი და ამ მკითხველის ბედმაც უნდა დაგვაფიქ-

როს, ბოლოს კი, კიდევ ერთხელ უნდა გავიმეოროთ — სინამდვილეს დაბალმხატვრული, მანერული და უნაათო ლიტერატურაც ამახინჯებს, არ არის საკმარისი, იყო მართალი ფორმალურად, უნდა იყო მართალი თემასთან, საგანთან, ხელოვნებასთან, ხოლო თუ რამდენად დიდი და ძნელი საქმეა მწერლის „სიმართლე“, „სინამდვილესთან სისწორე“, ამაზე „უკანასკნელი ცრემლის“ ავტორი თვითონ უნდა დაფიქრდეს, რადგან ასე წერა აღარ შეიძლება.



## ნაგზარ ნაჩათელი

### საუბარი ახალგაზრდულ გადაცემებზე

მომავალი თაობა ყოველთვის იყო და არის კომუნისტური პარტიის ყურადღების ცენტრში. ჩვენი ცხოვრების დღევანდელ ეტაპზე, როცა იდეოლოგიური ფრონტი კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფრონტად ითვლება, ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. თავის მოხსენებაში „პარტიის იდეოლოგიური მუშაობის მორიგი ამოცანები“, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იენისის პლენუმზე ამხანაგმა ლ. ფ. ილიჩოვმა თქვა: „ახალგაზრდა თაობის აღზრდის პრობლემისადმი გამახვილებული ყურადღება გამოწვეულია არა რაიმე საგანგებო გარემოებებით, არამედ იმით, რომ ჩვენი საზოგადოებრიობა გაზრდილ მომთხოვნელობას იჩენს ისეთ საქმეში, როგორც არის თვითიწვეული საბჭოთა ადამიანის, პირველ რიგში ახალგაზრდობის — ქვეყნის მომავლის მორალური სახე, შეგნება და ყოფაქცევა“.

ამ საბატიო ამოცანის განხორციელებაში დიდი როლი უნდა შეასრულონ რადიო და ტელევიზიამ, — იდეოლოგიური ფრონტის ამ უმნიშვნელოვანესმა ძალებმა. რადიო და ტელევიზია იდეოლოგიის მასობრივი, ამასთან უაღრესად პოპულარული იარაღია. რადიო დიდი ხანია დამკვიდრდა საბჭოთა ხალხის ყოველდღიურ ცხოვრებაში, ტელევიზიამ კი უკანასკნელი 7-8 წლის მანძილზე დიდი მოქალაქეობრივი ყრუადობა მოიპოვა და იდეურ-აღზრდელობითი მუშაობის უდიდესი შესაძლებლობა გამოამქლავნა.

მნიშვნელოვანი წარმატებები და პოპულარობა აქვს მოპოვებული ჩვენი რესპუბლიკის რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტს. ჩვენ შესაძლებლობა არ გვაქვს ვიმსჯელოთ მის მრავალმხრივ საქმიანობაზე, შევეხებით მხოლოდ ახალგაზრდობის, სპორტულ და საბავშვო გადაცემების რედაქციათა მუშაობას, რომლებმაც ყველაზე მეტად უნდა შეუწყონ ხელი ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდას.

აღსანიშნავია, რომ რესპუბლიკის რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის ახალგაზრდობის, სპორტული და საბავშვო გადაცემათა რედაქციები კარგად ართმევენ თავს დაკისრებულ მოვალეობას (მთავარი რედაქტორები ნ. ბეთანიშვილი და თ. ნაცვლიშვილი). ბოლო ხანებში მათ კიდევ უფრო გააუმჯობესეს და გააფართოვეს მუშაობა. ეს ნაყოფიერი მუშაობა დაფუძნებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის, კომუნისტური პარტიის ახალი პროგრამის, იდეოლოგიური თათბირების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის იენისის პლენუმისა და საკავშირო ალკე ცენტრალური კომიტეტის დიდმნიშვნელოვან გადაწყვეტილებებზე. რედაქციები თავიანთი მრავალფეროვანი საქმიანობის ყოველდღიურ ამოცანად თვლიან ხელი შეუწყონ ახალგაზრდობის კომუნისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას. გადაცემათა ძირითადი მიზანია აღზარდოს იდეურად გამოწრთობილი და ფიზიკურად ძლიერი მომავალი თაობა, დარაზმოს იგი ახალი წარმატებების მისაღწევად მრეწველობის, სოფლის მეურნეობის თუ კულტურული

ცხოვრების ფრონტზე, პროპაგანდა გაუ-  
წიოს ახალგაზრდობის წამოწყებებს,  
მოწინავეთა გამოცდვლებას და კომუ-  
ნისტური შრომის საუკეთესო მაგალი-  
თებს.

რედაქციებმა ყურადღება გაამახვი-  
ლეს ისეთ აქტუალურ საკითხებზე,  
როგორცაა წარმოების ავტომატიზაცია  
და წარმოების რიტმულობა, ახალი ტექ-  
ნიკისა და რაციონალიზატორული წინა-  
დადებების დანერგვა, შრომის ნაყოფიე-  
რების განუხრელი ზრდა, ახალგაზრდო-  
ბის ესთეტიკური, ზოგადად განმანათლებ-  
ლო, კულტურულ-ტექნიკური ღონის  
ამაღლება, იდეოლოგიური საქმიანობის  
გაზრდილი მოთხოვნილებების წინა  
პლანზე წამოწევა, კომუნისტური მორა-  
ლის პრინციპების განმტკიცება, შრომის  
მოწინავეებისა და მათი მიღწევების  
პოპულარიზაცია, სანიმუშო საზოგადო-  
ებრივი წესრიგისათვის ბრძოლა და  
მრავალი სხვა.

ყველა ამ საკითხის წარმატებით გა-  
დაჭრა მოითხოვდა კვალიფიციური ავ-  
ტორებისა და შტატგარეშე აქტივის  
ფართო წრის შემოკრებას. რედაქციები  
სისტემატურად მუშაობენ ცალკეულ  
ავტორებთან, მათი აქტივი კი თითქმის  
ყველა პროფესიის ადამიანებს აერთი-  
ნებს. რადიოს ახალგაზრდულ გადაცე-  
მათა რედაქციასთან (უფროსი რედაქ-  
ტორი გ. მაჭავარიანი) შექმნილია ახალ-  
გაზრდობის, სპორტული და საბჭოთა  
არმიის შემორებისათვის გადაცემების  
სამი საზოგადოებრივი საბჭო.

ტელევიზიის ახალგაზრდული გადაცე-  
მების რედაქციასთანაც (უფროსი რე-  
დაქტორი თ. ხომერიკი) საზოგადოებ-  
რივ საწყისებზე სამი ასეთი საბჭოა  
შექმნილი — ახალგაზრდობის, სპორ-  
ტული და ე. წ. ჯანმრთელობის უნივერ-  
სიტეტი, რომელიც მაყურებელთა დიდ  
მოწონებას იმსახურებს.

აქვე უნდა ითქვას, რომ საქართვე-  
ლოს რადიოს რაიონებში ჰყავს თავისი  
წარმომადგენლები, მაგრამ ისინი ახალ-  
გაზრდობის რედაქციებისათვის თითქმის  
არაფერს არ აკეთებენ. გამონაკლისს  
წარმოადგენს მხოლოდ რამდენიმე კაცი.

ესენია: ზაქარაია — რუსთვიდან, ისა-  
კოვი — სიღნაღიდან, აგიაშვილი —  
ქუთაისიდან და გიგაური — დუშეთ-  
თიანეთიდან. ამ დანაკლისს ავსებს სწო-  
რედ ზემოთ მოხსენებული შტატგარეშე  
აქტივი. კარგ ნაყოფს იძლევა კომკავ-  
შირულ ორგანიზაციებთან საქმიანი  
კონტაქტიც.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის XXII  
ყრილობისა და კომუნისტური პარტიის  
ახალი პროგრამის გადაწყვეტილებების  
საფუძველზე შედგენილი ციკლებისა  
და სერიების გვეგების უმრავლესობა  
წარმატებით შესრულდა. ასევე წარმა-  
ტებით განხორციელდა და ხორციელ-  
დება სკკპ ცენტრალური კომიტეტის  
ნოემბრისა და ივნისის პლენუმების  
ღრმავანიარსიანი დადგენილებების  
ცხოვრებაში გასატარებლად შედგენილი  
საინტერესო გვეგები. ამ გვეგების მი-  
ხედვით რედაქციებმა მრავალი აქტუ-  
ალური და თემატურად ახალი გადაცემა  
მოამზადეს, რომელთაც წითელ ხაზად  
გასდევს კომუნისმის მატერიალურ-  
ტექნიკური ბაზის შექმნისათვის ბრძო-  
ლა.

რადიომუწყებლობის ახალგაზრდო-  
ბის რედაქცია მეტად ნაყოფიერ მუშაო-  
ბას ეწევა. რედაქცია აწყობს გადაცე-  
მებსა და რადიოკომპოზიციებს ახალ-  
გაზრდობისათვის, რადიოგაზეთს ახალ-  
გაზრდობისათვის, რადიოეურნალს  
„ფიზკულტურა და სპორტი“, გადაცე-  
მებს საბჭოთა არმიის შემორებისათვის.  
ზოგჯერ, როგორც ამას მოითხოვს რა-  
დიოსა და ტელეს მუშაობის სპეციფიკა,  
იცვლება წინასწარ შედგენილი გვეგები.  
ეს მაშინ, როცა დღის წესრიგში უფრო  
ახალი, აქტუალური და სასწრაფოდ  
განსაზოგადოებელი საკითხი დგება.

„რადიოგაზეთი ახალგაზრდობისა-  
თვის“ კარგად ასახავს რესპუბლიკის მო-  
წინავე ახალგაზრდობის ცხოვრებას.  
საყურადღებოა 22 იანვრის რადიოგა-  
ზეთში ლ. ისაკოვის წერილი სიღნაღის  
რაიონის სოფელ არბოშოკის ახალგაზრ-  
დებზე, რომლებიც გამოეხმაურნენ კომ-  
კავშირის მეორე პლენუმის გადაწყვე-  
ტილებებს და ყველა ფერმაში მოა-

წყვეს შრომატევადი პროცესების მექანიზაცია. 5 იანვრის ორიგინალურად შედგენილი და შინაარსიანი რადიოგაზეთი მთლიანად მიეძღვნა ბათუმელი ახალგაზრდების სწავლასა და შრომითს საქმიანობას (ავტორი მ. გეგეშიძე). კარგი იყო შ. როსტიაშვილის კრიტიკული წერილი „იციანოდეთ, საკოლმეურნეო შრომის დეზერტირია“, რომელიც შეეხებოდა სოფ. ფშავის ზოგიერთ უქნარა ახალგაზრდას. მეტად საინტერესო იყო გ. არობელიძის გადაცემა ახალგაზრდობისათვის — „რომანტიკოსები“. ამ გადაცემაში მრავალმხრივად აისახა თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის ახალგაზრდობის ცხოვრება.

გადაცემათა სპეციალური ციკლით „მოგითხრობთ თქვენს თანატოლებზე“ რედაქცია კავშირს ამყარებს წარმოებისა და სოფლის მეურნეობის საამაყო ახალგაზრდობასთან. ამავე გადაცემებში კარგად არის შერჩეული მასალები საკავშირო რადიოდან თუ ყურნალ-გაზეთებიდან. ნაჩვენებია საზღვარგარეთისა და ჩვენი დიდი სამშობლოს თითქმის ყველა კუთხის ახალგაზრდობის ცხოვრება, რაც მნიშვნელოვნად აფართოებს ახალგაზრდობის გონებრივ ჰორიზონტს და ხელს უწყობს ინტერნაციონალური სულსკვეთებით მათს აღზრდას. ცალკეულმა ავტორებმაც მოამზადეს ახალგაზრდობისათვის მაღალხარისხოვანი და შთაბეჭდავი გადაცემები. ასეთებია: ო. ღვამბერიას „ნდობა“, მ. გეგეშიძის „საახალწლო ჩანახატები“, რ. სურგულაძის „შრომაში დალეული დამეები“, ნ. ბეთანიშვილის მიერ მომზადებული გადაცემა, მიძღვნილი კომკავშირის დაზღვევის დღისადმი.

ყურადღება ეთმობა შემოქმედებით ახალგაზრდობასთან მუშაობის აქტუალურ საკითხს. მოეწყო გადაცემები ახალგაზრდა მწერლების, პოეტების, მსახიობების, კომპოზიტორების, მხატვრებისა და სხვათა შემოქმედებაზე.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელების მნიშვნელოვანმა შეხვედრებმა ლიტერატურისა

და ხელოვნების მოღვაწეებთან საჭირო გამომხატურება ჰპოვა ახალგაზრდულ გადაცემებში. მიკროფონთან გამოვიდნენ ლიტერატურისა და ხელოვნების ახალგაზრდა წარმომადგენლები: ცალკეულ გადაცემებში ილაპარაკეს თავიანთ შემოქმედებითს გეგმებსა და მათს მუშაობაში ჯერ კიდევ არსებულ ზოგიერთ ხარვეზებზე. თუ რედაქციის გეგმებს გავეცნობით, ვნახავთ, რომ მათ მომავალ მუშაობაშიც გადაწყვეტილი აქვთ კომუნისტური პარტიის მიერ იდეოლოგიურ საკითხებზე მიღებული ისტორიული გადაწყვეტილებების კუთხით მიუდგნენ ახალგაზრდა შემოქმედთა ნაწარმოებებს.

რეგულარულად გადასცემენ რადიოყურნალს „ფიზკულტურა და სპორტი“. ყურნალი მეტად საინტერესოა — ხშირად აშუქებს ძირეული ფიზკულტურული კოლექტივების მუშაობას, მოუთხრობს რადიომშენელებს ახალგაზრდა სპორტსმენებსა თუ სპორტის ვეტერანებზე. თანმიმდევრულად და ამომწურავად შეუძებოდა საბჭოთა კავშირის ხალხთა III სპარტაკიადისათვის მზადების საკითხები. რადიოყურნალი პოპულარიზაციას უწყებს სპორტის ახალი სახეების დანერგვას, სპორტში ახალგაზრდების მასობრივი ჩაბმისა და მისი ფიზიკური წრთობის პრობლემებს.

ახალგაზრდობის რედაქციები მთელი სიმკაცრით ებრძვიან ახალგაზრდობის ერთი ჩამორჩენილი ნაწილის წარმომადგენლებს — მუქთახორებს, ხულიგნებს, ლოთებს, საზოგადოებრივი დოვლათის გამნიავებლებს, რომლებიც ჩრდილს აყენებენ ამხანაგების, საზოგადოების, რესპუბლიკის სახელს და ჯერ კიდევ გაურბიან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 22-ე ყრილობაზე ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა აღნიშნა: „ჩვენ არ უნდა ვივიწყებდეთ, რომ ძველი სამყარო ჯერ კიდევ გვიშლის ხელს ძველი იდეებით

ნუგზარ წერეთელი  
საუბარი ახალგაზრდულ გადაცემებზე



და ჩვევებით. უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ არიან ახალგაზრდა ადამიანები, რომლებიც იწოვენ წარსულის სიბინძურეს, ეფლობიან მემჩანობაში, განიცდიან ბურჟუაზიული იდეოლოგიის გამხრწნელ გავლენას“. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, ახალგაზრდობის აღზრდისა და შრომაში მათი ჩაბმის საკითხს მიეძღვნა 12 იანვარს საინტერესო რადიოგადაცემა ახალგაზრდობისათვის (ავტორი ნ. ბეთანიშვილი), სადაც გამოყენებულია ამ საკითხზე თბილისის საქალაქო კომიტეტის პლენუმის მასალები, რადიოკომპოზიცია „თქვენ გისმობთ ცხოვრება“ (ავტორი მ. გეგეშიძე) და სხვ.

ამ მიმართულებით განსაკუთრებით ნაყოფიერად მუშაობს ტელევიზიის ახალგაზრდულ გადაცემათა რედაქცია, რომელსაც ვატილებით მეტი ეფექტური და კონკრეტული საშუალებები გააჩნია. პოპულარული სერიის — „ვიც გვასახელებს და ვინ გვარცხვენს“ ბევრი გადაცემა გამოირჩევა საქმიანი ტონით, კომუნისტური პირდაპირობითა და კრიტიკული სიმახვილით. შეგნებული და მოწინავე ახალგაზრდობის საპირისპიროდ რედაქცია სამარცხვინო ბოძზე აკრავს ჩვენი ცხოვრების ხორცმეტებს, ეგოისტებს, უქნარებს და გარეწრებს. გადაცემებს აძლიერებს დოკუმენტურობა, რითაც იგი იძენს დიდ ეფექტს და სავესებით ამართლებს დანიშნულ მიზანს. აღსანიშნავია რამდენიმე გახმაურებული გადაცემა ამ თემაზე. ასეთი იყო, მაგალითად, პოლიტიკური განათლების რესპუბლიკური სახლის სხდომათა დარბაზში ჩატარებული საღამო, სადაც სტუდენტებმა, ინტელიგენციის წარმომადგენლებმა, წარმოება-დაწესებულებებისა და ფაბრიკა-ქარხნების წარმომადგენლებმა გაიკენეს დოკუმენტურად კინოფირზე აღბეჭდილი ჩვენი ახალგაზრდობის ზოგიერთი უხამსი წარმომადგენელი. მათ მონაწილეობა მიიღეს სამარცხვინო ფაქტების განხილვაში. საღამო ტრანსლირებულ იქნა მოძრავი სატელევიზიო სადგურით და დიდი რეზონანსი ჰქონდა. ასევე

მოეწყო გადაცემა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საექტო დარბაზიდან თემაზე — „ვინ გვარცხვენს“.

ეწყო რეიდები მოსკოვსა და ლენინგრადში. ამ რეიდების მიზანია გამოამუქლავონ ის ადამიანები, რომლებიც ეწევიან პარაზიტულ ცხოვრებას და არცხვენენ რესპუბლიკის სახელს. ბრიგადების მიერ შეგროვილი მასალების საფუძველზე რედაქციამ მოაწყო კარგი გადაცემები.

სკკ ნოემბრის პლენუმის შემდეგ რადიოს და ტელევიზიის ახალგაზრდულ გადაცემათა რედაქციებმა „კომკავშირული პროექტორის“ გასაძლიერებლად შექმნეს სპეციალური შტაბები, სადაც გაერთიანდნენ ინტელიგენცია, კომკავშირული მუშაკები, მოწინავე მუშები. ახლა, როდესაც კომუნისმის მშენებელი საზოგადოების ყველა უბანზე წარმატებით მოქმედებს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლი, პარტიის ერთგული თანაშემწე — ლენინური კომკავშირი ყოველმხრივ ეხმარება პარტიული კონტროლის ორგანოებს დიდი ამოცანების გადაჭრაში. კარგი იყო რადიოგადაცემები გორის ბამბეულის კომბინატზე, თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაზე, ქუთაისის საავტომობილო ქარხანასა, თბილისის საელმავლო დეპოსა და სხვა წარმოება-დაწესებულებებზე.

რუბრიკით „კომკავშირული პროექტორის შუქზე“ სისტემატურად აწყო გადაცემებს ტელევიზიის ახალგაზრდობის რედაქცია. ტელეეკრანზე უჩვენებენ სახალხო მეურნეობასა და კულტურულ მშენებლობაში ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებს. მაგალითად, მკაცრად იყო გაკრიტიკებული 26 კომისრის სახ. მანქანათმშენებელი ქარხნის „კომკავშირული პროექტორის“ შტაბი იმისათვის, რომ ქარხნის პირველ მექანიკურ სამაქროში სრულყოფილი არ არის სამაქროს ნაწარმის ტრანსპორტირების საკითხი.

საყურადღებო იყო გადაცემა გორის რაიონზე სათაურით „ახალი ამბები“. ტელევიზიის მუშაკებმა და გორის სასოფლო-სამაქრო კომიტეტის „კომკავ-



“შირული პროექტორის” შტაბმა კრიტიკის მახვილი მიმართეს სოფელ შინდისის კომკავშირული ორგანიზაციისადმი, რომელმაც ხელი ვერ შეუწყო ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებას. ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად დაისახა ღონისძიებები. გადაცემიდან სამი თვის შემდეგ “ტელეპროექტორმა” შეამოწმა ჩამორჩენილი კოლმეურნეობა და აღნიშნა, რომ საფუძვლიანმა კრიტიკამ სასურველი შედეგი გამოიღო. ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებაში დიდი როლი ითამაშა ახალგაზრდობამ და კოლმეურნეობაც მოწინავეთა რიგებში ჩაღდა.

რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებში იმოგზაურა ტელევიზიის „კომკავშირულმა პროექტორმა“, რომელსაც აინტერესებდა ჩერკასკის ოლქის ახალგაზრდობის ცნობილი თოსნობის დანერგვა-გამოყენების მდგომარეობა. გაკრიტიკებულ იქნა მთელი რიგი რაიონები და დაისახა ზოგან არსებული არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობის გაუმჯობესების გზები.

მოწონებას იმსახურებს რედაქციების მიერ შემოღებული სერია — „ჩვენი გადაცემების კვალდაკვალ“. ამ სერიის საშუალებით მყურებელი და მსმენელი იგებს, თუ რა შედეგი გამოიღო ამა თუ იმ კრიტიკულმა გადაცემამ, როგორი რეზონანსი ჰქონდა მას, როგორ იმოქმედა დამნაშავეზე საზოგადოებრივმა გაკიცხვამ და რა გზას დაადგა იგი. ეს სერია საკმაოდ მნიშვნელოვანია და ხშირად უნდა იქნას გამოყენებული.

საკვ ცენტრალური კომიტეტის ივნისის ბლენუმმა დაადგინა, რომ თანამედვერულად და მთლიანად სრულდებოდეს კანონი ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცების შესახებ, სწავლება შესაბამებოდეს თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევებს, გააუმჯობესონ ბავშვების ანტირელიგიური და ესთეტიკური აღზრდა, აღმოფხვრან მოსწავლეთა გადატვირთვა და მიაღწიონ მათი ცოდნის ხარისხის გაუმჯობესებას, სკოლიდან მოსწავლეთა გამოკლების შეწყვეტას. ამ უაღრესად საპა-

სუსისმგებლო ამოცანების წარმატებით შესრულებაში სკოლებს, განათლების ორგანოებს, პიონერულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს აქტიურად ეხმარებიან რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის საბავშვო გადაცემათა რედაქციები (უფროსი რედაქტორები რ. ჩაჩანიძე და ნ. წულგისკირი). რედაქციების გადაცემები ფორმითაც და შინაარსითაც მრავალფეროვანია. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ბავშვებში საბჭოთა ადამიანისათვის დამახასიათებელი საუკეთესო თვისებების — სამშობლოს სიყვარულის, შრომის სიყვარულის, ნებისყოფის სიმტკიცის, მეგობრობისა და ამხანაგობის, რევოლუციური ტრადიციების პატივისცემისა და ინტერნაციონალური სულისკვეთების, კომუნისტური მშენებლობის საქმეში საკუთარი წვლილის შეტანის საკითხებს... მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა დადგენილება „ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“, უფრო სრულყოფილად აისახა სკოლის ცხოვრება. უყურადღებოდ არ რჩება არც ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, მოსწავლეებს დამაჯერებლად უამბობენ მათივე თანატოლების სწავლასა და შრომით საქმიანობაზე, მომზადდა გადაცემები მოსწავლეთა სასწავლო-საწარმოო ბრიგადების მუშაობაზე. რედაქციებს დიდ დახმარებას უწევენ საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილი პედაგოგთა საბჭოები, რომელთა დახმარებითაც გამრავლდა და გაძლიერდა სასწავლო-შემეცნებითი გადაცემები. ამის დასადასტურებლად შეგვიძლია დავასახელოთ ტელევიზიის საბავშვო რედაქციის გადაცემათა ციკლები, როგორცაა: „სკოლების დასახმარებლად“, „გამოჩენილი ადამიანების ცხოვრება“, „საამქრო სასწავლო ლაბორატორია“, „სკოლა და ცხოვრება“, „საინტერესო შეხვედრების კლუბი“ და სხვ. ბავშვებთან მუშაობის გაუმჯობესების მიზნით

**ნუგზარ წერეთელი**  
**საუბარი ახალგაზრდულ გადაცემებზე**  
 125

ტელეს საბავშვო გადაცემათა რედაქციას შემოღებული აქვს სატელევიზიო ჟურნალი, ტელენარკვევი, ინფორმაცია, მხატვრული კითხვა, კონცერტი-საუბარი, ტელე და კინორეპორტაჟი, კინოვიქტორინა, შეხვედრები და საუბრები ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებთან. საინტერესო მასალებით გამოირჩევა სატელევიზიო ჟურნალი „ჯეჯილი“, რომლის დემონსტრაცია თვეში ერთხელ ხდება (ჟურნალის რედაქტორია ნ. გამყრელიძე). საქმიანია ტელეგადაცემათა სერია — „ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად“. ტელევიზიას ამ მხრივ ნამდვილად დიდი შესაძლებლობები აქვს. კომპლექსურ ვარჯიშებს ასრულებენ გამოცდილი სპორტსმენები, რაც დიდად უწყობს ხელს ბავშვების ფიზიკურ აღზრდას.

რადიოს საბავშვო გადაცემათა რედაქცია ეფექტური გადაცემების სხვადასხვა სახეს იყენებს; ასეთია გაზეთი „საქართველოს პიონერი“, რადიოჟურნალი „ნაკადული“, უმცროსი ასაკის ბავშვებისათვის განკუთვნილი „ძილისპირული“, სამეცნიერო-პოპულარული, საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ლიტერატურულ-დრამატული, ესთეტიკურ-მუსიკალური და სხვა გადაცემები.

რედაქციებს შემოღებული აქვთ გადაცემათა ციკლი „ვისი რაზმია უკეთესი“, რომელიც კარგად აშუქებს როგორც თბილისის, ისე რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონების პიონერული რაზმების ყოველდღიური საქმიანობის მრავალ მხარეს.

მისასაღმებელია, რომ რედაქციები აწყობენ კრიტიკული მასალების შემცველ გადაცემებსაც. აქ უნდა დავასახელოთ ტელეს საბავშვო გადაცემათა რედაქციის მიერ მომზადებული ციკლები „ანკესა მოგზაურობს სკოლებში“ ან „გაუფრთხილდი შენი სკოლის ღირსებას“, სადაც მოსწავლეებს მიუთითებენ ზოგიერთ ნაკლოვან მხარეზე და ახსენებენ, რომ ყოველი მათგანის უღირსი მოქმედება არცხვენს მთელ კოლექტივს.

ახალგაზრდობის, სპორტული და საბავშვო გადაცემების რედაქციების მუშაობაში შეინიშნება დიდი წინსვლა და აღმავლობა. რა თქმა უნდა, ძიებისა და გარდაქმნების გზაზე ხარვეზებიც გხვდება, რომელთა გამოსწორება მოსახერხებელია და აუცილებელიც. ჩვენ არ შეეხებოთ ყველა მათგანს, მხოლოდ გვინდა ყურადღება გავამახვილოთ ზოგიერთი ლიტერატურული ნაწარმოების, ნარკვევის თუ რეპორტაჟის ლიტერატურულ-მხატვრულ ღირსებაზე. მაგალითად, ახალგაზრდობისათვის განკუთვნილ რადიოგაზეთში გადიცა უცნობი ავტორის მ. ენუქიძის მოთხრობა „მეგობრები“. მოთხრობის თემა უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მომავალი გზების არჩევის საკითხი. ეს ნამდვილად კარგი და საჭირო თემაა, მაგრამ მხატვრულად სუსტად არის გადაწყვეტილი. მოთხრობის გმირი მასწავლებელია. რაიონიდან თბილისში ჩამოსვლისას იგი შემთხვევით ხვდება თავის თანაკურსელს, რომელიც ქუჩაში წყალს ყიდის და მარჯვედაც იპარავს. ხალამოს წყლის გამყიდველი მასწავლებელს წაიყვანს მათს საერთო ამხანაგთან, სოსოსთან, რომლის მეუღლე თურმე მებუფეტაა. მისვლისთანავე ხდება საოცარი შეხვედრა. სოსო სტუმარს წარუდგენს მეუღლეს და ყოველგვარი საჭიროების გარეშე პირდაპირ მიმართავს: „იცნობდი, ჩემი მეუღლეა. ჩვენ უბრალო ხალხი ვართ. მანანა ბუფეტში მუშაობს, მამამისი რესტორნის გამგეა. ჰა, რითაა ცული?“ — ხელოვნური სიტუაციები დამაჯერებლობას და, მაშასადამე, ზემოქმედების ძალასაც უკარგავს მოთხრობას. ასეთი ნაწარმოებებით ახალგაზრდობის გაზრდილ მოთხოვნილებებს ვერ დავაკმაყოფილებთ, ვერ ჩავაფიქრებთ მას, ვერც ვერაფერზე მივუთითებთ.

მხატვრული ზომიერების უგულვებლყოფა, მხატვრული მომთხოვნელობის შესუსტება ზოგიერთი ავტორის გადაცემას უფერულს ხდის. მაგალითისათვის გვინდა მოვიყვანოთ ტელეგადაცემის ერთი სიუჟეტი, რომელიც ახალ-

გაზრდა მუსიკოს ვ. ჩაჩავას ეძღვნება. გადაცემა ასე იწყება: „ჩაბნელებულ დარბაზში იყარება ყველაფერი, ლან-პის მკრთალ შუქზე მხოლოდ შავად მოელვარე როიალი ჩნდება, როიალთან ვაჟა ჩაჩავა ზის და გარინდულ რიგებს უვლის რომანტიკული შემართების, მომხიბვლელი ლირიკის ბგერების ქარცეცხლი. პირველ, ოდნავ ზომაზე მეტად მშვიდ ბგერას ეპასუხებიან დანარჩენი ბგერები, შეერთებული ასხლტება ზევით, ედება მთელ დარბაზს, მსახიობს, სმენადქცეულ ხალხს და მუსიკით მოჯადოებული ყველაფერი ერთ მთლიანობად იქცევა...“ აქ ავტორი ამკარად აპარბებს. გადაცემა ეხება ახალგაზრდა მუსიკოსს, რომელსაც, როგორც შემდეგ თვით ავტორი გვამცნობს, ჯერ მხოლოდ დიდი გზის „დასაწყისზე შეუდგამს ფეხი. იგი ჯერ კიდევ არაა დასრულებული ოსტატი, არ დავაჟაცებულა მისი ტალანტი“. უნდა გულწრფელად ვუთხრათ გადაცემის ავტორებს, რომ ამგვარი წრეს გადასული ეპითეტებით ისინი უხერხულ მდგომარეობაში აყენებენ თვით ვ. ჩაჩავას, — ნამდვილად კარგი მომავლის მქონე ახალგაზრდას.

სწორად არ მიგვაჩნია, მაგალითად, ის გარემოება, რომ მოსწავლეთა გადაცემებში ორი დღე ზედიზედ მხოლოდ მოთხრობები იკითხებოდეს. რა თქმა უნდა, ბატარა მსმენელებს განსაკუთრებით აინტერესებთ კარგი ლექსისა თუ მოთხრობის მოსმენა, ლიტერატურული ნაწარმოები გავლენას ახდენს მათ ფსიქიკაზე, განწყობილებაზე, აღზრდაზე, ამიტომ მათთვის გადასაცემი მასალა ლიტერატურული და სიყვარულით უნდა შეირჩეს. ზოგჯერ კი ეს მასალა სათანადოდ ვერ არის შერჩეული, ამაში გარკვეული ბრალი მიუძღვით ავტორებსაც, რომლებიც ცდილობენ, ასე ვთქვათ, გაასაღონ მდარე ნაწარმოებები. საილუსტრაციოდ გამოდგებოდა ნელი გაბრიჩიძის პოემა „დამნაშავე ვინ არის“. ეს პოემა რადიოთი გადაიკა და ოქტომბრულიათვის არის განკუთვნილი. თორმეტგვერდიანი პოემის იდეა

მოკლედ ასეთია: ცუგო, ფისო, ერიდეთ ავადმყოფ ბავშვებს, თორემ სურდო გადაგედებათ. რა აზრი და პოეზია უნდა იყოს ამგვარ სტრიქონებში:

და შეიყვარეთ  
სუყველამ სპორტი,  
როგორც ჩურჩხლა,  
ნაყინი, ტორტი...

ო, ბაცილების  
დაიძრა ურდო,  
და სიხარულით  
იცინის სურდო...

თითქოსდა მგლებს  
ეძვერა ურდო...  
ან თითქოს ცხელი  
ჩაყლაბა უთო...

...ღორს მეზობლების  
არა აქვს რიდი —  
ამბობს: ყველანი  
მორჩებიანო,

მურას სკმელში  
მან ჩაპო დინგი,  
და ავად ვახლა  
გოჭებიანა.

მხატვრულად სუსტია შ. ამირანაშვილის სახალწლო მონტაჟი. აქ ვკითხულობთ ასეთ გაურჩინდავ და გულუბრყვილო სტრიქონებს:

...ანდა საათი რად არის  
სულ მუდამ ენაქანქარა,  
გზად მიმავალსა ძველ წელსა  
რატომ არ შემომეყვარა.

რა პოეზია, რა მხატვრულობა ან რა დიდაქტიკა არის ასეთ სტროფში:

...სკოლა არ გამოიდენია,  
არ მოვქცეულვარ შერცხვენით,  
არ ვიყო მომზადებული,  
მასწავლებელს ვით შევგვდიბი?

ლიტერატურული მასალის გადაცემის დროს მთელი ყურადღება უნდა გამოიჩინონ რედაქციების მუშაკებმა და განსაკუთრებით ავტორებმა.

თავისთავად ცხადია, რომ მკითხველს და მასწავლებელს ბევრი კეთილი სურვილი და მოთხოვნილება აქვს ახალგაზრდობის, სპორტულ და საბავშვო გადაცემათა რედაქციებისადმი. მათ

ნუგზარ წერეთელი  
საუბარი ახალგაზრდულ გადაცემებზე

მუშაობას დიდ შთამბეჭდავ ძალას ანიჭებს ოპერატულობა. რედაქციები ყოველთვის მზად უნდა იყვნენ, რომ ყველა ცხოვრებისეულმა საკითხმა და ახალმა წამოწყებამ დაუყოვნებლივ პოვოს გამოსაშვრება. უფრო მეტი გადაცემები უნდა მოეწყოს ადგილებიდან, სამშენებლო ობიექტებიდან, საწარმოებიდან, საკოლმეურნეო მინდვრებიდან. ამ მიზნით უფრო თამამად უნდა გამოიყენონ მუშაობის ახალი ფორმები და მეთოდები, რაც გამოიწვევს ახალგაზრდობის მეტ დანტერესებას.

უყურადღებოდ არ უნდა დარჩეს სასკოლო კომკავშირული ორგანიზაციების საქმიანობის მნიშვნელოვანი საკითხები, ბავშვთა შრომითი მოწყობის კომისიებისა თუ მილიციის საბავშვო ოთახების მუშაობა, უნდა ვაფართოვდეს მოძმე რესპუბლიკებისა და დემოკრატიული რესპუბლიკების პიონერთა ცხოვრების ასახვა, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების აღსაზრდელთა საქმიანობის ჩვენება. შეიძლება მოეწყოს თვალსაჩინო გადაცემები დღის რეჟიმზე, შეიქმნას, ვთქვათ, საოჯახო კლუბი, რაც ხელს შეუწყობს შრომითი ჩვევების გამომუშავებას, ყოფა-ცხოვრებითი კულტურის ამაღლებას.

კარგი იქნება, ხშირად მოეწყოს გადაცემები ახალგაზრდა მასწავლებლებისათვის, რომლებშიც ძველი, გამოცდილი პედაგოგები ილაპარაკებენ თავიანთ გამოცდილებაზე, ისაუბრებენ პედაგოგიის რთულ საკითხებზე, გააცნობენ სიახლეებს პედაგოგიურ მეცნიერებაში, რაც გარკვეულად შეუწყობს ხელს მომავალი თაობის აღზრდელების იდეურ-კულტურულ წრთობას.

უფრო მეტი უნდა იწერებოდეს სტუდენტი-ახალგაზრდობის მრავალფეროვანი ცხოვრების პრობლემატურ საკითხებზე, პროპაგანდისტულ და აგიტაციურ საქმიანობაზე, კლუბებსა და კულტურის სახლებზე. ახალგაზრდების თვითშემოქმედებაზე, ათეიზმზე, ჯერ კიდევ შემორჩენილ რელიგიურ რიტუალებზე და ა. შ.

ახალგაზრდობის, სპორტული და საბავშვო გადაცემების რედაქციათა დღევანდელი თუ მომავალი მუშაობის ამოცანები ნათელია. მათ მხედველობიდან არ უნდა გამორჩეთ ახალგაზრდობის ცხოვრების არც ერთი ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი საკითხი, გულმოდგინე და დაკვირვებული მუშაობით, ფართო აქტივზე დაყრდნობით ყოველმხრივ უნდა შეუწყონ ხელი ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის უმნიშვნელოვანეს ამოცანას.

სკკ ცენტრალური კომიტეტის იენისის პლენუმის გადაწყვეტილებებში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ „პლენუმი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს იდეურ-აღზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებას ახალგაზრდობაში...“ ნათქვამია, რომ „საჭიროა ახალგაზრდობას ჩაუუნერგოთ შრომისადმი — საზოგადოების ყველა მატერიალური და სულიერი სიმდიდრის წყაროს პატივისცემა, იმის გაგება, რომ თითოეული ადამიანის, ვინც სარგებლობს საერთო მატერიალური და კულტურული დოვლათით, წმიდათა წმიდა მოვალეობაა აქტიური მონაწილეობა მიიღოს ამ დოვლათის შეესებაში, რომ მან სულ უფრო მეტად დააკმაყოფილოს საბჭოთა ადამიანების ახლანდელ და მომავალ თაობათა მოთხოვნილებანი.“

უნდა აღზარდოთ თითოეული ადამიანი კომუნისტისათვის მედგარ და მამაც მებრძოლად, თავისი ქვეყნის მუყაით პატრონად, ადამიანი, რომელიც დიდად სცემს პატივს ყოველივეს, რაც მოიპოვეს და შექმნეს უფროსმა თაობებმა, რომელიც თავისი შრომით ამრავლებს სამშობლოს სიმდიდრეებს, ღირსებასა და დიდებას.“

საქართველოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის ახალგაზრდობის, სპორტული და საბავშვო გადაცემების რედაქციების საპატიო და უპირველესი ამოცანაა, მთელი მონდომებით იბრძოლონ ამ ღრმამინაარსიანი გადაწყვეტილებების ცხოვრებაში გატარებისათვის.

## ღინა ხინაძე

### სასაცილო თუ სატირადი

საქართველოში ყოველ წელს ბევრი თარგმნილი ლიტერატურა გამოდის. ქართველი მკითხველი მშობლიურ ენაზე ეცნობა როგორც საზღვარგარეთულ, ისე საბჭოთა კავშირის მოძმე ხალხების, მათ შორის თანამედროვე და კლასიკური რუსული ლიტერატურის ნაწარმოებებს, რომელთა თარგმანი მეტწილად კარგადაა შესრულებული. კერძოდ, 1960 წლის იანვარში, როცა აღინიშნა ანტონ ჩეხოვის დაბადების 100 წლისთავი, გადაწყდა, ქართულად გამოცემულიყო დიდი რუსი მწერლის რჩეული ნაწარმოებები. ამას წინათ გამოვიდა უკანასკნელი — მესამე ტომი. სამტომეულის წინასიტყვაობის ავტორია ჩეხოვის შემოქმედების დიდი მცოდნე, მწერალი დემნა შენგელაია. კრებულში თარგმნილია 80 მოთხრობა და 5 პიესა.

მოთხრობების მთარგმნელები არიან: გ. ციციქოვილი, ფ. ნიშნიანიძე, ა. ახალშენიშვილი, ე. გოგოლაშვილი, თ. ხულიაშვილი, რ. კიკნაძე, ე. ხელაია, პ. წერეთელი, დ. შენგელაია, ე. თვარაძე, მ. ბაჩღელი, ე. შარვაშიძე, პ. ბახტურიძე, შ. თაბუკაშვილი, ივ. პოლუმორდვინოვი, ა. ბრეგაძე; პიესები თარგმნეს: ა. ბელიაშვილმა, შ. დადიანმა, ბ. მირცხულავამ.

ამ სამტომეულში ნახავთ საუცხოოდ შესრულებულ თარგმანებს, რომლებიც ერთხელ კიდევ აღაბტურებენ, რომ თარგმნა დიდი ხელოვნებაა. ასეთ თარგმანებს მიეკუთვნება სამტომეულში შესული მოთხრობები: „შემთხვევა სასამართლო პრაქტიკიდან“, „მოხელის

სიკვდილი“, „ლაბუტა“, „სედა“, „სულეიკო“ და სხვა.

მაგრამ, სამწუხაროდ, ჭარბადაა საშუალო თარგმანებიც. ხოლო ვინაიდან თარგმნა ისეთი განსაკუთრებული, განუმეორებელი ინდივიდუალობის მწერლისა, როგორცაა ჩეხოვი, ძალზე საბასუხისმგებლო საქმეა, მინდა ჩემი შენიშვნებით ხელი შევეწყო მთარგმნელებს მათს ძნელ საქმეში, მით უფრო, რომ, რა თქმა უნდა, ეს კრებულები კიდევ გამოვა და გაუმჯობესდება.

ერთ წერილში ენგელსი აზრს გამოთქვამს, კარგილი გერმანულად უნდა ითარგმნოსო, და თან წინასწარ აფრთხილებს მთარგმნელს, კარგილი თავისებური ინგლისურით წერს და მთარგმნელმა თუ საფუძვლიანად არ იცის ინგლისური ენა და არ ესმის ინგლისური ზატოვანი გამოთქმები და ნართაული მინიშვნები, ძალზე სასაცილო შეცდომები მოუვაო. აქ ლაპარაკია ორიგინალის აზრის საფუძვლიან გაგებასა და სრულფასოვან გადმოცემაზე. მეც ჩემს შენიშვნებს დავიწყებ იმ შეცდომებით, რომლებიც გამოწვეულია ტექსტის ვერჩაწევდნით და ზოგჯერ მართლაც „ძალზე სასაცილოა“.

მოთხრობაში „ნილაბი“ (თარგ. თ. ხულიაშვილისა), მთერალი მილიონერი თავის „მამხელებთან“ ერთად ქეიფობს და ლაქიას უბრძანებს: „Становь сюда!.. Становь поднос на стол!“ მთარგმნელი ვერ გარკვეულა ზმნის

ბრძანებითს ფორმაში, გვარად მიუჩნე-  
ვია ეს სიტყვა და ამრიგად მოთხრობაში  
შემოუყვანია ახალი მოქმედი პირი,  
ვინმე სტანოვი: „სტანოვ, აქეთ! სტანოვ,  
სინი მაგიდაზე დადგი!“

მოთხრობაში „გენერალი ქორწილში  
მიიწვიეს“ (თარგ. ე. გოგოლაშვილისა)  
ანდრიუშა ნიუნინს უნდა ბიძამისი უც-  
ნობ ოჯახში ქორწილში წაიყვანოს და  
რომ დაიყოლიოს, ეუბნება: „Не к ба-  
ронам и не к графам ведь ехать!  
Люди простые, без всяких этикетов“  
(ე. ი. ცერემონიები არ იციანო). მოუ-  
ლოდნელად ეს ადგილი თარგმანში სულ  
საწინააღმდეგოდაა გადმოტანილი და  
გამოდის, რომ ის აღამიანები თურმე  
არავითარ ეთიკას არ ემორჩილებიან.  
მთარგმნელმა აურია ორი ცნება „ეთი-  
კეტი“ და „ეთიკა“ და წინადადებაჲმ უც-  
ნაური, არასასურველი აზრი მიიღო.

გმირი ქალი მოთხრობისა „ამო ვა-  
მარჯვება“ (თარგ. ვ. ციციშვილისა)  
ოცნებობს გრაფის ცოლობაზე, რათა  
გრაფის მეუღლე უწოდონ და თან შური  
იძიოს ერთ კარგი შთამომავლობის ქალ-  
ზე, რომელმაც შეურაცხყოფა მიაყენა.  
ბარონი ზაინიცი ზემრობით თუ სერიო-  
ზულად ეუბნება, სიამოვნებით შევირ-  
თავდითო.

— თქვენ ბარონი ხართ? — ყოყმა-  
ნობს ილკა, მისი აზრით გრაფის ტიტუ-  
ლი უფრო ეფექტურია.

„— Я и граф“, — ე. ი. მე გრაფიც  
ვარო, ამშვიდებს ზაინიცი.

თარგმნილია: „მე და გრაფი“, — აბ-  
სოლუტურად აზრს მოკლებული წინა-  
დადებაა, ან კაცს ეგონება, ზაინიცი და  
ვიღაც გრაფი ერთად თბოულობენ ილ-  
კასო.

იმვე მოთხრობაში ვკითხულობთ: „Не  
довольствуясь спектаклями и лите-  
ратурными вечерами, он (Артур) на-  
чал посещать дом Гейленштралей и

днем“. „Не довольствуясь“ მთარგ-  
მნელს გაუგია როგორც „Недоволь-  
ный“ და თარგმნა „უკმაყოფილომ“...  
მკითხველი გაოცებულია — თუ უკმა-  
ყოფილოა, რატომ დაიწყო დილითაც  
სიარული? მაგრამ საქმე ისაა, რომ არ-  
ტური მართლაც არ სჯერდება მხოლოდ  
საღამოთი სიარულს, რადგან ტერეზა  
შეუყვარდა და უნდა უფრო სმირად  
ნახოს ხოლმე.

მოთხრობაში „მამიკო“ (თარგ. ფ. ნიშ-  
ხანიძისა) მოხელე მიდის მათემატიკის  
მასწავლებელთან თავისი ვაჟის ორია-  
ნების თაობაზე მოსალაპარაკებლად და  
ეუბნება: „Извольте-с! Я согласен.  
Ему же дань-дань... Понимаю служ-  
бу, как видите... Как ни прогресси-  
руйте там, а все-таки, знаете...  
ммда... старые обычаи лучше всего.  
полезнее...“ თარგმანში სავსებით აზრ-  
გამოცვლილია ეს ფრაზა, რომელსაც  
დიდი მნიშვნელობა აქვს მოთხრობის  
ძირითადი კონფლიქტის — გაიძვერა  
მოხელისა და პროგრესული, მაგრამ სიმ-  
ტკიცეს მოკლებული მასწავლებლის შე-  
ტაკების გასაგებად. საქმე ასეა: მოხელე  
ფიქრობს, მასწავლებელს უნდა ქრთამი  
დამტყუოსო და ეუბნება, თანახმა ვარო.  
„Ему же дань-дань... Понимаю  
службу“, ე. ი. მესმის სამსახურის აზ-  
რი — ქრთამი უნდა მოგართვო. მთარ-  
გმნელი ამის მაგიერად წერს: „შეფა-  
სება შეფასება... მესმის თქვენი სამსა-  
ხურისა“. შემდეგ: „Как ни прогресси-  
руйте там, а все-таки... старые обы-  
чаи лучше всего“. სიტყვა „პროგრე-  
სირება“ ჩვენ დაკავშირებული გვაქვს  
სავსებით გარკვეულ ისტორიულ და სო-  
ციალურ ასოციაციებთან. ცნობილია,  
რომ ე. წ. პროგრესისტებმა ბრძოლა გა-  
მოუცხადეს ყველა მახინჯ ძველ წეს-  
ჩვეულებას და, მათსადამე, მექრთამე-  
ობასაც. თარგმანში ეს მნიშვნელოვანი  
ქვეტექსტი გამჭრალია: „როგორადაც  
არ უნდა დაწინაურდე, ძველი ჩვეულე-  
ბა ყველაფერს სჯობია“.

რომანში „ნაგვიანევი ყვავილები“ ვკითხულობთ: „Его слушали более чем охотно, с наслаждением, но, к сожалению, этот сухой человек не умел популяризировать и не считал нужным подтасовываться под чужие мозги“. მხედველობაში ჰყავს ექიმი ტობორკოვი, რომელიც ელაპარაკება მეცნიერებაში ჩაუხედავ ქალებს ისე, როგორც ლაპარაკობს ხოლმე საერთოდ, — არ ცდილობს მათს დონეზე ჩამოვიდეს და მათთვის გასაგებად ილაპარაკოს. ექიმი ტობორკოვი „не умел популяризировать“, მაგრამ ის მცოდნე, ჰკვიანი კაცია; ამიტომ ამ წინადადების ძალზე „თავისუფალი“ თარგმანი ტობორკოვს ცილს სწამებს: „ამ პირქუშს არ შეეძლო გასაგებად ლაპარაკი და საპიროდ სთვლიდა სხვისი ნაზრევი თავისად გაესაღებინა“. იქვეა ასეთი ფრაზა: „Егорышка и Калерия ели и пили и не видели, как часы, кольца и серьги Маруси, вещь за вещь уходили в ссуду“ (в ссудную кассу!). თარგმნილია: „...და ვერ ხედავდნენ, როგორ მიჰქონდათ **სასამართლოში** მარუსიას საათი, ბეჭედი, საყურეები“.

ამავე ნაწარმოებში სიცხიანი ეგორუშკა გადაირია, ვერაფრით ვერ აჩერებენ. ექიმი ურჩევს ჩააცვან „горячая рубаха“ (დამამშვიდებელი პერანგი) თარგმნილია როგორც „**მღოვან პერანგი**“.

მოთხრობაში „სამწუხარო ამბავი“ (თარგ. ე. გოგოლაშვილისა) ვკითხულობთ: „— Все рисуете-с? — спросил папа. — Художеством занимаетесь? — მაამებლური „рисуете-с“ მთარგმნელს გაუგია როგორც „рисуетесь“ და ასეთი ვარიანტი შემოგვთავაზა: „**რა პოზებს მქვრთ?** მხატვრობას ხომ არ შეუღეჭით?“

აზრის ბოლომდე ვერგაგებების, სიტყვა-სიტყვით თარგმანის გამო ზოგჯერ ანდაზური ან იდიომატური გამოთქმები ისეა დამახინჯებული, რომ ვეღარ იცნობთ.

მოთხრობაში „ქორწინების წინ“ (თარგ. გ. ციციქოშვილისა) დედა ელაპარაკება თავის ქალიშვილს მამამისზე: „Изверг рода христианского, горой его положь“. მთარგმნელს ასეთი გამოთქმა არ გაუგონია; სამაგიეროდ, ალბათ უჩნდება ასოციაცია სხვა იდიომატური გამოთქმისა: „Встать горой“ და ჩნდება ფრაზის ასეთი წარმოუდგენელი თარგმანი: „სჯობს მოსარჩლედ გაიზადო“.

მოთხრობაში „ძვირფასი გაცვეთილები“ (თარგ. რ. კიკნაძისა) შეუვარებული კაცი ოცნებობს — „внушить ей доверие, познакомиться с ней покороче, потом помочь ей“. მკითხველი თარგმანში ვერ დაინახავს ამ კეთილშობილ ზრახვებს, რადგან ნაცულად სიტყვებისა „**познакомиться покороче**“ ქართულ ვარიანტში წერია: „იოლად დაახლოვბოდა“. გმირი აღარ ოცნებობს, საყვარელ ქალს დავეხმარებო, — მას მხოლოდ მალე და იოლად დაახლოვბა უნდა.

მოთხრობაში „შვედური ასანთი“ (თარგ. მ. ბაჩღელისა), როგორც ცნობილია, გამომძიებელი, რომელიც იკვლევს, თუ სად გაჰქრა მარკ ივანოვიჩი, თავის დასკვნებს აგებს იმ ფაქტზე, რომ ეს უკანასკნელი „в общежитии употреблял серные спички, отнюдь не шведские“, მისი ოთახის გაჩხრეკისას კი შვედური ასანთი იპოვნეს. „В общежитии“, ე. ი. ყოველდღიურ ცხოვრებაში, მაგრამ მთარგმნელმა იცის ამ სიტყვის მხოლოდ დღევანდელი მნიშვნელობა და თარგმნის ასე: „**საერთო საცხოვრებელში(!!!)** ის გოგირდის ასანთსა ხმარობდა“.

ლინა ხიხაძე  
სასაცილოა თუ სატირალი

1 გამსესხებელი საღარო.

მოთხრობაში „მახათი ხალთაში“ (თარგ. ა. ახალშენიშვილისა) მეეტლე ახასიათებს ერთ დიდ მოხელეს, რომელიც ინკოგნიტოდ მოგზაურობს: „Едет, дурень, и думает, что его узнать нельзя. А узнать его, ежели которому понимающему человеку — тьфу! Раз плюнуть!“ (ე. ი. ძალზე იოლად, ხელად იცნობს კაციო). მთარგმნელს ეს „Раз плюнуть“ გაღმობაქვს, როგორც: ფუი! სახეში ერთი კარგად უნდა მიადურთხოს!“

მოთხრობა „მოსაწყენი ამბავი“ (თარგ. ე. გოგოლაშვილისა) გმირს, პროფესორს ჰყავს თანაშემწე, რომელზეც ის ამბობს: მეცნიერებაში შავი მუსაა, კეთილსინდისიერი, პედანტური და გულცივი კაციო. თარგმანში კი წაიკითხავთ გასაოცარ ფრაზას, რომელიც სულ არ შეეფერება თანაშემწის პიროვნებას და რომლის აქ გაჩენის მიზეზსაც ძლივს მივაგენით: „სწორედ გამოუსწორებელი ლოთიფითაა“. საქმე ისაა, რომ ჩეხოვს უწერია: „Кажется, запой у него под самым ухом Патти... — он будет продолжать смотреть в свой микроскоп“. აი ამ „запой“-მ გაალოთებინა მთარგმნელს მეცნიერებისთვის თავდადებულ კაცი.

მოკვივან ამ მოთხრობიდან მცდარად გაგებულ რამდენიმე ადგილს:

„Я, например, никак не могу примириться с тем торжественным выражением, какое бывает у моей жены всякий раз, когда у нас сидит Гнеккер“.

თარგმნილია: „მე ვერ შევვუბივარ იმ საზეიმო გამოთქმებს, რომელთაც ჩემი ცოლი წარამარა წამოიძახებს ხოლმე...“ და ა. შ.

კატია, პროფესორის გაზრდილი, კეთილშობილ ადამიანებს უსაყვედურებს, რომ „они, вместо того, чтобы вступить (когда видят несправедливость), пишут общие места и никому не нужную мораль“. თარგმნილია: „აღწერენ საზოგადო ადგილებს“.

პროფესორი იხსენებს კატის ბავშვობას:

„Видит ли она в это время, как я пишу и перелистываю книги или как хлопочет жена, или как кухарка в кухне чистит картофель, или как играет собака, у нее неизменно глаза выражают одно и то же, а именно: „все, что делается на этом свете, все прекрасно и умно“.

თარგმნილია: „ნეტავი თუ ხედავდა იგი ამ დროს, როგორ ვწერდი და ვფურცლავდი წიგნებს...“.

ანალოგიური შეცდომაა მოთხრობაში „ქორწინების წინ“ (თარგ. გ. ციციკიშვილისა), როცა პათეტური ძხბითი წინადადება: „Когда бы вы могли понять!“ ე. ი. ნეტა შეგეძლოთ მიმიხვდეთო, თარგმნილია როგორც კითხვითი წინადადება — „ნეტავი როდის გაიგებთ?“

შეუძლებელია არ მოკვივანოთ ფრაზა მოთხრობიდან „იონიჩ“, (თარგ. ა. ახალშენიშვილისა), რომელშიც მთარგმნელს ვერ გაუგია სიტყვათა თამაში და ნამდვილი აზდაუბდა დაუწერია.

რუსული ენის ცუდად მცოდნე გერმანელმა მოურავმა ტურკინს გამოუგზავნა წერილი, რომელშიაც ატყობინებს, რომ მამულში „испортились все запираательства (მბეღველობაში აქვს საკეტები) и обвалилась застенчивость“ (სიტყვიდან „стена“). მთარგმნელს სიტყვები „запираательства“ და „застенчивость“ მათი პირდაპირი მნიშვნელობით გაუგია, „გაუსწორებია“ და ახალი ფრაზა შეუქმნია: „მოურავი წერდა, როგორ გაფუჭდა ხალხი: ყველაფერზე უარს ამბობენ, ყველა ტყუის, ქალებიც ურცხვი გახდნენო“(!)

მოკვივანილი ლაფსუსები ამახინჯებენ ცალკეული ფრაზების აზრს, მაგრამ გვხვდება ისეთი ადგილებიც, სადაც არასწორად თარგმნა აძენლებს ნაწარმოე-



ბის ძირითადი აზრის გაგებას. მოვუყვას ამის მაგალითს:

როგორც ცნობილია მოთხრობა „იონიზის“ თემა ის, თუ როგორ მოინელა გარემომ („заела среда“) კარგი აღამიანი და სიმპათიური, პატიოსანი ექიმი სტარცევი. თანდათან როგორ იქცა იონიად. თავდაპირველად ის ცდილობს ირგვლივ მყოფთა შორის იპოვნოს გამგები და თანამგრძობი აღამიანი, მაგრამ „когда Старцев пробовал заговорить даже с либеральным обывателем, например, о том, что человечество, слава богу, идет вперед и что со временем оно будет обходиться без паспортов и смертной казни, то обыватель глядел на него искоса и недоверчиво спрашивал: „Значит, тогда всякий может резать на улице кого угодно?“

თარგმნილია: „ერთხელ, როდესაც სტარცევმა სცადა თავისი ლიბერალური აზრების გაზიარება...“ და ა. შ.

მაგრამ აქ სიტუაციის მთელი დრამატისმი ხომ ისაა, რომ ეს ერთხელ კი არა, ძალზე ხშირად, სისტემატურად ხდებოდა და ნელ-ნელა სულეირად ამახინჯებდა აღამიანს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ეპითეტი „ლიბერალური“ ჩეხოვს სტარცევის აზრების მიმართ არა აქვს ნახშიარი, როგორც ესა აქვს მთარგმნელს („თავისი ლიბერალური აზრების გაზიარება“), ჩეხოვს უწერია: „пробовал заговорить даже с либеральным обывателем“, და ლიბერალი ობივატელიც რომ ასეთი იყო, სხვა რაღა იქნებოდაო.

მოთხრობაში „მოსაწყენი ამბავი“, პროფესორი ყვება, რომ ის არის „დეისტრიტელნი ტაინი სოვეტნიკი“, მრავალი უნივერსიტეტის საპატიო წევრი, ურიცხვი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი და ა. შ. „Все это и многое, что еще можно было бы сказать, составляет то, что называется моим именем“, დაურთავს ის. ამ სიტყვებში უკვე მოცემულია მოთხრობის მთავარი კონფ-

ლიქტი, ვინაიდან ამის მთქმელი აღამიანი ღრმა გაორებას განიცდის; ის, „что называется его именем“, და ის, რასაც სინამდვილეში წარმოადგენს პროფესორი თავისი ღრმად შინაგანი, იღუშალი შინაარსით, ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს. მთარგმნელმა ვერ გაიგო ეს მნიშვნელოვანი აზრი და წინადადებას საწინააღმდეგო ხასიათი მისცა: „ყოველივე ეს, და კიდევ ბევრი რამ სხვაც, რის თქმაც კიდევ შეიძლება, მეტყველებს იმაზე, რომ მისი სახელი დაკავშირებულია ჩემს პიროვნებასთან“.

ამგვარად არავითარი განხეთქილება არაა ბრწყინვალე, ბედნიერი სახელის მქონე და ღრმად უბედურ აღამიანს შორის. პირიქით, სრული ერთიანობაა.

ბიბლიის ლათინურ ენაზე მთარგმნელის ლაკონური ფორმულა — „არა სიტყვიდან სიტყვისაკენ, არამედ აზრიდან აზრისაკენ“ ბუეკვლიზმთან გამართული პოლემიკაა. მართლაც, ითარგმნება არა ცალკეული სიტყვები, არამედ ამ სიტყვებს ამოფარებული აზრები. მაგრამ მით უფრო ფრთხილად, სათუთად უნდა მივუდგეთ სიტყვებს, რათა არ დავამახინჯოთ ამ სიტყვებით შემოსილი აზრები და სახეები.

„Ольга, сердито оглядывая своего спутника и тыча в стороны локтями, отперла сарай“ („მათხოვარი“—თარგ. თ. სულიაშვილისა). აშკარაა, უხეში და გაუთლელი დედაკაცია, დაღის, „тыча в стороны локтями“, მეტადრე, თუ გაჯავრებულია. მაგრამ მთარგმნელი წერს: „ნიდაყვების ნერვიული მოძრაობით გააღო...“, რაც სულ არ უხდება არც მზარეულ ოლგას სახეს, არც თხრობის სტილს.

მსგავსი მაგალითები ვინ იცის მერამდენედ ჩაგაფიქრებს აღამიანს იმაზე, თუ რა სათუთად უნდა გრძნობდეს

ლინა ხიხაძე  
სასაცილოა თუ სატირალი

მთარგმნელი ავტორის ინტონაციას, რომელიც გადმოგვცემს ავტორის დამოკიდებულებას თხრობის საგნისადმი და რომლის ძალაც ისაა, რომ არა მხოლოდ გამოხატავს ავტორის დამოკიდებულებას, არამედ მკითხველსაც გადასდებს მას. მაგალითად, ჩეხოვი ამბობს თავადის ასულ მარუსიასა და დედამისზე: თუმცა ერთი სიტყვაც არ გაეგებოდით, ექიმ ტობოტკოვს მიიწვ „разинув рты“ უსმენდნენო. „პირდაღებულები“ ხომ ასე კარგად გადმოგვცემს ჩეხოვის ალერსიან-ირონიულ დამოკიდებულებას თავისი გმირი ქალებისადმი („ნაგვიანევი ყვავილები“), მაგრამ მთარგმნელი წერს — „უსმენდნენ გულდასმით“. ან განა შეეძლო ჩეხოვს ეთქვა ეგორუშკაზე (იმავე ნაწარმოებში): „ათასნაირი გრძნობა და ფიქრი ირეოდა მის... ნალვლიან გულში!“ არა, მან სხვანაირად და გაცილებით უკეთ გამოხატა თავისი დამოკიდებულება ამ კაცუნასადმი: „Самые разнокалиберные помысли (не мысли!) копошились в его ноющей душонке!“

რომელი თეორიული ნაშრომიც არ უნდა აიღოთ თარგმანის საკითხებზე, ყველგან შეხვედებით ერთ უდავო აზრს: თარგმანა შეიძლება მხოლოდ კონტექსტში. იმიტომ, რომ თავისი ჩვეულებრივი მნიშვნელობის გარდა სიტყვას ყოველი ცალკეულ შემთხვევაში, კონტექსტის მთლიანი აზრის მიხედვით, შეიძლება ჰქონდეს გაცილებით უფრო ზუსტი ექვივალენტი. მთარგმნელმა აუცილებლად უნდა იცოდეს არა მხოლოდ სიტყვის მნიშვნელობა, მან უნდა იცოდეს ისიც, რომ ამა თუ იმ სიტყვას შეუძლია სხვა სიტყვებთან კავშირის მიხედვით მიიღოს სულ სხვა შინაარსი.

„Что значит свежий мужчина, сейчас заметил, — ფიქრობს ლელია („სამწუხარო ამბავი“) ახალგაზრდა მხატვარზე. „свежий мужчина“ მის ენაზე ნიშნავს ახალ პიროვნებას, ახალ ნაცნობს, ძველი ნაცნობები, მისი აზრით, სამაგიეროს უხდიან გულგრილობის-

თვის. ახალ, უშუალოდ მოსულ ადამიანს კი არ შეუძლია აღტაცება არ განიცადოს მისი სიახლოვით. მთარგმნელი წერს: „რამდენს ნიშნავს ნორჩი მამაკაცი“, რაც ამ შემთხვევაში არაა სწორი.

მოთხრობაში „ღამე სასაფლაოზე“ (თარგ. რ. კიკნაძის) გმირი ამბობს, ფენის ხმა შემომესმაო: „То были не человеческие шаги... для человека они были слишком тихи и мелки“. „мелки“, ე. ი. პატარა-პატარა ნაბიჯები. განა შეიძლება ნაბიჯი „უმნიშვნელო“ იყოს? მთარგმნელი კი სწორედ ამას გვეუბნება: „ადამიანის სიარულთან შედარებით ეს იყო ძალზე ნელი და უმნიშვნელო ხმა“.

«Меня оскорбляли и я оскорблял на своем веку», — ამბობს ვიგინდარა (და არა „გამველედი“, როგორც აქვს მთარგმნელს გადმოტანილი სიტყვა „проходимец“) მოთხრობიდან „შამბანური“. თარგმნილია: „დამნაშავე არასოდეს ვყოფილვარ“.

თავისი მინიატურული სცენების უნივერსალური შინაარსით ავსება ჩეხოვს შეეძლო მხოლოდ იმით, რომ მან გამოიმუშავა მხატვრული სახის ძერწვის ახალი, განსაკუთრებული ხერხები. უწინარეს ყოვლისა, ის დაჟინებით ცდილობდა მიეღწია მხატვრული ფორმის სრულყოფისათვის. როგორც ცნობილია, ჩეხოვს არ უყვარდა დაწერილობითი აღწერა, დახასიათება, მის გმირებს მათივე მოქმედება გვაჩვენებს. აქედან — მისი პერსონაჟების მეტყველების უდიდესი როლი. მთარგმნელმა აუცილებლად უნდა შეინარჩუნოს ძლიერი და ხატოვანი მეტყველება, რომელიც გმირების დახასიათების, უკეთ თვითდახასიათების ხერხია.

საერთოდ ჩეხოვი თავის ჭკუამოკლე გმირებს ხშირად ალაპარაკებს პრეტენციოზულად, რაც გამოხატავს მათი შინაგანი სამყაროს სიცარიელესა და უბადრუტობას. ძნელია, მაგრამ მთარგმნელმა აუცილებლად უნდა შეუნარჩუნოს თარგმანს ეს ელფერი.

„Твой отец в кабинете в пьянственном недоумении“. — თარგმანში ეს ფრაზა სავსებით გამართული და უპიროვნოა: „მამაშენი კაბინეტში უგონოდ მთვრალია...“ („ამაყი ადამიანი“ — თარგ. ე. გოგოლაშვილისა).

„Я не позволю себя надувать! Все делай, но самолюбия и самозавенения моих не трогай“ („ქორწინების წინ“). ხაზგასმული სიტყვები თარგმნილია შემდეგნაირად — „...ჩემს მეობას ნუ შეეხები“.

იგივე პერსონაჟი ელაპარაკება თავის საცოლეს და თავს აწონებს თავისი „განათლებულობით“: „Шикарно пишет... (ზოლა) Я такие чувствую чувства, которых вы никогда не чувствовали“. მთარგმნელმა უთუოდ შეამჩნია გამოთქმათა მყვირალა უწიგნურობა და შეეცადა „გაეკეთილშობილებინა“ ფრაზა: „ჩინებულად წერს!.. მე ისეთი გრძნობები მაქვს, როგორც თქვენ არასოდეს განგიცდიათ!“

მებაღე ეფრემი („შვედური ასანთი“) ამბობს: „Из-за Акульки все вышло... Барину она понравилась... они ее к себе приблизили...“. თარგმნილია: „ბატონს მოეწონა, ერთმანეთს დაუახლოვდნენ“. მაგრამ მებაღე ეფრემს არ შეეძლო ეთქვა „ერთმანეთს დაუახლოვდნენ“, მას სწორედ ისე უნდა ეთქვა, როგორც ჩებოვს უწერია, ე. ი. ბატონმა დაიახლოვა, ყურადღებით გააბედნიერა, წყალობა მოიღო.

აი კიდევ მაგალითი: „Вы извините меня, что я рассказываю вам... про свои чувства... Я, Надежда Петровна, как только вас увидел, так сразу и втюрился, полюбил то есть... Вы извините меня, конечно, но ведь... Ведь я, ежели лезу к вам, то от любви...“. ამ ადგილის წაკითხვისთა-

ნავე მიხვდებით, რა სოციალური მდგომარეობა აქვს მოლაპარაკეს. მიხვდებით დედანში, და არა თარგმანში: „მაპატიეთ, რომ მე გიყვებით ჩემს გრძნობათა შესახებ. მე, ნადია პეტროვნა, დაგინახეთ თუ არა, იმ წუთში შემეყვარდი... მე თუ თქვენთან ახლოს ყოფნა მინდა, ეს ხომ სიყვარულის ბრალია...“. ძალზე ზრდილობიანი ფრაზაა და მეტი არაფერი („სამთავანი“ — თარგ. გ. ციციშვილისა).

როგორც ცნობილია, ჩებოვი შლიდა თავისი მოთხრობებიდან ზედმეტ დეტალებს, რათა მიეღწია მხატვრულ საშუალებათა ეკონომიისთვის. ძალზე იშვიათად, მხოლოდ აუცილებელ შემთხვევებში თუ გამოუყენებია მწერალს ვრცელი შედარება თუ ეპითეტი. „იკითხეთ კორექტურა, წაშალეთ, სადაც კი შესაძლო იყოს, არსებითისა და ზმნების განსაზღვრება“, — ურჩევდა ის გორკის. ასე იქმნებოდა განთქმული ჩებოვური ლაკონიზმი. და თარგმნის დროს წუთითაც არ უნდა დავივიწყეთ მისი სტილის ეს თავისებურება. ჩემი აზრის საილუსტრაციოდ მოვიყვან მაგალითს. ჩებოვთან ვკითხულობთ: „...В кабинет уже входил его сын Сережа... Он был вял лицом, как парниковый овощ, и все у него казалось нежным и мягким: движения, кудрявые волосы, взгляд, бархатная куртка“.

თარგმნილია ასე: „მისი ჩვილი კანი კი სათბურში მოყვანილ ყვავილს ემსგავსებოდა. მისი მშვენივრად ჩახუჭუჭებული თმა, მიხრა-მოხრა და კოპწიად შეკერილი ხვერდის ბლუზა რაღაც გამოუთქმელი სიტურფით და სინანარით იყო გაჯღენთილი“.

ორიგინალთან შეუარებით თარგმანში მარტო რაოდენობრივად როდი სჭარბობს ეპითეტები. პარნიკოვოვოვ გადაქცეულია „სათბურში მოყვანილ

ლინა ხიხაძე

სასაცილოა თუ სატირალი

ყვავილად“, კუდრიავე ვოლოსი — მშვენიერად ჩახუტუქებულ თმად“, ხოლო бархатная куртка-ს დაემატა „კობწიად შეკერილი“, საბოლოოდ კი გააქრა ინტონაციის თავშეკავებულობა და წვეულებრივობა, რაც ასე დამახასიათებელია ჩეხოვისთვის.

ყველა ეს, აგრეთვე სხვა, აქ მოუტანელი შენიშვნები ხელს არ გვიშლის მთლიანად დაღებიანად შევადგასოთ სამტომეული, რადგან ესაა ქართულ ენაზე ჩეხოვის შემოქმედების ფართოდ წარმოდგენის პირველი ცდა. უეჭველია, ჩეხოვის იდეურ-თემატურ ინტერესებსა და სტილის თავისებურების მრავალფეროვნებაზე წარმოდგენას გაულარიბებს

მკითხველს ის გარემოება, რომ ამ გამოცემაში არ შეუტანიათ ისეთი მოთხრობები, როგორცაა: „Припадок“, „Жена“, „Попрыгунья“, „Дама с собачкой“, „Невеста“, „Дом с мезонином“, „Моя жизнь“, „Крыжовник“, „Рассказ неизвестного человека“, „Черный монах“, „Горе“, „Кухарка женится“, „Событие“, „Детвора“, „Ведьма“, „Один из многих“, „Знакомый мужчина“, „Спать хочется“, „Огни“, „Красавицы“, „Случай из практики“, „Душечка“ и др. (ზოგი ამათგანი უკვე თარგმნილი აქვს ივ. პოლუმორდვინოვს). ეს ნაწარმოებები აუცილებლად უნდა იყოს სამტომეულში. ამისათვის თუნდაც კიდევ ერთი დამატებითი ტომი რომ გამოიცეს.



## შაქვა მოზალიშვილი

### ხალხთა თავისუფლების მგზნებარე მომღერალი

იროდიონ ევდოშვილის დაბადების  
90 წლისთავის გამო

ქართველი ხალხის გამოჩენილი პოეტი-რევოლუციონერი იროდიონ ევდოშვილი სამწერლო ასპარეზზე XIX საუკუნის 90-იან წლებში გამოვიდა. თბილისის სასულიერო სემინარიიდან „არაკეთილსაიშედობისათვის“ გარიცხული პოეტი სამი დღის შემდეგ, 1893 წლის 6 ივნისს „კვალში“ პირველად ბეჭდავს ლექსს — „გუბე“. პოეტმა ამ ლექსში ალევგორიულად გამოხატა სემინარიაში გაბატონებული რეაქციონული სულის შემხუთავი წესები და სემინარია აშშორებულ გუბეს შეადარა.

მეორე ლექსი, რომელიც მან „ივერიაში“ (1895, № 50) გამოაქვეყნა, იყო „გაზაფხული“.

სალიტერატურო ასპარეზზე იროდიონი პირველად ევდოშვილის ფსევდონიმით ამ ლექსით გამოვიდა. პოეტი ხატავს გაზაფხულის წარმტაც სურათს, აყვავებულ ბუნებას; თუმცა პოეტს არ ახარებს მშობლიური ბუნების სიმშვენიერე, რადგან იგი ვერ ხედავს სოციალურ თანასწორობას; თავისუფალი ცხოვრების ნამდვილ გაზაფხულს.

ირ. ევდოშვილმა თავიდანვე მიიქცია ილია ქაჯავაძის ყურადღება. „ივერია“ ხშირად აქვეყნებდა ახალგაზრდა პოეტის ლექსებს.

„ივერიაში“ გამოქვეყნებულათაგან განსაკუთრებით გამოირჩევა ისეთი ლექსები,

სადაც ნათლად ჩანს პოეტის მიზანდასახულობა — ბრძოლა საზოგადოებრივ უკუღმართობასთან, პოეტმა საბოლოოდ აღიარა კლასობრივი ბრძოლის აუცილებლობა („ქარიშხალი“, „ჩვენება“, „მეგობრებს“ და სხვ.). იმ პერიოდის ქართულ ლიტერატურაში არ მოიპოვება ისეთი მხატვრულად ღირსშესანიშნავი, მაღალი პათოსითა და მებრძოლი სულისკვეთებით გაყენებული ლექსი, რომელიც „მეგობრებს“ და „ქარიშხალს“ გაუტოლდებოდა.

ირ. ევდოშვილი ამ ლექსებით რევოლუციური მგზნებარებით აღსავსე პოეტად გვევლინება.

თავისუფლების სადიდებლად გაისმოდა ქარიშხლიან დღეებში პოეტის მოწოდება:

...წინ, წინ, მეღვრად შევებრძოლოთ  
ჩარბუკელმართ ამ ჩვენ დროსა,  
ჭირის ოფლში გავატაროთ  
სიმართლის და ძმობის დროსა!

საბჭოთა ეპოქის დიდი პოეტი—ვლადიმერ მაიაკოვსკი 1905 წელს ქუთაისში, მუშათა დემონსტრაციებში მონაწილე მოსწავლე ახალგაზრდობასთან ერთად, უდიდესი გატაცებითა და სიყვარულით მღეროდა ლექსს — „მეგობრებს“ და ხშირად მიტინგებზედაც წარმოსთქვამდა მას.

წერილში „შეხვედრა მიაიკოვსკის-თან“, პოეტი ტიციან ტაბიძე წერდა, რომ ვლ. მიაიკოვსკი „ქართულ ენას ბავშვობის ასაკში მშობლიურ ენად თვლიდა. პოეზია კი, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, პირველად შეიგრონო იროდიონ ევდოშვილის ლექსებში. იმ დროს იროდიონ ევდოშვილი რევოლუციური ახალგაზრდობის წრეში მეტად პოპულარული პოეტი იყო.“<sup>1</sup>

ირ. ევდოშვილმა პირველ ლექსებშივე აგვისახა მშრომელი ხალხის უუფლებობა, ჩაგვრა და ეკონომიური სიღუბნები.

მეფის მთავრობა სასტიკად უსწორდებოდა არსებული წყობილების წინააღმდეგ მებრძოლებს, ჩაგრულთა თანამგრძნობთ. პოემაში — „უკანასკნელი დღე სიკვდილით დასჯილისა“ ავტორმა დამაჯერებლად გვიჩვენა სატუსაღოს ბნელ და ნესტიან საყანში გამომწყვდეული სიკვდილმისჯილი მებრძოლი ჭაბუქის განცდები. ნაწარმოებში მკვეთრად ჩანს სიმართლისათვის კეთილშობილური ბრძოლის იდეა.

ირ. ევდოშვილი 1896 წლის გაზაფხულიდან 1899 წლამდე ბაქოში იმყოფებოდა სამუშაოდ.

1899 წლის შემდეგ დაწერილ ლექსებში ირ. ევდოშვილი შესანიშნავად გვიხატავს პროლეტარიატის რევოლუციური განწყობილებას, მის ბრძოლას თვითმპყრობელობის დასამხობად. ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მისი ლექსები: „სიმღერა“, „განთიადი“, „ჩემს მერცხალს“ და სხვ.

1900 წელს ჩატარებული საპირველმისო მიტინგებისა და მუშათა პოლიტიკური აღმავლობის უშუალო გამოძახილი იყო ირ. ევდოშვილის ლექსი „სიმღერა“.

მუშათა მოძრაობით აღფრთოვანებულ პოეტს იმედი ეძლეოდა და გულის სიღრმიდან მღეროდა:

რაც უნდ ღამე იყოს ბნელი,  
ცა ღრუბლებით მოიჭლოს,

არსად სჩანდნენ ვარცკლავები,  
მთვარემ გზა ვერ გაიკვეთოს,  
მანც ველით განთიადსა,  
არ შედარება ჩვენი გული,  
უკვე აღსდგა ქარიშხალი  
განთიადის მოციქული!

ირ. ევდოშვილი ქართულ ლიტერატურაში მუშათა რევოლუციური დღესასწაულის — პირველი მაისის პირველი მომღერალია.

ირ. ევდოშვილმა პირველ მაისს მრავალი ლექსი უძღვნა: „სიმღერა“, „ცა ვარსკლავებს მოუჭედას“, „გაზაფხული“, „განთიადი“, „პირველი მაისი“, „ძმებო, დროშა გაიშალა“ და სხვ.

ირ. ევდოშვილის შემოქმედებით ნიქი განსაკუთრებით რუსეთის 1905—1907 წლების პირველი რევოლუციის პერიოდში გაიშალა.

პოეტს კარგად ესმის თავისუფლებისათვის ბრძოლაში ხელოვნების როლი. პოემა „მუზა და მუშა“ რევოლუციური გზით თვითმპყრობელობისა და კაპიტალისტური წყობილების დამხობას ქადაგებდა.

მთელ რიგ ლექსებში პოეტმა ნათლად დაგვიხატა ქართველი რევოლუციონერი გლეხის სახე, რბენისა და აწიოკების სურათებიც. ასეთი ლექსებია: „სურათი“, „გაზაფხულია, წვიმა სცრისი“, „ახალი ნანა“, „გლეხის ფიქრები“, „ჩონგურზე“, „სოფელში“, „ურამული“, „მოჯამაგირე“, „სალამი ჩემო სამშობლო კუთხეც“ და სხვ.

1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგაც, შავი რეაქციის პირველ წლებში (1906—1907 წ. წ.) ირ. ევდოშვილის ლექსები მასებში სიმბნევეს, თავისუფლებისათვის ბრძოლის შეუწყლებელ წყურვილს, მტრისადმი კლასობრივ სიძულვილს და გამარჯვების ღრმარწმენას ნერგავდა.

ირ. ევდოშვილის ლექსებიდან ქართულ ლეგალურ ბოლშევიკურ პრესაში პირველად „ნერონი“ დაიბეჭდა. ლექსი ალეგორიულად რეაქციის მძიმე წლების დასაწყისში გამეფებულ ვითარებას გვიხატავდა.

პოეტის რწმენით, ხალხის მრისხანება უძლეველია. ხალხზე იმპერატორის გა-

<sup>1</sup> ტიციან ტაბიძე, წერილები, ნარკვევები, „საბჭოთა მწერალი“, 1957, გვ. 136.

მარჯვენის ხანმოკლე ზეიმს ბოლო მოვლება და მისი სასახლე ნანგრევებად იქცევა.

ლეგალური ბოლშევიკური გაზეთების ფურცლებზე დაიბეჭდა აგრეთვე ლექსები: „საჩუქარი“, მაქსიმ გორკის— „მზე ამოდის და მზე ჩაღის“ (თარგმანი), „გულის ტოლო“, „ტკბილი წარსული“, „სულმდაბალნო გულით, გრძნობით“.

ირ. ევდოშვილის შემოქმედებას რეაქციის ხანამ მაინც დაჩინა თავისი დანი. პოეტის მგზნებარე ხმას სევდისა და გულგატეხილობის მოტივები შეეპარა, რაც მთელ რიგ ლექსებში გამოიხატა („მოღლილს“, „ისევ გოლგოთა“, „როგორ მიყვარდა“, „სარკმელთან“ და სხვ.).

პოეტი გრძნობდა სიკვდილის მოახლოებას; აღარ ახარებდა გაზაფხულის მოსვლა. შეცდომა იქნებოდა იმის ფიქრი, რომ პოეტი მხოლოდ თავის მოსალოდნელ სიკვდილს ნაღვლობდა; იგი მშრომელი ხალხის უიმედო მდგომარეობით იყო გულდაკოდილი.

პოეტის ამ პერიოდის შემოქმედებაში მკვეთრად აისახა რევოლუციური საქმიანობისათვის დევნილი, სამშობლოდან გადასახლებული ადამიანის მძაფრი სულიერი ტკივილები („მეტეხის ციხე“, „დედას“, „გამომშვიდობება გადასახლებულისა“, „ჩრდილოეთში“, „ციმბირის ყვავილს“, „ახალი წელი ციხეში“, „პირსისხლიანო ყორანო“ და სხვ.).

ირ. ევდოშვილის პატრიოტული ღირსება მეტად ღრმა და უშუალოა. ამ ლექსებს („სამშობლო“, „მუხის ფიქრები“, „ქართველი დედა“ და სხვ.) მშრომელი ხალხის სიყვარული, მისი მომავალი კეთილდღეობისათვის ზრუნვა უღვევს საფუძვლად.

ირ. ევდოშვილი თავისი შემოქმედების მეორე პერიოდში (1907—1916 წ.წ.), რეაქციის შავბნელ ხანაშიც თვითმპყრობელური წყობილების შეურიგ-

ბელ მტრად, სამშობლოსა და ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლის მგზნებარე მომღერლად დარჩა („გაზაფხული“, „მხოლოდ შენ გიძღვნი“, „ახალი წელი“, „მეგობრის საფლავს“, „ან ჩვენ, ან მტერი“ და სხვ.).

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ირ. ევდოშვილის დიდი დამსახურება საბავშვო ლიტერატურის განვითარების საქმეში. მისი მრავალი საბავშვო ლექსი და მოთხრობა, პერიოდულ პრესაში გამოქვეყნების შემდეგ, მეორედ აღარ დაბეჭდილა (ლექსები: „გაზაფხული“, „ქრისტე აღსდგა“, „ალილო“, „საჩუქარი“ და სხვ. მოთხრობები: „ნაძვის ცრემლები“, „ჩვენი ნიშა“, „ახალი ხალათი“, „ნადირობა“, „ჩემი დღიური“ და სხვ.). ამ სამწუხარო ფაქტს ანგარიში უნდა გაეწიოს.

დასასრულ გვინდა ირ. ევდოშვილის ერთ მნიშვნელოვან თავისებურებაზე შევჩერდეთ.

ირ. ევდოშვილის ენა მდიდარი და ხალხურია. იგი მასებისათვის გასაგებად, სადად წერდა. ხალხურ მასალაზე დაყრდნობით მრავალი ლექსი, პოემა და მოთხრობა დაწერა. მისი შემოქმედება უაღრესად ხალხური იყო. „ვისაც ტალანტი აქვს, ვინც ნამდვილი პოეტია, მას არც შეუძლია ხალხური არ იყოს“ (ბელინსკი).

ირ. ევდოშვილი გარდაიცვალა თბილისში, 1916 წლის 15 მაისს. საყვარელი პოეტის სიკვდილმა ნამდვილი ეროვნული გლოვა გამოიწვია. ხალხმა დირსეულად დაათვა თავისუფლების მგზნებარე მომღერალი. ირ. ევდოშვილი დაკრძალულია ქართველ მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

მისი მართალი შემოქმედება უკეთეს მომავლის შენებაში ეხმარება ჩვენს ხალხს.

**თალვა გოზალიშვილი**  
ხალხთა თავისუფლების მგზნებარე მომღერალი



## პილიძე ზამბახიძე

### „ახალი მსოფთიკის“ ფაღვანი

სამოციანი წლები... ეს იყო ჩვენი ხალხის სულიერ ცხოვრებაში დაწყებული დიდი შემობრუნების, განახლებისა და გამოცოცხლების ხანა, როდესაც თითქოს ერთბაშად აზვირთდა დიდი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და, როგორც ილია ამბობდა, „გამობრწყინდა დაეიწყებული სიტყვა „მამული“ მთელის თავის გულთმიმზიდველ და დიდებული მნიშვნელობითა. ვისაც კი რაიმე ნიშანწყალი ჰქონდა ღმერთის მიერ მინიჭებულ მადლისა და კალამი ხელთ ეპყრა, — განაგრძობდა ილია — თითქმის ყველანი იმ გზას დაადგენენ, რომ ქართველს გულში ჩაუსახონ მამული, რომელიც ეამთა ვითარებამ უძრავ ქონების სახელამდელა დაქვეითა და დაამდაბლა. აგრე გაუპატიურებულმა სიტყვამ სამოციან წლების მოღვაწეთა მეოხებით და ღვაწლით კვლავ დაიკირა ჩვენში კუთვნილი ადგილი, ვითარცა მზემ და თავისი სხივოსანი შუქი მოჰფინა მთელს სიერცეს ჩვენი ცხოვრებისას“. ასე დაიწყო ჩვენი ქვეყნისა და ხალხის ბრძოლა იმ „გაზაფხულის“ მოახლოებისათვის, რომელსაც ამავე სახელწოდების ლექსში ასე შეტრფოდა ილია და რომლის არსის გაგება მაშინ „ციცკრის“ ზოგიერთმა პოეტმა ვერც შესძლო.

ჩვენი ხალხის დიდმა მეთაურებმა სწორედ ამ დროს, სამოციან წლებში განაცხადეს გადაჭრით, მწერლობა და ესთეტიკური აზრი უპირველესად ქვეყნის ეროვნულ და საზოგადოებრივ ინ-

ტერესებს უნდა ემსახურებოდესო. უკვდავმა ილიამ ყველას გასაგონად ასე თქვა მაშინ „საქართველოს მოამბეში“: „მეცნიერებასა და ხელოვნებას ჩვენ ვუყურებთ, როგორც ცხოვრების გამაუმჯობესებელ ღონისძიებასაო“. ილიასთან ერთად ამ აზრის ერთ-ერთი ბაი-რახტარი გახდა ქართველი ხალხის დიდი შვილი ნიკო ნიკოლაძეც, რომელსაც ილიამ, როგორც ცნობილია, მესამოციანელთა მებრძოლი რაზმის „ფალავანი“ უწოდა თავის დროზე. განახლების გზაზე შემდგარი საქართველოს ამ „ფალავანმა“ სწორად და მოხდენილად თქვა მაშინ, რომ „იქ, სადაც თითქმის ერთიანად დახშულია ყოველი სხვა გზა განვითარებისა, მწერლობა ერთად-ერთი იარაღია საზოგადო სიყვეთის დაცვისა და შემატებისათვისო“. სახელოვან „თერგდალეულთა“ რწმენით, ამ საბრძოლო ამოცანის წარმატებით გადაჭრა მხოლოდ რევოლუციურ-დემოკრატიული ესთეტიკის ფესვებზე ამოზრდილ რეალისტურ ხელოვნებასა და ლიტერატურას შეეძლო იმ დროს და ამიტომ, ისინი მართლაც შეურთიბებელი იყვნენ ყველა იმათ მიმართ, ვინც მხატვრულ ნაწარმოებში უმთავრესად „ნაკეთობის სინატიფესა და ფორმის სილამაზეს“ ეძიებდა, ხოლო მის საზოგადოებრივად სასარგებლო მხარეს უყურადღებობის ჩრდილში ტოვებდა მუდამ. ასეთ პირობებში, ე. ი. „როდესაც მთავარი ყურადღება ფორმის სილამაზეს ეთმობა, — წერდა ნ. ნიკოლაძე — ლიტერატურა



წარმოადგენს უქმსა და უაზრო გასართობს მოსახლეობის იმ უმცირესი ნაწილისათვის, რომელსაც თითქმის აღარაფერი დარჩენია საერთო ხალხთან, მის უმრავლესობასთანო. ხოლო მწერლობა რომ „ამა ქვეყნის ძლიერთა“ გასართობი არ იყოს და თავის ნამდვილ დანიშნულებას ასრულებდეს, ამისათვის ნ. ნიკოლაძის აზრით — იგი უნდა სუნთქავდეს ხალხისათვის საჭირობო-საკითხებით, ფიქრებით, საზრუნავით, საერთოდ სარგებლობა მოჰქონდეს ქვეყნისათვის. ნიკოლაძე ამტკიცებდა, რომ თუ ლიტერატურა თავის ამგვარ შინაარსს მოუნახავდა შესატყვის ფორმას, მაშინ იგი ნამდვილად „მოიპოვებდა პოპულარობას და ნაციონალურ ლიტერატურად იქცეოდა“.

ამრიგად, ნ. ნიკოლაძემ, ილიასთან ერთად, დიდი და საშეიშველო ამოცანა დააყენა მაშინ ქართული მწერლობის წინაშე. იგი ლიტერატურას ავალებდა გაერღვია თავისი ადრინდელი ვიწრო ჩარჩოები და ღრმად შეჭრილიყო ერის ფართო ინტერესებში. ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრა კატეგორიულად მოითხოვდა ინტელიგენციის უფრო მჭიდროდ დაკავშირებას ხალხთან და ლიტერატურის სოციალური ბაზის გაფართოებას, მისი ზემოქმედების გაძლიერებას ხალხის მთელ მასაზე თუ არა, ამ მასასთან ახლო მყოფ ადამიანებზე მაინც. რა თქმა უნდა, ეს პირველ რიგში ჩვენს რეალისტურ ლიტერატურას უნდა გაეკეთებინა და მისი ერთ-ერთი იდეოლოგი ნ. ნიკოლაძეც ამიტომ ამბობდა, რომ „ხელოვნებას მიზნად უნდა დავესახოთ ცხოვრება, ცხოვრება მთელი საზოგადოებისა და ხალხისაო“. მწერლობამ რომ ეს შეძლოს და ნაყოფიერად ემსახუროს ქვეყანას, იგი უნდა ხელმძღვანელობდეს იმ ესთეტიკური კანონით, რომელსაც „ნამდვილთან სისწორე“ ეწოდება და რომელიც მწერლობაში, როგორც ნატურალისტურ, ისე ფორმალისტურ ცალმხრივობას ებრძვისო, — ამბობდა ნიკოლაძე. ჩვენი მიზანია შეუფარავად, შეუღამაზებლად, ყველა შინაგანი წინააღმდეგობით

კრიტიკულად ავსახოთ თანამედროვე ცხოვრება და ეს კი, არც ნატურალისტურ „მღებობას“ და არც ფორმალისტურ „ოინბაზობას“ ძალუძსო, მართებულად შენიშნავდა ნ. ნიკოლაძე.

თუ მწერლობას ცხოვრებისეული სიმართლისადმი ერთგულებას და საზოგადოებისათვის სარგებლობის მოტანას ვავალებთ, მაშინო, ამბობდა პუბლიცისტი, არც ერთ ქემშარიტ შემოქმედს უფლება არა აქვს „თანამედროვეობაზე თვალი მოხუჭოს“, პუბლიცისტური პირდაპირობითა და სიმწვავეთ არ დანახვოს მკითხველს, თუ „როგორია ნამდვილი ცხოვრება, რა თვისებები აქვს თანამედროვე ხალხს და საზოგადოებას, რა საჭიროება ადგია, რას ეძებს და თხოვლობს ეხლანდელი კაცობრიობა და რა ვზით, რა საშუალებებით, რა იარაღით შეიძლება, როგორც ამ საზოგადოებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, ისე თვითეული ხეირიანი კაცის სარგებლიანი მოქმედება თანამედროვე საზოგადოებაში, თანამედროვე გარემოებებშიო“.

ყველა დიდი მწერალი იმის გამო იყო დიდი, ამტკიცებდა ნიკოლაძე, რომ მათ „თავის ნაწარმოებებში თავისი დროის ცხოვრებისეული მოტივები, თავისი საუკუნის ადამიანთა ფიქრები და მისწრაფებანი გამოხატესო“.

ქემშარიტი მწერალი ის არის, ვინც ეპოქის მოწინავე მსოფლმხედველობითა შეიარაღებული და ამ ეპოქის მაღალი იდეალებისათვის იბრძვის. ყოველ დროში ამ იდეალების მჭედელი ხალხი ყოფილა და არის და ახის გამო ნამდვილი ხელოვნება ხალხის გამოცდილებით უნდა სარგებლობდეს, ყურს უჯდებდეს მას, გამსჭვალული იყოს ხალხისათვის მისაღები აზრებით, მისწრაფებებითა და სურველებითო. მწერლის ძალა, ხალხის ძალაშია. ასე არის ახლა და ასე ყოფილა მუდამ. „აიღეთ „ვეფხისტყაოსანი“ — ამბობდა ნ. ნიკოლაძე — აიღეთ მთელი იმდროინდელი მწერლობა და ნახეთ, თუ

გლადიმერ ზამბახიძე  
„ახალი ესთეტიკის“ ფალავანი

რა სიმაღლეზე აპყავდა მას გრძობა, სიყვარული, კეთილშობილური აღტაცება, როგორი პოეტური სხივით მოსავედა იგი გრძობიერებას, თავგანწირულობას, სულის სიმაღლეს და სიყვარულის ეწეს და მაშინვე მიხვდებით, რომ ეს მწერლობა სულს იღვამდა და იბრუნებდა იმისთანა ხალხის გულსიცემის დაყურებით, რომელიც აღტაცებით და მოქმედებით სდუღდა, რომელსაც გულთღვაობა, რომელსაც ყველაფერი შესაძლებელი ეგონა“. ხალხთან, მის ცხოვრებასა და სულთან ერთად უნდა ვითარდებოდეს ხელოვნება და მწერლობა მომავალშიცო, ამბობდა ნიკოლაძე, რადგან „ჩვენ მწერლობას ძალა და ხასიათი მარტო მაშინ მიეცემა, როცა ჩვენ გავიცნობთ ხალხის გონებას და მოაზრებას, როცა ჩვენ იმის ლაპარაკს და ენას გავეჩვევით და იმნიერ წერაში გავიწაფებით, რომელსაც პირდაპირ ხალხის გონებამდე და გრძობამდე მიღწევა შეეძლება... მარტო ამით შეეუძინებთ მწერლობას ძალას და გავლენას და მარტო ამით შევადლებინებთ იმას ხალხის სასარგებლოდ გამოსადეგ სამსახურსა და გავლენიან შრომასო“.

ხალხის ეს ძალა იმ პირდაპირობასა და გამბედაობაშია, რომელსაც იგი უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლაში იჩენდა მუდამ. ხალხთან ერთად ამ ვაკაცობით უნდა გამოიჩინოდეს შემოქმედიც, თუ იგი, ნ. ნიკოლაძის რწმენით, ხალხის შეილია ნამდვილად.

მწერალი მრავალმხრივი და მთლიანი პიროვნებაა; იგი არა მარტო მუშუბის მსახურია, არამედ ხალხის წინამძღოლი და მისი თავისუფლების ერთგული დარაჯიცაა, რომელიც, „მტერსა და დუშმანს თავზარს უნდა სცემდეს, ხოლო ქვეყნის ერთგულთ საბრძოლო მგზნებარებით და თავგანწირულებით აღავსებდეს“, რადგან ნ. ნიკოლაძის მოხდენილი განმარტებით „პოეზია ცხოვრების პასიური ჰერეტიკი არ არის, არამედ მისი, ამ ცხოვრების ენერჯია“.

რა თქმა უნდა, მეტროლი მწერალს, როგორც ზემოთაც ითქვა, მისი რწმენა და საზოგადოებრივი იდეალები უნდა უნათებდნენ გზას, მაგრამ მას არც მარტო მაღალი იდეალების შემუშავებით დაქმავთილება მართებს. მწერალი ამ იდეალების განხორციელებისათვისაც უნდა ზრუნავდეს და იბრძოდეს პრაქტიკულად, რადგან „ხალხის ხსოვნაში მწერლები რჩებიან არა მარტო იმის მიხედვით — წერდა ნ. ნიკოლაძე — თუ რა სიახლე შეიტანეს მათ ამ ხალხის ცხოვრებაში, არამედ უმთავრესად იმის გამო, თუ რა გააკეთეს რეალურად მისი ბედის გაუმჯობესებისათვის“. ხალხისათვის დასახსომებელი და ძვირფასია მხოლოდ ისეთი მწერლები — განაგრძობდა თავის აზრს ნიკოლაძე, — რომლებიც მუდამ მხარში უდგანან და შევლიან სამშობლოს წინსვლას, მის პროგრესს... რაც უფრო ძლიერია და ღრმა მწერლის სიყვარული სამშობლოსადმი, მით უფრო მეტი მგზნებარებით უნდა ეკიდებოდეს იგი სახალხო საქმეს. პატრიოტი მწერალი არა თუ არ უნდა ურიგდებოდეს საქვეყნო საქმისადმი გულგრილსა და ობიექტივისტურ დამოკიდებულებას, არამედ ამგვარი საქციელის უბრალო გაგონებაც კი ზიზღს უნდა იწვევდეს მასში“.

ნამდვილი მწერალი ყოველგვარი ფილისტერობის შეტრიგებელი მოწინააღმდეგე უნდა იყოსო — ამბობდა ნ. ნიკოლაძე, — და მეშინური, ობიექტიული კმაყოფილების მტრებად უნდა სახავდეს, მისი აზრით, მწერალი თავის გმირებსაც. ცხოვრება ხომ ბრძოლაა, ამბობდა ნ. ნიკოლაძე, და ამ ბრძოლაში, რომელიც სიყვარულს, თავგანწირვასა და ზოგჯერ უღმობელობასაც მოითხოვს ჩვენგან, არაფერი გამოსადეგია ის უსისხლო ადამიანები, რომლებიც მუდამ მერყევი, გაუბედავი, გადაუწყვეტელნი არიან თავიანთ მოქმედებაში და პრაქტიკულად ვერაფერს მატებენ ვერც ქვეყანას და ვერც თავისთავსო. და თუ ეს მეტროლი და შეუპოვარი გმირები დღეს არ არიან მწერლო-

ბაში, ამბობდა ნ. ნიკოლაძე, ისინი ხვალ მინც გამოჩნდებიან იქ, რადგან ხალხი თავისი წიალიდან უეჭველად წარმოშობს ისეთ შემოქმედებს, რომლებიც ახალ ჰორიზონტებს გადაუშლიან ლიტერატურას, განვითარების ახალ, უმჯობეს გზაზე მიუთითებენ მას და ხალხის ახლანდელი ბედნიერების, მისი ტივილებისა და მისწრაფებების ნათელსაყოფად უფრო მეტყველ სახეებს, ტიპებსა და საღებავებს შექმნიანო.

ამიტომ მიაჩნდა ნიკოლაძეს შემოქმედის ერთ-ერთ პირველ ამოცანად ნაწარმოებისათვის აქტუალური თემისა და საგნის შერჩევა, იმის გათვალისწინება, რომ იგი, ეს საგანი თუ თემა, ხალხისათვის მისაღებია და სასარგებლოც უნდა ყოფილიყო.

როგორც რევოლუციონერ-დემოკრატს, ნ. ნიკოლაძეს სწამდა, რომ „მწერალი სურათებით უნდა სჯიდეს ცხოვრებას და არა სიტყვებით, იგი მხატვარი უნდა იყოს და არა რეზონერი“. „სურათებით“ უნდა ასახოს შემოქმედმა, ამბობდა ნ. ნიკოლაძე, „ხალხში არსებული ყველა ელემენტი“ და გამოარკვიოს „საზოგადოების ყოველგვარი სიმპათიები თუ ანტიპათიებიცო“.

ასე განამტკიცებდა ნ. ნიკოლაძე ქართულ მწერლობაში ესთეტიკის იმ რეალისტურ პრინციპს, რომლის პირველი გზის გამკვლავი და დამცველი ჩვენს ქვეყანაში ილია ჭავჭავაძე იყო.

გასული საუკუნის ქართულ მწერლობაში ისეთი დროც იყო, როდესაც „ასახვის თეორიის“ ბაიბახტარი კრიტიკოსი შემოქმედებას ცხოვრების თავისებურ სარკედ თვლიდა, მაგრამ ამის გამო მწერლობასა და ხელოვნებაში მკვდარი ფორტგრაფიზმის მომხრე და დამცველი იგი არასოდეს არ ყოფილა. პირიქით, მწრალი და უსიციოცხო ემპირიზმის მოწინააღმდეგე ნიკოლაძე ყოველთვის იმას ამტკიცებდა, რომ სწორი მსოფლმხედველობით შეიარაღებულ მწერალს მოვლენათა არსის დანახვა და ასახვა უნდა შე-

ეძლოს, რადგან, როგორც ნიკოლაძე ამბობდა, „კაცი სარკე არ არის“ და არც მისი „ტვინია მკვდარი“, მას, ამ ტვინს, „თავისი საკუთარი ცხოვრება და მოძრაობა აქვსო“.

ამ განცხადებით, ნიკოლაძე, ცხადია, შემოქმედების პროცესის აბსოლუტური თავისუფლების მომხრედ არ გამოდიოდა, რადგან მას არაერთხელ შეუნიშნავს კატეგორიულად, რომ „მწერლის მოქმედება თვითონ იმ საზოგადოების მდგომარეობაზე დამოკიდებული, რომელშიაც იგი ცხოვრობს, იმის ხასიათზე და წაიღზე, იმის ბედზეო“.

ცხოვრებისეული სიმართლე უნდა ედოს საფუძველში ყოველ ნაწარმოებას, ამბობდა ნ. ნიკოლაძე, და ამიტომ მიეაქცევთ ჩვენ მთავარ ყურადღებას მის „შინაარსს, იმ დედაზრს“, რომელიც მისი ყველაზე „გამძლე და ხანგრძლივი შინაგანი ძალა“ არისო.

რეალისტურად მოაზროვნე კრიტიკოსის რწმენით, „გამძლე და ხანგრძლივი“ შეიძლება იყოს მხოლოდ ის აზრი შემოქმედისა, რომელსაც ძალა შესწევს „წინ წაადგმევის ფეხი თავის ერს სიკეთისაკენ“, იმ სიკეთისაკენ, რომლის უმაღლეს საფეხურს ხალხის და პიროვნების თავისუფლება წარმოადგენსო.

რა თქმა უნდა, კრიტიკოსი, რომელიც მწერლობისაგან უპირველეს ყოვლისა ერისა და საზოგადოების სამსახურს, მათი სამართლიანი უფლებების დაცვას მოითხოვდა, არ შეიძლებოდა მტრულად განწყობილი არ ყოფილიყო თვითმიზნური ესთეტიკისა და ლიტერატურული სნობიზმის მიმართ.

„შეუფარავი რელიზმი“, რომლის თეორეტიკოსიც ნ. ნიკოლაძე იყო ჩვენში, ამტკიცებდა იგი, რომ მხატვრულ ნაწარმოებს ადამიანთა და საზოგადოების გონებისა და გრძნობისაკენ გზას უხსნის არა მარტო აზრისეული შინაარსი, არამედ მისი ემოციური ზემოქმედების ძალაცო. ნამდვილი მხატვრული ნაწარ-

ვლადიმერ ზამბახიძე  
„ახალი ესთეტიკის“ ფალავანი



მოები, ამბობდა ნ. ნიკოლაძე, მაღალი ერთიანობაა საზოგადოებრივად სასარგებლო აზრისა და იმ „გრძნობიერებისა, რომელიც იმას როდი ნიშნავს, რომ პოეტმა მარტო სიყვარულზე და ვარდ-ბულბულზე იმღეროს, რადგან კეთილი სულის მოძრაობა, მშვენიერი ლტოლვილება და გულის სიმაღლე თითქმის ნიადაგ ხვედრად რგებიან უმჯობეს პოეტებს და უგონიერეს კაცის გულის მცნობელებს. ეს სიმაღლე პოეტს მარტო თავისთვის შენახული კი არ უნდა ჰქონდეს: მისი დანიშნულების უმაღლესი გვირგვინი იმაში მდგომარეობს, რომ იმავე სიმაღლემდე ასწიოს და აამაღლოს მკითხველის გრძნობა და ხასიათი და მის გულში ის წმინდა ალი და გრძნობა ჩანერგოს, რომელიც ადამიანის გულის ვაცნობამ და გამოკვლევამ პოეტის გულში დაბადა“.

მწერალს უნდა შეეძლოს ადამიანთა არა მარტო აზრების წაყიხვა, არამედ მათ გულში ჩახედვაც და ამის კლასიკურ მაგალითად გასულ საუკუნეში ნ. ნიკოლაძე რუსთაველს ასახელებდა. მისი რწმენით, ადამიანის გულის მრავალ საიდუმლოებათა პოეტური ამოცნობის გამო იქცა „ფეხვისტყაოსანი“ მარადიული ღირებულების ნაწარმოებად. გრიგოლ ორბელიანიც იმატომ იჭერს ჩვენს სულში განსაკუთრებულ ადგილს, ამბობდა ნ. ნიკოლაძე, რომ მაღალი აზრების ქადაგებასთან ერთად პოეტი „სხვის გულშიაც გამჭირიხად იტკირება, სხვის კანშიაც შესვლა იცის და სხვის მაგიერ გრძნობაც“. ტბილსა და ვაჟაკურ „სადღეგრძელოს“, ამ უმჯობეს ლექსს გრიგოლ ორბელიანსა და ერთ უმჯობესთაგანს მთელს ჩვენს მწერლობაში“, ნ. ნიკოლაძე იმიტომაც სთვლიდა უკვდავად, რომ იგი „ადამიანის გრძნობის ამაღლებას, მისი მაღალი დანიშნულების ასრულებას“ ემსახურება.

ნ. ნიკოლაძე, როგორც ვთქვით, ფორმალისტური ჩხირკედელაობისა და ესთეტიკობის შეუთრეგებელი მტერი იყო მწერლობაში, მაგრამ ეს იმას როდი

ნიშნავს, რომ თითქოს იგი ნაწარმოებში მხატვრულ ღირსებას სათანადოდ არ აფასებდა. ნ. ნიკოლაძე მუდამ უდიდესი გულისყურითა და პასუხისმგებლობით ეკიდებოდა ლიტერატურული ნაწარმოების მხატვრულ ანალიზს, რადგან, როგორც თვით წერდა, „ხალხის გულისა და მესხიერებისაკენ გზას უნდა პოულობდეს მწერლის არა მარტო აზრი, არამედ შედარება, სურათი“, რომელიც ცალკეულ შემთხვევებში „ანდაზადაც უნდა იქცეოდეს და ბავშვების პირველ ლაპარაკშიც იზმარებოდესო“. შემოქმედების ასეთი ძალით გამოირჩევა ნ. ნიკოლაძის აზრით, კერძოდ, გრიგოლ ორბელიანის ის „მშვენიერი სურათები და შედარებები, რომელთა მსგავსი იშვიათად წარმოგვიდგენს არა თუ ჩვენი, არამედ ევროპული პოეზიაც“ და რომლებიც ქართულ მწერლობაში მუდამ დარჩებიან პოეტური სიტყვის ნამდვილ შედეგებათ.

როგორც ზემოთაც ითქვა, მწერლობა, პოეზია მარტო ესთეტიკური ტყობის საგანი არ არის. ცნობილია მისი დიდი შემცენებითი მნიშვნელობაც ადამიანისათვის, საზოგადოებისათვის, ერისათვის და ამიტომ აუცილებელი არისო, ამბობდა ნ. ნიკოლაძე, „საზოგადოების უკეთესი იდეალის გამომსახველებთან“ ერთად ისეთი ნაწარმოებებიც შევთავაზოთ მკითხველს, რომლებიც მას ხალხის ცხოვრებას, სინამდვილეს გააცნობენ „არა მარტო ერთის მხრით და გადაჭარბებით“, არამედ სრულად, ყველა მისი ნათელი და ჩრდილოვანი მხარეებით, სიკეთითა და ბოროტებით. და ეს საჭიროა მით უმეტეს, განაგრძობდა კრიტიკოსი, რომ „ქვეყანაზე არ მოიბოვება არც ნამდვილად და მთლად ერთიანად ავი კაცი, ბოროტებით თავიდან ფეხებამდე აღვსილი, არც ანგელოზების მსგავსი გმირი“. ეს სინთეზური მხატვრული ტილო კი, „ხელოვნური მწერლობის მოთხოვნილებასაც დააკმაყოფილებდა და თან საზოგადო მიზანს სარგებლობას მოუტანდა, ქვეყნის პოლიტიკურ გახსნას (ე. ი. მის პოლიტიკურ

მომწიფებს — ვ. ზ.) დაეხმარებოდა და გაადვილებდაო“, ასახულებდა თავის აზრს ნ. ნიკოლაძე.

ასე მივიდა ქართველი მესამოციანელი რეალისტური ესთეტიკის იმ ძირითადი კანონის აღიარებისა და დაცვის აუცილებლობამდე, რომელსაც იგი, სავსებით მართებულად, „ტიპიური ხასიათების, მოვლენების ტიპიურ გარემოში გამოსახვას“ უწოდებდა. ნიკოლაძეს აზრით, ხელოვნებისა და ლიტერატურის ნაწარმოებს ნამდვილ სიცოცხლეს ტიპიურობა ანიჭებს, ხოლო ის, რაც მასში „კერძო, ინდივიდუალური და წვრილმანია“, უკვალოდ ჰქრება და ისპობა.

როგორც ამ სტატიაშიც არაერთხელ შევნიშნეთ, ნ. ნიკოლაძე მწერლობას „ცხოვრების ასახვას ავალებდა, მაგრამ კრიტიკოსი არასოდეს არ იფიქრებდა იმასაც, რომ ლიტერატურა თავის მხრითაც უნდა უკუხეიმოქმედებდეს ცხოვრებაზე იმგვარად, რომ „სარგებლობა მოჰქონდეს საზოგადოებისათვის“. როგორც იგი არწმუნებდა მკითხველს, „მდიდარი მწერლობის ბელეტრისტიკა დიდს შემწეობას ახმარებს თავისი ხალხის აღზრდას, მართო ადამიანის ხასიათის გაწვრთნითა და გაუმჯობესებით კი არა, იმიტაც, რომ მკითხველს დიდძალს გამოცდილებას აძლევს სხვადასხვაგვარი ხასიათების გამოსახვით... ხოლო როცა ესა თუ ის პირი ცხოვრებაში გაერკვევა და ცოცხალ ადამიანებს წააწყდება, იგი კარგს ავისაგან ადვილად გაარჩევს ტიპთან შედარების შემწეობით“.

თუ მწერლობისათვის საერთოდ სავალდებულოა „ცხოვრების ასახვა“ ისე, რომ „სარგებლობა მოჰქონდეს საზოგადოებისათვის“, მაშინ იგი სავალდებულო ყოფილა ლიტერატურის ყველა ქანრისათვის და მათ შორის, დრამატურგიისათვისაც.

ამიტომ, სხვასთან ერთად, დრამატიული ნაწარმოებიც სიმართლით ანუ კრი-

ტიკულად უნდა ასახავდეს ცხოვრების მოვლენებს და არა თუ ასახავდეს, არამედ ერთგვარი განაჩენიც გამოჰქონდეს მათ მიმართ, სორგუნვიდეს ცუდს, მანკიერს, რეგრესულს და ზურგს უმაგრებდეს კარგს, ჯანსაღსა და პროგრესულს, ამბობდა ნ. ნიკოლაძე. რევოლუციურ-დემოკრატიული ესთეტიკის მომხრე ქართველი მესამოციანელი იმასაც აშკარად ქადაგებდა იმ დროს, რომ ყოველი ნამდვილი დრამატიული ნაწარმოები მეტრძოლი სულით უნდა აღანთებდეს ხალხს და საქვეყნო საქმეებისათვის რაზმავდეს მასო.

გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან ჩვენ ქვეყანაში დაწყებული ახალი ცხოვრება, ახალი იდეებისა და ფორმის დრამატურგიას მოითხოვდა კატეგორიულად და ნიკოლაძეც გ. წერეთლის ახალი კომედიების პროტოტიპის, „ახალი მანერის“ კომედიის „ჯიბრის“ მაგალითზე იმას ავალებდა თითოეულ დრამატურგს, რომ „ჩვენი ნამდვილი ცხოვრების, ჩვენი საზოგადოების, ჩვენი ხალხის მდგომარეობა და ხასიათი დაგვიხატოს, ჩვენი ხალხის, ჩვენი საზოგადოების შიგ ჩაგვახედოს, მისი ღზინი და ჭირი დაგვანახოს სწორ ფოკუსში, სწორი გაშუქებით“, ე. ი. მათ ტიპიურობაშიო.

ნიკოლაძის აზრით, ხანგრძლივი სიცოცხლე მხოლოდ იმ დრამატიულ ნაწარმოებს უწერია და თანამედროვეობისა და ისტორიისათვის იმას აქვს ფასი და მნიშვნელობა, რომელშიაც მეტი სისრულითა და მრავალფეროვნებით არის წარმოდგენილი ეპოქის სული და ცხოვრება. და თუ ჩვენთვის ცნობილი მრავალი დრამატიული ნაწარმოებიდან ზოგიერთმა ვერც თანამედროვეებზე მოახდინა შთაბეჭდილება და ვერც

ვლადიმერ ზამზახიძე  
„ახალი ესთეტიკის“ ფალავანი

ისტორიის კუთვნილებად იქცა, ეს იმიტომ, ირწმუნებოდა ნიკოლაძე, რომ ისინი როგორც იდეურად, ისე ფორმითაც „ერთ კალაპოტზე იყვნენ ჩამოსხმულნი“.

ძველთაგანვე ცნობილია, რომ არც ერთი ფილოსოფიური თუ ესთეტიკური პრინციპი მარადიული არ არის და ისინი ეპოქათა მოთხოვნების შესაბამისად იცვლებიან. ეს კარგად იცოდა ნ. ნიკოლაძემაც. კრიტიკოსმა ისიც კარგად იცოდა, რომ ყველა იმ მხარეთა შორის, რომლებიც დრამატიული ნაწარმოების ძალის ბუ სისუსტის მაჩვენებელია, ერთი უმთავრესთაგანი ისაა, დატულია თუ არა მასში „ტიპიური ხასიათების ტიპიურ გარემოში“ გამოსახვის პრინციპი. კრიტიკოსმა ა. ჩხვირის პიესა „ივანოვი“, სწორედ იმის გამო დაიწუნა, რომ „ამ დრამის გარშემო შემოკრებილი მოქმედი პირები არც ტიპიურნი არიან, არც ხასიათებს წარმოადგენენ და არც ბუნებრივ გარემოში არ არიან მოქცეულნი“.

გოგოლის „რევიზორის“ ძალა კი იმაშიაო, ამბობდა იგი, რომ მასში არაფერია კერძო, ანეგდოტური, შემთხვევითი და ადგილობრივი. თვით-ანეგდოტი, რომელიც კომედიის ფაბულადაა გამოყენებული, სადღაც ჰქრება და წინა პლანზე წამოწეულია ჩვენი სინამდვილის ისეთი მხარეები, რომლებსაც საზოგადოების ყველა ფენისა და ქვეყნის ყველა კუთხის წარმომადგენლისათვის, ყველა მოქალაქისათვის აქვს მნიშვნელობა. „ეს კომედია, — წერდა ნიკოლაძე — ეპიზოდური ამბების უაზრო შენათითხნი, ქანრული ჩანახატი, სინამდვილის გარეგანი მხარეების ფოტოგრაფიული სურათი კი არ არის, არამედ საბრალმდებლო განაჩენია თვით ამ სინამდვილის მიმართ. როდესაც ჩვენ კომედიას ვუცქერთ, უნებლიეთ

ვგრძნობთ, რომ იგი ჩვენს სულსა და გულს ეხება იმით, რომ ჩვენს ცხოვრებასა და ჩვენს მდგომარეობას გვისურათებს. ზოლო. როდესაც პიესისაგან ჩვენ ვღებულობთ პასუხს ცხოვრების მიერ წამოყენებულ კითხვებზე, მაშინ კომედია რა თქმა უნდა გვიტაცებს, გვზრდის, გვაძალღებს და დახმარებასაც გვიწევს, რომ უკეთ შევიგრძნოთ ჩვენი კავშირი მახლობელთან“.

ნიკოლაძე სწორად ამტკიცებდა, რომ ყველა მწერალი, რომელიც „რევიზორისათვის“ დამახასიათებელი ჰქუილია და სიმართლით შეეხებოდა თანამედროვე ცხოვრების საკითხებს, ერთი ნაწარმოების ფოკუსში მოაქცევდა ჩვენი სინამდვილის სურათებს, გახსნიდა ჩვენი ცხოვრების იარებს, გონიერად დაადებდა მსჯავრს ჩვენს მდგომარეობას, იგი ადვილად დარწმუნდებოდა იმაში, რომ მის სიტყვას მართლაც ჰქონია ძალა და მნიშვნელობა.

ამ აზრის წამოყენებით ნ. ნიკოლაძე ერთის მხრივ გმობდა იდეურად ყალბ დრამატურგიას და მეორეს მხრივ მოუწოდებდა ქვეყნის ყველა შემოქმედს, რომ ერთსულოვნად დარაზმულიყვნენ ჩვენი ხალხის, ერის, საზოგადოების ინტერესთა სადარაჯოზე და მჩაგვრელებთან ბრძოლით გაეკავათ გზა იმ ახალი, ჰუმანური იდეალებისათვის, რომლებიც უკუღმართ დროში გამეფებული „უგულო ეგოიზმის ნაცვლად, ადამიანთა შეგნებაში თანამემამულეებთან, მთელ კაცობრიობასთან მჭიდრო სოლიდარობის აზრს განამტკიცებდა“.

ნ. ნიკოლაძე ლამაზი ფრაზის უღმობელი მტერი იყო მწერლობაში და ეს სიტყვებიც არაერთად შემთხვევაში კრიტიკოსის ლიტონ განცხადებად არ უნდა წარმოვიდგინოთ. ამით მან მხოლოდ ის გააკეთა, რომ თავისი სანუკვარი ოცნება გაუმეღავნა მკითხველებს, ხალხს

და მწერლობას შემდგომი განვითარების სწორ გზაზე მიუთითა.

ერთხელ ა. გერცენმა, ხოლო მეორედ ს. მესხმა, ახალგაზრდა ვეფხვს შეადარეს ნ. ნიკოლაძე. ბუნებით დაუდევარი, უკომპრომისო და შემეტვეი, იგი მართლაც ბრძოლას მოწყურებულ ვეფხვს მოაგონებდა თავის მტრებსაც და მეგობრებსაც. ვეფხვივით თავდამსხმელი იყო იგი. მოწინააღმდეგეებთან შეჯახებისას და ამიტომ წერდა ერთხელ მრისხანედ: „ვის გაუგონია მწერლობაში მოახლური კილო, პირფერული სიტყვები, პირში მოქალაქუნება? ნამდვილ მწერლობას ყოველგან და ყოველთვის პირდაპირი, პირმოუფერებელი, გულწრფელი ენა სჩვევია, არა თუ საზოგადო საქმეების წაყვანასა და განხილვაში, არამედ უბრალო პოლემიკაში და სიტყვიერებაშიაც“.

ეს პირდაპირობა და გამბედაობა მით უმეტეს სავალდებულოა კრიტიკოსისათვის, შენიშნავდა ნ. ნიკოლაძე, რომ იგი განსხვავებულ ქანში მომუშავე ის მწერალია, რომელსაც „ევალება საზოგადო ცხოვრების გამოკვლევა, ახსნა და დაფასება. რაკი ადამიანთა უმრავლესობაში თითქოს უჩინარად და გაუცნობიერებლად არსებულ საზოგადო მოთხოვნილებასა და აზრს ხელმძღვანელი კრიტიკა ხორცს შესახამს, ვააცხოველებს და გასაგებად გამოთქვამს და თანაც მიზნის ნისაღწევად სწორ მიმართულებაზე მიუთითებს, მაშინ ეს აზრი ისეთ ძალად გადაიქცევა, რომელიც ყოველთვის შეძლებს საზოგადო მდგომარეობისა და ბედის გაუმჯობესებას, რადგან მისი გამოკვლევიტა და ნათლად გამოსახვით შესაძლებელი გახდება იმ მოთხოვნილების დაკმაყოფილება, რომელმაც ეს აზრი და გრძნობა დაბადეს ადამიანებში. კრიტიკა იმასაც უნდა

აქცევდეს ყურადღებას, — განაგრძობდა ნ. ნიკოლაძე — თუ რა უშთაერესი საჭიროებაა რომელიმე დროს საზოგადო ცხოვრებისათვის, რა მხრით და რა კილოზე უნდა იყოს მიმართული ლიტერატურის შრომა და რამდენად ასრულებს ამ საჭიროებას სხვადასხვა თხზულება, სხვადასხვა მწერალი. ამ აზრით ხელმძღვანელი კრიტიკა ნიადაგ ტონს უნდა აძლევდეს თავის ლიტერატურას და ისე უნდა მიმართავდეს მის ძალას და შრომას, როგორც ეს უკეთესი იქნება საზოგადო ცხოვრებისათვის“.

ამრიგად, კრიტიკა, ნ. ნიკოლაძის აზრით, მწერლობის არა მარტო შემფასებელი უნდა იყოს, არამედ ტონის მიმცემიც და ამასთანავე, მოთავე იმ საქმეებისა, რომლებიც, როგორც გარკვეულ პერიოდებში, ისე საერთოდაც „წარმოადგენენ საზოგადო ცხოვრების უშთაერეს საჭიროებას“. ნ. ნიკოლაძე კი „საზოგადო ცხოვრების უშთაერეს საჭიროებად“ ეროვნული და სოციალური მონობის უღლიდან ჩვენი ხალხის გათავისუფლება მიაჩნდა ყოველთვის. ეს არის, ამბობდა ნ. ნიკოლაძე, ის პირველი ამოცანა და მიზანი, რომლის განხორციელებისათვის უნდა იბრძოდეს მამულის ერთგული ყოველი მწერალი. მაგრამ, „როგორ და რა საშუალებით დაეუფლება მწერალი, პოეტი ამ მიზანს, ეს, — შენიშნავდა ნიკოლაძე — მათი საიდუმლოებაა. კრიტიკის დანიშნულება იმაში კი არ მდგომარეობს, რომ მწერლებისა და პოეტებისათვის წერის იარაღი ამზადოს ან მათ სურათების ხატვა ასწავლოს, კრიტიკა მწერალს ეუბნება: იხმარე ის საშუალება, რომელიც ნიჭს შენთვის მოუცია, დაადექ იმ

ვლადიმერ ზამბახიძე  
„ახალი ესთეტიკის“ ფალავანი

გზას, რომელიც შენს გონებას და ხასიათს მოუხდება, სთქვი როგორც გინდა და რაც გინდა, ოღონდ შენი ნათქვამი ნათლად გასაგები და დასამახსოვრებელი იყოს და შენი გრძნობა და აზრი შემცდარი და ხალხისათვის საენებელი არ იყოს“.

ამ ჭეშმარიტებათა სადარაჯოზე იმყოფებოდა მუდამ ნიკო ნიკოლაძე, გასული საუკუნის მეორე ნახევრის ქართული კრიტიკული აზრის დიდი ფალანგი, რომელმაც თავისი ნათელი ნიჭით ფასდაუდებელი ამაგი დასდო საქართველოში მოწინავე ესთეტიკური აზრის შექმნასა და განვითარებას.







## როინ მავრევილი

საქართველოს კომკავშირის  
ცენტრალური კომიტეტის მდივანი

### სიკაბუჯის, სიღამაჯისა და ძალის ზეიმი

1963 წლის 10 აგვისტოს გაიხსნა საბჭოთა კავშირის ხალხთა III სპარტაკიადი. ჩვენს ქვეყანაში უკვე მესამეჯერ ტარდება ეს უდიდესი სპორტული ღონისძიება, ვაჟაკობისა და სიღამაჯის, სიკაბუჯის დიდი დღესასწაული. წელს განსაკუთრებული ზეიმით აღინიშნა ფიზკულტურელის დღე.

სპარტაკიადის შედეგებმა ერთხელ კიდევ დაადასტურა საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის დევიზის, „მასობრიობისა და ოსტატობისათვის“, ცხოველყოფილობა.

სპარტაკიადაში 66 მილიონი სპორტსმენი მონაწილეობდა. ეს ციფრი იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენში ფიზკულტურა და სპორტი ყველა ასაკის, პროფესიისა და ეროვნების ადამიანთა კუთვნილება გახდა. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ევერი ბრენდეჯი იძულებული გახდა ელიარებინა: „ჩვენს დროში ბევრს ავიწყდება, რომ ოლიმპიური მოძრაობის ძირითადი პრინციპია არა მედლები და რეკორდები სპორტში, არამედ მონაწილეობა შეჯიბრებებში. ამ აზრით საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადი, რომელშიც 66 მილიონი ადამიანი მონაწილეობდა, ნამდვილად და მთლიანად უპასუხებს ოლიმპიურ იდეალებს“.

უნდა ვთქვათ, რომ არც რეკორდები და მედლები ყოფილა ცოტა. ფინალური ას-

პარეზობის დროს დამყარებულ იქნა 6 მსოფლიო, 9 ევროპის, 35 საკავშირო და 386 რესპუბლიკური რეკორდი. მსოფლიო რეკორდები დაამყარეს რუსეთის ფედერაციის, უკრაინის, ლიტვისა და სომხეთის წარმომადგენლებმა; ევროპის რეკორდები — მოსკოვისა და ბელორუსიის სპორტსმენებმა. საკავშირო რეკორდები — 10 რუსეთის ფედერაციამ, 8 — მოსკოვმა, 3 — ლენინგრადმა, 5 — უკრაინამ, 1 — ბელორუსიამ, 2 — უზბეკეთმა, 1 — ლიტვამ, 2 — სომხეთმა. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა გააუმჯობესეს 20 რესპუბლიკური რეკორდი.

გრანდიოზულობითა და სიღამაჯით მნახველზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა სპარტაკიადის გახსნის ზეიმმა. „საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადი შესანიშნავი სანახაობაა! გახსნის ზეიმი ყველაზე უფრო მხატვრული, მდიდრული სპექტაკლია, რომელიც ოდესმე მიწაზე, სპექტაკლი შესანიშნავი რეჟისურით“, — ასეთი შეფასება მისცა სპარტაკიადის გახსნის ზეიმს იაპონიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის წევრმა კენკიჩი ოსიმამ. მეტად დასამახსოვრებელი იყო ყველაზე მცირე და ყველაზე დიდი ასაკის სპორტსმენთა კოლონები. თეთრწვერა მოხუცები მხნედ და ამაყად მიიბიჯებდნენ. ამ კოლონას წინ უძღოდნენ ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილე-



საქართველოს სპორტსმენებს მოაქვთ სსრ კავშირის  
მინისტრთა საბჭოს ჯილდო

ბი — ასი წლის მოხუცები ნესტორ აშუბა და ასტანა შლარბა.

რა შეიძლება ითქვას საქართველოს სპორტულ კოლექტივზე. ალბათ ძალიან ბევრი.

უპირველესად ის, რომ ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენები უკვე მესამეჯერ გამოდიან თეხუთე ადგილზე, რაც არც თუ ისე მცირე მიღწევაა. დიახ, ჩვენი სპორტსმენები თავიანთი მაჩვენებლებით მხარდამხარ მიპყვებიან მოსკოვის, ლენინგრადისა და უკრაინის სპორტსმენებს. განა უდიდესი საჩუქარი არ არის რესპუბლიკისათვის ის, რომ საქართველოს წარგზავნილებმა მეხუთე ადგილთან ერთად ჩამოიტანეს 8 ოქროს, 25 ვერცხლის, 30 ბრინჯაოს მედალი, რომ მათ დაიკავეს 137 საპრიზო ადგილი, შესრულებული იქნა 60 ოსტატის ნორმატივი და დამყარებულ იქნა 14 რესპუბლიკური რეკორდი. ეს დიდი ბრძოლისა და ვეჯაკური შემართების ნაყოფი იყო.

საქართველოს სპორტული კოლექტივი სპარტაკიადაზე 134,5 ქულით მივიდა. ეს მოსწავლეთა სპარტაკიადის შე-

დეგი იყო (მოსწავლეთა სპარტაკიადაზე მოპოვებული ქულათა რაოდენობა დებულების მიხედვით ემატება რესპუბლიკის სპორტული კოლექტივის მაჩვენებლებს). უნდა ითქვას, რომ მოსწავლეთა სპარტაკიადის შედეგი არ იყო ცუდი. მართალია, რსფსრ-ს ჩამოვრჩებოდით 0,5 ქულით, მაგრამ სამაგიეროდ 12 ქულით ვუსწრებდით ლენინგრადის სპორტულ კოლექტივს. საქართველოს მოსწავლეებს აღნიშნულ სპარტაკიადაზე მოპოვებული ჰქონდათ 28 ოქროს, 12 ვერცხლისა და 16 ბრინჯაოს მედალი. ასეთი მარაგით წარვსდევით სპარტაკიადის ძირითად ეტაპზე.

დაიწყო დიდი ბრძოლა, ნებისყოფისა და ნერვების, ოსტატობის ჭიდილი. პირველი მედლები ტყვიით მსროლელებმა კ. სტროევმა და ლ. ჟურულმა შეგვიძინეს. შემდეგ მათ მოჰიდავებოც შეემატენ. აი მათი გვარებიც: ომარ ეგაძე, რომან რურუა, ზარიბეგ ბერიაშვილი, ვლადიმერ რუბაშვილი.

მეტად საინტერესო იყო ბრძოლა ველოსიპედის სპინტში, სადაც მონაწი-



ლეობას იღებდა ცხრამეტი წლის ომარ ფხაკაძე (სხვათა შორის, მას შეჯიბრის დღეს შეუსრულდა 19 წელი). საინტერესო და დაძაბული იყო მისი შერკინება საბჭოთა კავშირის არაერთგზის ჩემპიონთან იმანტ ბოდნიეკსთან. იმანტ ბოდნიეკსი მოულოდნელად გაიჭრა წინ და გაუსწრო თავის ახალგაზრდა მეტოქეს. თითქოს ყველაფერი გადაწყვეტილი იყო და მაყურებლები უკვე ფიქრობდნენ, რომ სულ მალე მსაჯთა კოლეგია ველოსიპედის სპრინტში სპარტაკიადის ოქროს მედლის მფლობელად ბოდნიეკსს გამოაცხადებდა. მაგრამ სწორედ ამ დროს ტრეკზე მოულოდნელი რამ მოხდა. ახალგაზრდა ველოსპრინტერმა, რომელსაც ბრძოლა ფაქტიურად წაგებული ჰქონდა, უკანასკნელი ძალი მოიკრიბა და უძლიერესი ფინიშით გამარჯვება მოიპოვა.

ვაქაკატური შერკინების ბევრი მაგალითის ჩამოთვლა შეიძლებოდა, მაგრამ ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება ერთს გვინდა მივაქციოთ:

საქართველოს წყალბურთელთა ნაკრები კოლექტივი ერთ-ერთი სანიმუშო კოლექტივთაგანია რესპუბლიკაში. ეს არის კარგად შეთამაშებული გუნდი, რომელსაც წვრთნის სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი ნოდარ გვახარია. დიდი ხანია ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გასცდა გივი ჩიქვაძეაძის, ლერი გოგოლაძის, ოთარ მიმინოშვილის, ირაკლი ჩხიკვაძისა და სხვათა სახელები. კარგ თამაშთან ერთად ამ გუნდის წევრებს ახასიათებთ ძლიერი ნებისყოფა და გამარჯვებისკენ დიდი სწრაფვა.

დაუვიწყარია ჩვენი წყალბურთელების შეხვედრა უკრაინის გუნდთან. აქამდე ქართველი წყალბურთელები დაუმარცხებლად მოვიდნენ. თამაში თავიდან ისე წარიმართა, რომ უკრაინის კოლექტივი წინ გავიდა. მესამე პერიოდის დასაწყისში ტაბლო 3:1 უჩვენებდა უკრაინელთა სასარგებლოდ. სწორედ აქ იჩინა თავი გუნდის მორალურმა მომზადებამ. ჩვენი წყალბურთელები მთე-

ლი ძალით ეკვეთნენ მოწინააღმდეგეს და სულ რაღაც შევიდოდე წუთში ანგარიში გათანაბრდა, ხოლო თამაში, ანგარიშით 4:3, მოვიგეთ კიდევ. ეს ნამდვილად ვაქაკატური შერკინება იყო.

მოლოდინს გადააჭარბა ფრენბურთელების გამოსვლამ. ამას იმიტომ ვამბობთ, რომ არავის ეგონა, თუ გუნდი ასეთ წარმატებას მიაღწევდა: ვაქებმა დაიკავეს მესამე საპრიზო ადგილი, ხოლო ქალებმა — მერვე.

არ შეიძლება ვუსაყვედუროთ ტანმოვარჯიშეებს, რომლებმაც დაიკავეს საერთო მეოთხე ადგილი და დამატაციეს, რომ ამ კოლექტივში ნიჭიერი, მზარდი ახალგაზრდები არიან. მოწონება დაიმსახურა მზია ნინოშვილის მიერ შესრულებულმა ვარჯიშებმა. იგი ჩვენი ქვეყნის ტანმოვარჯიშე ქალთა ათეულში იმყოფება.

საერთოდ საქართველოს სპორტსმენთა გუნდური შედეგები ასეთი იყო:

1. ტყვიით სროლა	IX	დგ	უ
2. ძალოსნობა	VII		
3. ველოსპორტი (გზატაკცილი)	XV		
4. აკადემიური ნიჩბოსნობა	VIII		
5. კალათბურთი (ვაუები)	VII		
6. " (ქალები)	XIII		
7. კრივი	VIII—IX		
8. თავისუფალი ჭიდაობა	II		
9. კლასიკური ჭიდაობა	II		
10. ფრენბურთი (ვაუები)	III		
11. " (ქალები)	VIII		
12. ტანვარჯიში	IV		
13. მძლეოსნობა	IX		
14. ცურვა	V		
15. თანამედროვე ხუთჭიდი	X		
16. ჩოგბურთი	V		
17. მაგიდის ჩოგბურთი	V		
18. ფარიკაობა	V		
19. ქადრაკი	VI		
20. სასტენდო სროლა	VIII		
21. საბაიძარო ნიჩბოსნობა და კანოე	VI		
22. წყალში ხტომა	VIII		
23. ველოსპორტი (ტრევი)	VI		
24. ცხენოსნობა	IX		

როინ მეტრეველი  
სიჭაბუკის, სილამაზისა და ძალის  
ზეიმი



როგორც ამ მონაცემებიდანაც ჩანს, კარგად გამოვიდნენ ჩოგბურთელები, მოცურავეები, მაგიდის ჩოგბურთელები. დამაკმაყოფილებელი იყო მოფარე-კავეების, ძალოსნების, აკადემიური ნინბოსნების, მოჭადრაკეების მაჩვენებლები (არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ჩვენმა მოჭადრაკეებმა ანგარიშით 5:5 დაამთავრეს შეხვედრა მოსკოვის ძლიერ გუნდთან, რომელიც დამკომპლექტებული იყო ისეთი უძლიერესი მოჭადრაკეებით, როგორცია: პეტროსიანი, ბოტვინიკი, სმისლოვი და სხვ.).

სპარტაკიადაზე ჩვენს სპორტსმენებს ჰქონდათ ნაკლოვანებები, რომლებზედაც არ შეიძლება ყურადღება არ გავამახვილოთ. ვიდრე უშუალოდ ნაკლოვანებებზე გადავიდოდეთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ იყო მომენტები, როცა ჩვენს სპორტულ კოლექტივს მეოთხე ადგილის აღების რეალური შესაძლებლობა ჰქონდა, მაგრამ სწორედ აქ იჩინა თავი ზოგიერთმა შეფერხებამ.

ყველასათვის მოულოდნელი იყო მრავალდღიან საგზატყეველო ველორბოლაში XV ადგილის დაკავება. მრავალი შეჯიბრების ანალიზის გაკეთების შემდეგ აქ სულ ცოტა მეხუთე ადგილს მაინც მოველოდით. ველორბოლები — ს. კვინიკაძე, ე. ბირიუკოვი, ა. თავაძე, რ. გუში, ვ. კეზბა სამარცხვინოდ ჩამორჩნენ თავიანთ მეტოქეებს, რაც მათ სუსტ მომზადებას უნდა მივაწეროთ.

იმედები გაგვიცრუეს კალათბურთელებმა. ვაყებმა დაიკავეს VII, ხოლო ქალებმა XIII ადგილები. ვაჟმა კალათბურთელებმა უპასუხისმგებლობა გამოიჩინეს და წააგეს ესტონეთისა და უკრაინის გუნდებთან. ორივე გუნდთან ანგარიში 10-ზე მეტი ქულით მიგვყავდა, მაგრამ საბოლოოდ ორჯერვე ჩვენ გამოვედით დამარცხებული. ყოველივე ეს ზერელე, არაკოლექტიური თამაშის შედეგი იყო. აღნიშნულმა ნაკლოვანებებმა საქართველოს სპორტსმენებს IV ადგილი დააკარგინა.


მიუხედავად იმისა, რომ პირველი და მეორე სპარტაკიადის საერთო შედეგი განმეორდა, წინსვლა მაინც დიდი იყო. ჩვენ საგრძნობლად გავუსწარით ბელორუსიის გუნდს (58,5 ქულით), უფრო მეტი მედლები მივიღეთ, ვიდრე წინა სპარტაკიადებზე. ჩვენმა სპორტსმენებმა აჩვენეს თავიანთი ძლიერება და სწრაფვა გამარჯვებისაკენ.

ახლა, როცა მესამე სპარტაკიადის ალაში დაშვებულია, კვლავ გრძელდება სპარტაკიადის ძლევამოსილი სვლა. წინ ახალი სპორტული ზღუდებია ასაღები. სპარტაკიადა გენერალური რეპეტიცია იყო ტოკიოს ოლიმპიური ასპარეზობის წინ. „მაღალ შედეგებთან ერთად, — აღნიშნავს სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ი. მაშინი, — სასიხარულოა ახალგაზრდობის ტოკიოში წასვლის კანდიდატი ჰაბუკებისა და ქალიშვილების შეტევა. სპარტაკიადის ჩემპიონის წოდება მოიპოვა ათობით სპორტსმენმა, რომელთაც ჯერ 20 წელი არ შესრულებიათ. ისინი არ მოერიდნენ აღიარებულ ავტორიტეტებზე იერიშის მიტანას. ესენი არიან სვეტლანა ბაბანინა უზბეკეთიდან, უკრაინელი ვალინა პროზუმენშიკოვა, მოსკოველი ნატალია მიხაილოვა, სპორტული საზოგადოება „კოლმეურნის“ წევრი, ახალგაზრდა ქართველი მოჭიდავე რომან რურუა, რომელიც გაბედულად შეება მსოფლიოსა და ოლიმპიური ასპარეზობის ჩემპიონს ოლეგ კარავაევს და დაამარცხა კიდევ“. იური მაშინის სიტყვები ნათლად მეტყველებენ სპარტაკიადის უდიდეს გაქანებაზე.

ფართო გზა მასობრივ სპორტს — ეს დევიზი კვლავ დღის წესრიგში დგას. არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ რესპუბლიკის ნაკრებ კოლექტივში რაიონების მიხედვით სპორტსმენები კანონზომიერად არ იყვნენ წარმოდგენილნი. რესპუბლიკის რაიონების ორ მესამედზე მეტს არც ერთი სპორტსმენი არ მოუტია ნაკრებ გუნდებში (თბილისიდან მონაწილეობდა 355 სპორტსმენი.

სოხუმიდან — 22, ფოთიდან — 14, მცხეთიდან — 13, ბათუმიდან — 12, ქუთაისიდან — 10, რუსთავიდან — 4, მახარაძიდან, — 2, ზუგდიდიდან — 2, ცხინვალიდან, გორიდან, გალიდან და ლესელიძიდან — თითო. დასკვნა ერთია, ბევრი კომკავშირელი და სპორტული ორგანიზაცია ჯერ კიდევ არ აქცევს ყურადღებას სპორტის მასობრივობის საკითხს. ახალგაზრდობისა და, საერთოდ, მოსახლეობის სპორტით

პუბლიკაში სპორტის პროპაგანდის საუკეთესო საშუალებებია. ავიღოთ უბრალო მაგალითი: მეღბურნსა და რომში (ეს ქალაქები ბოლო ორი ოლიმპიური თამაშების სამშობლო იყო) დიდ დაფებზე თვალსაჩინო ადგილას არის გამოკვეთილი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონების მირიან ცალქალამანიძის, გივი კარტოზიას, რობერტ შავლაყაძის პორტრეტები. ჩვენ კი საქართველოს ქალაქებში დღემდე არა გვაქვს რესპუბლიკის




ვიდაობს რომან რურუა

დინტერესება და მასში ჩაბმა შეიძლება მხოლოდ სპორტის პროპაგანდით. იმისათვის, რომ ყველა ადამიანი შეიგნოს, თუ რა სარგებლობა მოაქვს ჯანმრთელობისათვის სპორტს, საჭიროა ქმედითი სააგიტაციო მუშაობა. ფართოდ უნდა გამოვიყენოთ თვით მოწინავე სპორტსმენები, რომლებიც საქმად არიან რესპუბლიკაში.

საბჭოთა სპორტსმენების წარმატებები საქვეყნოდ არის ცნობილი. მათ დიდ პატივს სცემენ არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც. ჩვენ კი რატომღაც ვივიწყებთ, რომ ქართველი სპორტსმენის წარმატება საერთაშორისო სარბიელზე რეს-

სპორტული ცხოვრების ამსახველი სტენდი. ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ ზოგჯერ მხედველობიდან გვრჩება სპორტის პროპაგანდის ძალზე ქმედითი და ეფექტური მეთოდები. სპარტაკიადის შედეგები მხოლოდ ციფრობრივი მონაცემები არ არის, მას ღრმა და სერიოზული ანალიზი ესაჭიროება. მიღწევებთან ერთად ნაკლოვანებებიც უნდა გამოვამხეუროთ, რათა შემდეგში არ განმეორდეს იგი.

როინ მეტრეველი  
სიჭაბუკის, სილამაზისა და ძალის  
ზემი



სპარტაკიადის ჩემპიონი ველოსიპედის სპრინტში ომარ ფაქაძე

ჩვენი პარტია და მთავრობა უდიდეს ყურადღებას აქცევს ახალგაზრდა თაობის ფიზიკურ აღზრდას. ამაზე საგანგებოდ არის მითითებული XXII ყრილობაზე მიღებულ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამაში. კულტურული, განათლებული, მაღალი მორალური თვისებების მატარებელი, ფიზიკურად სრულყოფილი — აი, როგორი უნდა იყოს საბჭოთა ადამიანი, საბჭოთა ახალგაზრდა. ჩვენმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ სწორედ ასეთი ადამიანების აღსაზრდელად. ვიმეორებთ: სპარტაკიადა მხოლოდ ფორმალურად და მთავრდა. წინ ახალ-ახალი ბრძოლებისა და მიღწევების გზაა. შეგვიძლია ვთქვათ, რომ უკვე დაიწყო მეოთხე

სპარტაკიადა. დიახ, დაიწყო სწორედ იმ დღეს, როცა მესამე სპარტაკიადის ალამი დაეშვა.

მართალი იყო სპარტაკიადის სტუჟარი, ავსტრიის განათლების მინისტრი დოქტორი ჰენრიხ ღრიმელა. რომელიც ამბობდა, რომ „საბჭოთა კავშირი ნომერ პირველი სპორტული ქვეყანაა“. სპარტაკიადის გრანდიოზულობა ათქვეყნა მას ეს სიტყვები.

რესპუბლიკის საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, თვითეულმა კომკავშირულმა, ყოველმა ახალგაზრდამ დაუღალავი შრომით ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ კვლავაც ღირსეულად დაიცვან „ნომერ პირველი სპორტული ქვეყნის“ სახელი.



# წიგნების კვირბი

## მურმან ლებანიძის ახალი დეკაბი



მურმან ლებანიძე. ლექსები. რედაქტორი ალიო ადამია. მხატვარი ე. ამაშუკელი. თბილისი. გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება“. 1963 წ. გვ. 81, ფასი 15 კპ.

მურმან ლებანიძე აქტიური და ნაყოფიერი პოეტია. მან ოცამდე წიგნი გამოსცა. პოეტის სასახელოდ უნდა აღინიშნოს, რომ მისი ყოველი ახალი ნაწარმოები ახალია არა მარტო ქრონოლოგიურად, არამედ ყოველთვის მოაქვს რაღაც მანამდე უცნობი, თავისებური, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი.

ახლახან გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნებამ“ გამოსცა მურმან

ლებანიძის ახალი ლექსების კრებულს. რომელიც ძირითადად ყურნალ-გაზეთებში გასულ წელს გამოქვეყნებულ ნაწარმოებებს აერთიანებს.

მურმან ლებანიძის შემოქმედებაში მკითხველს ყოველთვის ხიბლავდა და ხიბლავს პოეტური ინტონაციის უჩვეულო და მოულოდნელი მიმოხრა, ამადლელებელი უბრალოება და უშუალოება.

მურმან ლებანიძის ლექსის ემოციური ზემოქმედება ხან ფრაზის უცარი მოქნევით არის გამოწვეული, ხანაც დასვეწილი და უაღრესად დროულად ნახმარი პლასტიკური სახით:

გვაშაყანი შემოდის ეცერში ცხენით —  
 ქალი კი არა, დაო, ვაშა ხარ!  
 ორთავეს მოგიღერებიათ ყელი  
 (შენ და შენს ცხენს!)  
 კვიციანის ქალო, გვაშაყან!

ამ ერთ სტროფში მურმან ლებანიძის მხატვრული თავისებურებებსაც ორივე მომენტია წარმოდგენილი, ამიტომაც არის იგი ასეთი დასრულებული და შთამბეჭდავი. ამიტომ, უფრო მართებულად იქნება, თუ ვიტყვით, რომ მურმან ლებანიძის პოეზია სიტყვიერი და პლასტიკური ფერწერის სინთეზია და ეს შემთხვევითი მოვლენა როდია. იგი ქართული პოეზიის ტრადიციებითაა განპირობებული.



არ შეიძლება მურმან ლებანიძის პოეზიაზე ლაპარაკობდე და არ აღნიშნო მისი ლექსების ინტონაციური სიახლე:

ლევზარს ბოლოში  
ნაკვლიანი  
კოშკია —  
და კოშკთან სახლი არი;  
იქ ცხოვრობს  
ჰკვიანი ბიჭი —  
პატარა  
ერეკლე საღლიანი.

ყოველი მისი ლექსი სულ ახალი და ახალი რიტმის, მუსიკალური სახის ძიება და არც თუ უშედეგო ძიება.

მურმან ლებანიძის ეს უკანასკნელი წიგნი არ წარმოადგენს მკვეთრ ზღვარს მის ადრინდელ ნაწარმოებებთან. პოეტი ისევ და ისევ ერთგული რჩება თავისი ძირითადი მხატვრული თავისებურებებისა. გადმოცემის მანერა და, საერთოდ, საგნისა თუ მოვლენის აღქმის პრინციპი ამ წიგნშიც ლებანიძისეულია, მაგრამ არის გარკვეული მომენტები, როდესაც პოეტი სცილდება ჩვეულ კალაპოტს და სრულიად მოულოდნელ სახეებსა და განწყობილებებს ქმნის.

კრებულის საუკეთესო ნაწარმოებია „სვანური რვეულისა“ და „ბრილის ყვავილების“ ციკლები (ორიოდე გამონაკლისის გარდა), ლექსები — „ვთამაშობ ნადირობას“, „გინახავს ღრუბლის ტივები“, „სიკვდილის შიშით“, „გურამ“ და სხვ. ამ ლექსებში მურმან ლებანიძე კიდევ უფრო წინ სწევს თავისი პოეტური პრაქტიკის საუკეთესო თვისებებს; მოაქვს თემის არა მარტო თავისებური გაგება და გახსნა, არამედ ქმნის მოულოდნელ და უჩვეულო განწყობილებებს და ყველაფერ ამას გადმოსცემს უაღრესად შესაფერის ფორმებში.

მურმან ლებანიძეს, ისევე, როგორც ბევრ სხვა ნიჭიერ პოეტს, ახასიათებს ერთგვარი შემოქმედებითი გამბედაობა, ან, უფრო ზუსტად, აქვს მიღრეკილება ცდისკენ, ექსპერიმენტისკენ. მაგრამ სამწუხაროდ ეს ექსპერიმენტები ყოველთვის როდია გამართლებული. სწორედ ასეთ უმიზნო თუ უშედეგო ექსპერიმენტებად უნდა ჩაითვალოს ლექსები — „რომანისი“, „ლაღო“ და „გოგოლის ქუჩა“. ხსენებული ნაწარმოებები უკანდახვევა იყო მურმან ლებანიძისათვის. პოეტს, რომელმაც შექმნა „თეთრი ლექსები ფიქრისა“, „მამა, ბავშვობა, გოგოლის ქუჩა“, „ფიქრები“, შესანიშნავი ლექსი „დათვები“ და სხვ. არ ეპატიება ასეთი სტრიქონები:

ჩვენი ჯიგარა,  
ჩვენი შიტკა,  
ჩვენი ჰაიკა —  
ჭრელი ჰაიკა,  
გიტარა და  
ბალალაიკა.

მკითხველს მოსწონს მურმან ლებანიძის ლექსების სისადავე და უშუალობა, მაგრამ თუ შემოქმედმა დაკარგა ზომიერების გრძნობა და ოსტატური სიმართვიდან უბრალოებამდე ჩამოვიდა, ის უკვე დამსახურებული საყვედურის ღირსია.

საბედნიეროდ, მსგავსი მოვლენები იშვიათი გამონაკლისის სახით გვხვდება მურმან ლებანიძის შემოქმედებაში და ამიტომ არც ღირს დაწვრილებით შეეჩერდეთ მათზე. საერთოდ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ მურმან ლებანიძის ახალი ლექსები ნამდვილი პოეზიის სიმალეზე დგას და პოეტის ახალ შემოქმედებით გამარჯვებაზე მეტყველებს.





## ზღაპრებში გაღმოსვლად სინამდვილე



ონე კრიანგას. რჩეული. თარგმანი და წინასიტყვა დ. გიორგაძისა. რედაქტორი გ. ციციშვილი. მხატვრები ზ. ნიჟარაძე, ი. შვიდლიშვილი. თბილისი. სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. 1962 წ. გვ. 214, ფასი 38 კაპ.

ონე კრიანგას სახელი დიდი ხანია ფართოდ არის აღიარებული როგორც მწერლის სამშობლოში, ისე მის ფარგლებს გარეთაც. მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის რუმინულ-მოლდავეური ლიტერატურის ცნობილი კლასიკოსის ნაწარმოებები, რომლებიც ძირითადად ხალხური სიტყვიერების სიუჟეტურ ქსოვილზე და ინტონაციებზეა აგებული, ათეული წლების განმავლობაში ხიბლავდა და ხიბლავს მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ადამიანებს.

საქართველოში ფართო მკითხველი საზოგადოება ნაკლებად იცნობს იონე კრიანგას უაღრესად საინტერესო და თავისებურ მხატვრულ მემკვიდრეობას. ეს ხარვეზი შეავსო ამას წინათ სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ მიერ გამოცემულმა „რჩეულმა“ (მთარგმნელი დ. გიორგაძე).

როგორც მთარგმნელის წინასიტყვაობიდანაც ირკვევა, წიგნში შეტანილია იონე კრიანგას ყველაზე უფრო პოპულარული ზღაპრები და მოთხრობები. თუ გავითვალისწინებთ, რომ ი. კრიანგას მემკვიდრეობა არ არის რაოდენობით დიდი მოცულობისა, შეიძლება ითქვას, რომ ქართველ მკითხველს საშუალება ეძლევა გაეცნოს დიდი რუმინელი მწერლის ყველა ძირითად ნაწარმოებს, გარდა „ბავშვობის მოგონებებისა“, რომელიც კრიანგას შემოქმედების ერთ-ერთ ცენტრალურ ნაწარმოებად ითვლება და რომლის ქართულ ენაზე თარგმნა უთუოდ უნდა განხორციელდეს მომავალში. დასაწყისისათვის ესეც საკმაოდ მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს, რადგან ადვილი საქმე არ არის სრულიად უცნობი მწერლის შემოქმედების უდიდესი ნაწილის თარგმნა და გამოქვეყნება პირველივე ცდისას.

იონე კრიანგამ ზღაპრებით დაიწყო ლიტერატურული მოღვაწეობა. ეს შემთხვევით არ მომხდარა. ხალხის წიაღიდან გამოსულმა მწერალმა (იგი გლეხის ოჯახში დაიბადა) კარგად იცოდა გლეხობის სულიერი მოთხოვნილებანი, მისი ტანჯვა და სიხარული, დუხჭირი ცხოვრება და იმედები. იგი ხალხისათვის წერდა და ამიტომაც აირჩია მისთვის ყველაზე უფრო გასაგები და მახლობელი ქანარი—ზღაპარი.

კრიანგას ზღაპრების გმირები, მართალია, გამოგონილ, წარმოდგენების სამყაროში მოქმედებენ, მაგრამ თუ მათ ამ ფანტასტიურ სამოსელს მოვაცილებთ, ჩვენს წინაშე წარმოდგება ტიპიური მოლდაველი თუ რუმინელი გლეხი, ადამიანურ ცხოვრებაზე მეოცნებე შრომელი კაცი. ზღაპრებში „ივანე ტურბინკა“, „ქისა ორი ფულით“, „დედამთილი და მისი რძლები“ და სხვ. იონე კრიანგამ მოახერხა გადმოეცა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის რუმინულ-მოლდავეური სოფლის დამაჯერებელი სურათი და,

როგორც დ. გიორგაძეც აღნიშნავს, ნათლად გამოამჟღავნა თავისი პროგრესული მსოფლმხედველობა, თავისი მხურვალე თანაგრძნობა დაბეჩავებული ხალხისადმი და ზიზღი მწაგვრელებისადმი.

მთარგმნელის უდავო დამსახურებად უნდა ჩაითვალოს, რომ კრიანგას ზღაპრები მეტად უშუალოდ და ბუნებრივად ქდერს ქართულად. მას კარგად შეურწყვია ორიგინალის სისადავე და სიმბოლური პერსონაჟები თუ მოვლენები ქართული ზღაპრის ფორმის ლაკონურობასა და დინამიურობასთან. სამაგალითოდ მარტო „ქისა ორი ფულით“ და „ივანე ტურბინკას“ დასახელებაც საკმარისია, განსაკუთრებით უკანასკნელისა.

არ შეიძლება მკითხველს არ დამახსოვრდეს ივანეს, ეშმაკებთან და სიკვდილთან მებრძოლი, მხიარული ადამიანის სახე. ამაში გარკვეული წვლილი მიუძღვის მთარგმნელს, რომელსაც არ დაუკლია ცდა და მონდომება, რომ ტურბინკას სახისთვის არც ეროვნული კოლორიტი დაეკარგა და, ამავე დროს, მახლობელი და გასაგები გაეხადა იგი ქართველი მკითხველისთვისაც.

მართალია, მთარგმნელს აქა-იქ გაზარვია სტილისტური შეუსაბამობანი

ან ქართული ენისათვის ნაკლებად დამახასიათებელი ფორმები და გამოთქმები, მაგრამ ეს იმდენად მცირეა გაწეულ შრომასთან შედარებით, რომ ამაზე ახლა მკითხველის ყურადღებას არ შევაჩერებთ.

გარდა ზღაპრებისა, „რჩეულში“ შეტანილია აგრეთვე სამი მოთხრობა — „მომ იონ როატა და გაერთიანება“, „მომ იონ როატა და სარდალი კუზა“ და „ისაია დუხა“. მოთხრობებშიც, ისევე როგორც ზღაპრებში, დაკულია ი. კრიანგასათვის დამახასიათებელი მხატვრული მანერა და ქართველ მკითხველს გარკვეულ წარმოდგენას უქმნის კრიანგა — ნოველისტზე.

გვინდა სინანული გამოვთქვათ, რომ წინასიტყვაობაში მთარგმნელს მეტისმეტი სიტყვააქუნწობა გამოუჩენია. კრებული გაცილებით მოიგებდა, უფრო ვრცლად რომ იყოს გადმოცემული იონ კრიანგას ცხოვრებისა და სამწერლოსაზოგადო მოღვაწეობის მნიშვნელოვანი ეტაპები. ეს მკითხველს გაცილებით გაუადვილებდა ამ მეტად საინტერესო მწერლის ნაწარმოებების აღქმასა და სწორ გაგებას.

ვაჟა მესხა

## „უზომაღლო ოკეანეში“


ისტორიამ სიყვარულით შემოგვიჩინა იმ ლეგენდარულ მოგზაურთა და ზღვაოსანთა სახელები, რომელთა აღმოჩენებსაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა კაცობრიობისათვის. ამჟამად კველა მატერიკი და ცოტად თუ ბევრად მოზრდილი კუნძული კარგა ხნის აღმოჩენილია და მოგზაურებსაც სხვა ინტერესები აქვთ. ნორბერ კასტერეს, ტურ ჰეიერდალის თუ ტე რანგი ხიროას ყველა ექსპედიციას ღრმა მეცნიერული თეორია უდევს საფუძვლად და მათი განხორციელებით მრავალ საიდუმლოებას მოეფინა ნათელი.

მეტად სერიოზულ და კეთილშობილურ მიზანს ისახავდა ახალგაზრდა ფრანგი ექიმის, ალენ ბომბარის მიერ 1952 წელს მოწყობილი სენსაციური მოგზაურობა. ბომბარს საკუთარ თავზე ცდის ჩატარებით უნდა გამოეცვლია, თუ ზღვაში დაღუპული ხომალდის მგზავრი რამდენ ხანს გაძლებს უწყლოდ და უსურსათოდ ისე, რომ იკვებებოდეს დაპერილი უმი თევზით, ხოლო წყურვილს თევზისგანვე გამოწერული, სსმელად ვარგისი წვენით იკლავდეს.

როგორც ეს წიგნში აქვს მოთხრობილი, ექსპედიციამდე ბომბარმა საფუძ-

ვლიანი მეცნიერული და პრაქტიკული სამზადისი ჩაატარა. ცდებით დაადგინა, რომ ზღვაში მოპოვებდა სიცოცხლისთვის აუცილებელ თითქმის ყველა ვიტამინს.

ბომბარი საეცებით მართალია, როცა განსაცდელში ჩავარდნილ ადამიანთა სიკვდილის უმთავრეს მიზეზად მორალურ ფაქტორს მიიჩნევს.



ალენ ბომბარი. უხომადოდ ოკეანეში. თარგმანი ე. კობახიძისა და რ. არონიშვილისა, რედაქტორები: ნ. ჯანაია, ვ. ჭანტურია. მხატვარი თ. შირაშვილი. თბილისი, გამომცემლობა „ნაკადული“, 1962 წ. გვ. 244, ფასი 85 კაპ.

„გემთა ლეგენდარული დაღუპვის მსხვერპლნი, მე კარგად ვიცი, თქვენ ზღვას არ მოუკლავხართ, არც შიმშილს და არც წყურვილს. თოლიების შემზარავ წივილში ტალღებზე მოქანავენი, შიშმა მოკვლათ თქვენს!“

პირველი ექსპედიცია ინგლისელი მეზღვაურის ჯეკ პალმერის თანხლებით ბომბარმა ხმელთაშუა ზღვაში მოაწყო. ექსპედიცია საცდელი ხასიათისა იყო და 2 კვირას გაგრძელდა. ექსპედიციის შედეგები დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა, მაგრამ, შემდგომ, გადაწყვე-

ვებ ეტაპზე, პალმერი შეშინდა და ბომბარი მიატოვა.

ვიდრე თავის ცნობილ მოგზაურობას დაიწყებდა, ბომბარმა ოკეანოგრაფიის მუზეუმში გულდასმით შეისწავლა ზღვის დინებები. უნდა მონახულიყო გზა, რომლითაც წყლის დინებები და ქარები ნავს აუცილებლად ნაპირამდე მიიყვანდა. ცთუნებისგან თავის დასაღწევად სასურველი არ იყო ამ გზაზე გემების შეხვედრა. ბომბარმა ასეთი გზა იპოვა.

დაიწყო ზღვაოსნობის ისტორიაში უმაგალითო გმირობა; მარტოხელა ადამიანს, ყოველგვარი სურსათისა და წყლის მარაგის უქონლად, რეზინის ნავით ატლანტის ოკეანე უნდა გადაესერა. აგვისტოს ერთ ცხელ დღეს ნავმა დატოვა ქალაქი ტანჯერი და ხანმოკლე, დაძაბული ცურვის შემდეგ, გობრალტარის სრუტის გავლით, ოკეანეში აღმოჩნდა.

ყველაზე საშიში და დამთურგველი, რაც ოკეანეში მყოფ ადამიანს ეუფლება, ესაა მარტოობის საშინელი გრძნობა. ყველაზე დიდი სიმამაცე სწორედ ამ გრძნობისა და მისგან მომდინარე სასოწარკვეთის დაძლევაა.

დღიურებში დაუფარავად და ამალელებლადაა მოთხრობილი მეცნიერის მძიმე სულიერ მდგომარეობაზე და აურაცხელ სიძნელებებზე, რაც გამუდმებით თან ახლდა განსაცდელითა და ხიფათით აღსავსე ამ უჩვეულო მოგზაურობას. შეუძლებელია, არ დაუჯერო საოცრად მართალი განცდით აღბეჭდილ სტრიქონებს ბომბარის დღიურიდან:

„ოკეანე დამშვიდებულია. მე თანდათანობით უფრო და უფრო მეტი შიში მიუფლება. საინტერესო ფაქტია: მშფოთვარე ზღვა ძალიან საშიში არ არის, ბევრად უფრო საშიშია იგი მაშინ, როცა ქარი არ განაგებს მას“.

ოკეანეზე ზოგჯერ მზე რამდენიმე დღით იმალება. ცას შავი ღრუბლები ფარავენ, მიმართულების გარკვევა ჭირს.

ზღვაოსნის გულში უიმედობა ისადგურებს... ამ დროს მოქუფრული ცა ნელ-ნელა იბზარება, ჩნდება თვალისმოშორებული ლურჯი ზოლი და დიდებული ცეცხლისფერი მნათობი სამყაროს გაანათებს.

„ღმერთო ჩემო, რა შეიძლება იყოს მზეზე კარგი“, — აღმოხდება იმედგადაწყვეტილ ადამიანს და სიცოცხლის უსაზღვრო რწმენა უბრუნდება.

სტიქიასთან ბრძოლის 40 დღე გადის. მეცნიერმა თავისი ვარაუდით მალე უნდა მიაღწიოს ნაპირს.

„გამაგრდი, ალენ!“ — ვიმეორებ განუწყვეტლივ. შესაძლოა კიდევ რვა მძიმე დღე მომიხდეს ლოდინი. ვფიცავ, მანამდე არ მივეცემი სასოწარკვეთილებას“.

ამ სიტყვების შემდეგ კიდევ 25 უმძიმესი დღე-ღამე გადაიტანა და გაუგონარი სიმამაცისა და თავგანწირვის 65-ე დღე კარიბის ზღვასთან, კუნძულ ბარბადოსზე გაითენა.

წიგნის დასასრულს ბომბარბი მკითხველთა საყურადღებოდ ამბობს, რომ იგი არასოდეს არ გამოირჩეოდა განსა-

კუთრებული ჯანმრთელობით. განსაკუთრებულ გამირობად არც თავის მოგზაურობას თვლის; მხოლოდ დიდი ტაქტით აღნიშნავს, რომ „არავის არა აქვს უფლება გასწიროს სიცოცხლე უმიზნოდ, ისე, თუ მას სარგებლობა არ მოაქვს საზოგადოებისათვის“.

ორიოდე სიტყვა თვით თარგმანზე წიგნი ძირითადად კარგი ქართულითაა (მთარგმნელები: ვენერა კობიაშვილი და რომეო არონიშიძე) თარგმნილი. თუკა უნდა ითქვას, აქა-იქ მაინც ვვხვდებამოტივირებულ გაუმართავი, არაზუსტი წინადადებები. სანიმუშოდ მოვიყვანთ ასეთ მაგალითს: „სქელი, კუნაპეტივით მთლად შავი ღრუბლები ყოველი ძხრიდან მოიწვედნენ ან საცოდავი ლურჯი ლაქისაყენ“. მსგავსი შემთხვევები თარგმანში ცოტაა და შეიძლებოდა მათი თავიდან აცილება.

„უზომალდოდ ოკეანეში“ კარგი, სასარგებლო წიგნია. იგი საკუთარ ძალებში კიდევ უფრო დაარწმუნება ადამიანს და განსაცდელში ჩაეარდნიოს მეგობარივით დაეხმარება.

ემზარ კვიციანიშვილი



რედაქციის მისამართი: თბილისი, მახარაძის ქ. № 14, ტელ. № 3-07-02

ხელმოწერილია დასაბეჭდად 26/X-63 წ. ფიზიკურ ფორმთა რაოდენობა 10. პირობით ფორმთა რაოდენობა 13,7. შეკვ. № 998. უე 12191. ქალაქის ზომა 70x108. ტირაჟი 6400.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარპოლიგრაფიკამოწყობის ბეჭდვით სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат печати Главполиграфиздата, Министерства культуры Грузинской ССР, Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.



ბალეტიზი

შატავი ხემა ხელოვნება



ბაბინის სარეაქტორი

შატავი დანია ნივთი



ბაბინის რეაქტორის მშენებლობის დროს მუშაობის სურათი



შენი ნიკა

10

ს ა ი კ ი თ ხ ა თ ბ ა მ დ ე ბ ნ მ ა რ შ ი

ოთარ ზილარის

ახალი პოემა

„ქესეველი“

ბაბაი ბაძრაძის

წერილი —

მიხეილთ ქართულ ენგარანს

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„ЦИСКАРИ“

ИЗДАТЕЛЬСТВО

„ЛИТЕРАТУРА ДА ХЕЛОВНЕБА“

ИНДЕКС 76236